ჭაბუკი ქირია

ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისის 2016

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

ქართული ენის პრაქტიკული კურსის წინამდებარე გამოცემაში მაქსიმალურად მარტივი ენით არის გადმოცემული მორფოლოგიის ძირითადი საკითხები პრაქტიკულ ჭრილში. იგი განკუთვნილია, პირველ რიგში, ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის შემსწავლელთათვის; წიგნი სასარგებლო იქნება ქართულენოვანი მოსწავლეებისთვისაც.

რედაქტორები:

კახა გაბუნია
ბელა გვილია

ISBN

შესავალი

საზოგადოდ, პრაქტიკულ გრამატიკაში, თეორიულისგან განსხვავებით, სავარჯიშოებზე, პრაქტიკულ სამუშაოებზეა მეტი ყურადღება გადატანილი; გრამატიკის საკითხები თანამიმდევრულადაა მოცემული, მხოლოდ წესები აქ ინსტრუქციების როლს ასრულებს. გრამატიკულ დავალებათა შესრულება გათვლილი უნდა იყოს არა იმდენად წესების დაზეპირებაზე, რამდენადაც გრამატიკული ფორმებით მანიპულირებაზე.

სწორედ ამ ასპექტის მიხედვით არის აგებული წინამდებარე გრამატიკა, რომლის ორიენტირი ერთობ პრაგმატულია: რისთვის გვჭირდება ესა თუ ის ფორმა, როგორია მისი პრაქტიკული გამოყენების სფეროები და არეალი.

ეს არის ცდა ენობრივი სისტემის აღწერისა პრაქტიკული, ფუნქციური ასპექტების გათვალისწინებით.

ამ ეტაპზე ჩვენ მიერ ეს სისტემა სრულად არ არის აღწერილი;

არც ყველა საკითხის სიღრმისეული ანალიზია წარმოდგენილი.

ის მასალაა გაანალიზებული და ისეა გაანალიზებული, რომ გრამატიკა წარმოჩნდეს ენის, ენობრივი სისტემის გააზრებისთვის დამხმარე (და არა ხელის შემშლელ) ფაქტორად. ეს არის, ერთგვარი გამარტივებული გრამატიკა, ეს არის, ასე ვთქვათ, პირველი შეხება გრამატიკასთან, და, ამდენად, ის ამომწურავი არ არის სისტემის აღწერის თვალსაზრისით.

ძირითადი სირთულე, რასაც აწყდება მოსწავლე (სტუდენტი) გრამატიკის სწავლისას, არის ის ფაქტორი, რომ ამ დროს, როგორც წესი, ხდება მშრალი, სქემატური მასალის (წესების, ფორმულების, ცხრილების) მიწოდება; ხშირად ძნელია ამ მასალის გააზრება, გაგება, მის არსში წვდომა.

ფორმათა კარგად გააზრება შესაძლებელია სათანადო კონტექსტების წარმოდგენით, ყველა იმ შესაძლო კომბინაციის დემონსტრირებით, რომელშიც ესა თუ ის ფორმა ბუნებრივად მონაწილეობს.

სწორედ ამიტომ წინამდებარე წიგნში საილუსტრაციო (სავარჯიშო) მასალად საკმაოდ უხვად არის წარმოდგენილი და თვალშისაცემია საგანგებოდ შერჩეული არაადაპტირებული, ავთენტური მხატვრული ტექსტები (ლექსები, მინიატურები, ფრაგმენტები პროზაული ნაწარმოებებიდან.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეს განუვითარდეს ფორმაზე, სიტყვის სტრუქტურაზე დაკვირვების და იმ კავშირის დანახვის უნარი, რაც არსებობს ფორმასა და შინაარსს შორის.

ისიცაა, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს შეფარული მიზანიც, რაც გამოიხატება ამ მასალის, როგორც საკითხავი ტექსტის შეთავაზებაშიც. ეს არის პრაგმატული მოსაზრებით შერჩეული მასალა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ გაგების უნარ-ჩვევის გამომუშავებისთვის, კომუნიკაციური მოდელების დაფიქსირებისთვის.

მთავარი ამ შემთხვევაში მაინც ის არის, რომ საშუალება გვეძლევა, დავაკვირდეთ, როგორ ხდება თეორიულად ნასწავლი ენობრივი საშუალების რეალიზება ბუნებრივ სიტუაციაში, პრაქტიკაში.

შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ, სწავლებისას, ძალიან მნიშვნელოვანია მოტივაციის ფაქტორი. ცხადია, არ შეიძლება ამის იგნორირება გრამატიკის სწავლების დროსაც;

ჩვენი მიზანია, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ გრამატიკის სწავლებისას პედაგოგმა მოსწავლეს შეასწავლოს კონკრეტული სამეტყველო აქტები და ოპერაციები, ისეთი ენობრივი პარადიგმები, რომელთა საშუალებითაც ის შეძლებს ამ ენობრივ მონაცემთა ცოდნის ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში გამოყენებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლემ საკმაოდ კარგად იცის გრამატიკული წესები, მაგრამ ვერ იყენებს მას პრაქტიკაში, ანუ, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დროს გრამატიკა გრამატიკისთვისაა და არა კომუნიკაციისთვის.

ჩვენ მიერ შერჩეულ სავარჯიშო ავთენტურ ტექსტებს შეიძლება ჰქონდეს ორთოგრაფიული მიმართულებით მუშაობის ფუნქციაც.

ცნობილია, რომ გაბმულ მეტყველებაში ყველაზე ხშირად გამოიყენება სწორედ ის სიტყვები, რომლებიც მოხვდა ლექსიკური ფონდის პერიფერიაში ლექსიკის წმინდა სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლისას: ყველაზე ხშირად გამოყენებული ასიოდე სიტყვიდან, რომლებიც ტექსტის ერთ მეხუთედს ფარავს, მხოლოდ ათიოდეა ჩვეულებრივი სრულმნიშვნელობიანი სიტყვა (სთქვა, იცის, გული, დღე, საქმე, ხელი, ხმა, კარგი, ხალხი...). აი, დანარჩენი ხშირი გამოყენების სიტყვები: ნაწილაკები (არ, არა, აღარ,არც, ვერა, აბა, აი, განა, მაინც, მაშ, ხომ...), თანდებულები (წინ, თავზე...), კავშირები (ან, და, თუ, როგორც, როცა, რო, ხოლო...), მეშველი ზმნა (არის, ხარ, ვარ, იქნება, იყო, იყოს...), რიცხვითი სახელი (ერთი, დიდი, მეტი, ყველა...). ხშირი ხმარების სიტყვებია აგრეთვე ნაცვალსახელები (მე, შენ, ჩვენ, თქვენ, ის, იგი, ეს, ჩემი, შენი, ჩვენი, იმის, იმას, იმათ... მას... რა, რაც, რად, რამ... ვინ...), რომელთა მნიშვნელობას, როგორც ცნობილია, სამეტყველო სიტუაცია განსაზღვრავს. აქვე შემოდის ისეთი ზმნისართებიც, რომელთა მნიშვნელობა, ნაცვალსახელთა მსგავსად, სამეტყველო სიტუაციაზე არის დამოკიდებული (აქ, იქ, ასე, ეხლა, მაშინ, დღეს, ჯერ, უფრო, კიდევ, მხოლოდ... სად, როგორ...) [ბ. ფოჩხუა].

სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით არის ეს მასალა წიგნის პირველ ნაწილში (დასაწყისში) და არა ბოლოს (როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე წარმოდგენილი).

თანაც, ეს არის ისეთი მასალა, რომელსაც ფორმაწარმოების საშუალება შეზღუდული აქვს ან საერთოდ არ გააჩნია, - აქედან გამომდინარე, არ არის საჭიროება ამასთან დაკავშირებით ფორმაწარმოების წესებსა თუ პარადიგმეზე მუშაობისა, ხდება მათი მიწოდება წმინდა ლექსიკურ დონეზე.

სხვადასხვა ენობრივი ფუნქცია შეიძლება სხვადასხვა საშუალებით გამოიხატოს. ზოგჯერ ეს სიტყვის დონეზე ხდება (ზოგჯერ მას რაღაც ელემენტი ემატება და რაც ანიჭებს მას ამა თუ იმ ფუნქციას), ზოგჯერ კი ამა თუ იმ ფუნქციურ ნიუანსს უფრო რთული კონსტრუქცია - სიტყვათა გარკვეული კომბინაცია გამოხატავს.

ზოგადად სწავლების პროცესი გულისხმობს დინამიკას მარტივიდან რთულისკენ. შევეცადეთ დაგვეცვა ეს პრინციპი და ამაში ქართული ენის ბუნება ბუნებრივად დაგვეხმარა: ქართულში სახელის სისტემა გაცილებით მარტივია, ვიდრე ზმნისა.

თვით სახელის სისტემაში უმარტივესი დავალებები და კონსტრუქციები დომინირებს (წიგნის პირველ ნაწილში); საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ „არის“ ზმნის მეშვეობით არის წარმოდგენილი სავარჯიშოების საკმაოდ სოლიდური ნაწილი (მასთან კომბინაციაში ბევრნაირი ინფორმაციის წარმოდგენა და მიღება შეიძლება). ეტაპობრივად რთულდება სავარჯიშოებიც და დავალებებიც.

წიგნი, ვფიქრობთ, ქართულენოვან მოსწავლეებსაც გაუწევს დახმარებას.

1. მეტყველების ნაწილები

სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა: გვაქვს **ფორმაცვალებადი** და **ფორმაუცვლელი** სიტყვები.

ფორმაცვალებადებია **სახელები** და **ზმნა.**

ფორმაუცვლელებია დანარჩენი სიტყვები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული).

სახელები (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი) **ბრუნებადი** სიტყვებია, ბრუნვების მიხედვით იცვლიან ფორმას.

ზმნა არ იბრუნება, იუღლება. ეს არის **უღლებადი** სიტყვა, იგი პირისა და მწკრივების მიხედვით იცვლის ფორმას.

ფორმაუცვლელი სიტყვები პრაქტიკულად ერთი ფორმით წარმოგვიდგებიან. მათ შეზღუდული აქვთ ფორმის შეცვლის საშუალება.

2. ფუნქციური ლექსიკა

ცალკე ჯგუფად წარმოადგენენ ე. წ. **„ფუნქციურ“ („ფუნქციონალურ“)** ლექსიკას და „დამხმარე სიტყვებს“.

ეს ის სიტყვებია, რომლებიც თავისთავად **არაფრის სახელებს არ წარმოადგენენ.**

2.1. გამოიყოფა სხვადასხვა ფუნქციის სიტყვები, რომელთა საშუალებითაც ხდება:

ა) კითხვის გამოხატვა: რატომ? როგორ? სად? საით? როდის?...

ბ) ადგილის, მიმართულების გამოხატვა:

აგერ	გაღმა	მარჯვნივ
არსად	გაღმა-გამოღმა	მაღლა
აქ	გვერდით	პირისპირ
აქა-იქ	დაბლა	სხვაგან
აღმა	დაღმა	უკან
აღმა-დაღმა	ვერსად	ქვევით (ქვემოთ)
ახლომახლო	ზევით (ზემოთ)	შორიახლოს
ახლოს	ზოგან	შორს
გადაღმა	ირგვლივ	შუაში
გამოღმა	იქ	ძირს...
გარშემო	მარცხნივ	

გ) დროის გამოხატვა:

ახლა
ხვალ
გუშინ
ზეგ
მაზეგ
შემდეგ
მაშინ
გვიან
ადრე
უცებ
შარშან
შარშანწინ
ოდესღაც
ოდესმე
როდისმე
არასოდეს
ვერასოდეს
ნურასოდეს...

დ) მიზეზის გამოხატვა: ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ.

ე) მიზნის გამოხატვა: ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის.

ვ) ზომა-ოდენობის, სიხშირის გამოხატვა: ძალიან, ძლიერ, სულ, მუდამ, ყოველთვის, უფრო, ხანდახან, ზოგჯერ, სრულიად...

ზ) ემოციების გამოხატვა:

აღტაცება-სიხარული: ოჰ!, ოი!..

მწუხარება: ვაიმე!, ვაჰ!, ოჰ!..

დაღონება: ეეხ!..

გაკვირვება-განცვიფრება: ბიჭოს! ერიჰაა!..

ზიზღი: ფუ!, ფუჰ!...

ნატვრა: ოჰ!, ახ!, უჰ!..

შეცოდება-შებრალება: აახ!, უი!..

დანანება: აფსუს!, აახ!, ეჰ!..

წყენა: ვაჰმე!, ოჰ!.

გაჯავრება: ოჰ!..

განრისხება-გაბრაზება: ჰოი!..

მოწონება: იფ, იფ!..

ტკივილი: ვაი!, ვაიმე!. და სხვ.

არსებობს ცხოველთა და ფრინველთა **დასაძახებელი** თუ **გასაწყრომი** ბგერათკომპლექსები: აჩუ! ხი, მო! მაამო! ოჰოო! დიიდე!, დიიდო! ჰაცე!, აცე! აქშა! ქშა! აცხა! ჰაუ, ჰაუ!...

- **ზოგიერთი ფორმაუცვლელი ელემენტი ელფერს უცვლის იმ სიტყვას, რომელსაც დაერთვის:**

ყურადღებას ამახვილებს ამ სიტყვაზე:

ხალიჩა**ც** წაიღო, ლეიბი**ც** და საბანიი**ც.**

სახლი**ც** იყიდა, აგარაკი**ც** და მანქანა**ც.**

„მხოლოდ“ მნიშვნელობას აძლევს ამ სიტყვას:

სუფრას სამი კაცი**ღა** შემორჩა.

ორი დღე**ღა** დარჩა არდადეგებამდე.

აღნიშნავს **იმავეს:**

დედამ გაშალა სუფრა და დედამ**ვე** აალაგა ის.

მან იყიდა პროდუქტი და მან**ვე** მოამზადა სადილი.

- **დადასტურება-უარყოფისას გამოიყენება:** დიახ, ჰო, კი, კარგი.

დიახ *თავაზიანი* ფორმაა; **ჰო** და **კი** მხოლოდ *თანატოლებთან, ნაცნობებთან, მეგობრებთან* საუბრისას შეიძლება გამოვიყენოთ.

უარყოფისთვის გამოიყენება სიტყვები: **არა, ვერ(ა), ნუ** (იხ. ქვევით).

მოკლე პასუხისთვის წინადადებაში შეიძლება მხოლოდ **არა** გამოვიყენოთ:

_ის მასწავლებელია?

_არა.

სრული პასუხისთვის მხოლოდ **არა** საკმარისი არ არის: აუცილებელია **არ** ნაწილაკი:

_ის მასწავლებელია?

_არა, ის მასწავლებელი **არ** არის.

- **სიტყვები** და **წინადადებები** ერთმანეთს **კავშირების** საშუალებით უკავშირდებიან. განსაკუთრებით პროდუქტიულია შემდეგი კავშირები:

და	რათა	რაც
თუ	ანუ	რომელიც
მაგრამ	რაკი	როგორიც
ხოლო	სანამ	სადაც
თორემ	ვიდრე	როდესაც
ან	რადგან(აც)	როცა...
რომ	ვინც	

➢ **დავალება.**

- **ჩამოთვლილი სიტყვებიდან გადახაზეთ ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვები.**

მარცხნივ	შორს	დიდხანს
იქ	ძალიან	აქ
დაბლა	ოდნავ	უკან
მაშინ	სად	წინ
შიგნით	რატომ	მარჯვნივ
ძლივს	გარეთ	

➢ **დავალება.**

- **ჩამოთვლილი სიტყვებიდან გადახაზეთ დროის აღმნიშვნელი სიტყვები.**

დღეს	ქვევით	ამიტომ
აქ	წელს	გუშინწინ
სადაც	მაღლა	ალბათ
შორს	შარშან	შიგნით
საღამოს	დილით	გარეთ
ცხრაჯერ	ჩქარა	იმიტომ
უცბად	მართლა	ზეგ

- **დავალება.**

- **დაალაგეთ სიტყვები დროის მიხედვით.**

დღეს, ხვალ, ზეგ, გუშინ, გუშინწინ, შარშან, შარშანწინ, წელს, გაისად, ახლა, ამწუთას, წინათ, მერე, შემდეგ, წუხელ, მაზეგ...

ახლანდელი დრო	**წარსული დრო**	**მომავალი დრო**

- **დავალება.**

- **ხაზი გაუსვით მიზეზის გამომხატველ სიტყვებს.**

ჭირვეული მეზობლები ამირან და გრამიტონი,
დავობენ და ვერ გაეყოთ კვალითი და ზესტაფონი...
რატომ დავობ ამირან? რატომ დავობ გრამიტონ?
იმიტომ რომ, — იმიტომ, იმიტომ რომ, — ამიტომ...

(სიმღერა ფილმიდან „ჭირვეული მეზობლები“)

***

— რა უცნაური ლაპარაკი იცი, გრიშა, — პატარაზე გაიბუტა ქალი.
— მიყვარხარ და იმიტომ.
— მართლა?
— აბა, რა, განა ეს საკითხავია? — იო მოდო ლა კაზა.
— რატომ გიყვარვარ? — გაცელქდა ქალი.
— ლამაზი ხარ და იმიტომ.
— და სხვა... სხვა არაფერი?

გურამ დოჩანაშვილი, „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიშა და მთავარი“ (ფრაგმენტი)

- **დავალება.**
- **ამოწერეთ კითხვის გამომხატველი სიტყვები.**

***
კაცი ხარ მაშინ,
თავზე ქუდის მაშინ ხარ ღირსი,
როდესაც იცი,
ზედმიწევნით როდესაც იცი:

რა არ უნდა თქვა,
რა უნდა თქვა,
როგორ უნდა თქვა,
სად არ უნდა თქვა,
სად უნდა თქვა,
რატომ უნდა თქვა.

მუხრან მაჭავარიანი

- **დავალება.**
- **მოიძიეთ ქვემოთ მოყვანილ ტექსტში შორისდებულები. ამოიწერეთ და დააჯგუფეთ.**

ვაიმე, ძაღლის როგორ მეშინია!
ჰეი, თქვენ, აქეთ მოიხედეთ!
ყოჩაღ, კარგად მოქცეულხარ!
ვაშა, გავიმარჯვეთ!
ვაი, როგორ მეწყინა!
აუ, რა კარგია!

შიში	სიხარული	მოწოდება	აღტაცება	მოწონება	მწუხარება

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი და კავშირებს ერთი ხაზი გაუსვით, კითხვით სიტყვებს - ორი.**

ორი მელა

მელა შეხვდა მელას.
_ გამარჯობა, დაია!
_ გაგიმარჯოს დაიკო!
_ როგორ გიკითხო?
_ როგორც მკითხულობ. შენ როგორა ხარ?
_ როგორც შენ მკითხულობ.
_ მშიერი ხარ თუ მაძღარი?
_ მშიერიცა ვარ და მაძღარიც, შენ?
_ მეც, მაძღარიც და მშიერიც.
_ როგორაა საქმე?
_ კარგადაც და ცუდადაც. შენი...
_ ასევე, ცუდადაც და კარგადაც.
_ შენიანები როგორ არიან?
_ რა გითხრა, ხან ასე, ხან ისე. შენიანები?..
_ ისინიც ხან ისე, ხან ასე.
_ საით გაგიწევია?
_ საითაც თვალები იხედებიან. შენ, საით?
_ საითაც ფეხები წამიყვანს.
ვერც ერთმა ერთმანეთისა, ვერც ქვეყნისა, ვერაფერი გაიგო.

წავიდნენ. გულდაწყვეტილნი დაშორდნენ ერთმანეთს. არადა, ორივე ჭორიკანა იყო, მაგრამ ძნელია, როცა ორივე მაყუარაა და იცის, ვერც ერთი მოატყუებს და ვერც მეორე. სიმართლე კი, რომც თქვან, არც ერთს არ დაეჯერება, რაკი სიმართლის მთქმელი რომ იყვნენ, მატყუარებიც არ იქნებიან.

ოტია იოსელიანი

- **დავალება.**
- **უარყოფის გამომხატველ სიტყვებს ერთი ხაზი გაუსვით, დადასტურებითისას - ორი..**

***

— სერგო, სტვენა იცით?
— მე?
— აბა, მე? შენ, შენ.
— არა, — დაიმორცხვა იმან და დააყოლა, — რატომ მკითხეთ?
— ისე. თქვენ აქაური ბრძანდებით თუ ჩამოსული?
— ჩამოსული.
— დამსვენებელი, არა?
— კი, დამსვენებელი.
— ღიღინიც არ იცით?
— არა.
...
— სერგო, — თავი არ აუწევია, ისე იკითხა გრიშამ, — თქვენ გაქვთ რამე პრობლემა?
— მე — პრობლემა?.. არა.

— სამსახურში კი არა, ცხოვრებაში.

— ა-არა.

— ეს ცუდია, — თქვა გრიშამ. იქვე იწვა და თავი სილაში ჩაერგო, — აი, მე, მაგალითად, მაქვს...

— დიახ, — ზრდილობისათვის ჩაურთო სერგომ.

...

უყურა და ენერგიულად ჰკითხა: „შეიძლება, შენობით რომ დაგელაპარაკოთ?“ „დიახ“, — უთხრა ქალმა. „მაშინ „დიახ“ კი არა, „კი“ უნდა მითხრათ, — გაეხუმრა გრიშა, — „დიახ“ — ეს თქვენობითია“.

გურამ დოჩანაშვილი, „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიშა და მთავარი“ (ფრაგმენტი)

- **დავალება.**

- **ხაზი გაუსვით ზომა-ოდენობის გამომხატველ სიტყვებს.**

მიყვარხარ

მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ...
რაც გადის დრო და ხანი,
მე უფრო მეტად მიყვარს
შენი პატარა ტანი.

შანდორ პეტეფი (ფრაგმენტი)

3. სახელები.

3.1. არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით

3.1.1. სულიერთა და უსულოთა აღმნიშვნელი სახელები

სულიერთა კლასში შედის ცოცხალი არსების აღმნიშვნელი სიტყვები:

ადამიანები (ქალი, კაცი, ბავშვი, მოსწავლე, ფეხბურთელი...)

ცხოველები (დათვი, მგელი, ცხენი, ირემი...)

ფრინველები (ჩიტი, ქათამი, არწივი, ბატი...)

თევზები (ლოქო, კალმახი, მურწა...)

მწერები (ბუზი, კოღო, ბზიკი...)

ქვეწარმავლები (გველი, ხვლიკი, ჭიაყელა...)

უსულოთა კლასში შედის დანარჩენი საგნების აღმნიშვნელი სიტყვები: ხე, ქვა, ბალახი, წყალი, ქვიშა...

3.1.2. **ვინ** ჯგუფის და **რა** ჯგუფის სახელები.

გვაქვს ორი ჯგუფის სახელები: **ვინ** ჯგუფისა და **რა** ჯგუფის.

ამ ორი ჯგუფის სახელთა ერთმანეთისგან გასარჩევად **რაიმე გრამატიკული განმასხვავებელი ფორმალური ნიშანი არ არსებობს.**

უნდა ვიცოდეთ, რომ:

კითხვა **ვინ?**
დაესმის **მხოლოდ ადამიანს:**

ვინ? -

ბებია
კაცი
ქალი
ბავშვი
დედა
მოსწავლე
სტუდენტი
მასწავლებელი
ბიჭი
გოგო
ლექტორი...



3.1.3. საკუთარი და საზოგადო სახელები

სახელი შეიძლება იყოს **საკუთარი** ან **საზოგადო.**

საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს, **საზოგადო** კი ერთნაირ საგანთა საერთო სახელია.

მაგ., მსოფლიოში უამრავი ქალაქია, რომელთაც თავ-თავისი სახელი ჰქვია: ერთ ქალაქს ჰქვია *ბოლონისი,* მეორეს - *ახალქალაქი,* მესამეს - *ნინოწმინდა* და ა. შ.

ქალაქი ყველას საერთო სახელია, *ახალქალაქი* კი ერთი ქალაქის სახელია. მაშასადამე, *ახალქალაქი* **საკუთარი** სახელია, ქალაქი _ **საზოგადო.**

საკუთარი სახელებია:

ადამიანთა სახელები (ხათუნა, მერაბი...)

გვარები (ტურაშვილი, ბაბუხადია...)

გეოგრაფიული სახელები (მტკვარი, არაგვი, ტანძია)...

3.1.4.კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები

არსებითი სახელი **კონკრეტულია** ან **აბსტრაქტული**.

კონკრეტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ნივთიერი სახის მქონე საგანს; მას შეიძლება შევეხოთ, გემო გავუსინჯოთ, შევხედოთ.

მაგ.:

სახლი, კარი, ფანჯარა, კაცი, ქალი, ბავშვი, მანქანა, გზა, ჩანთა, ოთახი...

აბსტრაქტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია, - ანუ: ვერ შევეხებით, გემოს ვერ გავუსინჯავთ, ვერ შევხედავთ);

მაგ.:

სიყვარული, სიძულვილი, სიმშვიდე, გულწრფელობა, ჭეშმარიტება...

> **ვინ** ჯგუფის სახელები ყველა **კონკრეტულია, რა** ჯგუფისა კი **კონკრეტულიც** შეიძლება იყოს და **აბსტრაქტულიც.**

3.1.5.კრებითი სახელები

კრებითია კონკრეტული საზოგადო სახელი, რომელიც აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, **სიმრავლეს;**

მაგ.:

ხალხი, ერი, ჯარი, ჯოგი, არმია, ნახირი, გუნდი, ფარა, ხროვა...

მოწაფეობა, სტუდენტობა, ახალგაზრდობა...

- **დავალება.**
- **დაახარისხეთ წარმოდგენილი სიტყვები:**

> გზა, კომპიუტერი, სითამამე, ჭიქა, ქაბაბი, კამა, ქალი, ასანთი, ხალხი, მურადი, წიგნი, ტყე, საგარეჯო, ბავშვი, მზია, გაბუნია, სიწყნარე, ჯავახიშვილი, სკამი, მგელი, ბოლნისი, მასწავლებელი, სკოლა, სიხარული, ფარა, მწყემსი, მანქანა, ბურთი, სიმშვიდე, გუნდი, დედა, კიტრი, ბაბუა, კარტოფილი, ჯგუფი, ოფოფი, პური, თევზი, ფანჯარა, ქუდი, ახალციხე, დავითი, შიში, რიონი, მწუხარება, ჭავჭავაძე, სტუდენტი, დათვი, კვერცხი, ტელეფონი, ბატი, ნათურა, სპორტსმენი, სევდა, გასაღები, რვეული, ქათამი, ცხენი, ჩაიდანი.

სულიერი

უსულო

ვინ ჯგუფის

რა ჯგუფის

საკუთარი

საზოგადო

კონკრეტული

აბსტრაქტული

კრებითი

➢ **დავალება.**

- **სათანადო გრაფაში აღნიშნეთ „+“ ან „-“ (მინუს) ნიშნებით.**

	სულიერი	უსულო	ვინ ჯგუფის	რა ჯგუფის	საკუთარი	საზოგადო	კონკრეტული	აბსტრაქტული	კრებითი
ბურთი									
მტკვარი									
ტელეფონი									
ხალხი									
ჯგუფი									
ჯემალი									
დათა									
თბილისი									
წერეთელი									
ბავშვი									
ცარცი									

➢ **დავალება.**

- **გახაზეთ ზედმეტი სიტყვა**

გაზეთი	ჟურნალისტი	ოპერატორი	რედაქტორი
სადილი	მეფე	დედოფალი	ელჩი
სახლი	კარი	ფანჯარა	კაცი
მაგიდა	მოსწავლე	ჩანთა	ოთახი

3.1.5. სულიერი და უსულო საგნების კუთვნილების გამოხატვა

კუთვნილებითი დამოკიდებულება სულიერი და უსულო საგნების მიმართ განსხვავებულია;

ერთ შემთხვევაში ვამბობთ - **ჰყავს,** მეორე შემთხვევაში - **აქვს:**

ჰყავს **მას (კაცს) ის** (**ცოლი**)

ჰყავს გამოიყენება **სულიერის** კუთვნილების გამოსახატავად; სხვაგვარად: „ჰყავს“ ფორმა, როგორც წესი, გამოიყენება, როდესაც **„ის“ სულიერია.**

აქვს **მას (კაცს) ის** (**საქმე**)

აქვს გამოიყენება **უსულო** საგნის კუთვნილების გამოსახატავად; სხვაგვარად: „აქვს“ ფორმა გამოიყენება, როდესაც **„ის“ უსულო** საგანია.

ჰყავს მას
- მეგობარი
- დედა
- მამა
- ბებია
- ძაღლი
- კატა
- ჩიტი

აქვს მას
- სახლი
- ტელეფონი
- წიგნი
- ფანქარი
- ბურთი
- მაგიდა
- ტელევიზორი

- **დავალება.**
- **გაასწორეთ არასწორი ფორმები**

სპილო ჰყავს	----------
სახლი ჰყავს	----------
ხელი ჰყავს	----------
ცოლი აქვს	----------
ცხვირი ჰყავს	----------
მეგობარი აქვს	----------
ძაღლი ჰყავს	----------
ჩიტი აქვს	----------
გველი აქვს	----------
მდინარე ჰყავს	----------
ბავშვი აქვს	----------
გული აქვს	----------
ცხვარი აქვს	----------
სამსახური ჰყავს	----------

3.2. ბრუნება - სახელის ფორმის ცვლა

სახელი შეიძლება შვიდი სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს. ამა თუ იმ კონკრეტულ გრამატიკულ სიტუაციაში ამ შვიდი ალტერნატივიდან სახელი ერთი რომელიმე კონკრეტული ფორმით წარმოგვიდგება.

- **როგორ უნდა მივხვდეთ, რომელ ბრუნვაშია სახელი?**

ყველა ბრუნვას თავისი სპეციფიკური დაბოლოება, **ბრუნვის ნიშანი** აქვს:

სახ.	**-ი**
მოთხრ.	**-მა**
მიც.	**-ს**
ნათ.	**-ის**
მოქმ.	**-ით**
ვით.	**-ად**
წოდ.	**-ო**

ეს დაბოლოებები ბრუნვის ნიშნების ძირითადი სახეა. მაგრამ ფონეტიკური ფაქტორების გამო შესაძლოა ეს ნიშნები სხვა სახით წარმოგვიდგეს: სხვადასხვა სიტუაციაში ხან ფუძე მოქმედებს

ბრუნვის ნიშნებზე, ხან პირიქით, - ბრუნვის ნიშანი მოქმედებს ფუძეზე, ფუძის ხმოვნებზე (იხ. ქვევით).

ყველა ბრუნებადი სიტყვის **ამოსავალი ფორმა,** ე. ი. სახელობითი ბრუნვის ფორმა, ბოლოვდება ხმოვანზე.

საათი	მიწა	მზე	სალარო	კუ
სახლი	დედა	მთვარე	საოჯახო	ინტერვიუ
კარი	ძმა	ხე	საინტერესო	ბუ
წერილი	და	მწვანე	სასაცილო	ძუ
თვალი	ლოყა	ღამე	უთო	ყრუ
კაცი	ენა	თვე	სოკო	ტაბუ
ქალი	ბიძა	სარკე	წყარო	კენგურუ
ძაღლი	ტაფა	სათვალე	კაკაო	ძუძუ
პური	კაბა	საუზმე	წებო	მენიუ
მარილი	მაგიდა	მძიმე	სტაფილო	ბლუ
შაქარი	კვირა	საფულე	ჯილდო	ცრუ
ფანქარი	შეშა	სინათლე	სითბო	ღრუ
წიგნი	ნათურა	მოსწავლე	მუხუდო	ნუნუ
ქუდი	შემოდგომა	მოკლე	საერთო	დუტუ
ვაშლი	წვიმა	სიცხე	საპატიო	
კვერცხი	კატა	მეფე	საღამო	
ავტობუსი	ფანჯარა	მეკარე	სავარჯიშო	
ორშაბათი	თხა	მეტყევე	სათამაშო	
შავი	ჭიქა	სასაუზმე	უბილეთო	
ორი	მთა	სანაგვე	უვადო	
ლევანი	ნანა	ელენე	ნინო	
თამარი	კახა	მარინე	სიკო	

ბრუნებადი სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა:
ხმოვანფუძიანებად და **თანხმოვანფუძიანებად.**

ხმოვანფუძიანია ყველა ის სიტყვა, რომელსაც ამოსავალი ფორმის ბოლოში მოუდის:
-**ა** (დედა, მამა, მიწა...),
-**ე** (დღე, მოსწავლე, ბუდე...),
-**ო** (ორმო, გოგო, უსახლო...),
-**უ** (ძუ, ძუძუ, ბლუ...).

ეს იმას ნიშნავს, რომ **სახელობითი** ბრუნვის ფორმებია:

დედა, მამა, მიწა...

დღე, მოსწავლე, ბუდე...

ორმო, გოგო, უსახლო...

ძუ, ძუძუ, ბლუ...

ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ამავე დროს, ეს არის ამ სიტყვათა ფუძეც.**

განსხვავებულია ვითარება, როდესაც გვაქვს სახელობითში **ი**-ზე დაბოლოებული სიტყვები.

ასეთი სიტყვა, თუ ეს არის **საზოგადო** (**და არა საკუთარი**) **სახელი,** პრაქტიკულად **ყველა თანხმოვანფუძიანია,** ანუ, ის, რაც ამ სიტყვებში სახელობითის **-ი**-ს წინ გვაქვს, არის სიტყვის **ფუძე.**

კაცი, სახლი, კომში... **სახელების ფუძეა** კაც-, სახლ-, კომშ-... - **იმიტომ, რომ -ი**-ს წინ ესენი გვაქვს.

ფუძის ბოლოს თანხმოვანია,
ესე იგი,
ამ ტიპის სახელები **თანხმოვანფუძიანი სახელებია.**

-ი-ზე დაბოლოებულ **საკუთარ,** კერძოდ, **ადამიანის სახელთა** ერთი ნაწილი ხმოვანფუძიანია, მეორე ნაწილი - თანხმოვანფუძიანი.

- **როგორ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისგან?**

ყურადღება მივაქციოთ, რომელი თანხმოვანია ამოსავალი ფორმის ბოლოში დადასტურებული **-ი**-ს წინ:

თუ აქ გვაქვს **ნ, რ, ლ** ან **მ**, მაშინ უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ეს იყოს თანხმოვანფუძიანი სიტყვა: ლევა**ნ**ი - ლევა**ნ**მა, ანზო**რ**ი - ანზო**რ**მა, ტარიე**ლ**ი - ტარიე**ლ**მა, გურა**მ**ი - გურა**მ**მა...

ეს არ ნიშნავს, რომ **-ი**-ს წინ სხვა თანხმოვნის გამოვლენის შემთხვევაში, ადამიანის სახელი აუცილებლად ხმოვანფუძიანი იქნება. ზოგჯერ (შედარებით იშვიათად) არა გვაქვს **-ი** წინ **ნ, რ, ლ, მ** მაგრამ სახელი მაინც თანხმოვანფუძიანია.

უნდა დავიმახსოვროთ ეს სახელები:

ბესიკ**ი** - ბესიკ**მა,** ბორის**ი** - ბორის**მა**, გაიოზ**ი** - გაიოზ**მა**, გულნაზ**ი** - გულნაზ**მა**, რამაზ**ი** - რამაზ**მა**, ნიკოლოზ**ი** - ნიკოლოზ**მა**, ფარნაოზ**ი** - ფარნაოზ**მა**, ქართლოს**ი** - ქართლოს**მა,** რევაზ**ი** - რევაზ**მა,** რომანოზ**ი** - რომანოზ**მა**, მერაბ**ი** - მერაბ**მა**, ასმათ**ი** - ასმათ**მა,** ვახტანგ**ი** - ვახტანგ**მა**, შუშანიკ**ი** - შუშანიკ**მა**, ჰამლეტ**ი** - ჰამლეტ**მა**...

მეორე მხრივ, არა გვაქვს **-ი**-ს წინ **ნ, რ, ლ, მ,** მაგრამ ადამიანის სახელი მაინც თანხმოვანფუძიანია:

ნინელ**ი** - ნინელი**მ**, ვალერ**ი** - ვალერი**მ**, ანატოლ**ი** - ანატოლი**მ**, ბადრ**ი** - ბადრი**მ**, გუგულ**ი** - გუგული**მ**, დალ**ი** - დალი**მ**, ევგენ**ი** - ევგენი**მ**, ირაკლ**ი** - ირაკლი**მ**, იურ**ი** - იური**მ**, კორნელ**ი** - კორნელი**მ,** კუკურ**ი** - კუკური**მ**, ლილ**ი** - ლილი**მ**, მერ**ი** - მერი**მ**, ნანულ**ი** - ნანული**მ**, გიულ**ი** - გიული**მ**...

შედარებით გავრცელებული **ხმოვანფუძიანი, ი-ფუძიანი** საკუთარი სახელების (ადამიანთა სახელების) სია (აქ **ი** ბრუნვის ნიშანი არ არის, ფუძეში შედის):

აკაკი	გერონტი	ლალი	ევგრაფი
ალექსი	გივი	რატი	ვალერი
ანატოლი	გიორგი	ლეონტი	ვახუშტი
არკადი	გოდერძი	დალი	ირაკლი
ნანული	გუგული	დიმიტრი	იური
ბადრი	მერი	დომენტი	კორნელი
გენადი	ნინელი	ევგენი	ლავრენტი...

შედარებით გავრცელებული **თანხმოვანფუძიანი** საკუთარი სახელების (ადამიანთა სახელების) სია (აქ **-ი** ბრუნვის ნიშანია, ე. ი. ის ფუძეში არ შედის):

აბელ-**ი**	ელიზბარ-**ი**	ნიკოლოზ-**ი**
აბესალომ-**ი**	ვასილ-**ი**	ნოდარ-**ი**
აბრა(ა)მ-**ი**	ვახტანგ-**ი**	ნუგზარ-**ი**
ავთანდილ-**ი**	ვიქტორ-**ი**	ოთარ-**ი**
ამირან-**ი**	ვლადიმერ-**ი**	რამაზ-**ი**
ანზორ-**ი**	ზეინაბ-**ი**	რევაზ-**ი**
ანტონ-**ი**	ზვიად-**ი**	როინ-**ი**
აპოლონ-**ი**	ზურაბ-**ი**	რომან-**ი**
არჩილ-**ი**	თამაზ-**ი**	როსტევან-**ი**
ასლან-**ი**	თამარ-**ი**	როსტომ-**ი**
ასმათ-**ი**	თეიმურაზ-**ი**	რუსუდან-**ი**
ბაგრატ-**ი**	თენგიზ-**ი**	სამსონ-**ი**
ბაკურ-**ი**	თინათინ-**ი**	სულხან-**ი**
ბაქარ-**ი**	იაკობ-**ი**	ტარიელ-**ი**
ბეჟან-**ი**	იასონ-**ი**	ფარნაოზ-**ი**
ბესარიონ-**ი**	ისა(ა)კ-**ი**	ფატმან-**ი**
ბესიკ-**ი**	კახაბერ-**ი**	ფრიდონ-**ი**
ბორის-**ი**	ლევან-**ი**	ქართლოს-**ი**
გალაკტიონ-**ი**	მარიამ-**ი**	ქეთევან-**ი**
გრიგოლ-**ი**	მერაბ-**ი**	შუშანიკ-**ი**
გულნაზ-**ი**	მირიან-**ი**	ჯიმშერ-**ი**
გურამ-**ი**	მიხეილ-**ი**	ჯუანშერ-**ი**
გურგენ-**ი**	მურმან-**ი**	ჯუმბერ-**ი**
ეთერ-**ი**	ნესტან-**ი**	ჰამლეტ-**ი**...

- **რისთვისაა საჭირო იმის ცოდნა, ბრუნებადი სიტყვა ხმოვანფუძიანია თუ თანხმოვანფუძიანი?**

სხვანაირად იბრუნება **ხმოვანფუძიანი** სახელი
და სულ სხვანაირად - **თანხმოვანფუძიანი.**

ზოგიერთ მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება:

დავითიმ არის არასწორი ფორმა იმის გამო, რომ **დავით-ი** თანხმოვანფუძიანი სახელია (სახელობით ბრუნვაში მას აქვს ასეთი ფორმა: **დავით-ი** და არა დავითი), ასეთ სახელს კი მოთხრობითში **-მა** დაერთვის (და არა **-მ**).

მიცემითში იქნება **დავითს (დავითს** უთხრა და არა **დავითის** უთხრა) - თანხმოვანფუძიან სახელს მიცემითში **-ს** დაერთვის (და არა **-ის**).

თუ ფუძე გვეცოდინება, მაშინ წოდებითშიც სწორ ფორმას შევარჩევთ: **დავით!** (და არა დავითი!).

- **კიდევ რისთვის არის საჭირო იმის ცოდნა, ბრუნებადი სიტყვა ხმოვანფუძიანია თუ თანხმოვანფუძიანი?**

ხმოვანფუძიანი სიტყვა შეიძლება იყოს **ფუძეკვეცადი,** _ თუ მას ფუძის ბოლოს **-ა** ან **-ე** აქვს.

რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ ფუძის ბოლოს იკარგება ეს **ა** და **ე** ხმოვანი, - და ეს ხდება მხოლობითი რიცხვის ორ ბრუნვაში _ ნათესაობითსა და მოქმედებითში.

გვექნება: **მიწა** _ მიწ-ის, მიწ-ით; **მეფე** _ მეფ-ის, მეფ-ით...

რაც შეეხება რიცხვს:
ერთი საგნის გამომხატველ სიტყვას სპეციალური ფორმა არა აქვს, მაგრამ **ერთზე მეტი** საგანი **-ებ** ბოლოსართით აღინიშნება:

სახლი	-	სახლ-**ებ**-ი
დედა	-	დედ-**ებ**-ი
მოსწავლე	-	მოსწავლე-**ებ**-ი
უთო	-	უთო-**ებ**-ი
კენგურუ	-	კენგურუ-**ებ**-ი

მრავლობითში **ა**- და **ე**-ფუძიანები სხვადასხვანაირად იქცევიან: **ა**-ფუძიანები ყველა ბრუნვაში (ყველა შემთხვევაში) ამ **ა**-ს გარეშეა, წარმოდგენილი:
მიწ-ები, მიწ-ებმა, მიწ-ებს, მიწ-ების, მიწ-ებით მიწ-ებად, მიწ-ებო.

ე-ფუძიანები მრავლობითშიც ინარჩუნებს ამ **ე**-ს და ამიტომ ორი **ე** გვექნება:
მეფ**ე**-**ე**ბი, მეფ**ე**-**ე**ბმა, მეფ**ე**-**ე**ბს, მეფ**ე**-**ე**ბის, მეფ**ე**-**ე**ბით, მეფ**ე**-**ე**ბად, მეფ**ე**-**ე**ბო.

რაღაცა, ვიღაცა, კვირა ა-ფუძიანი სიტყვებია, ამიტომ საფუძველი არ არის იმისათვის, რომ მრავლობითში ორი **ე** იყოს;
ამდენად, *სწორია:* **რაღაცები, ვიღაცები, კვირები;**
არასწორია: რაღაცეები, ვიღაცეები, კვირეები.
დღეები, თვეები ფორმების ანალოგიით ზოგჯერ **წლეები** ფორმაც გვხვდება, რაც არასწორია. სწორია **წლები**.

ო- და **უ**-ფუძინი სახელები ფუძეუკვეცელია, _ ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვათა (ანუ ფუძეთა) ბოლოკიდური **ო** და **უ** არ იკარგება, არ იკვეცება არც მხოლობითსა და არც მრავლობით რიცხვში.

ერთადერთი **ო**-ფუძიანი და ფუძეკვეცადი სიტყვაა **ღვინო:**
ღვინ-ის ქარხანა, **ღვინ**-ით მთვრალი.
მრავლობითში არც ეს სიტყვა კარგავს ბოლოკიდურ ხმოვანს;
გვაქვს: ღვინ**ო**-ები (და არა ღვინ-ები).

• როდის შეიძლება სიტყვა ა-ზე ბოლოვდებოდეს და ის მაინც იყოს ფუძეუკვეცელი?

ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ სიტყვის ბოლოს წარმოდგენილ **ა** არ არის უფუნქციო (სიტყვაში **მიწა ა**-ს არანაირი ფუნქცია არა აქვს): საერთოდ, **-ა** ის შეიძლება გამოხატავდეს **კნინობითობას,** რამე თვისების ან საერთოდ რამის **მქონებლობას** ან **უქონლობას;** მაგ.: **ცხვირა** ამას ნიშნავს: „გრძელი, დიდი ცხვირის მქონე, _ დიდცხვირა“. ამოსავალი **ცხვირი** სიტყვისგან **ა**-ს დახმარებით სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვა მივიღეთ.

რატომ არ იკვეცება ეს **ა?**

ეს **-ა** რომ მოიკვეცოს, მაშინ დაიკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც მას შეაქვს სიტყვაში. სწორედ ეს ფაქტორია ამ შემთხვევაში კვეცის შემაკავებელი.

ცხვირ-ის არის **ცხვირი** ფორმის ნათესაობითი, ხოლო **ცხვირა** სიტყვის ნათესაობითი იქნება არა **ცხვირ-ის,** არამედ **ცხვირა-ს** (ცხვირას გამო).

ასევეა **კუდა** („უკუდო ან მოკლეკუდიანი (ცხოველი)“) და სხვ.

ასევეა **დედოფალა.** ნათესაობითში იქნება **დედოფალას** გამო (და არა **დედოფალის** გამო).

- ასევე არ იკვეცება **-ა**, თუ ის არის ადამიანის სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი:
  ადამიანის სახელის აღმნიშვნელი ყველა სიტყვა (მანანა... დემეტრე... კოკო... დუტუ...) ფუძეუკვეცელია!

- ასევე არ იკვეცება **-ა,** რომელიც მეგრული გვარების ბოლოს დასტურდება:

  ბაკურია _ **ბაკურიას** წიგნი (და არა **ბაკურიის** წიგნი)... ბოკუჩავა _ **ბაკუჩავას** წიგნი (და არა **ბოკუჩავის** წიგნი)... სტურუა _ **სტურუას** წიგნი (და არა **სტურუის** წიგნი)... მრავლობითში ესენიც ფუძეკვეცადებია: **ბაკურიები, ბოკუჩავები, სტურუები**...

სხვა შემთხვევაში **-ა** ყოველთვის იკვეცება, მათ შორის, **გეოგრაფიულ სახელებშიც:**

მცხეთ**ა** - მცხეთ-ის, მცხეთ-ით...

რიწ**ა** - რიწ-ის, რიწ-ით...

ბარსელონ**ა** - ბარსელონ-ის, ბარსელონ-ით...

არიზონ**ა** - არიზონ-ის, არიზონ-ით...

არსებობს ჯგუფი უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებისა, რომელთა ბოლოკიდური **-ე** არ იკარგება, _ **ასეთია ტრადიცია.**

ეს სიტყვებია:

ბეზე, ბლანმანჟე, ბუკლე, გალიფე, გოფრე, დრაჟე, იუბილე, კარე, კაშნე, კაფე, კლიშე, კონფერანსიე, კუპე, ჟელე, პენსნე, პიურე, პლისე, რეზიუმე, რელე, ტირე, ტურნე, ფაქსიმილე, კონფერანსიე...

ეს იმას ნიშნავს, რომ **არასწორია ასეთი ფორმები:**

ბეზის, ბეზით, ბლანმანჟის, ბლამანჟით, ბუკლის, ბუკლით, გალიფის, გალიფით, გოფრის, გოფრით, დრაჟის, დრაჟით, იუბილის, იუბილით, კაშნის, კაშნით, კაფის, კაფით, კლიშის, კლიშით, კუპის, კუპით, ჟელის, ჟელით, პენსნის, პენსნით, პიურის, პიურით, პლისის, პლისით, რეზიუმის, რეზიუმით, რელის, რელით, ტირის (დასმა), ტირით (აღინიშნება), ტურნის, ტურნით, ფაქსიმილის, ფაქსიმილით, კონფერანსიის, კონფერანსიით...

არაიშვიათია ამ ტიპის შეცდომები **ე**-ფუძიან საკუთარ სახელთა დაწერილობაში: **ფრონეს** ხეობა (უნდა იყოს: **ფრონის** ხეობა), **ჭავჭავაძეს** პოემა (უნდა იყოს: **ჭავჭავაძის** პოემა)...

ე-ფუძიანი რიცხვითი სახელებიც ფუძეკვეცადია; მართებულია: გიორგი **მეხუთის** (და არა მეხუთეს) რეფორმები, ერეკლე **მეორის** (და არა მეორეს) ბრძოლა...

კვეცა ხმოვანფუძიანი სიტყვების, კერძოდ, **ა**- და **ე**-ფუძიანი სახელებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და, როგორც აღინიშნა, გულისხმობს სიტყვის ბოლო ხმოვნის დაკარგვას გარკვეულ შემთხვევებში.

მაგრამ შეიძლება დაიკარგოს არამხოლოდ ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი.

იგივე **ა** და **ე** ზოგჯერ ამოვარდება სახელის ფუძის ბოლო მარცვლიდან. შედარებით იშვიათად შეიძლება დაიკარგოს **ო**-ც.

ამ მოვლენას ეწოდება **კუმშვა,** ფუძის კუმშვა.

ეს ხდება თანხმოვანფუძიან სახელებში.

ესე იგი, **კვეცა** და **კუმშვა ერთი და იგივე მოვლენაა,** ორივე ხმოვნის დაკარგვას გულისხმობს, მათ შორის განსხვავებას ქმნის მხოლოდ დაკარგული ხმოვნის პოზიცია:

კვეცის შემთხვევაში **ფუძის ბოლო ხმოვანი** იკარგება,
ხოლო კუმშვისას -
ფუძის ბოლო მარცვლისეული ხმოვანი.

➢ **დავალება.**

- **გახაზეთ არასწორი ფორმები.**

არიზონას გუბერნატორი	კუპის კარი
ბარსელონას მერი	მანანას ჩანთა
ბლანმანჟის გემო	მარინეს ტელეფონი
ბოკუჩავის სათვალე	პიურით საუზმობს
ბუკლის შარვალი	პიურეს მომზადება
გაბუნიას წიგნი	ჟელის გაკეთება
გოგინავას სამსახური	რეზიუმით მთავრდება
დემეტრის მანქანა	რეზიუმეს გაკეთება
ეკატერინის კაბა	სტურუის საქმე
იუბილით დაიწყო	ტირეთი აღინიშნება
იუბილეს აღნიშვნა	ტირის დასმა
კაფეს მეპატრონე	ტურნით დამთავრდა
კაშნეთი დადის	ტურნეს შემდეგ
კაშნის გაკეთება	უგანდას პრეზიდენტი
კონფერანსიის გამოსვლა	ბოდბეს მონასტერი

კუმშვა თანხმოვანფუძიანი სახელისთვისაა დამახასიათებელი.
თუმცა ეს არ ნიშნავს იმას,
რომ ყველა თანხმოვანფუძიანი სიტყვა ფუძეკუმშვადია.

• როგორ სახელებს ეკუმშება ფუძე? როდის იკუმშება სახელის ფუძე?

არსებობს ასეთი ზოგადი წესი: ფუძე უმთავრესად ისეთ სახელებს ეკუმშება, რომელთაც ფუძის ბოლოს აქვს მარცვლები:

ალ, ელ; ან, ენ; არ, ერ; ამ, ემ; ოლ, ონ, ორ.

ამ წესის მიხედვით ფუძეკუმშვადი გამოდის, მაგალითად, **თავმჯდომარე** (შდრ. **თავმჯდომრის), ხელმძღვანელი** (შდრ. **ხელმძღვანლის)...**

სინამდვილეში ეს სახელები ფუძეუკუმშველებია.

მეორე მხრივ, უკუმშველი უნდა იყოს: კაკაბი (შდრ. **კაკბის**), ნიღაბი (შდრ. **ნიღბის**), ყასაბი (შდრ. **ყასბის**), ნაბადი (შდრ. **ნაბდის**), ბეჭედი (შდრ. **ბეჭდის**), სომეხი (შდრ. **სომხის**)... სინამდვილეში ეს სახელები ფუძეკუმშვადებია.

შევთანხმდეთ, რომ ამ წესის გამოყენებისას გარკვეულ სიფრთხილეს გამოვიჩენთ და ბრმად არ მივყვებით მას.

სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, წარმოვადგენთ კუმშვადი და უკუმშველი სახელების ნიმუშებს:

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ალ:**

იკუმშება:

კომბალი, ხორბალი, ალუბალი, იღბალი, ნამგალი, ჩანგალი, ფარგალი, დურგალი, დედალი, პედალი, შანდალი, სარდალი, შუამავალი, ორთქმავალი, თავგადასავალი, შესავალი, ჯარგვალი, მძევალი, შარვალი, თებერვალი, მაყვალი, საცვალი, მარცვალი, ძვალი, ვაგზალი, საგზალი, მუგუზალი, სამართალი, კაკალი, ეკალი, ხინკალი, ბარკალი, ნაპერწკალი, მამალი, ტყემალი, ხერხემალი, ხმალი, გენერალი, მწერალი, დედოფალი, უფალი, წყალი, თავშალი, მარშალი, რძალი, ფიწალი, მძახალი, მსხალი, ხანჯალი...

არ იკუმშება:

კანიბალი, გრიგალი, ვანდალი, სკანდალი, ფეოდალი, ფესტივალი, მტარვალი, მწვერვალი, ინტერვალი, შტურვალი, სათალი, ვერტიკალი, კანკალი, ვოკალი, რკალი, დალალი, ნატამალი, რვალი, სიგნალი, არსენალი, ორიგინალი, კარდინალი, კრიმინალი, ფინალი, დიაგონალი, პერსონალი, მკურნალი, ტრიბუნალი, ზარალი, ბრალი, ინტეგრალი, ლიბერალი, მინერალი, მორალი, პასტორალი, კაპრალი, ნაპრალი, მაგისტრალი, ნასუფრალი, დეტალი, მეტალი, ნაშალი, კაპიტალი, პორტალი, კრისტალი, ფანცქალი, ყანყალი, ჩანჩალი, ნაკრძალი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ელ:**

იკუმშება:

დამრიგებელი, ფუძემდებელი, ბრალმდებელი, გამომძიებელი, მასწავლებელი, სასწავლებელი, სახამებელი, მაამებელი, მბრძანებელი, მშენებელი, მომხმარებელი, მაყურებელი, შემდუღებელი, მტაცებელი, მეზობელი, საგალობელი, მონათმფლობელი, ახლობელი, წელი, მპყრობელი, მშობელი, ღრუბელი, კედელი, მღვდელი, გამდელი, ღუმელი, საყიდელი, მტკაველი, კრაველი, მრჩეველი, მწეველი, რთველი, სარქველი, ნაღველი, შველი, საფუძველი, ფხიზელი, ნათელი, კამათელი, სანთელი, გამომცემელი, სარკმელი, თირკმელი, ტანსაცმელი, საქონელი, წელი, ჭურჭელი, საწნახელი, სავარცხელი, უღელი, სარტყელი, სარეცელი, ფურცელი, მუცელი, სავარძელი, წიფელი, საფეთქელი, კურდღელი, ბეღელი... ყვითელი, წითელი, შიშველი, სქელი, ბრტყელი, ვრცელი, გრძელი, თხელი, ცხელი, ფიცხელი, საძაგელი...

არ იკუმშება:

კაბელი, მოდელი, ნავთსაყუდელი, განსაცდელი, ველი, გველი, მმართველი, ფრინველი, ცხოველი, ყველი, მცველი, მლოცველი, მრეწველი, მკითხველი, ფეხბურთელი, ნაკელი, სათლელი, საშლელი, კარამელი, გამზრდელი, მთქმელი, მსმენელი, მთხოვნელი, მლიქვნელი, გამყიდველი, სახვნელი, მწვრთნელი, მღრღნელი, მთოხნელი, ფანტელი, კაფელი, საღერღელი, ცელი, შნიცელი, ძელი, სახელი, სასჯელი, ჭკუათხელი, უზრდელი,

გაუხდელი, ხილველი, მფარველი, საკვირველი, სასურველი, უშურველი, მთესველი, მეტყველი, მიმბაძველი, ჯანმრთელი, მოუსვლელი, დაუბმელი, საძებნელი, გაუხედნელი, გასახდელი, აკვარელი... ხმელი, ნელი, ძველი, ძირძველი, ბნელი, ჭრელი, წრფელი, ძნელი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ოლ:**

იკუმშება:

ობოლი, გოდოლი, ფოთოლი.

არ იკუმშება:

ბოლი, გოლი, რგოლი, დოლი, ზოლი, მენთოლი, იოლი, ცოკოლი, პროტოკოლი, ოლოლი, მოლი, გნოლი, ნოლი, ჟოლი, როლი, პაროლი, ბროლი, ბანდეროლი, ნასროლი, სოლი, ტოლი, თანატოლი, ჩოჩქოლი, დამყოლი, მებრძოლი, ნაწოლი, საწოლი, გამჭოლი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ამ:**

იკუმშება:

ლაგამი, ქათამი, ალამი, კალამი, სალამი, წალამი, ელამი, არამი, ჭერამი, ატამი, ვახშამი, ლერწამი...

არ იკუმშება:

დასაბამი, ყელსაბამი, დგამი, ნადგამი, თალგამი, შლამი, გვამი, ბალზამი, ქრთამი, კამკამი, სკამი, თამამი, წამი, ჟამი, წკვარამი, გრამი, ნაგრამი, დრამი, ხრამი, ჩქამი, ბალღამი, წამწამი, მოსასხამი, შხამი. ჯამი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ემ:**

იკუმშება:

ირემი, ურემი.

არ იკუმშება:

გემი, ედემი, ნაგვემი, თემი, რეკვიემი, აქლემი, კრემი, ტოტემი, საცემი, გამოსაცემი, ხემი, თხემი, ჯემი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ომ:**

ამ შემთხვევაში კუმშვა არ დასტურდება, ანუ შესაბამისი სტრუქტურის ფუძეები უკუმშველია: ომი, გომი, ალბომი, სადგომი, მსკდომი, სანდომი, ნაჯდომი, საზომი, ლომი, დიპლომი, ბოქლომი, სინდრომი, იპოდრომი, კორომი, ნაშრომი, ქვემძრომი, წრომი, ტომი, ატომი, თვისტომი, ნახტომი, ღომი, ცომი, ბორჯომი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ან:**

იკუმშება:

საბანი, ლებანი, კიდობანი, უბანი, იაგანი, ბალავანი, საგანი, ზეგანი, ხულიგანი, შიგანი, ჩოგანი, ჩაიდანი, მადანი, დედანი, მოედანი, ქედანი, ჩემოდანი, ლავგარდანი, შადრევანი,

ქოთანი, ხელთათმანი, გუთანი, გალავანი, ფალავანი, ქარავანი, მტევანი, ხეივანი, აკვანი, დიაკვანი, ბუნდოვანი, მაყვლოვანი, სამაროვანი...

არ იკუმშება:

ბანი, ბაბანი, ნაბანი, დასაბანი, ლიბანი, გემბანი, ანბანი, განი, ნაგანი, აბრაგანი, ორგანი, თავანი, ინტრიგანი, უგვანი, თაყვანი, დუშმანი, ბანანი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ენ:**

იკუმშება:

შევარდენი, ჯავარდენი, რეგვენი, ძღვენი, ყავარჯენი, წვენი, ყურძენი...

არ იკუმშება:

ნაკბენი, ნარბენი, სარბენი, აბორიგენი, ზვიგენი, სადენი, ნამყენი, ცრემლდენი, ორდენი, საყრდენი, სასვენი, გობელენი, შვეულმფრენი, ნაყენი, ცხენი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ონ:**

იკუმშება:

მონაზონი, მაწონი, საპონი.

არ იკუმშება:

ჭიბონი, გონი, ვაგონი, გასაგონი, ფაეტონი, პაგონი, ეპიგონი, ფურგონი, კაბადონი, იადონი, ბიდონი, სეზონი, გაზონი, გარნიზონი, ლითონი, დრაკონი, ლიმონი, გარმონი, მაკარონი, მირონი, კოცონი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -არ:**

იკუმშება:

მეძებარი, საგუბარი, ჯიგარი, ლანგარი, მხედარი, ყავარი, მდევარი, მაწყევარი, ნიაღვარი, ჯვარი, ლახვარი, ცხვარი, ბაზარი, დავთარი, ზამთარი, ფუტკარი, სიზმარი, ტვიფარი, ფეიქარი, ბაწარი, ჭინჭარი...

არ იკუმშება:

ბარი, სარი, ზარი, კომენტარი, ნუგბარი, მასდარი, მჯდარი, მდგარი, გვარი, კარი, საკმარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაციხარი, ფარი, ჭიპლარი, ჯაგნარი, მუხნარი, თხილნარი, ხარი, წინკარი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ერ:**

იკუმშება:

დედაბერი, ბებერი, თითბერი, მოზვერი, კისერი, ბოკვერი, ბოცვერი, საცერი, მტერი, მტვერი, მწყერი, მეწყერი, ოფიცერი...

არ იკუმშება:

ფერი, შტერი, სერი, ბერი, გერი, ჩხავერი, ბანერი, წვერი, შველერი, შპალერი...

- **ფუძის ბოლო მარცვალია -ორ:**

იკუმშება:

გოდორი, მინდორი, ნიორი, პამიდორი, კოკორი, ჩოჩორი, ქოჩორი.

არ იკუმშება:

ამბორი, ტბორი, გორი, კორიდორი, მაიორი, დუბლიორი, ჩიკორი, ლორი, შმორი, ნიამორი, ციმორი, დონორი, წნორი, რეჟისორი, ეკვატორი, ინკუბატორი, ინდიკატორი, ავტორი, ფოსფორი, თანასწორი, მონაჭორი...

- **კუმშვად-კვეცად სახელებში** ორი ხმოვანი იკარგება ერთდროულად: ფუძის **ბოლო ორი მარცვლიდან ორივე ხმოვანი იკარგება.**

კუმშვად-კვეცადი სახელი სულ რამდენიმეა:

ფანჯარა:	ფანჯრის, ფანჯრად...
ბეგარა:	ბეგრის, ბეგრად...
ქვეყანა:	ქვეყნის, ქვეყნით...
მოყვარე:	მოყვრის, მოყვრით...
ქარხანა:	ქარხნის, ქარხნით...
ტომარა:	ტომრის, ტომრით...
პეპელა:	პეპლის, პეპლით...

არცთუ იშვიათია ასეთი ფორმები წერით ან ზეპირ მეტყველებაში:
მანქნის (ტარება), **მანქნით** (მიდის).

მანქანა არ არის კუმშვად-კვეცადი სახელი, ის არის
მხოლოდ ფუძეკვეცადი სახელი, ამდენად, სწორია:

მანქანის (ტარება), **მანქანით** (მიდის).

- **დავალება.**
- **ჩასვით სიტყვები სათანადო ბრუნვის ფორმით.**

ძილის წინ ..... გაღება აუცილებელია (ფანჯარა);
ხელები ..... დაიბანა (საპონი);
ეს ..... ძალიან კმაყოფილი დავრჩით (შპალერი);
ცხვარი ..... მიჰყავს ბაზარში (ბაწარი);
ამ ..... ყიდვა ძალიან უნდოდა (ყელსაბამი);
..... წვენი ძალიან სასარგებლოა (ყურძენი);
კიტრით და ..... გემრიელი სალათა გავაკეთეთ (პამიდორი);
..... ტარება ძალიან გვიან ვისწავლე (მანქანა);
ჩემს ძმას ძალიან უყვარს ..... კომპოტი (ალუბალი);
ბავშვს ..... ჭამა უნდოდა (ბანანი);
გზაზე ..... კვალი ჩანდა (ურემი);
..... შემდეგ ტელევიზორს ვუყურებ (ვახშამი);
ერთხელ აკაკი ..... მგზავრობდა (ფაეტონი);
ის სამუსიკო ..... მოსწავლეა (სასწავლებელი);
..... ორგანიზატორებმა ყველაფერი მაღალ დონეზე გააკეთეს (ფესტივალი);
დედაჩემი ტოლმას ვაზის ..... აკეთებს (ფოთოლი);
ამ ..... სხვა ფილმებიც ძალიან მომწონს (რეჟისორი);
..... წოდება ადრე მიიღო (ოფიცერი);
..... ქვეშ შეძვრა და დაიძინა (საბანი);
..... რძე ძალიან სასარგებლოა (აქლემი);
ამ ..... მთავრდება სოფელი (ნასახლარი);
მთაში ..... ცხენით დავდივარ (ცხენი);
ამ ..... ბუმბული ძალიან ლამაზია (ფრინველი);
ძალიან მიყვარს საოჯახო ..... დათვალიერება (ალბომი);
..... ქვეშაც შეიხედა, მაგრამ ვერაფერი იპოვა (საწოლი);

3.3. ბრუნვის ფორმები

სახელი სულ 7 სხვადასხვა ფორმით, 7 სხვადასხვა **ბრუნვის ფორმით** შეიძლება შეგვხვდეს;

ეს ბრუნვებია:

სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი.

სახელთა ბრუნებისას თავს იჩენს რიგი თავისებურებები. ვნახოთ სხვადასხვა ტიპის სახელთა ბრუნების ნიმუშები:

თანხმოვანფუძიანი ფუძეუკუმშველი სახელის ბრუნების ნიმუში:

სახ.	კაც-**ი**
მოთხრ.	კაც-**მა**
მიც.	კაც-**ს**
ნათ.	კაც-**ის**
მოქმ.	კაც-**ით**
ვით.	კაც-**ად**
წოდ.	კაც-**ო**

თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელის ბრუნების ნიმუში:

სახ.	კალამ-**ი**	კალმ-ებ-**ი**
მოთხრ.	კალამ-**მა**	კალმ-ებ-**მა**
მიც.	კალამ-**ს**	კალმ-ებ-**ს**
ნათ.	კალმ-**ის**	კალმ-ებ-**ის**
მოქმ.	კალმ-**ით**	კალმ-ებ-**ით**
ვით.	კალმ-**ად**	კალმ-ებ-**ად**
წოდ.	კალამ-**ო**	კალმ-ებ-**ო**

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი და ამოწერეთ თანხმოვანფუძიანი სახელები.**

***

ტომს იმ დღეს სკოლაში არც კი შეუხედავს და დრო ჩინებულად გაატარა. ძლივს მოასწრო შინ დაბრუნება ვახშმობამდე, რათა მიხმარებოდა ჯიმს, ზანგ ბიჭუნას, ხვალისთვის შეშის დახერხვასა და დაპობაში. ყოველ შემთხვევაში, მოასწრო, ეამბნა თავისი თავგადასავალი, სანამდის ჯიმი სამუშაოს სამ მეოთხედს შეასრულებდა. ტომის უმცროს ძმას, სიდს (დედით ძმები იყვნენ), უკვე გაეთავებინა თავისი საქმე. მის მოვალეობას შეადგენდა ნაფოტების შეგროვება. სიდი წყნარი და მორჩილი იყო,

არასოდეს ცელქობდა. ვიდრე ტომი ვახშამს შეექცეოდა და ყველა შემთხვევას იყენებდა შაქრის ნატეხების მოსაპარავად, დეიდა პოლი მას მეტად ცბიერ კითხვებს აძლევდა, - იქნება რამე წამოსცდესო. როგორც გულწრფელ ადამიანებს სჩვევიათ, დეიდასაც სწამდა, რომ დაჯილდოებული იყო უნარით, ჩასწვდომოდა ყოველგვარ საიდუმლოს და თავისი ყველაზე გულუბრყვილო ფანდები სასწაულებრივ ეშმაკობად მიაჩნდა.

მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (ფრაგმენტი)

ხმოვანფუძიანი (ა-ფუძიანი) სახელის ბრუნების ნიმუში:

სახ.	დედ**ა**	დედ-ებ-**ი**
მოთხრ.	დედ**ა**-**მ**	დედ-ებ-**მა**
მიც.	დედ**ა**-**ს**	დედ-ებ-**ს**
ნათ.	დედ-**ის**	დედ-ებ-**ის**
მოქმ.	დედ-**ით**	დედ-ებ-**ით**
ვით.	დედ**ა**-**დ**	დედ-ებ-**ად**
წოდ.	დედ**ა**-**ვ**	დედ-ებ-**ო**

ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელის ბრუნების ნიმუში:

სახ.	ოქრ**ო**	ოქრ**ო**-ებ-**ი**	ცრ**უ**	ცრ**უ**-ებ-**ი**
მოთხრ.	ოქრ**ო**-**მ**	ოქრ**ო**-ებ-**მა**	ცრ**უ**-**მ**	ცრ**უ**-ებ-**მა**
მიც.	ოქრ**ო**-**ს**	ოქრ**ო**-ებ-**ს**	ცრ**უ**-**ს**	ცრ**უ**-ებ-**ს**
ნათ.	ოქრ**ო**-**ს**	ოქრ**ო**-ებ-**ის**	ცრ**უ**-**ს**	ცრ**უ**-ებ-**ის**
მოქმ.	ოქრ**ო**-**თი**	ოქრ**ო**-ებ-**ით**	ცრ**უ**-**თი**	ცრ**უ**-ებ-**ით**
ვით.	ოქრ**ო**-**დ**	ოქრ**ო**-ებ-**ად**	ცრ**უ**-**დ**	ცრ**უ**-ებ-**ად**
წოდ.	ოქრ**ო**-**ვ**	ოქრ**ო**-ებ-**ო**	ცრ**უ**-**ვ**	ცრ**უ**-ებ-**ო**

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი და ამოწერეთ ხმოვანფუძიანი სახელები.**

* * *

უცნობმა ბიჭმა თავისი გზით გასწია, თან მტვერს იბერტყავდა ტანისამოსიდან, თანაც სულ სლუკუნებდა და ხვნეშოდა. ხანდახან მოიხედავდა უკან, თავს დაუქნევდა და დაემუქრებოდა: - გადაგიხდი თუ ხელში ჩამივარდიო. ტომს ეცინებოდა და შინისკენ გახარებული მიდოდა, მაგრამ როგორც კი ზურგი შეაქცია, უცხო ბიჭმა ქვა სთხლიშა ბეჭებში და ისე მოჰკურცხლა, როგორც ანტილოპამ. ტომი გამოეკიდა ვერაგ მოპირდაპირეს, სახლამდის სდია და ამგვარად, გაიგო, სადაც ცხოვრობდა. პატარა ხანს ჭიშკართან მოუცადა და მტერს კარში იწვევდა საბრძოლველად; მაგრამ იგი ფანჯრიდან ეღიჯებოდა, გარეთ გამოსვლა კი არ მოისურვა. ბოლოს, მტრის დედა გამოვიდა, ტომს ქუჩის ბიჭი, საძაგელი და უზრდელი უწოდა და გააგდო. ტომი გატრიალდა, მაგრამ დაემუქრა, ბრალი მაგისი, თუ ხელში ჩამივარდაო.

ტომი გვიან დაბრუნდა. ფრთხილად გადაძვრა ფანჯარაში, ცდილობდა, არ ეხმაურა; მაგრამ ფანჯარასთან დეიდა ჩასაფრებოდა. როცა დეიდამ დაინახა რა მდგომარეობაში იყო იმისი ტანისამოსი, გულში უფრო მტკიცედ გადაწყვიტა, მძიმე სამუშაო მიეცა მისთვის უქმე დღეს.

მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (ფრაგმენტი)

ადამიანის სახელის ბრუნება

სახ.	ნოდარ-**ი**	გიორგი	ელენე	ვანო	ნუნუ
მოთხრ.	ნოდარ-**მა**	გიორგი-**მ**	ელენე-**მ**	ვანო-**მ**	ნუნუ-**მ**
მიც.	ნოდარ-**ს**	გიორგი-**ს**	ელენე-**ს**	ვანო-**ს**	ნუნუ-**ს**
ნათ.	ნოდარ-**ის**	გიორგი-**ს**	ელენე-**ს**	ვანო-**ს**	ნუნუ-**ს**
მოქმ.	ნოდარ-**ით**	გიორგი-**თ**	ელენე-**თი**	ვანო-**თი**	ნუნუ-**თი**
ვით.	ნოდარ-**ად**	გიორგი-**დ**	ელენე-**დ**	ვანო-**დ**	ნუნუ-**დ**
წოდ.	ნოდარ	გიორგი	ელენე	ვანო	ნუნუ

ადამიანის გვარის ბრუნება

ა)

სახ.	იაშვილ-**ი** / იაშვილ-**ებ-ი**	ჭავჭავაძე / ჭავჭავაძე-**ებ-ი**
მოთხრ.	იაშვილ-**მა** / იაშვილ-**ებ-მა**	ჭავჭავაძე-**მ** / ჭავჭავაძე-**ებ-მა**
მიც.	იაშვილ-**ს** / იაშვილ-**ებ-ს**	ჭავჭავაძე-**ს** / ჭავჭავაძე-**ებ-ს**
ნათ.	იაშვილ-**ის** / იაშვილ-**ებ-ის**	ჭავჭავაძ-**ის** / ჭავჭავაძე-**ებ-ის**
მოქმ.	იაშვილ-**ით** / იაშვილ-**ებ-ით**	ჭავჭავაძ-**ის** / ჭავჭავაძე-**ებ-ით**
ვით.	იაშვილ-**ად** / იაშვილ-**ებ-ად**	ჭავჭავაძე-**დ** / ჭავჭავაძე-**ებ-ად**
წოდ.	იაშვილ-**ო** / იაშვილ-**ებ-ო**	ჭავჭავაძე-**ვ** / ჭავჭავაძე-**ებ-ო**

სახ.	მარტიროსიან-**ი** / მარტიროსიან-**ებ-ი**
მოთხრ.	მარტიროსიან-**მა** / მარტიროსიან-**ებ-მა**
მიც.	მარტიროსიან-**ს** / მარტიროსიან-**ებ-ს**
ნათ.	მარტიროსიან-**ის** / მარტიროსიან-**ებ-ის**
მოქმ.	მარტიროსიან-**ით** / მარტიროსიან-**ებ-ით**
ვით.	მარტიროსიან-**ად** /მარტიროსიან-**ებ-ად**
წოდ.	მარტიროსიან-**ო** / მარტიროსიან-**ებ-ო**

სახ.	ალიევ-**ი** / ალიევ-**ებ-ი**
მოთხრ.	ალიევ-**მა** / ალიევ-**ებ-მა**
მიც.	ალიევ-**ს** / ალიევ-**ებ-ს**
ნათ.	ალიევ-**ის** / ალიევ-**ებ-ის**
მოქმ.	ალიევ-**ით** / ალიევ-**ებ-ით**
ვით.	ალიევ-**ად** /ალიევ-**ებ-ად**
წოდ.	ალიევ-**ო** / ალიევ-**ებ-ო**

ბ)

სახ.	სიგუა / სიგუ-**ებ-ი**	გუნავა / გუნავ-**ებ-ი**	ფიფია / ფიფი-**ებ-ი**
მოთხ.	სიგუა-**მ** / სიგუ-**ებ-მა**	გუნავა-**მ** / გუნავ-**ებ-მა**	ფიფია-**მ** / ფიფი-**ებ-მა**
მიც.	სიგუა-**ს** / სიგუ-**ებ-ს**	გუნავა-**ს** / გუნავ-**ებ-ს**	ფიფია-**ს** / ფიფი-**ებ-ს**
ნათ.	სიგუა-**ს** / სიგუ-**ებ-ის**	გუნავა-**ს** / გუნავ-**ებ-ის**	ფიფია-**ს** / ფიფი-**ებ-ის**
მოქმ.	სიგუა-**თი** / სიგუ-**ებ-ით**	გუნავა-**თი** / გუნავ-**ებ-ით**	ფიფია-**თი** / ფიფი-**ებ-ით**
ვით.	სიგუა-**დ** / სიგუ-**ებ-ად**	გუნავა-**დ** / გუნავ-**ებ-ად**	ფიფია-**დ** / ფიფი-**ებ-ად**
წოდ.	სიგუა / სიგუ-**ებ-ო**	გუნავა / გუნავ-**ებ-ო**	ფიფია / ფიფი-**ებ-ო**

სახელისა და გვარის ბრუნება.

სახ.	ივანე ჯავახიშვილ**ი**	ნოდარ დუმბაძე
მოთხრ.	ივანე ჯავახიშვილ-**მა**	ნოდარ დუმბაძე-**მ**
მიც.	ივანე ჯავახიშვილ-**ს**	ნოდარ დუმბაძე-**ს**
ნათ.	ივანე ჯავახიშვილ-**ის**	ნოდარ დუმბაძ-**ის**
მოქმ.	ივანე ჯავახიშვილ-**ით**	ნოდარ დუმბაძ-**ით**
ვით.	ივანე ჯავახიშვილ-**ად**	ნოდარ დუმბაძე-**დ**
წოდ.	ივანე ჯავახიშვილ-**ო**	ნოდარ დუმბაძე(**ვ**)

- **დავალება.**
- **დააბოლოეთ სათანადო ბრუნვის ნიშნებით არსებითი სახელი:**

სახ.	ბავშვ...	მოდის
მოთხრ.	ბავშვ...	თქვა
მიც.	ბავშვ...	აქვს
ნათ.	ბავშვ...	ქუდი
მოქმ.	ბავშვ...	ამაყობს
ვით.	ბავშვ...	იქცა
წოდ.	ბავშვ...	მოდი აქ

- **დავალება.**
- **დააბოლოეთ სათანადო ბრუნვის ნიშნებით არსებითი სახელი:**

სახ.	დედა	გახდა
მოთხრ.	დედა...	უთხრა
მიც.	დედა...	ეუბნება
ნათ.	დედ...	სიტყვები
მოქმ.	დედ...	ამაყობს
ვით.	დედა...	მიაჩნია
წოდ.	დედა...	მიყვარხარ

- **დავალება.**
- **დააბოლოეთ სათანადო ბრუნვის ნიშნებით არსებითი სახელი:**

სახ.	ფისო	კნავის
მოთხრ.	ფისო...	კნავილი დაიწყო
მიც.	ფისო...	ეფერება
ნათ.	ფისო...	კნავილი
მოქმ.	ფისო...	ერთობა
ვით.	ფისო...	იქცა
წოდ.	ფისო...	მოდი აქ

- **დავალება:**
- თუ გამოტოვებული სიტყვების ნაცვლად სწორი ფორმით ჩასვამთ სახელებს, თქვენ მიიღებთ ფრაგმენტებს ოთარ ჭილაძის ლექსიდან **„სექტემბერი“**. პირველ ფრაგმენტში უნდა ჩასვათ **ქარი,** მეორეში - **წვიმა,** მესამეში - **მზე.**

პირველი ფრაგმენტი.

..... მოვარდა,
..... მომაგნო,
..... გავეკიდე,
..... ბრალია,
..... დაღლილი,
..... ვიქცევი,
..... როდემდის ვიქნები ასე?

მეორე ფრაგმენტი.

..... მოვიდა,
..... მომისწრო,
..... წავყვები,
..... წილი ვარ,
..... ავივსე,
..... ვიქცევი,
..... როდემდის ვიქნები ასე?

მესამე ფრაგმენტი.

..... ამოვიდა,
..... გამაბრუა,
..... შევეფარე,
..... იმედი მაქვს,
..... გავთამამდი,
..... მინდა ვიქცე,
..... ნურასდროს ნუ წახვალ ჩემგან!

3.3.1. სახელობითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები.

სახელობითი ბრუნვის ძირითადი პრაქტიკული ფუნქციაა **საგნის** ან **მოვლენის სახელდება, ნომინაცია:**

სახელების ჩამოთვლისას ყოველთვის **სახელობითი** ბრუნვის ფორმას ვიყენებთ: სახლი, კარი, დედა, ბიძა, ქვეყანა, ზამთარი, სკოლა, კაცი...

ეს არის ბრუნებადი სიტყვის **ამოსავალი** ფორმა.

> სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: **ყველა სახელი ლექსიკონებში, ყველა გეოგრაფიული სახელი რუკებზე, წარწერები მაღაზიათა აბრებზე, საწარმოთა, დაწესებულებათა სახელწოდებები.**

სხვა ნიუანსების დამატებით გვეძლევა ინფორმაცია ამ საგნის **ადგილის** შესახებ, ან იმის შესახებ, **ვისია** ეს საგანი ან **რისგანაა, როგორია** იგი. ამ შემთხვევებში გამოიყენება სახელის საწყისი - სახელობითი ბრუნვის ფორმა და **„არის“** ზმნის კომბინაცია.

„არის“ შეიძლება გამარტივდეს და მისგან მხოლოდ **-ა** დარჩეს.

სახელობითი ბრუნვის ფორმა + არის/-ა = საგნის ან **მოვლენის სახელდება - წარმოდგენა:**

ეს **არის წიგნი** / ეს **წიგნი არის** ⇨ ეს **წიგნ**ია

ის **არის ექიმი** / ის **ექიმი არის** ⇨ ის **ექიმ**ია

რა არის ეს?	- ეს არის	**სკამი** **მაგიდა** **უთო**	= ეს	**სკამ**ია **მაგიდ**აა **უთო**ა

ვინ არის ეს?	- ეს არის	**ბავშვი** **გიორგი** **ნუნუ**	= ეს	**ბავშვ**ია **გიორგ**ია **ნუნუ**ა

ვინ ვარ მე? - მე ვარ	**ბავშვი** **ქალი** **კაცი**

ვინ ხარ შენ? - შენ ხარ	**ბავშვი** **ქალი** **კაცი**

ვინ არის ის?	- ის არის	**ბავშვი** **ქალი** **კაცი**	= ის	**ბავშვია** **ქალია** **კაცია**

- **დავალება.**

- **ზეპირად უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი 1.**</u>

- რა არის ეს? ეს **მაგიდაა**?

- დიახ, ეს **მაგიდაა** (დიახ, ეს არის **მაგიდა**).

		ძაღლია?	**ფანქარია**?
		სათვალეა?	**სარკეა**?
		ბურთია	**სოკოა**?
რა არის ეს? -	ეს	**ჩანთაა**?	**ბუა**?
		სათვალეა?	**ქათამია**?
		მანქანაა?	**სტაფილოა**?
		საათია?	**მზეა**?

<u>**მოდელი 2.**</u>

- ვინ არის ეს? ეს **მასწავლებელია**?

- დიახ, ეს **მასწავლებელია** (დიახ, ეს არის **მასწავლებელი**).

		კაცია?	**ბავშვია**?
		გიორგია?	**სანდროა**?
ვინ არის ეს? -	ეს	**ექიმია**?	**მამაა**?
		ნანაა?	**ელენეა**?
		დედაა?	**გოგოა**?

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

თხა და გიგო

იყო ერთი ზარმაცი გიგო. ერთხელ თქვა: მოდი, ერთი თავს გამოვიჩენ ბეჯითობითაო. გამოვიდა სახლიდან, გამოიტანა თან წიგნი და გავიდა სოფლის მოედანზე. ჩამოჯდა იქ კუნძზე, დაიდო წიგნი მუხლებზე და შიგ ცქერა დიწყო, ვითომ ერთი შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო. წიგნი უკუღმა ედო, არ კითხულობდა და შიგ ტყუილად იცქირებოდა. მალე ძილი მოერია და თავს ასკილივით აქნევდა.

ამ დროს მეზობლის თხა ფეხების ბაკუნითა და წვერის ცანცარით ბაკიდან გარეთ გამოვიდა. გიგოს თავის კანტური რომ დაინახა, თხას ეგონა, ჭიდაობაში მიწვევსო, გამოექანა, დაეჯახა რქებით, ყირამალა გადაატრიალა და ააღრიალა ჩვენი თავმომწონე გიგო.

იაკობ გოგებაშვილი

- **ამოწერეთ სიტყვები სახელობითი ბრუნვის ფორმით.**

- ინფორმაცია წარმოდგენილი **საგნის ადგილის** შესახებ:

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- **სად** არის გიორგი? ის **აქ** არის?

- დიახ, ის **აქ** არის = დიახ, გიორგი **აქ** არის.

1. სად არის **ნანა?** (ის) **აქ** არის?

---

2. სად არის **მზია?** (ის) **აქ** არის?

---

3. სად არის **ლევანი?** (ის) **აქ** არის?

---

4. სად არის **ნატო?** (ის) **აქ** არის?

5. სად არის **ქეთი?** (ის) **აქ** არის?

6. სად არის **დათო?** (ის) **აქ** არის?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- სად არის **მაგიდა?**
- **იქ** არის (**მაგიდა იქ** არის).

სად არის	**კარი?** **ფანჯარა?** **რვეული?**	**ფანქარი?** **მანქანა?** **წიგნი?**

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

ა)

- **მაგიდა** *მარჯვნივაა?*
- არა, (ის) *მარცხნივაა.*

ბ)

- **მერხი** *აქაა?*
- არა, **მერხი** *იქაა.*

1. **მანქანა** *მარცხნივაა?*

2. **წიგნი** *აქაა?*

3. **ფანჯარა** *მარცხნივაა?*

---

4. **ფანქარი** *აქაა?*

---

5. **კარი** *მარცხნივაა?*

---

6. **ნანა** *იქაა?*

---

7. **გიორგი** *აქაა?*

- ინფორმაცია წარმოდგენილი საგნის **მესაკუთრის/ მფლობელის** შესახებ:

- ეს *ვისი* **ოთახი**ა? - ეს	ჩემი შენი მისი ჩვენი თქვენი მათი	**ოთახი**ა
- ეს *ვისი* **წიგნი**ა? - ეს	ჩემი შენი მისი ჩვენი თქვენი მათი	**წიგნი**ა

- ეს *შენი* **რვეული**ა?
- დიახ, **ჩემ**ია (დიახ, ეს *ჩემი* **რვეული**ა).

- ეს *შენი* **ჩანთა**ა?
- დიახ, **ჩემ**ია (დიახ, ეს *ჩემი* **ჩანთა**ა).

ეს *შენი*	**მანქანა**ა?	**საათ**ია?
	სახლია?	**რვეულ**ია?
	სათვალეა?	**ჩანთა**ა?
	წიგნია?	**ქუდ**ია?
	ოთახია?	**ჭიქა**ა?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- ეს *შენი* **გაზეთ**ია?
- დიახ, (ეს) *ჩემი* **გაზეთ**ია (დიახ, **ჩემ**ია).

1. ეს *შენი* **წიგნ**ია?

_____

2. ეს *შენი* **ჩანთა**ა?

_____

3. ეს *შენი* **ფანქარ**ია?

_____

4. ეს *შენი* **წერილ**ია?

_____

5. ეს *შენი* **ველოსიპედ**ია?

_____

6. ეს *შენი* **შარვალი**ა?

ეს *თქვენი*	**დაფა**ა? **მასწავლებელი**ა? **კლასი**ა?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ეს *თქვენი* **სკოლა**ა?
- დიახ, (ეს) *ჩვენი* **სკოლა**ა (დიახ, ჩვენია).

1. ეს *თქვენი* **წიგნი**ა?

---

2. ეს *თქვენი* **ფანქარი**ა?

---

3. ეს *თქვენი* **სკოლა**ა?

---

4. ეს *თქვენი* **კლასი**ა?

---

5. ეს *თქვენი* **ეზო**ა?

---

6. ეს *თქვენი* **მასწავლებელი**ა?

ეს *ჩემი* **წიგნი**ა; ან: ეს **წიგნი** ჩემია.

ეს *ჩემი*	**შარვალ**ია **ტელეფონ**ია **სკამ**ია **სახლ**ი ა **კარადა**ა **წერილ**ია	**მაგნიტოფონ**ია **ველოსიპედ**ია **ლექსიკონ**ია **ბურთ**ია

ეს *შენი* **სკამი**ა; ან: ეს **სკამი** *შენია.*

ეს *შენი...*	**ჩანთაა** **სავარძელი**ა **ძაღლი**ა **ტელევიზორი**ა **საათი**ა

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ეს მისი **წიგნი**ა?
- დიახ, ეს მისი **წიგნი**ა.

1. ეს *მისი* **კალამი**ა?

---

2. ეს *მისი* **ფანჯარაა**?

---

3. ეს მისი **პიანინო**ა?

---

4. ეს *მისი* **გაზეთი**ა?

---

5. ეს *მისი* **წერილი**ა?

---

6. ეს *მისი* **სახლი**ა?

- ინფორმაცია იმის შესახებ, თუ **როგორია** წარმოდგენილი საგანი:

- **როგორ**ია ეს **წიგნი?**

- ეს **წიგნი**	**ახალია** **საინტერესოა** **კარგია**	
ან:		
ეს არის	**ახალი** **საინტერესო** **კარგი**	**წიგნი**

- **როგორ**ია ეს **შარვალი?**

- ეს **შარვალი**	**შავია** **განიერია** **ვიწროა**	
ან:		
ეს არის	**შავი** **განიერი** **ვიწრო**	**შარვალი**

- **როგორ**ია ეს **ფანქარი?**

- ეს **ფანქარი**	**წითელია** **ყვითელია** **ლურჯია**	
ან:		
ეს არის	**წითელი** **ყვითელი** **ლურჯი**	**ფანქარი**

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ ანტონიმები:**
  ნათელი ≠ ბნელი; საინტერესო ≠ უინტერესო; ახალი ≠ ძველი; ვიწრო ≠ განიერი; დიდი ≠ პატარა; ძნელი ≠ ადვილი.

<u>**მოდელი.**</u>

- ეს **ფანქარი წითელი**ა?
- დიახ, **წითელი**ა (ეს **ფანქარი წითელი**ა).

1. ეს **ოთახი ნათელი**ა?

---

2. ეს **წიგნი საინტერესო**ა?

---

3. ეს **მაგიდა ახალი**ა?

---

4. ეს **ფანჯარა ვიწრო**ა?

---

5. ეს **წერილი დიდი**ა?

---

6. ეს **სავარჯიშო ძნელი**ა?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- როგორია ეს **წიგნი?**
- ეს **წიგნი საინტერესო**ა (ან: ეს **საინტერესო წიგნი**ა).

1. როგორია ეს **ოთახი?**

---

2. როგორია ეს **ფანქარი?**

---

3. როგორია ეს **ფანჯარა?**

---

4. როგორია ეს **სავარჯიშო?**

---

5. როგორია ეს **ბურთი?**

---

6. როგორია ეს **საათი?**

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ეს **შარვალი ახალი**ა.
- როგორია ეს **შარვალი? ახალი**ა?
- დიახ, **ახალი**ა.

1.ეს **სკოლა დიდ**ია.

---

2. ეს **პარკი ლამაზ**ია.

---

3. ეს **ოთახი ნათელ**ია;

---

4. ეს **სავარჯიშო ძნელ**ია;

---

5. ეს **ფანქარი ყვითელ**ია;

---

6. ეს **ჩანთა ძველ**ია.

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ეს **ოთახი**ა. ეს **ოთახი** დიდია (პატარაა, ნათელია).

1.ეს **სკოლაა**.

---

2. ეს **მანქანა**ა.

---

3. ეს **პარკ**ია.

---

4 ეს **მაგიდა**ა.

---

5. ეს **ვაშლ**ია.

---

6. ეს **სტადიონ**ია.

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ <u>ანტონიმები:</u>**

ძნელი ≠ ადვილი; ვიწრო ≠ განიერი; ბნელი ≠ ნათელი; ახალი ≠ ძველი; ლამაზი ≠ უშნო; საინტერესო ≠ უინტერესო.

<u>**მოდელი.**</u>

- ეს **ჩანთა პატარა**ა?
- არა, **დიდ**ია (ეს **ჩანთა დიდ**ია).

1.ეს **ფანჯარა ვიწრო**ა?

---

2. ეს **ოთახი ბნელ**ია?

---

3. ეს **სახელმძღვანელო ძველ**ია?

---

4. ეს **სავარჯიშო ადვილ**ია?

---

5. ეს **კალამი ახალი**ა?

---

6. ეს **ქალი ლამაზი**ა?

- **ერთზე მეტი** საგნის გამოხატვა ხდება **-ებ** ელემენტით:

ეს მაგიდ**ებ**ია? - დიახ, ეს მაგიდ**ებ**ია.

ეს	ხ**ებ**ია?	უთო**ებ**ია?	ბუ**ებ**ია?	ქუჩ**ებ**ია?
	სათვალე**ებ**ია?	სპილო**ებ**ია?	კენგურუ**ებ**ია?	
	სარკე**ებ**ია?	სათამაშო**ებ**ია?	ინტერვიუ**ებ**ია?	წიგნ**ებ**ია?
	კლდე**ებ**ია?	სავარჯიშო**ებ**ია?	კუ**ებ**ია?	
	საყურე**ებ**ია?	წყარო**ებ**ია?	ძუძუ**ებ**ია?	

ეს	წიგნ**ებ**ია?	კაბ**ებ**ია?
	ვაშლ**ებ**ია?	მაგიდ**ებ**ია?
	რვეულ**ებ**ია?	მანქან**ებ**ია?
	სკამ**ებ**ია?	ქუჩ**ებ**ია?
	სახლ**ებ**ია?	თხ**ებ**ია?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

იქ მაგიდაა - *აქ* მაგიდ**ებ**ია.

1.*იქ* **ოთახი**ა.

---

2. *იქ* **კარადა**ა.

---

3. *აქ* **მანქანა**ა.

---

4. *იქ* **მაღაზია**ა.

---

5. *მარჯვნივ* **თეატრ**ია.

---

6. *აქ* **მაგნიტოფონ**ია.

---

7. *ეს* **სიტყვ**აა.

---

8. *იქ* **ექიმ**ია.

- ვისია ეს	**წიგნები?** **რვეულები?** **წერილები?**

- ეს	ჩემი შენი მისი ჩვენი თქვენი (ი)მათი	**წიგნებ**ია **რვეულებ**ია **წერილებ**ია

ან:

ეს	**წიგნები** **რვეულები** **წერილები**	ჩემია შენია მისია ჩვენია თქვენია (ი)მათია

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

ა)

- ეს *შენი* **წიგნებ**ია?

- დიახ, *ჩემია* (*ჩემი* **წიგნებ**ია); ან: ეს **წიგნები** *ჩემია.*

ბ)
- ეს *თქვენი* **წიგნებია**?
- დიახ, *ჩვენია* (*ჩვენი* **წიგნებია**); ან: ეს **წიგნები** *ჩვენია.*

1.ეს *თქვენი* **წინდებია**?

---

2. ეს *თქვენი* **ბურთებია**?

---

3. ეს *შენი* **რვეულებია**?

---

4. ეს *თქვენი* **წერილებია**?

---

5. ეს *შენი* **ფეხსაცმელებია**?

---

6. ეს *თქვენი* **ჭიქებია**?

- ესენი ვისი	**ამხანაგები** **პედაგოგები** **ძმები**	არიან?

- ესენი	*ჩემი* *შენი* *მისი* *ჩვენი* *თქვენი* *(ი)მათი*	**ამხანაგები** **პედაგოგები** **ძმები**	არიან

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>
- ესენი *თქვენი* **ნაცნობები** არიან?
- დიახ. (დიახ, ესენი **ჩემი ნაცნობები** არიან).

- ესენი *მათი* **დები** არიან?
- დიახ. (დიახ, ესენი *მათი* **დები** არიან).

1. ესენი *თქვენი* **დეიდაშვილები** არიან?

---

2. ესენი *მათი* **შვილები** არიან?

---

3. ესენი *თქვენი* **მოსწავლეები** არიან?

---

4. ესენი *თქვენი* **სტუდენტები** არიან?

---

5. ესენი *მათი* **ბიძაშვილები** არიან?

---

6. ესენი *მათი* **კლასელები** არიან?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

ა)

- ეს *თქვენი* **წიგნები**ა?
- არა, ეს *მისი (მათი)* **წიგნები**ა.

1. ეს *შენი* **ფეხსაცმელები**ა?

---

2. ეს *თქვენი* **წერილები**ა?

---

3. ეს *მისი* **ლექსიკონები**ა?

---

4. იქ *გიორგია*. ეს **მისი რვეულები**ა?

ბ)

- ესენი *თქვენი* **ამხანაგები** არიან?
- არა, *ესენი მისი (მათი)* **ამხანაგები**ა.

1. ესენი *თქვენი* **კლასელები** არიან?

---

2. ესენი *მისი* **კურსელები** არიან?

---

3. ესენი *თქვენი* **ძმებ**ია?

---

4. ეს ნინოა. ესენი *მისი* **დებ**ია?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

ა)

- ეს ვისი **ნივთებ**ია?
- ეს *ჩემი (შენი, მისი)* **ნივთებ**ია.

1. ეს ვისი **ნახატებ**ია?

---

2. ეს ვისი **მაგიდები** და **სკამებ**ია?

---

3. ეს ვისი **საყურეებ**ია?

---

4. ეს ვისი **ჩანთებ**ია?

ეს - ესენი:

ბ)

- ესენი *ვისი* **ნათესავები** არიან?
- ესენი *ჩემი (შენი, მისი)* **ნათესავები** არიან.

1. ესენი *ვისი* **ნაცნობები** არიან?

---

2. ესენი *ვისი* **ძმები** არიან?

---

3. ესენი *ვისი* **შვილები** არიან?

---

4. ესენი *ვისი* **მამიდაშვილები** არიან?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

ა)

- ეს *ჩვენი* **ნივთები**ა.
- ვისი? *თქვენი?*
- დიახ, *ჩვენი.*

1. ეს *ჩვენი* **მაგიდები**ა.

---

2. ეს *მათი* **თეფშები**ა.

---

3. ეს *მისი* **გაზეთი**ა.

---

4. ეს *ჩვენი* **ქუჩები**ა.

ბ)

- ესენი *ჩვენი* **ნათესავები** არიან.
- ვისი? *თქვენი?*
- დიახ, *ჩვენი.*

1. ესენი *ჩემი* **კლასელები** არიან.

---

2. ესენი *მისი* **ძმები** არიან.

---

3. ესენი *მათი* **ნაცნობები** არიან

---

4. ესენი *ჩვენი* **ექიმები** არიან.

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ეს **წიგნები**ა.
- ეს ძველი (საინტერესო) **წიგნები**ა.

1. ეს **ფეხსაცმელები**ა.

---

2. იქ **რვეულები**ა.

---

3. მარცხნივ **სკამები**ა.

---

4. აქ **საწოლები**ა.

- როგორია ეს **ჩანთები?**
- ეს *დიდი (ლამაზი)* **ჩანთები**ა / ეს **ჩანთები** *დიდია (ლამაზია).*

	მაგიდები?	**სიტყვები?**
	სკამები?	**მანქანები?**
როგორია ეს	**წიგნები?**	**ქუდები?**
	მოთხრობები?	**საწოლები?**

	წიგნები?
	წერილები?
როგორია ეს	**გაზეთები?**

ფეხსაცმელები?

ეს	საინტერესო **წიგნებ**ია შარშანდელი **წერილებ**ია ახალი **გაზეთებ**ია ძველი **ფეხსაცმელებ**ია	**ან:**	ეს	**წიგნები** საინტერესოა **წერილები** შარშანდელია **გაზეთები** ახალია **ფეხსაცმელები** ძველია

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ეს **ოთახები** *ნათელია?*
- დიახ. /დიახ, ეს **ოთახები** *ნათელია.*

1. ეს **მოთხრობები** *საინტერესოა?*

---

2. ეს **სიტყვები** *ახალია?*

---

3. ეს **თხილამურები** *კარგია?*

---

4. ეს **ქურთუკები** *თბილია?*

---

5. ეს **ლექსიკონები** *პატარაა?*

---

6. ეს **გაზეთები** *გუშინდელია?*

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ეს **ამოცანები რთული**ა.
- როგორია? **რთული?**
- დიახ, **რთული**ა.

1. ეს **გაზეთები საინტერესო**ა?

---

2. იქ **სიტყვები ახალი**ა.

---

3. აქ **მაღაზიები დიდ**ია.

---

4. იქ **სახლები ლამაზ**ია.

---

5. ეს **ყვავილები ლამაზ**ია.

---

6. იქ **ქუჩები** *ფართოა.*

- როგორია ეს **ქუჩები?**
- ეს **ქუჩები** *ფართოა* / ეს *ფართო* **ქუჩებია.**

	მანქანები?	**სახლები?**
	შენობები?	**კაბები?**
როგორია ეს	**ხიდები?**	**ჩექმები?**
	ბაღები?	**ძაღლები?**

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ <u>ანტონიმები:</u>** ახალი ≠ ძველი; საინტერესო ≠ უინტერესო; მოკლე ≠ გრძელი; ადვილი ≠ ძნელი; გემრიელი ≠ უგემური.

<u>**მოდელი.**</u>

- ეს *ახალი* **სახელმძღვანელოებია?**
- არა, **ძველია** (ეს *ძველი* **სახელმძღვანელოებია**).

1. ეს *ახალი* **თხილამურები**ა?

---

2. ეს *საინტერესო* **წიგნები**ა?

---

3. ეს *მოკლე* **მოთხრობები**ა?

---

4. ეს *ადვილი* **სავარჯიშოები**ა?

---

5. ეს *ძნელი* **დავალებებ**ია?

6. ეს *გემრიელი* **კერძებია**?

სახელთა მრავლობითობას აღნიშნავს ასევე **-ნ/-თ** ნიშნები:

სახ.	კაც-ნ- ი	დედა-ნ-ი
მოთხრ.	კაც-თ-ა	დედა-თ-ა
მიც.	კაც-თ-ა	დედა-თ-ა
ნათ.	კაც-თ-ა	დედა-თ-ა
მოქმ.	-	-
ვით.	-	-
წოდ.	კაც-ნ-ო	დედა-ნ-ო

- **დავალება.**
- **ცალ-ცალკე ამოწერეთ სხვადასხვა ტიპის მრავლობითის ფორმები.**

* * *

ბეტი და ნენი ტყუპები იყვნენ, თხუთმეტი წლისანი, გულკეთილნი, უსუფთაონი, ძონძებში გახვეულნი და სრულიად უვიცნი. დედა მათ ჰგავდა, ხოლო მამა და ბებია ნამდვილი ქაჯები იყვნენ. როგორც კი მოახერხებდნენ, მაშინვე თვრებოდნენ და ვინც მოხვდებოდათ, ეჩხუბებოდნენ და ერთმანეთს დაერეოდნენ ხოლმე. მთვრალები იყვნენ თუ ფხიზლები, მუდამ იგინებოდნენ და იწყევლებოდნენ. ჯონ კენტი ქურდი იყო და დედამისი მათხოვარი, ბავშებიც მათხოვრები გახადეს, მაგრამ ის კი ვერ მოახერხეს, ქურდებად ექციათ.

ამ სახლში მობინადრე საშინელ ნაძირალებს შორის ცხოვრობდა ერთი კეთილი მოხუცი მღვდელი, თუმცა მათთან საერთო არაფერი ჰქონდა. მღვდელი მეფეს რამდენიმე ფანტინგის პენსიით აეყარა სახლ-კარიდან. მღვდელი ბავშვებს ცალკე გაიხმობდა ხოლმე და ჩუმად არიგებდა. მამა ენდრიუმ ტომს წერა-კითხვა და ცოტა ლათინური ასწავლა. უნდოდა გოგონებისთისაც ესწავლებინა, მაგრამ მათ შეეშინდათ, ამ სწავლა-განათლებისათვის ამხანაგები დაგვცინებენო.

მარკ ტვენი, „უფლისწული და მათხოვარი“ (ფრაგმენტი)

ტყუპები,

წლისანი,

- **დავალება.**
- **ჩამოთვლილი სიტყვებიდან გადახაზეთ მრავლობითის ფორმები**

დები	დაფა	ცარცი
ჯდები	წიგნები	ოცნებები
მამანი	პედაგოგები	დღეები
თავისუფლება	კედელი	გამოცდა
ძმათა	სურვილები	ფილმები
მანქანები	ვდგები	
ქანდაკება	კალთა	

- **დავალება.**
- **გახაზეთ არასწორი ფორმები.**

გზეების გაკეთება	მოსწავლეები ხმაურობენ
დების საიდუმლო	ორმის ამოთხრა
დღები გავიდა	ოქრის საათი
ვიღაცების რჩევით	რაღაცეები გასაკეთებელია
თვეების გამო	ღამების თევა
კვირების შემდეგ	ღვინოს ყიდვა
მთეები დათოვლილია	ძმეების ურთიერთობა
მიწების დამუშავება	წლეების წინ

- **დავალება.**
- **გამოიყენეთ ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვები, გააგრძელეთ დაწყებული ტექსტი:**

ჩემი ქალაქი:

ქუჩები, პარკები, მაღაზიები, თეატრები კინოთეატრები, სახლები, შენობები, ფაბრიკები, ქარხნები, სკოლები.

ფართო, დიდი, ახალი, ლამაზი, ვიწრო, ძველი, დაბალი, მაღალი.

„ეს ჩემი ქალაქია. აქ არის...

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

ეს **ბურთია.** - ეს **ბურთი 2 (ორი) ლარი** ღირს?
- დიახ, ეს **ბურთი 2 (ორი) ლარი** ღირს.

ეს **ლექსიკონი**ა. - ეს **ლექსიკონი** 4 (ოთხი) ლარი ღირს?

ეს **მარკა**ა. - ეს **მარკა** 10 (ათი) თეთრი ღირს?

ეს **ფანქარი**ა. - ეს **ფანქარი** 20 (ოცი) თეთრი ღირს?

ეს **რვეული**ა. - ეს **რვეული** 30 (ოცდაათი) თეთრი ღირს?

ეს **საავარძელი**ა. - ეს **საავარძელი** 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი ღირს?

ეს **სკამი**ა. - ეს **სკამი** 11 (თერთმეტი) ლარი ღირს?

ეს **მაგიდა**ა. - ეს **მაგიდა** 120 (ას ოცი) ლარი ღირს?

ეს **მაღაზია**ა. - ეს **მაღაზია** მარჯვნივაა?

ეს **ბიბლიოთეკა**ა. - ეს **ბიბლიოთეკა** მარცხნივაა?

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

ა)

- ეს **გაზეთი**ა. ეს **გაზეთი** *ახალია?*
- დიახ, ეს **გაზეთი** *ახალია* (ეს *ახალი* **გაზეთი**ა).

1. ეს **ოთახი**ა. ეს **ოთახი** *ნათელია?*

---

2. ეს **დაფა**ა. ეს **დაფა** *შავია?*

---

3. ეს **ფანქარი**ა. ეს **ფანქარი** *ყავისფერია?*

---

4. ეს **შენობა**ა. ეს **შენობა** *მაღალია?*

ბ)
- ეს **მაგიდებია.** ეს **მაგიდები** *დიდია?*
- დიახ, ეს **მაგიდები** *დიდია* (ეს *დიდი* **მაგიდებია**).

1. ეს **წიგნები**ა. ეს **წიგნები** *საინტერესოა?*

---

2. ეს **ჩანთები**ა. ეს **ჩანთები** *შავია?*

---

3. ეს **სავარჯიშოები**ა. ეს **სავარჯიშოები** *ძნელია?*

---

4. ეს **შენობები**ა. ეს **შენობები** *მაღალია?*

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>
- ეს **ფანქარი** *შავია?*
- დიახ, ეს **ფანქარი** *შავია.*

1. ახალი **სახელმძღვანელო.**

---

2. საინტერესო **წიგნი.**

---

3. წითელი **კალამი.**

---

4. ძველი **გაზეთი.**

---

5. ახალი **პალტო.**

---

6. მაღალი **კაცი.**

სახელობითი ბრუნვა გამოიყენება დროის აღნიშვნისას

- რომელი **საათი**ა?
- ოთხი **საათი**ა.

პირველი ორი სამი ოთხი ხუთი ექვსი შვიდი რვა ცხრა ათი თერთმეტი თორმეტი	**საათი**ა

რომელი **საათი**ა *ახლა*? ან: *ახლა* რომელი **საათი**ა?

ახლა არის	ხუთი **საათი** სამი **საათი** ცხრა **საათი**

ან:

ახლა	ხუთი **საათი**ა სამი **საათი**ა ცხრა **საათი**ა

ახლა	თორმეტი **საათი** და თხუთმეტი **წუთი**ა ჩვიდმეტი **საათი** და ოცდაათი **წუთი**ა შვიდი **საათი** და თორმეტი **წუთი**ა

- **მსგავსება-შედარების გამოხატვა: სახელობითი + -ვით.**

თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვას დაერთვის **-ვით** ელემენტი, რომელთან ერთადაც **მსგავსება-შედარების** მნიშვნელობას იღებს მთლიანი ყალიბი - **სახელობითი + ვით.**

-ვით მიუთითებს **მსგავსება-შედარებაზე,**
ანუ იმავეს აღნიშნავს, რასაც სიტყვა **„როგორც“;**

ბავშვ-ი-ვით უხარია = უხარია, **როგორც** ბავშვს
ჩიტ-ი-ვით დაფრინავს = დაფრინავს, **როგორც** ჩიტი
სახლ-ი-ვით გაალამაზა = გაალამაზა, **როგორც** სახლი...

სისხლ-ი-ვით წითელი = წითელი, **როგორც** სისხლი
ბავშვ-ი-ვით სუფთა = სუფთა, **როგორც** ბავშვი
ქალ-ი-ვით ლამაზი = ლამაზი, **როგორც** ქალი...

- **დავალება.**
- **გახაზეთ ის სიტყვები, რომლებიც დაირთავენ -ვით თანდებულს.**

ნიმუში: სახლი - სახლივით

უნივერსიტეტი	სემესტრი	ბებია	ძმა
სკოლა	თავი	კომპიუტერი	ქუჩა
დირექტორი	სპორტსმენი	კედელი	მგელი
ოლიმპიადა	ოქრო	მამიდა	ბუ
ტრაქტორი	ტორტი	ბურთი	

3.3.2. მოთხრობითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები.

მოთხრობითი სპეციფიკური ბრუნვაა, რომლის ანალოგიც ბევრ ენაში არ არსებობს; მას ერთადერთი ფუნქცია აქვს - გამოხატოს **მოქმედი** პირი, **პირი, რომელიც ასრულებს მოქმედებას:**

ვნახოთ მაგალითები:

ის (ბავშვი) სწავლობს	-	**მან** (**ბავშვმა**) ისწავლა
ის (მუშა) მუშაობს	-	**მან** (**მუშამ**) იმუშავა
ის (ბიჭი) თამაშობს	-	**მან (ბიჭმა)** ითამაშა...

ის (კაცი) აკეთებს საქმეს	-	**მან (კაცმა)** გააკეთა საქმე
ის (ბავშვი) წერს დავალებას	-	**მან (ბავშვმა)** დაწერა დავალება
ის (მხატვარი) ხატავს სურათს	-	**მან (მხატვარმა)** დახატა სურათი...

მარცხენა რიგში სახელობითი ბრუნვის ფორმები გვაქვს, მარჯვენა რიგში - მოთხრობითი ბრუნვისა.

ფუნქციურად ამ ფორმებს შორის არანაირი განსხვავება არ არის;

ანუ, ამ შემთხვევაში
სახელობითი უდრის მოთხრობითს და პირიქით.

როდის არის საჭირო სახელობითი და როდის მოთხრობითი?

ეს დამოკიდებულია **ზმნაზე** - მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვაზე. ამიტომ ამ საკითხზე სპეციალურად ვიმსჯელებთ ქვევით, როდესაც ზმნას განვიხილავთ.

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- მამა**მ** მოიტანა ახალი წიგნი?
- დიახ, მოიტანა. / დიახ, მამა**მ** მოიტანა ახალი წიგნი

1. ნიკა**მ** მოიტანა ახალი რვეული?

   _____

2. მასწავლებელ**მა** მოიტანა ახალი რუკა?

   _____

3. ნანა**მ** მოიტანა წითელი კალამი?

   _____

4. გიგა**მ** მოიტანა ახალი წიგნი?

   _____

5. მოსწავლეებ**მა** დაწერეს კარნახი?

   _____

6. ბავშვებ**მა** ნახეს ახალი ფილმი?

   _____

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ სიტყვები.**

<u>**მოდელი.**</u>

- ნინო**მ** ამოხსნა *რთული* ამოცანა.
- როგორი ამოცანა ამოხსნა ნინო**მ**? რთული?
- დიახ, *რთული.*

1. მაია**მ** იყიდა *ახალი* ქართულ-ინგლისური **ლექსიკონი.**

   _____

2. გიორგი**მ** *საინტერესო* ნახა **ფილმი.**

   _____

3. საბა**მ** მოიტანა *ძველი* **რვეული.**

   _____

4. ირინე**მ** ამოხსნა *ადვილი* **ამოცანა.**

   _____

5. ლალი**მ** შეიძინა *წითელი* **ჩანთა.**

   _____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ სიტყვები. გამოიყენეთ სიტყვები:** *ახალი, რთული, პატარა, დიდი, წითელი, გრძელი.*

<u>**მოდელი.**</u>

- ბავშვებ**მა** ნახეს ფილმი.
- როგორი ფილმი ნახეს ბავშვებ**მა**?
- ბავშვებ**მა** ნახეს *საინტერესო* ფილმი.

1. დღეს ნიკა**მ** იყიდა **ჟურნალი.**

_____

2. ახლა მარიამ**მა** ამოხსნა **ამოცანა.**

_____

3. გუშინ მასწავლებელ**მა** მოიტანა **გლობუსი.**

_____

4. წუხელ ლევან**მა** წაიკითხა **მოთხრობა.**

_____

5. დილით ირმა**მ** შეჭამა **ვაშლი.**

_____

6. გუშინწინ ტასო**მ** დაწერა **წერილი.**

_____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- *ვისი* წიგნი აიღო კოტე**მ**?
- კოტე**მ** *თავისი* წიგნი აიღო.

1. *ვისი* წერილი წაიკითხა გიგა**მ**?

_____

2. *ვისი* ჩანთა გახსნა ნათია**მ**?

_____

3. *ვისი* პიჯაკი ჩაიცვა მამა**მ**?

_____

4. *ვისი* საქმე გააკეთა საბა**მ**?

_____

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი. ამოწერეთ სიტყვები მოთხრობითი ბრუნვის ფორმით. გვერდით მიუწერეთ სახელობითი ბრუნვის ფორმები.**

მოდი ვნახოთ ვენახი

მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა;
მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა.
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი;
მიველ ვნახე თოფი, მიწამ ჭამა თოფი.
მიწამ თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მიწა, რამ შეჭამა მიწა;
მიველ ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

ხალხური

- **დავიმახსოვროთ!**

მ-ზე ფუძედაბოლოებულ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში (მხ. რ.) ორი **მ** მოუდის:

ქათა**მ**-ი: ქათა**მმ**ა თხარა
ლო**მ**-ი: ლო**მმ**ა იღრიალა
გურა**მ**-ი: გურა**მმ**ა იცის...

3.3.3. მიცემითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები.

- **მიცემითი ბრუნვის ფორმით ხდება დროის გამოხატვა**

დაწერს ის (ბავშვი) მას (დავალებას)	**ორშაბათს**
დაწერა მან (ბავშვმა) ის (დავალება)	**სამშაბათს**
გააკეთა მან (კაცმა) ის (საქმე)	**ოთხშაბათს**
მიდის ის (მამა)	**ხუთშაბათს**
წავა ის (მამა)	**პარასკევს**
წავიდა ის (მამა)	**შაბათს**
ჩამოვიდა ის (მამა)	**კვირას**

ორ **დღე-ს** / ორი დღე დავრჩებით;
საღამო-ს მოვალ.
წელ-ს გაკეთდება...

ნანა დაიბადა 1975 **წელს.**
გივი დაიბადა 1985 **წელს...**

	2 იანვარ**ს**
	20 თებერვალ**ს**
	22 მაის**ს**
	17 ივნის**ს**
ეს (ამბავი)მოხდა	19 დეკემბერ**ს**
ის (ნანა) დაიბადა	11 ივნის**ს**
ის (გამოფენა)გაიხსნება	5 მარტ**ს**
ის (მამა) ჩამოვა	3 აპრილ**ს**
	7 სექტემბერ**ს**
	4 ოქტომბერ**ს**
	9 ნოემბერ**ს**
	10 ივლის**ს**

- **მიცემითი ბრუნვით აღინიშნება:**

ა) საათის მაჩვენებელი, - როცა წუთების მაჩვენებელი **31**-დან **60**-ის ჩათვლითაა:

20: 40 = **ცხრას** აკლია ოცი წუთი
17:45 = **ექვსს** აკლია თხუთმეტი წუთი
13:50 = **ორს** აკლია ათი წუთი
12:55 = **პირველს** აკლია ხუთი წუთი
10:53 = **თერთმეტს** აკლია შვიდი წუთი
11: 37 = **თორმეტს** აკლია ოცდასამი წუთი...

- **მიცემითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება:**

არითმეტიკული მოქმედებების დროს:

5 + 6 = 11	**ხუთს** *მივუმატოთ* ექვსი უდრის **თერთმეტს**
7 + 8 = 15	**შვიდს** *მივუმატოთ* რვა უდრის **თხუთმეტს**
9 + 17 = 26	**ცხრას** *მივუმატოთ* ჩვიდმეტი უდრის **ოცდაექვსს**
15 – 7 = 8	**თხუთმეტს** *გამოვაკლოთ* შვიდი უდრის **რვას**
22 – 9 = 13	**ოცდაორს** *გამოვაკლოთ* ცხრა უდრის **ცამეტს**
12 – 4 = 8	**თორმეტს** *გამოვაკლოთ* ოთხი უდრის **რვას**
3 X 7 = 21	*სამჯერ* შვიდი უდრის **ოცდაერთს**
9 X 8 = 72	*ცხრაჯერ* რვა უდრის **სამოცდათორმეტს**
7 X 6 =42	*შვიდჯერ* ექვსი უდრის **ორმოცდაორს**
15 : 3 = 5	თხუთმეტი *გავყოთ* სამზე უდრის **ხუთს**
27 : 9 = 3	ოცდაშვიდი *გავყოთ* ცხრაზე უდრის **სამს**
42 : 7 = 6	ორმოცდაორი *გავყოთ* შვიდზე უდრის **ექვსს**
5^2 = 25	ხუთის *კვადრატი* უდრის **ოცდახუთს.**
7^2 = 49	შვიდის *კვადრატი* უდრის **ორმოცდაცხრას.**
9^2 = 81	ცხრის *კვადრატი* უდრის **ოთხმოცდაერთს.**
√9 = 3	*კვადრატული ფესვი* ცხრიდან უდრის **სამს.**
√49 = 7	*კვადრატული ფესვი* ორმოცდაცხრიდან უდრის **შვიდს.**
√64 = 8	*კვადრატული ფესვი* სამოცდაოთხიდან უდრის **რვას.**

- **დავიმახსოვროთ!**

თუ სახელის ფუძე **ს**-ზე ბოლოვდება, მიცემითში (მხ. რ.) ორი **ს** გვექნება:

ქუთაი**ს**-ი:	ქუთაი**სს** გასცდა
ფვა**ს**-ი:	ფვა**სს** გაიგებს
უმცრო**ს**-ი:	უმცრო**სს** ჰკითხა...
ექვს-**ი:**	უღრის ექვ**სს**...

მართებულია:

ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ, თქვენკენ

და არა:

ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ.

მართებულია:

ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	გარდა	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	მერე
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	უკან	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	ზევით
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	შემდეგ/შემდგომ	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	ქვევით/ქვემოთ
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	ქვეშ	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	მაგიერ
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	გამო	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	ახლო
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	წინაშე	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	შორიახლო
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	წინ	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	შორის/შუა...
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	მიერ		

და არა:

ჩემ**ს**/შენ**ს**/ჩვენ**ს**/თქვენ**ს** გარდა, ჩემ**ს**/შენ**ს**/ჩვენ**ს**/თქვენ**ს** უკან...

- **მსგავსება-შედარების გამოხატვა: მიცემითი + ვით.**

სახელობითის ანალოგიურად **მსგავსება-შედარება** გამოიხატება **-ვით** თანდებულის მიცემით ბრუნვაზე დართვისას. მხოლოდ გასათვალისწინებელია ორი გარემოება:

- ➢ ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი **გავრცობილი** სახითაა წარმოდგენილი, ანუ: ბრუნვის -**ის/-ს** ნიშანს მოსდევს **-ა.**

- ➢ ხმოვანთუძიან სახელს რომ **-ვით** დაერთოს, ეს სახელი **მხოლოდ მიცემით** ბრუნვაში შეიძლება იყოს:

დედა-ს-ა-ვით უყვარს = უყვარს, როგორც დედას / როგორც დედა
ძმა-ს-ა-ვით უვლის = უვლის, როგორც ძმას / როგორც ძმა
და-ს-ა-ვით უყურებს = უყურებს, როგორც დას / როგორც და

მთა-ს-ა-ვით კაცი = კაცი როგორც მთა(ა)
დღე-ს-ა-ვით ნათელი = ნათელი, როგორც დღე(ა)
კატა-ს-ა-ვით ფრთხილი = ფრთხილი, როგორც კატა(ა)...

ბავშვ-ს-ა-ვით უხარია = უხარია, **როგორც** ბავშვს
ჩიტ-ს-ა-ვით დაფრინავს = დაფრინავს, **როგორც** ჩიტი
სახლ-ს-ა-ვით გაალამაზა =გაალამაზა, **როგორც** სახლი...

ასე რომ, **გვაქვს პარალელური ფორმები:**
ბავშვივით უხარია || **ბავშვსავით** უხარია = უხარია, **როგორც** ბავშვს
ჩიტივით დაფრინავს || **ჩიტსავით** დაფრინავს = დაფრინავს, **როგორც** ჩიტი
სახლივით გაალამაზა || **სახლსავით** გაალამაზა =გაალამაზა, **როგორც** სახლი...

შენიშვნა:
სტილის თვალსაზრისით, **ბავშვივით...** ფორმები უფრო მისაღები და ბუნებრივი ჩანს, ვიდრე **ბავშვსავით...**
ანუ, თუ სახელი **თანხმოვანთუძიანია, სახელობითი + ვით** უფრო ხშირად გამოიყენება.

-ვით-თანდებულიანი სახელები ბუნებრივია
ზედსართავ სახელთან:

ქალივით ლამაზი = **ქალსავით** ლამაზი = ლამაზი, **როგორც** ქალი
ბავშვივით მიამიტი = **ბავშვსავით** მიამიტი = მიამიტი, **როგორც** ბავშვი...

დედასავით თბილი = თბილი, **როგორც** დედა
ძმასავით ერთგული = ერთგული, **როგორც** ძმა

-ვით თანდებული, როგორც უკვე აღინიშნა, **მსგავსებაზე** მიუთითებს; უალტერნატივოა **მიცემითი + ვით** ასეთ შემთხვევებში:

ჩემ-ს-ა-ვით გიყვარს = გიყვარს, როგორც მე (მიყვარს) / გიყვარს, როგორც მე გიყვარვარ
შენ-ს-ა-ვით ჭამს = ჭამს, როგორც შენ (ჭამ)
მა-ს-ა-ვით სწავლობს = სწავლობს, როგორც ის (სწავლობს)
ჩვენ-ს-ა-ვით იცის = იცის, როგორც ჩვენ (ვიცით)
თქვენ-ს-ა-ვით უხარია = უხარია, როგორც თქვენ (გიხარიათ)
მათ-ს-ა-ვით ლაპარაკობს = ლაპარაკობს, როგორც ისინი (ლაპარაკობენ)

მიცემითი ბრუნვის ფორმას შეიძლება დაერთოს **-ზე;**
ამ შემთხვევაში **მიცემითი ბრუნვის ნიშანი (-ს) არ ჩანს**
და ფაქტობრივად გვაქვს ასეთი სტრუქტურა:

<u>სახელის ფუძე + -ზე.</u>

ამით გამოიხატება:

ა) ადგილი

	სკამ-**ზე**
ზის	მაგიდა-**ზე**
დგას	მთა-**ზე**
დევს	მიწა-**ზე**
	სახურავ-**ზე**...

	გამოფენაზე,	- **იქ,** სადაც გამოფენაა
	სამუშაოზე,	- **იქ,** სადაც სამუშაოა
არის	სტადიონზე,	- **იქ,** სადაც სტადიონია
იყო	ზღვაზე,	- **იქ,** სადაც ზღვაა
იქნება	კონცერტზე,	- **იქ,** სადაც კონცერტია
	შეხვედრაზე,	- **იქ,** სადაც შეხვედრაა
	სპექტაკლზე,	- **იქ,** სადაც სპექტაკლია...

	ნუცუბიძის ქუჩა**ზე**
მიდის	ქიაჩელის ქუჩა**ზე**
ცხოვრობს	ნინოშვილის ქუჩა**ზე**
სეირნობს	რუსთაველის გამზირ**ზე**
დგას	ჭავჭავაძის გამზირ**ზე**

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- სად დადო ნიკამ წიგნები? **მაგიდაზე?**
- დიახ, ნიკამ წიგნები **მაგიდაზე** დადო.

1. სად დაკიდა მაიამ კალენდარი? **კედელზე?**

   _____

2. სად დადო დედამ ჩანთა? **სკამზე?**

   _____

3. რაზე დააკაკუნა სტუმარმა? **კარზე?**

4. რაზე წაისვა ბავშვმა კარაქი? **პურზე?**

5. რაზე დაჯდა სოფო? **სკამზე?**

ბ) ადგილი / მიმართულება.

სახელის ფუძე + -ზე = ადგილი / მიმართულება

მიდის...	ლექციაზე, - **იქ / იქით,** სადაც ლექციაა გაკვეთილზე, - **იქ / იქით,** სადაც გაკვეთილია გამოფენაზე, - **იქ / იქით,** სადაც გამოფენაა სამუშაოზე, - **იქ / იქით,** სადაც სამუშაოა სტადიონზე, - **იქ / იქით,** სადაც სტადიონია ზღვაზე, - **იქ / იქით,** სადაც ზღვაა კონცერტზე, - **იქ / იქით,** სადაც კონცერტია შეხვედრაზე, - **იქ / იქით,** სადაც შეხვედრაა სპექტაკლზე, **იქ / იქით,** სადაც სპექტაკლია

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ბავშვები *ხუთშაბათს* **ექსკურსიაზე** მიდიან.
- როდის? *ხუთშაბათს?*
- დიახ, ხუთშაბათს.

1. ჩემი მეგობრები *ხუთშაბათს* **აგარაკზე** მიდიან.

_____

2. ჩემი მშობლები *სამშაბათს* **გამოფენაზე** მიდიან.

_____

3. ჩემი და *კვირას* **კონცერტზე** მიდის.

_____

4. ჩემი ბიძაშვილი *შაბათს* **სპექტაკლზე** მიდის.

_____

5. *ორშაბათს* ჩემი ძმა **ლექციებზე** მიდის.

_____

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ნიკა **სტადიონზე** მიდის?
- დიახ, ნიკა **სტადიონზე** მიდის.

1. მარიამი გამოფენაზე მიდის?

_____

2. მამა ბაზრობაზე მიდის?

_____

3. პაატა გაკვეთილზე მიდის?

_____

4. კახა შეხვედრაზე მიდის?

_____

5. მეგი ლექციაზე მიდის?

_____

6. ქეთი ზღვაზე მიდის?

_____

შეადარე:

მამა **სამუშაოზე** მიდის

მაგრამ:

მამა **სამსახურში** მიდის

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- სად იყო გუშინ გიორგი, **კონცერტზე**?
- დიახ, კონცერტზე იყო.

1. სად იყო გუშინწინ მარინე, **გამოფენაზე**?

   _____

2. სად იყო შარშან კოტე, **ზღვაზე**?

   _____

3. სად იყო დილით გელა, **ლექციაზე**?

   _____

4. სად იყვნენ ორშაბათს მზია და პაატა, **ექსკურსიაზე**?

   _____

5. სად იყვნენ სამშაბათს ნატა და ელისო, **სტადიონზე**?

   _____

გ) დრო.

სახელის ფუძე + -ზე = დრო

მიდის	გაზაფხულ-**ზე**
წავა	შემოდგომა-**ზე**
დაიწყება	ორ საათ-**ზე**
დამთავრდება	სამ საათ-**ზე**
	17 საათ-**ზე**
	18 საათსა და 15 წუთ-**ზე**
	7 საათსა და ოც წუთ-**ზე**

- **დავალება.**
- **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერეთ კვირის რომელიმე დღე**

1. სერგო სტადიონზე ..... იყო.
2. ანა ..... კონცერტზე მიდის.
3. ..... ნანა ბიბლიოთეკაში იყო.
4. ..... გივი სოფელში წავიდა.
5. ..... კახა გამოფენაზე მიდის.
6. დათო ..... არ მიდის ლექციაზე.
7. მეგი სკოლაში ..... არ იყო.

- **-ზე** გამოიყენება *სწავლისას* ამა თუ იმ კურსის აღსანიშნავად:

სწავლობს	პირველ მეორე მესამე მეოთხე მეხუთე მეექვსე	**კურს-ზე**

- **-ზე** გამოიყენება, როცა *ვინმეს/რამის* მიმართ არის დამოკიდებულება გამოხატული, *ვინმეს/რამის* **შესახებ** არის ლაპარაკი/მსჯელობა:

	კაც-**ზე** = კაცის **შესახებ**
	ქალ-**ზე** = ქალის **შესახებ**
ლაპარაკობს	ბავშვ-**ზე** = ბავშვის **შესახებ**
მსჯელობს	ასაკ-**ზე** = ასაკის **შესახებ**
ფიქრობს	წარსულ-**ზე** = წარსულის **შესახებ**
ლაპარაკი	ცხოვრება-**ზე** = ცხოვრების **შესახებ**
ფიქრი	მომავალ-**ზე** = მომავლის **შესახებ**
მსჯელობა	ლიტერატურა-**ზე** = ლიტერატურის **შესახებ**
	მუსიკა-**ზე** = მუსიკის **შესახებ**

- **მიცემითი** + **ზე** ყალიბით გამოიხატება **შედარება:**

	ნიკა**ზე** მაღალი?
	გიგა**ზე** დაბალი?
	ნანა**ზე** ლამაზი?
	ვანო**ზე** ღონიერი?
ვინ არის	ქარ**ზე** სწრაფი?
	დედა**ზე** ძვირფასი?
	მეგობარ**ზე** ერთგული?
	ამა**ზე** დიდი?
	ყველა**ზე** ნიჭიერი?

- ეს ყალიბი გამოიყენება ასევე **მათემატიკური ოპერაციის,** კერძოდ, **მეტობა-ნაკლებობის** დაფიქსირებისას:

5 > 3 - ხუთი **მეტია** სამზე: ეს ნიშნავს, რომ ხუთი უფრო დიდი რაოდენობაა, ვიდრე სამი.

8 < 11 - რვა **ნაკლებია** თერთმეტზე: ეს ნიშნავს, რომ თერთმეტი უფრო დიდი რაოდენობაა, ვიდრე რვა.

- **დავიმახსოვროთ!**

თუ სახელის ფუძე **ზ**-ზე ბოლოვდება, **-ზე** თანდებულის დართვისას ორი **ზ** მოიყრის თავს:

თევ**ზ**-ი:	ამ თევ**ზზ**ე არაფერი გამიგია
გა**ზ**-ი:	ჩაიდანი გა**ზზ**ე დგას
ვა**ზ**-ი:	ეს ლექსი ვა**ზზ**ე, ვაზის სიყვარულზეა...

მიცემითი ბრუნვის ფორმას შეიძლება დაერთოს -ში; ამ შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის ნიშანი (**-ს**) არ ჩანს და ფაქტობრივად გვაქვს ასეთი სტრუქტურა: **<u>სახელის ფუძე + -ში.</u>**

ამით გამოიხატება:

ა) ადგილი:

რაღაცის / ვიღაცის **შიგნით** ყოფნა:

არის	მაცივარ-**ში** უჯრა-**ში** ტყე-**ში** ოთახ-**ში** გულ-**ში** ჭიქა-**ში** ქალ-**ში** კაც-**ში** ადამიან-**ში**...

არის	უნივერსიტეტ-**ში** სკოლა-**ში** ბიბლიოთეკა-**ში** კინოთეატრ-**ში**

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- ნანამ წიგნები **ჩანთაში** ჩაალაგა?
- დიახ. / დიახ, ნანამ წიგნები **ჩანთაში** ჩაალაგა.

1. მამამ მანქანა **გარაჟში** დააყენა?

   _____

2. დედამ კაბა **გარდერობში** შეინახა?

   _____

3. ბებიამ კარაქი **მაცივარში** ჩადო?

   _____

4. ნოდარმა ფანქარი **უჯრაში** ჩადო?

_____

5. ბაბუამ წყალი **ჭიქაში** ჩაასხა?

_____

	ნინოწმინდა-**ში**
	წალკა-**ში**
	მარნეულ-**ში**
არის	ბოლნის-**ში**
იყო	ბათუმ-**ში**
იქნება	გორ-**ში**
ცხოვრობს	ჩიკაგო-**ში**
	მადრიდ-**ში**
	ბერლინ-**ში**
	გერმანია-**ში**
	ამერიკა-**ში**
	ავსტრია-**ში**...

შეადარე:

ბ) მიმართულება:

მიდის უნივერსიტეტ-**ში**	= მიდის უნივერსიტეტის-**კენ**
მიდის სახლ-**ში**	= მიდის სახლის-**კენ**
მიდის სამსახურ-**ში**	= მიდის სამსახურის-**კენ**
მიდის სკოლა-**ში**	= მიდის სკოლის-**კენ**
მიდის ქუთაის-**ში**	= მიდის ქუთაისის-**კენ**
მიდის ლონდონ-**ში**	= მიდის ლონდონის-**კენ**

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ნიკა **სკოლაში** მიდის?
- დიახ, ნიკა **სკოლაში** მიდის.

1. ბავშვები **კინოთეატრში** მიდიან?

_____

2. მამუკა **ბიბლიოთეკაში** მიდის?

_____

3. მზია **პოლიკლინიკაში** მიდის?

_____

4. ნათია **ცირკში** მიდის?

_____

5. დათო **მაღაზიაში** მიდის?

_____

6. გურამი **ქუთაისში** მიდის?

_____

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ხვალ შალვა მიდის **ახალქალაქში.**
- კახა სად მიდის? (ბოლნისი).
- კახა მიდის **ბოლნისში.**

1. ზეგ მარიამი მიდის **ლონდონში.**
   ნატა სად მიდის? (პარიზი).

_____

2. დღეს რეზო მიდის **უნივერსიტეტში.**
   მურადი სად მიდის? (ბიბლიოთეკა).

_____

3. საღამოს გოჩა მიდის **კინოში.**
   გიგა სად მიდის? (თეატრი).

_____

4. დილით კესო მიდის **სკოლაში.**
   ნათია სად მიდის? (ბაღი)

_____

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ბავშვები *შაბათს* **კინოთეატრში** მიდიან.
- როდის? *შაბათს?*
- დიახ, *შაბათს.*

1. მამაჩემი *ორშაბათს* **სამსახურში** მიდის.

_____

2. ჩემი მშობლები *სამშაბათს* **სოფელში** მიდიან.

_____

3. ჩემი და *კვირას* **ცირკში** მიდის.

_____

4. ჩემი ბიძაშვილი *ოთხშაბათს* **სკოლაში** მიდის.

_____

5. *ორშაბათს* ჩემი ძმა **უნივერსიტეტში** მიდის.

_____

- *ანდაზა:* **ლხინში** ნაბიჯით წადი, **ჭირში** - სირბილით

- **-ში** გამოიყენება ამა თუ იმ კლასის აღნიშვნისას:

	პირველ მეორე მესამე მეოთხე მეხუთე მეექვსე	
სწავლობს	მეშვიდე	კლას-**ში**
	მერვე მეცხრე მეათე მეთერთმეტე მეთორმეტე	

- აღინიშნება **დროის** გარკვეული პერიოდი:

ეს მოხდა მის	ბავშვობა-**ში** ახალგაზრდობა-**ში** სიბერე-**ში**

შვებულებას აიღებს ეს მოხდა ეს მოხდება წავა	 ზამთარ-**ში** ზაფხულ-**ში**

შვებულებას აიღებს ეს მოხდა / მოხდება წავა/ჩამოვა ამას გააკეთებს	აპრილ-**ში** მარტ-**ში** იანვარ-**ში** სექტემბერ-**ში** მარტ-**ში**... თებერვალ-**ში** ნოემბერ-**ში** დეკემბერ-**ში** ივნის-**ში** ივლის-**ში** აგვისტო-**ში** ოქტომბერ-**ში**

- ***ანდაზა:*** იანვრის ქურდი **მარტში** გამოჩნდებაო.

ის იდგა	ქარ-**ში**	= ქარის დროს
	წვიმა-**ში**	= წვიმის დროს
	თოვა-**ში**	= თოვის დროს
	გრიგალ-**ში**	= გრიგალის დროს
	სეტყვა-**ში**	= სეტყვის დროს

- ***ანდაზა:*** იმერელმა ნემსი იყიდა და **ქარში** ეფარებოდა, ქარი შუაზე გამიყოსო.

მოვა დამთავრდება დაიწყება ჩამოვა	ხუთ წუთ-**ში** ათ წუთ-**ში** ორ საათ-**ში** სამ საათ-**ში**...

- გამოხატავს შინაარსს **„შორის“** - ამ დროს საჭიროა *მრავლობითი* რიცხვის ფორმა:

ქალ-**ებ-ში**	=	ქალებ**ს შორის**
კაც-**ებ-ში**	=	კაცებ**ს** შორის
ბავშვ-**ებ-ში**	=	ბავშვებ**ს შორის**
ფრინველ-**ებ-ში**	=	ფრინველებ**ს შორის**
ცხოველ-**ებ-ში**	=	ცხოველებ**ს შორის...**

დავიმახსოვროთ!

თუ სახელის ფუძე **შ**-ზე ბოლოვდება, **-ში** თანდებულის დართვისას ორი **შ** მოიყრის თავს:

ბალი**შ**-ი: ბავშვმა ბალი**ششი** თავი ჩაყო,

კალო**შ**-ი: ბებიამ კალო**ششი** ათი ლარი გადაიხადა,

ქიშმი**შ**-ი: დედამ ერთ კილო ქიშმი**ششი** ოცი ლარი მისცა...

➢ **დავალება.**

- **დაასრულეთ სიტყვები სათანადო თანდებულების საშუალებით:**

ზაფხულ... სოფელ... მივდივარ.
ჩემი მეგობარი აღმაშენებლის ქუჩა... ცხოვრობს.
ზამთარ... ბევრი თოვლი მოვიდა.
სახლ... მეგობარ... ერთად მოვედი.
შემოდგომა... იწყება რთველი, იღებენ მოსავალს.
ქალაქ... ბევრი მრავალსართულიანი კორპუსი დგას.
ყველაფერი დღესა... ნათელია.
გაზაფხულ... ბუნება იღვიძებს.

-თან ელემენტი **თანხმოვანფუძიანი** სახელის **ფუძეს** პირდაპირ დაერთვის,
ხმოვანფუძიან სახელთან -
ბრუნვის ნიშნის შემდეგაა წარმოდგენილი:

მიცემითი ბრ.-ის ფუძე + -თან:

სახლ-**თან**
ბაღ-**თან**
ბავშვ-**თან**...

ბარათ-**თან**
ბურთ-**თან**...

მაგრამ:

მიცემითი ბრ. + -თან:

დედა-**ს-თან**
ძმა-**ს-თან**
და-**ს-თან**
ეზო-**ს-თან**
ბიძა-**ს-თან...**

-**თან** ელემენტიანი სიტყვა აღნიშნავს:

ა) **ადგილს, საგანთან სიახლოვეს, ახლოს, გვერდით ყოფნას** (**ადგილი,** ჩვეულებრივ, **უსულო საგნის შემთხვევაში** გამოხატება):

	სახლ**თან**
	სკოლას**თან**
	ხეს**თან**
	გზას**თან**
არის	უნივერსიტეტ**თან**
დგას	სტადიონ**თან**
ზის	ბიბლიოთეკას**თან**
	მანქანას**თან**
	მაცივარ**თან**
	მაგიდას**თან**

- ***ანდაზა:*** ყველა ძაღლი თავის **კართან** მამაცია.

ბ) **მიმართულებას**

სკოლას-**თან** მიდის = მიდის **იქ / იქით,** სადაც არის სკოლა.
სახლ-**თან** მიდის = მიდის **იქ / იქით,** სადაც არის სახლი.
ზღვას-**თან** მიდის = მიდის **იქ / იქით,** სადაც არის ზღვა.

გ) **თანაობას** - ამ შემთხვევაში სახელით, ჩვეულებრივ, **სულიერი საგანი** გამოიხატება.

	დედას**თან**
ვარჯიშობს	მამასთ**ან**
არის	ძმას**თან**
დგას	დას**თან**
ზის	მეგობარ**თან**
თამაშობს	ამხანაგ**თან**
	მეზობელ**თან**

ამ დროს **თანაობის** გასაძლიერებლად ჩვეულებრივ სიტყვა „**ერთად**“ ემატება:

	დედას**თან ერთად**
ვარჯიშობს	მამას**თან ერთად**
არის	ძმას**თან ერთად**
დგას	დას**თან ერთად**
ზის	მეგობარ**თან ერთად**
თამაშობს	ამხანაგ**თან ერთად**
	მეზობელ**თან ერთად**

- **დავიმახსოვროთ!**

თუ სახელის ფუძე **თ**-ზე ბოლოვდება, **-თან** თანდებულის დართვისას ორი **თ** გვექნება:

ბურ**თ**-ი:	ბურ**თთ**ან მესი მივიდა
თი**თ**-ი:	ნიკას ნეკა თი**თთ**ან პატარა ჭრილობა აქვს
ბარა**თ**-ი:	პასპორტი საკრედიტო ბარა**თთ**ან დადო...

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი. ხაზი გაუსვით მიცემითი ბრუნვის ფორმებს: ერთი ხაზი - უთანდებულოებს, ორი - თანდებულიანებს.**

კრება სტადიონზე

ვარლამი ჯართით მიადგა სტადიონ „დინამოს“ ნაჭედ ჭიშკარს.

მის წინ გმირული გარეგნობის სამხედრო აღიმართა, რომელმაც თავში უთაქა და ფეხები ააბაკუნა. ვარლამმა ჯართი მიატოვა, თავს უშველა და ორმოცდაათი მეტრის მერე მოიხედა. სამხედრო ზურგით იდგა, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ვარლამი უყურებდა და ისევ დაააბაკუნა ფეხები უკანმოუხედავად.

ვარლამი თოხარიკით მოშორდა იქაურობას.

კიროვის ქუჩაზე იყო, როცა სტადიონიდან გრძელი „ვაშაა“ მოესმა.

ვარლამმა ვერ გაუძლო ამ ცდუნებას და ეზო-ეზო ისევ სტადიონს მიადგა. მონახა ხვრელი, გაძვრა და იქვე, უსაშველო ზომის მყრალ ბალახში დაიმალა.

საკვირველი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ჯერ ერთი – პროუექტორი ენთო. სარბენ ბილიკზე სამხედრო საბარგო მანქანა იდგა. მოსწავლე შლანგით ასხამდა წყალს 360 ლიტრიან ცისტერნაში, მეორე მასში დაფშვნილ აყალო მიწას ყრიდა და ღომის სუთივით ურევდა სარს – თხელ ტალახს ამზადებდა.

– ჩააფურთხე! ჩააფურთხე! – მოუწოდებდა სადა შავ კოსტუმში ჩაცმული ქალი, რომელიც ტრიბუნის სკამზე იდგა. გულზე გლოვის ნიშნად შავ ბაფთებში ჩასმული ორი ახალგაზრდა კაცის ფოტო ეკეთა.

– დაე, ფაშისტმა გარეწრებმა მიიღონ ის, რაც დაიმსახურეს! – მიმართა ქალმა უფროსკლასელებს, რომლებსაც ხელში ვედროები ეჭირათ. მათ შორის იდგნენ ფეზუია, სლიპუა და შედანია – ხულიგნები, ვარლამს სამაკატკა რომ წაართვეს.

– დღეს თქვენ ისტორიამ დაგაკისრათ თავსლაფი ასხათ... – ქალი უცებ მოტრიალდა ვარლამისკენ და ისტერიულად აყვირდა:

– ვიღაცა მიყურებს! ვიღაცა მიყურებს, ქურდულად! მზაკვრულად! მტრულად!

ვარლამი მოსწყდა ადგილს და თავქუდმოგლეჯილი ბაზრისკენ დაეშვა.

რეზო გაბრიაძე, „ქუთაისი ქალაქია“ (ფრაგმენტი)

3.3.4. ნათესაობითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები.

ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა **კუთვნილების** გამოხატვა:

ძმ-**ის** მანქანა
კაც-**ის** ძალა
ქალ-**ის** სილამაზე...

- ***ვისია*** ეს წიგნი? - ეს არის ჩემი	ამხანაგ-**ის** შვილ-**ის** შვილიშვილ-**ის** ბიძაშვილ-**ის**	წიგნი

ანუ:

ეს ჩემი	ამხანაგ-**ის** შვილ-**ის** შვილიშვილ-**ის** ბიძაშვილ-**ის**	წიგნია

- ***რისია*** ეს ფეხი? - ეს არის	საწოლ-**ის** სკამ-**ის**	ფეხი

ანუ:

ეს	საწოლ-**ის** სკამ-**ის**	ფეხია

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი**</u>

- *ვისია* ეს რვეული? ეს **ამხანაგის** რვეულია?
- დიახ, ეს **ამხანაგის** რვეულია.

1. *ვისია* ეს ლექსიკონი? ეს **გიორგის** ლექსიკონია?

---

2. *ვისია* ეს წიგნი? ეს **ვახტანგის** წიგნია?

---

3. *ვისია* ეს მაგიდა? ეს **ბავშვის** მაგიდაა?

---

4. *ვისია* ეს ფანქარი? ეს **ამხანაგის** ფანქარია?

---

5. *ვისია* ეს ჭიქა? ეს **თამარის** ჭიქაა?

---

6. *ვისია* ეს ძაღლი? ეს **ბიძაშვილის** ძაღლია?

- გამოხატება **მასალა:**

ტყავ-**ის** ჩანთა = ჩანთა ტყავ**ის**აა
ვერცხლ-**ის** მედალი = მედალი ვერცხლ**ის**აა
რკინ-**ის** საწოლი = საწოლი რკინ**ის**აა
აგურ-**ის** სახლი = სახლი აგურ**ის**აა...

- **დააკვირდით:**

ეს შარვალი ***გიორგ-ისი-ა*** = ეს ***გიორგ-ის*** შარვალია.
ეს ფანქარი ***ვახტანგ-ისი-ა*** = ეს ***ვახტანგ-ის*** ფანქარია.

ეს სათვალე ***ელენე-სი-ა*** = ეს ***ელენე-ს*** სათვალეა.
ეს თეფში ***ირინე-სი-ა*** = ეს ***ირინეს*** თეფშია.

ეს კოვზი ***დოდო-სი-ა*** = ეს ***დოდო-ს*** კოვზია.
ეს საწოლი ***დათოსია*** = ეს ***დათო-ს*** საწოლია.

ეს საყურე ***ოქრო-სი-ა*** = ეს ***ოქრო-ს*** საყურეა.
ეს მედალი ***ბრინჯაო-სი-ა*** = ეს ***ბრინჯაო-ს*** მედალია.

ეს კაბა ***ნუნუ-სი-ა*** = ეს ***ნუნუ-ს*** კაბაა.
ეს წყალი ***რუ-სი-ა*** = ეს ***რუ-ს*** წყალია.

ეს წიგნი ***ნანა-სი-ა*** = ეს ***ნანა-ს*** წიგნია.
ეს გაზეთი ***კახა-სი-ა*** = ეს ***კახა-ს*** გაზეთია.

მაგრამ:

ეს ბეჭედი ***ვერცხლ-ისა-ა*** = ეს ***ვერცხლ-ის*** ბეჭედია.
ეს ფარდა ***ატლას-ისა-ა*** = ეს ***ატლას-ის*** ფარდაა.

➢ **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი 1.**</u>
- ეს **ნანას** წიგნია (= ეს წიგნი **ნანასია).** რვეული?
- რვეულიც **ნანასია.**

<u>**მოდელი 2.**</u>
- ეს **ვაშლის** წვენია (= ეს წვენი **ვაშლისაა).** კომპოტი?
- კომპოტიც **ვაშლისაა.**

<u>**მოდელი 1.**</u>

1. ეს **პეტრეს** ჟურნალია (= ეს ჟურნალი **პეტრესია).** გაზეთი?

---

2. ეს **სანდროს** პალტოა (= ეს პალტო **სანდროსია).** ქუდი?

---

3. ეს **გიორგის** ქოლგაა (= ეს ქოლგა **გიორგისია).** ჩანთა?

---

4. ეს **ლევანის** კალამია (= ეს კალამი **ლევანისია).** სათვალე?

---

5. ეს **პავლეს** მანქანაა (= ეს მანქანა **პავლესია).** ველოსიპედი?

---

6. ეს **ნანას** კომპიუტერია (= ეს კომპიუტერი **ნანასია).** ტელეფონი?

<u>**მოდელი 2.**</u>

1. ეს **ტყავის** ჩანთაა (= ეს ჩანთა **ტყავისაა).** ბურთი?

---

2. ეს **რკინის** კარია (= ეს კარი **რკინისაა).** საწოლი?

---

3. ეს **ვერცხლის** ბეჭედია (= ეს ბეჭედი **ვერცხლისაა).** საყურე?

---

4. ეს **ოქროს** საათია (= ეს საათი **ოქროსია).** სამაჯური?

---

5. ეს **ფაიფურის** თეფშია (= ეს თეფში **ფაიფურისაა).** ფინჯანი?

---

6. ეს **შალის** პერანგია (= ეს პერანგი **შალისაა).** შარვალი?

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი 1.**</u>

- ეს მანქანა **დათოსია** *თუ* **გიასი?**

- ეს მანქანა **დათოსია** (= ეს **დათოს** მანქანაა) / ეს მანქანა **გისია** (= ეს **გიას** მანქანაა).

<u>**მოდელი 2.**</u>

- ეს ბეჭედი **ოქროსია** თუ **ვერცხლის?**

- ეს ბეჭედი **ოქროსია** (= ეს **ოქროს** ბეჭედია) / ეს ბეჭედი **ვერცხლისაა** (= ეს **ვერცხლის** ბეჭედია).

<u>**მოდელი 1.**</u>

1. ეს ჩანთა **ლიასია** თუ **ნინოსი?**

---

2. ეს სათვალე **მაიასია** თუ **მარიამის?**

---

3. ეს ნახატი **ილიასია** თუ **დათოსი?**

---

4. ეს ბავშვი **შოთასია** თუ **კოტესი?**

---

5. ეს სკამი **ლევანისია** თუ **დიტოსი?**

---

6. ეს ტელევიზორი **ნანასია** თუ **შალვასი?**

<u>**მოდელი 2.**</u>

1. ეს საწოლი **რკინისაა** თუ **ხის?**

---

2. ეს სარკე **მანქანისაა** თუ **ველოსიპედის?**

---

3. ეს ქანდაკება **მარმარილოსია** თუ **ქვის?**

---

4. ეს მედალი **ვერცხლისაა** თუ **ბრინჯაოსი?**

---

5. ეს ფარდა **შალისაა** თუ **ატლასის?**

---

6. ეს სახლი **ქვისაა** თუ **აგურის?**

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- ეს **ამხანაგის** წიგნია?
- დიახ, ეს **მისი** წიგნია.

1. ეს **მოსწავლის** რვეულია?

---

2. ეს **მხატვრის** ფანქარია?

---

3. ეს **მასწავლებლის** სახაზავია?

---

4. ეს **მწერლის** კალამია?

---

5. ეს **სპორტსმენის** ჩანთაა?

---

6. ეს **ბავშვის** კოვზია?

- ეს წიგნი შენი | ჩემი **ამხანაგისაა?** / - ეს შენი |ჩემი **ამხანაგის** წიგნია?
- დიახ, ეს წიგნი შენი |ჩემი **ამხანაგისაა** / - დიახ, ეს შენი | ჩემი **ამხანაგის** წიგნია.

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი**</u>

- ეს რვეული *შენი* **დეიდაშვილისაა?** (ეს *შენი* **დეიდაშვილის** რვეულია?)
- დიახ, ეს რვეული *ჩემი* **დეიდაშვილისაა** (დიახ, ეს *ჩემი* **დეიდაშვილის** რვეულია).

1. ეს ბურთი შენი **მამიდაშვილისაა?**

---

2. ეს ფოტოაპარატი შენი **ნათესავისაა?**

---

3. ეს ველოსიპედი შენი **ნაცნობისაა?**

---

4. ეს მანქანა შენი **შვილისაა?**

---

5. ეს პიანინო შენი **დისშვილისაა?**

---

6. ეს ნავი შენი **ძმისშვილისაა?**

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ეს **მეგობრის** პალტოა?
- დიახ, ეს *მისი* პალტოა.

1. ეს **მოსწავლის** ჩანთაა?

---

2. ეს **ქალის** სავარცხელია?

---

3. ეს **მეგობრის** კალამია?

---

4. ეს **ამხანაგის** წიგნია?

5. ეს **მასწავლებლის** სათვალეა?

6. ეს **მზარეულის** დანაა?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- ეს წიგნი *შენი* **მეგობრისაა?** (ეს *შენი* **მეგობრის** წიგნია?)
- დიახ, ეს წიგნი *ჩემი* **მეგობრისაა** (დიახ, ეს *ჩემი* **მეგობრის** წიგნია).

1. ეს სურათი *შენი* **ამხანაგისაა?**

2. ეს ტელეფონი *შენი* **ძმისაა?**

3. ეს ველოსიპედი *შენი* **მეზობლისაა?**

4. ეს მანქანა *შენი* **ნაცნობისაა?**

5. ეს ყავა *შენი* **სტუმრისაა?**

6. ეს ჩანგალი *შენი* **ბავშვისაა?**

- **კუთვნილების** გამოხატვა მრავლობითობის ძველი ყალიბით.

თანამედროვე ქართულში მრავლობითი რიცხვის ძირითადი და გავრცელებული მაწარმოებელია **-ებ.** თუმცა ზოგ შემთხვევაში **-ებ**-იან მრავლობითთან შედარებით უპირატესობა ენიჭება **თანიან** მრავლობითს, - განსაკუთრებით ეს ხდება ამგვარ მყარ გამოთქმებში:

საბჭოთა კავშირი	=	საბჭოებ**ის** კავშირი
პატრიოტთა ბანაკი	=	პატრიოტებ**ის** ბანაკი
ვეტერანთა საბჭო	=	ვეტერანებ**ის** საბჭო
სტუდენტთა კავშირი	=	სტუდენტებ**ის** კავშირი
მწერალთა კავშირი	=	მწერლებ**ის** კავშირი
ქალთა ასოციაცია	=	ქალებ**ის** ასოციაცია
ტყვეთა ბანაკი	=	ტყვეებ**ის** ბანაკი
ბავშვთა სახლი	=	ბავშვებ**ის** სახლი
მოხუცთა თავშესაფარი	=	მოხუცებ**ის** თავშესაფარი...

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმით აღინიშნება **ასაკი:**

- მე ვარ 20 (ოცი) **წლ-ის.**
- ჩემი ძმა 17 (ჩვიდმეტი **წლ-ისა-ა**).

- რამდენი **წლის** ხარ?
- თვრამეტის / თვრამეტი **წლის** / თვრამეტი **წლის** ვარ. შენ?
- მე ცხრამეტის / ცხრამეტი **წლის** ვარ.

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- გიორგი 22 (ოცდაორი) **წლისაა** თუ 23 (ოცდასამი) **წლის? / ოცდასამის?**
- არა, გიორგი უკვე 24 (ოცდაოთხი) **წლისაა (ოცდაოთხისაა).**

1. შენი და 16 (თექვსმეტი) **წლისაა** თუ 17 (ჩვიდმეტი) **წლის** / **ჩვიდმეტის?**

2. ნანა 7 (შვიდი) **წლისაა** თუ 8 (რვა) **წლის / რვის?**

---

3. სანდრო 10 (ათი) **წლისაა** თუ 11 (თერთმეტი) **წლის / თერთმეტის?**

---

4. გიორგის და 3 (სამი) **წლისაა** თუ ოთხი **წლის / ოთხის?**

---

5. ელენეს ბიძაშვილი 6 (ექვსი) **წლისაა** თუ 7 (შვიდი) **წლის / შვიდის?**

---

6. ლევანის ძმა 30 (ოცდაათი) **წლისაა** თუ 31 (ოცდათერთმეტი) **წლის / ოცდათერთმეტის?**

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- რამდენი **წლისაა** კახა?
- კახა არის 12 (თორმეტი) **წლის.**

1. რამდენი **წლისაა** შენი და? - ჩემი და არის 2 (ორი) .....

---

2. რამდენი **წლისაა** ნანა?

---

3. რამდენი **წლისაა** გელა?

---

4. რამდენი **წლისაა** რეზო?

---

5. რამდენი **წლისაა** დედაშენი?

---

6. რამდენი **წლისაა** მამაშენი?

➢ **დავალება.**

- **წერტილების ნაცვლად ჩასვით სათანადო სიტყვები მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ლია ოცი **წლისაა**?
- არა, ის ოცდაერთი **წლისაა.**

1. ანა სამი **წლისაა?** - არა, ის .... 2. მზია ხუთი **წლისაა?** - არა, ის .... 3. გია რვა **წლისაა?** - არა, ის .... 4. შენი მეგობარი ..... **წლისაა?** - არა, ის .... შენი ძმა თერთმეტი **წლისაა?** - არა, ის .... 5. დათოს და თორმეტი **წლისაა?** - არა, დათოს და .... 6. ნანა 21 **წლისაა?** არა, ის ....

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ბებია 60 (სამოცი) **წლისაა?**
- დიახ, ბებია სამოცი **წლისაა.**

ბაბუა 67 (სამოცდაშვიდი) **წლისა**ა?

მამა 42 (ორმოცდაორი) **წლისა**ა?

დედა 40 (ორმოცი) **წლისა**ა?

უფროსი ძმა 15 (თხუთმეტი) **წლისა**ა?

საშუალო ძმა 13 (ცამეტი) **წლისა**ა?

და 10 (ათი) **წლისა**ა?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- ნინო თორმეტი **წლისაა.** ნანა რამდენი **წლისაა?**
- ნანაც თორმეტი **წლისაა.**

1. ვანო ოცი **წლისაა.** მისი მეგობარი რამდენი **წლისაა?**

---

2. მზია 12 **წლისაა.** მისი კლასელი რამდენი **წლისაა?**

---

3. დედა ოცდათხუთმეტი **წლისაა.** მამა რამდენი **წლისაა?**

---

4. ჩემი უფროსი და თვრამეტი **წლისაა,** შენი უფროსი და რამდენი **წლისაა?**

---

5. დათო თოთხმეტი **წლისაა.** გია რამდენი **წლისაა?**

---

6. კახა ორმოცდახუთი **წლისაა.** მერაბი რამდენი **წლისაა?**

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- მე მგონი, მარინე ჩვიდმეტი **წლისაა.**
- დიახ, ის ჩვიდმეტი **წლისაა.** (არა, ის თვრამეტი **წლისაა).**

1. მე მგონი, საბა თხუთმეტი **წლისაა.**

---

2. მე მგონი, ნიკა ოცი **წლისაა.**

---

3. მე მგონი, გოგა თოთხმეტი **წლისაა.**

---

4. მე მგონი, სერგო ოცდახუთი **წლისაა.**

---

5. მე მგონი, ლალი თერთმეტი **წლისაა.**

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება **დროის** აღნიშვნისას:

ხუთი	**წლ-ის**	წინ
ორი	**საუკუნ-ის**	შემდეგ
სამი	**დღ-ის**	მერე
შვიდი	**თვ-ის**	წინ
ათი	**დღ-ის**	წინ
ერთი	**კვირ-ის**	მერე
ორი	**საათ-ის**	წინ
ხუთი	**წუთ-ის**	შემდეგ
რამდენიმე	**წამ-ის**	შემდეგ

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმით აღინიშნება **საათის მაჩვენებელი,** - როცა წუთების მაჩვენებელი 1-დან 30-ის ჩათვლითაა:

ახლა **ხუთ-ის** ათი წუთია.
ახლა **შვიდ-ის** ოცი წუთია.
ახლა **ცხრ-ის** თორმეტი წუთია.
ახლა **თერთმეტ-ის** ოცდახუთი წუთია.

ახლა **სამ-ის** ნახევარია. *შდრ.:* ახლა **სამი** საათია.

- რომელი საათია?
- **ოთხის** ოცი წუთია.

- **დაწერეთ, რომელი საათია.**



პირველ საათზე სამი საათია, მეორეზე ...

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება **არითმეტიკული მოქმედებების** დროს:

5 + 6 = 11	ხუთს *მივუმატოთ* ექვსი *ტოლია* **თერთმეტის**
7 + 8 = 15	შვიდს *მივუმატოთ* რვა *ტოლია* **თხუთმეტის**
9 + 17 = 26	ცხრას *მივუმატოთ* ჩვიდმეტი *ტოლია* **ოცდაექვსის**
15 – 7 = 8	თხუთმეტს *გამოვაკლოთ* შვიდი *ტოლია* **რვის**
22 – 9 = 13	ოცდაორს *გამოვაკლოთ* ცხრა *ტოლია* **ცამეტის**
12 – 4 = 8	თორმეტს *გამოვაკლოთ* ოთხი *ტოლია* **რვის**
3 X 7 = 21	*სამჯერ* შვიდი *ტოლია* **ოცდაერთის**
9 X 8 = 72	*ცხრაჯერ* რვა *ტოლია* **სამოცდათორმეტის**
7 X 6 =42	*შვიდჯერ* ექვსი *ტოლია* **ორმოცდაორის**
15 : 3 = 5	თხუთმეტი *გავყოთ* სამზე **ტოლია ხუთის**
27 : 9 = 3	ოცდაშვიდი *გავყოთ* ცხრაზე *ტოლია* **სამის**
42 : 7 = 6	ორმოცდაორი *გავყოთ* შვიდზე *ტოლია* **ექვსის**

$5^2 = 25$ **ხუთის** *კვადრატი* უდრის ოცდახუთს.
$7^2 = 49$ **შვიდის** *კვადრატი* უდრის ორმოცდაცხრას.
$9^2 = 81$ **ცხრის** *კვადრატი* უდრის ოთხმოცდაერთს.

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება **მოქმედების სახელთან**:

ლალი საჭმელს აკეთებს	-	საჭმლ-**ის გაკეთება** (ლალ**ის მიერ**)
ლია ის სახლს ალაგებს	-	სახლ-**ის დალაგება** (ლია**ს მიერ**)
ვანო გაკვეთილებს ამზადებს	-	გაკვეთილებ-**ის მომზადება** (ვანო**ს მიერ**)
გიგა სურათს ხატავს	-	სურათ-**ის დახატვა** (გიგა**ს მიერ**)

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გამოყენებული სახელი **მოქმედების წყაროა:**

ქალ-ის გაკეთებული საჭმელი = საჭმელი გაკეთებულია ქალ**ის მიერ** - ე. ი. ქალმა გააკეთა საჭმელი

კაც-ის გაკეთებული საქმე = საქმე გაკეთებულია კაც**ის მიერ** - ე. ი. კაცმა გააკეთა საქმე

სტუდენტ-ის მომზადებული პრეზენტაცია = პრეზენტაცია მომზადებულია სტუდენტ**ის მიერ** - ე. ი. სტუდენტმა მოამზადა პრეზენტაცია

ბავშვ-ის დაწერილი წერილი = წერილი დაწერილია ბავშვ**ის მიერ** - ე. ი. ბავშვმა დაწერა წერილი

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება **მომავალში შესასრულებელი მოქმედების სახელთან.**

ამ შემთხვევაში მოქმედება **მომავალში უნდა შეასრულოს**
ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილმა სახელმა

კაც-ის გასაკეთებელი საქმე = კაცმა **უნდა** გააკეთოს საქმე
ბავშვ-ის წასაკითხი წიგნი = ბავშვმა **უნდა** წაიკითხოს წიგნი
მზარეულ-ის მოსამზადებელი სადილი = მზარეულმა **უნდა** მოამზადოს სადილი
მოსწავლ-ის დასაწერი დავალება = მოსწავლემ **უნდა** დაწეროს დავალება

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება რაიმეს **ღირებულების** აღნიშვნისას:

სამი **ლარ-ის** კარტოფილი
სამასი **ლარ-ის** პროდუქცია
ხუთი **ლარ-ის** ვაშლი...

- ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება **გუნება-განწყობის** გამომხატველ სიტყვებთან

ბავშვ-ს ეშინია	ძაღლ-**ის** კატ-**ის** ცხენ-**ის** მგლ-**ის** გველ-**ის**
მას რცხვენია	ცოლ-**ის** ქმრ-**ის** მეგობრ-**ის** მშობლებ-**ის** თავისი საქციელ-**ის**

დავიმახსოვროთ!

თუ სახელის ფუძის დაბოლებად **ია** გვაქვს, *ნათესაობითში* ორი **ი** მოიყრის თავს:

ბიოლოგ**ია**:	ბიოლოგ**ი**ის სპეციალისტი,
ქიმ**ია**:	ქიმ**ი**ის მასწავლებელი,
აკადემ**ია**:	აკადემ**ი**ის წევრი...

- **დანიშნულების გამოხატვა: ნათესაობითი ბრუნვა + -თვის**

ეს წიგნი/საჩუქარი... მინდა/ვიყიდე...

ძმ-**ის-თვის**
დ-**ის-თვის**
მეგობრ-**ის-თვის**
მეზობლ-**ის-თვის**
სტუმრ-**ის-თვის**
შენ-**თვის**
მის-**თვის**
თქვენ-**თვის**
ჩვენ-**თვის**
მათ-**თვის...**

- *ანდაზა:* **ზარმაცისათვის** ყოველი დღე უქმეა.

- ასევე **დანიშნულების** გამომხატველია **უთანდებულო** ნათესაობითი ამგვარ შესიტყვებებში:

ქორწინებ-ის	სახლი	=	სახლი ქორწინებ**ისთვის**
ღვინ-ის	სარდაფი	=	სარდაფი ღვინ**ისთვის**
ყველ-ის	ჭურჭელი	=	ჭურჭელი ყველ**ისთვის**
პურ-ის	მანქანა	=	მანქანა პურ**ისთვის**
წიგნებ-ის	საცავი	=	საცავი წიგნებ**ისთვის**
მანქან-ის	სადგომი	=	სადგომი მანქან**ისთვის**
მაწვნ-ის	ქილა	=	ქილა მაწვნ**ისთვის**
იარაღ-ის	საწყობი	=	საწყობი იარაღ**ისთვის**

- **ნათესაობითი ბრუნვა** + **თვის** კომბინაციამ შეიძლება გამოხატოს **მიზანი:**

მშობლები ყველაფერს აკეთებენ შვილების კეთილი **მომავლისთვის** / მომავლის გამო
იგი **სიყვარულისთვისაა** დაბადებული
მან ეს უნარი **სიკეთისთვის** გამოიყენა
ბიჭები **გამარჯვებისთვის** იბრძოლებენ
ეს არის უმარტივესი რეცეპტი **წარმატებისთვის...**

	დამოუკიდებლობ**ისთვის**
იბრძვის	თავისუფლებ**ისთვის**
ბრძოლა	ნათელი მომავლ**ისთვის**
	გამარჯვებ**ისთვის**
	წარმატებ**ისთვის**

- **ნათესაობითი ბრუნვა** + **თვის** კომბინაციამ შეიძლება გამოხატოს **მიზეზი:**

უხეშობისთვის / უხეშობის გამო ფეხბურთელი გააძევეს.
ხმაურისთვის / ხმაურის გამო ნიკა დააჯარიმეს
სიცილისთვის / სიცილის გამო სტუდენტმა შენიშვნა მიიღო
დაგვიანებისთვის / დაგვიანების გამო სტუდენტი გამოცდიდან მოხსნეს...

პასუხისმგებაში მისცეს ჩადენილი **დანაშაულისათვის** = პასუხისმგებაში მისცეს ჩადენილი **დანაშაულის გამო.**

გაკვეთილზე **ლაპარაკისთვის** დათომ შენიშვნა მიიღო = გაკვეთილზე **ლაპარაკის გამო** დათომ შენიშვნა მიიღო

- ***ანდაზა:*** ერთი **კაკლისთვის** ქვას არ ისვრიანო.

- ასევე **მიზეზს** გამოხატავს **ნათესაობითი ბრუნვა + გამო**

ტირილის გამო ნინოს თვალები დაუსივდა
ნერვიულობის გამო ვანოს ხმა უკანკალებს
ამ **ფაქტის გამო** ღონისძიება გადაიდო
საცობის გამო მამას სამსახურში დააგვიანდა

იტანჯება	სენ**ისგან** / სენ**ის** გამო
დაიტანჯა	დარდ**ისგან** / დარდ**ის** გამო
	ტკივილ**ისგან** / ტკივილ**ის** გამო

კანკალებს	მღელვარებ**ისგან** / მღელვარებ**ის** გამო
ცახცახებს	სიცივ**ისგან** / სიცივ**ის** გამო
თრთის	შიშ**ისგან** /შიშ**ის** გამო

სითბო**სგან** რკინა ფართოვდება = სითბო რკინას აფართოებს (რკინა ფართოვდება სითბო**ს გამო,** გაფართოების **მიზეზია** სითბო)

სიცივ**ისგან** სხეული იკუმშება = სიცივე სხეულს კუმშავს (სხეული იკუმშება სიცივ**ის გამო,** შეკუმშვის **მიზეზია** სიცივე)

ჭექა-ქუხილ**ისგან** დედამიწა ზანზარებს = ჭექა-ქუხილი დედამიწას აზანზარებს (დედამიწა ზანზარებს ჭექა-ქუხილ**ის გამო**)

- ნათესაობითი ბრუნვა + **თვის** კომბინაცია გამოიყენება **მადლობის გადახდისას** ან **ბოდიშის მოხდისას**

გმადლობთ / მადლობა	სიყვარულ-**ის-თვის** მოგონებებ-**ის-თვის** ზრუნვ-**ის-თვის** თანადგომ-**ის-თვის** მეგობრობ-**ის-თვის** სიურპრიზებ-**ის-თვის** ნდობ-**ის-თვის** პატივისცემ-**ის-თვის** სიკეთ-**ის-თვის** ღიმილ-**ის-თვის** ყურადღებ-**ის-თვის** ვარდებ-**ის-თვის** მესიჯ-**ის-თვის**
ბოდიში	შეწუხებ-**ის-თვის** ხმაურ-**ის-თვის** დაგვიანებ-**ის-თვის** დისკომფორტ-**ის-თვის** გაუგებრობ-**ის-თვის** აღელვებ-**ის-თვის**

- ნათესაობითი ბრუნვა + **თვის** კომბინაცია გამოიყენება **დროის აღნიშვნისას.**

7 საათის**თვის** = **დაახლოებით** 7 საათზე
12 საათის**თვის** = **დაახლოებით** 12 საათზე
11 საათის**თვის** = **დაახლოებით** 11 საათზე...

- ***ანდაზა:*** **სიკეთისათვის** სიკეთე ვის უქნია?

- **-გან** თანდებულიანი სიტყვა აღნიშნავს:

ა) მოქმედების **წყაროს**

მან ეს ამბავი გაიგო	მეგობრ-**ის-გან** = ეს ამბავი მას უთხრა **მეგობარმა** ძმ-**ის-გან** = ეს ამბავი მას უთხრა **ძმამ** დედ-**ის-გან** = ეს ამბავი მას უთხრა **დედამ** მამ-**ის-გან** = ეს ამბავი მას უთხრა **მამამ** დ-**ის-გან** = ეს ამბავი მას უთხრა **დამ**

ნანამ	საჩუქარი წერილი ფული	**მიიღო**	ძმ-**ის-გან** მამ-**ის-გან** დედ-**ის-გან**

- ***ანდამა:*** **ვირისგან** წიხლი რა საწყენია.

ნათესაობითი + გან = ნათესაობითი + მიერ:

ფუტკრ**ისგან** დაკბენილი = ფუტკრ**ის მიერ** დაკბენილი
ძაღლ**ისგან** შეშინებული = ძაღლ**ის მიერ** შეშინებული

ბ) დაშორებას, დაცილებას:

	მეგობრ-**ის-გან** დედ-**ის-გან**
ის მიდის	ძმ-**ის-გან**
ის მოდის	ცოლ-**ის-გან**
ის წავა	ქმრ-**ის-გან**
	დ-**ის-გან**
	მშობლებ-**ის-გან...**

გ) მასალას:

ამას ამზადებენ / აკეთებენ ეს მზადდება / კეთდება	თაფლ-**ის-გან** ბალახ-**ის-გან** ქაღალდ-**ის-გან** თიხ-**ის-გან** მცენარ-**ის-გან** პლასტმას-**ის-გან...**

კასრებს ცაცხვ**ისგან** *აკეთებენ* - ცაცხვ**ისგან** *გაკეთებული* კასრები - ცაცხვ**ისგან** კასრების *გაკეთება*
გალავანს *აკეთებენ* ქვ**ისგან** - ქვ**ისგან** *გაკეთებული* გალავანი - ქვ**ისგან** გალავნის *გაკეთება*

დ) თავის დაღწევას:

იკურნება განიკურნა განკურნება გამოჯანმრთელდა	ავადმყოფობ**ისგან** სენ**ისგან** ალკოჰოლიზმ**ისგან** ჰეპატიტ**ისგან** ...

ღმერთმა იხსნა /დაიფარა / დაიცვა	უბედურებ**ისგან** განსაცდელ**ისგან** გაჭირვებ**ისგან** ხიფათ**ისგან...**

დაზღვევა დაზღვეული	ავარი**ისგან** უბედურებ**ისგან** ავადმყოფობ**ისგან** სენ**ისგან...**

ეს ყალიბი გამოიყენება ასევე **განსხვავების** წარმოჩენისას:

განსხვავდება განსხვავებულია გარჩეულია	ქალი კაც-**ის-გან** = სხვადასხვაა ქალი და კაცი ბავშვი მოზრდილ-**ის-გან** = სხვადასხვაა ბავშვი და მოზრდილი ღვინო წყლ-**ის-გან** = სხვადასხვაა ღვინო და წყალი მართალი ტყუილ-**ის-გან** = სხვადასხვაა მართალი და ტყუილი დღე ღამ-**ის-გან** = სხვადასხვაა დღე და ღამე სინათლე სიბნელ-**ის-გან** = სხვადასხვაა სინათლე და სიბნელე

- **ნათესაობითი +კენ** აღნიშნავს **მიმართულებას:**

	სახლ-**ის-კენ**
	ქალაქ-**ის-კენ**
მიდის	სკოლ-**ის-კენ**
მიემართება	კაც-**ის-კენ**
მიაბიჯებს	ბავშვ-**ის-კენ**
	მანქან-**ის-კენ**
	ხ-**ის-კენ**

გზა ქალაქ**ისკენ** = ქალაქ**ისკენ** მიმავალი გზა = ქალაქის გზა
გზა სოფლ**ისკენ** = სოფლ**ისკენ** მიმავალი გზა = სოფლის გზა
გზა ტყ**ისკენ** = ტყ**ისკენ** მიმავალი გზა = ტყის გზა...

- **ნათესაობითი +გარდა** აღნიშნავს **გამორიცხვას:**

საჭმელ**ის** სასმელ**ის** ტანსაცმელ**ის** ფეხსაცმელ**ის** სურსათ**ის**	**გარდა**

➢ **დავალება.**

- **დაასრულეთ სიტყვები სათანადო თანდებულების საშუალებით:**

ეს საჩუქარი ჩემი ძმის... მინდა.
მდინარის სათავის... ავუყევით აღმართებს.
ოქროს... ბევრი სამკაული კეთდება.
წითელქუდა ტყის... წავიდა.
სამზარეულო... ლამაზი სკამები ვიყიდე.
ჩემი მეგობრის... ახალი ამბავი გავიგე.
დედამიწა მზის... ბევრ ენერგიას იღებს.

- ***ანდაზა:*** მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, ის კი მაინც **ტყისკენ** გარბოდაო.

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი. ამოწერეთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმები: გვერდით მიუწერეთ სახელობითი ბრუნვის ფორმები. იმსჯელეთ ამ ფორმების ფუნქციებზე.**

* * *

მამიდაჩემი ქართულის მასწავლებელია. იგი ყველაზე განათლებული და ლამაზი ქალია ჩვენს სოფელში. მამიდა, ბაბუაჩემის სკივრში რომ ხატი დევს, იმაზე გამოსახულ ღვთისმშობელს ჰგავს მარიამს, და ქეთევანი ჰქვია. ალბათ, ამიტომ ვერ გაუბედა ვერავინ, სიყვარული ეთქვა, და არის მამიდა გაუთხოვარი. მე ძალიან მიყვარს მამიდა და სულ მეშინია, არ გათხოვდეს. მამიდა გრძნობს ამას და, ალბათ, ამიტომ არ თხოვდება, თუ არა და, რა უშლის, აბა, ხელს?!

ვწევარ ჩემს საწოლზე გულაღმა, თვალგახელილი და მამიდას ჩურჩულით ვეკითხები:

_ მამიდა!

_ რა გინდა, ბიჭო?

_ გძინავს, მამიდა?...

_ თქვი, რა გინდა.

_ რა უნდა დათიკო ბრიგადირს, ყოველ საღამოს რომ დაიარება?

_ არ ვიცი, ბიჭო!

_ ნუ მოდის მაგი ჩვენთან!

_ ხომ არ გავაგდებ, ბიჭო?

_ არ ვიცი მე, ნუ მოდის... მოვა, დაჯდება, წყალი მომიტანე, ძაღლს გახედე, გადი გარეთ, იმას მიხედე, ამას მიხედე, კი ვიცი მე, მაგას რა უნდა!

მამიდა არაფერს ამბობს.

_ მამიდა, რამდენი წლის ხარ ახლა შენ? _ ვეკითხები დუმილის შემდეგ.

_ დაიძინე, ბიჭო!

_ მითხარი.

_ ოცდათხუთმეტის.

_ რატომ არ თხოვდები მერე?

მამიდა დუმს, მესმის მისი მშვიდი სუნთქვა და ველოდები, როდის გამცემს პასუხს. იგი ხმას არ მცემს.

_ ა, მამიდა?

_ დაიძინე, ბიჭო, ხვალ ადრე ხარ ასადგომი!

_ რატომ არ თხოვდები, მამიდა!

_ არავინ მთხოულობს, ბიჭო, არავის მოსწონს მამიდაშენი!

_ ტყუილია მაგი. შენ ქვეყანას მოსწონხარ, დათიკოსაც უყვარხარ.

_ მერედა, გემეტები მაგისთვის?

_ არა.

_ ჰოდა, დაიძინე ახლა!

მე ვიძინებ და მესიზმრება: მამიდაჩემი დგას სოფლის ეკლესიის წინ, თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი, თეთრი, მაღალი, ღვთისმშობელივით ლამაზი. მის წინ დამხობილია მთელი სოფლის კაცები, ვეხვეწები, ნუ გათხოვდები-მეთქი, და იგი არავის არ მიყვება, იხდის საქორწინო კაბას, მოდის ჩემთან, მკიდებს ხელს და ერთად მივდივართ შინ.

ნოდარ დუმბაძე „მე ვხედავ მზეს“ (ფრაგმენტი)

--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---

3.3.5. **მოქმედებითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები.**

მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა **მოქმედების იარაღის, ინსტრუმენტის** გამოხატვა.

მონადირემ ნადირი მოკლა	-	**თოფ-ით**
მეთევზემ თევზი დაიჭირა	-	**ანკეს-ით**
მკერავმა შარვალი შეკერა	-	**ნემს-ით**
დურგალმა ლურსმანი ჩააჭედა	-	**ჩაქუჩ-ით**
მამამ ბავშვი წაიყვანა	-	**მანქან-ით**
სტუმარმა საჭმელი ჭამა	-	**ჩანგლ-ით**
დედამ ჩაის მოურია	-	**კოვზ-ით**

ყველის დაჭრა - **დან-ით** - **დან-ით** დაჭრილი პური
ქუდის მოქსოვა - **ძაფ-ით** - **ძაფ-ით** მოქსოვილი ქუდი...

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ილია **ცარცით** წერს?
- დიახ, **ცარცით** წერს / დიახ, ილია **ცარცით** წერს.

1. ანა **კალმით** წერს?

   _____

2. ნიკა **ფანქრით** ხატავს?

   _____

3. მარინე **ჩანგლით** ჭამს?

   _____

4. საბა პურს **დანით** ჭრის?

   _____

- **მასალის** გამოხატვა:

ძაფ-ით ქსოვა
აგურ-ით აშენება
ქვ-ით მოპირკეთება

- მგზავრობისას, გადაადგილებისას *სატრანსპორტო საშუალების გამომხატველი სიტყვა* **მოქმედებითი ბრუნვაშია**:

	ავტობუს-**ით**
	გემ-**ით**
	მატარებლ-**ით**
	თვითმფრინავ-**ით**
დადის	მეტრო-**თი**
მგზავრობს	ტროლეიბუს-**ით**
	ტრამვა-**ით**
	ველოსიპედ-**ით**
	დირიჟაბლ-**ით**

- მოქმედებითი ბრუნვით გამოიხატება **თანაობა.**

სახელები მოქმედებითი ბრუნვაში გამოიყენება **თანაობის** აღსანიშნავადაც:

ცოლ-ით და **ბავშვებ-ით** მოვიდა.
ყვავილებ-ით იდგა ქუჩაში.
წიგნებ-ით დატვირთული იდგა...

აქედან გამომდინარე, მისი შინაარსი შეიძლება გადმოიცეს სხვა კომბინაციითაც:

მოქმედებითი ბრუნვა =
ნათესაობითი ბრუნვა + თან + ერთად:

ამის მაგალითია ეს **მენიუ:**

სალათა **არაჟნით** = სალათა არაჟანთან **ერთად**
სალათა **ხორცით** = სალათა ხორცთან **ერთად**
სალათა **თევზით** = სალათა თევზთან **ერთად**

ბუტერბროდი **ყველით** = ბუტერბროდი ყველთან **ერთად**
ბუტერბროდი **ძეხვით** = ბუტერბროდი ძეხვთან **ერთად**

სუპი **ხორცით** = სუპი ხორცთან **ერთად**
სუპი **არაჟნით** = სუპი არაჟანთან **ერთად**
სუპი **ბრინჯით** = სუპი ბრინჯთან **ერთად**
სუპი **მაკარონით** = სუპი მაკარონთან **ერთად**

ბორში **არაჟნით** = ბორში არაჟანთან **ერთად**

ხორცი **ბრინჯით** = ხორცი ბრინჯთან **ერთად**
ხორცი **კარტოფილით** = ხორცი კარტოფილთან **ერთად**

ფაფა **კარაქით** = ფაფა კარაქთან **ერთად**
ფაფა **რძით** = ფაფა რძესთან **ერთად**

ბლინი **ხაჭოთი** = ბლინი ხაჭოსთან **ერთად**
ბლინი **ჯემით** = ბლინი ჯემთან **ერთად**
ბლინი **ხორცით** = ბლინი ხორცთან **ერთად**

ჩაი **შაქრით** = ჩაი შაქართან **ერთად**
ჩაი **ლიმონით** = ჩაი ლიმონთან **ერთად**

ყავა **რძით** = ყავა რძესთან **ერთად**

ღვეზელი **ხორცით** = ღვეზელი ხორცთან **ერთად**
ღვეზელი **ბრინჯით** = ღვეზელი ბრინჯთან **ერთად**
ღვეზელი **კომბოსტოთი** = ღვეზელი კომბოსტოსთან **ერთად**

იგივე შინაარსი შეიძლება გადმოიცეს ასევე:

-იან ელემენტის საშუალებით:

სალათა **არაჟნით** = სალათა არაჟანთან **ერთად** = არაჟნ**იანი** სალათა
სალათა **ხორცით** = სალათა ხორცთან **ერთად** = ხორც**იანი** სალათა
სალათა **თევზით** = სალათა თევზთან **ერთად** = თევზ**იანი** სალათა

ბუტერბროდი **ყველით** = ბუტერბროდი ყველთან **ერთად** = ყველ**იანი** ბუტერბროდი
ბუტერბროდი **ძეხვით** = ბუტერბროდი ძეხვთან **ერთად** = ძეხვ**იანი** ბუტერბროდი

სუპი **ხორცით** = სუპი ხორცთან **ერთად** = ხორც**იანი** სუპი
სუპი **არაჟნით** = სუპი არაჟანთან **ერთად** = არაჟნ**იანი** სუპი
სუპი **ბრინჯით** = სუპი ბრინჯთან **ერთად** = ბრინჯ**იანი** სუპი
სუპი **მაკარონით** = სუპი მაკარონთან **ერთად** = მაკარონ**იანი** სუპი

ბორში **არაჟნით** = ბორში არაჟანთან **ერთად** = არაჟნ**იანი** ბორში

ხორცი **ბრინჯით** = ხორცი ბრინჯთან **ერთად** = ბრინჯ**იანი** ხორცი
ხორცი **კარტოფილით** = ხორცი კარტოფილთან **ერთად** = კარტოფილ**იანი** ხორცი

ფაფა **კარაქით** = ფაფა კარაქთან **ერთად** = კარაქ**იანი** ფაფა
ფაფა **რძით** = ფაფა რძესთან **ერთად** = რძ**იანი** ფაფა

ბლინი **ხაჭოთი** = ბლინი ხაჭოსთან **ერთად** = ხაჭო**იანი** ბლინი
ბლინი **ჯემით** = ბლინი ჯემთან **ერთად** = ჯემ**იანი** ბლინი
ბლინი **ხორცით** = ბლინი ხორცთან **ერთად** = ხორც**იანი** ბლინი

ჩაი **შაქრით** = ჩაი შაქართან **ერთად** = შაქრ**იანი** ჩაი
ჩაი **ლიმონით** = ჩაი ლიმონთან **ერთად** = ლიმონ**იანი** ჩაი

ყავა **რძით** = ყავა რძესთან **ერთად** = რძ**იანი** ყავა

ღვეზელი **ხორცით** = ღვეზელი ხორცთან **ერთად** = ხორც**იანი** ღვეზელი
ღვეზელი **ბრინჯით** = ღვეზელი ბრინჯთან **ერთად** = ბრინჯ**იანი** ღვეზელი
ღვეზელი **კომბოსტოთი** = ღვეზელი კომბოსტოსთან **ერთად** = კომბოსტო**იანი** ღვეზელი

> კიდევ ერთი ელემენტი - **ურთ**
> შეიძლება აღნიშნავდეს ანალოგიურ შინაარსს.

ქალი **ბავშვით** = ქალი ბავშვ**თან ერთად** = ბავშვ**იანი** ქალი = ქალი ბავშვ**ითურთ**
ბავშვი **ჩანთით** = ბავშვი ჩანთას**თან ერთად** = ჩანთ**იანი** ბავშვი = ბავშვი ჩანთ**ითურთ**

საერთოდ, **-ურთ** თანდებულიანი სიტყვა გამოხატავს **თანაობას:**

ის მოვიდა	ამხანაგ-**ით-ურთ**
	ბავშვ-**ით-ურთ**
	წიგნ-**ით-ურთ**
	რვეულ-**ით-ურთ**

-ურთ თანდებულიანი სიტყვა გადმოსცემს იმავე შინაარსს, რასაც: სიტყვის **ფუძე +-თან + ერთად**

ის მოვიდა	ამხანაგ-**ით-ურთ** = ამხანაგ**თან ერთად** ბავშვ-**ით-ურთ** = ბავშვ**თან ერთად** წიგნ-**ით-ურთ** = წიგნ**თან ერთად** რვეულ-**ით-ურთ** = რვეულ**თან ერთად**

ეს შინაარსი გადმოიცემა სხვა საშუალებითაც:

სიტყვის **ფუძე + -იან + -ად:**

ის მოვიდა	ამხანაგ-**ით-ურთ** = ამხანაგ**თან ერთად** = ამხანაგ-**იან-ად** ბავშვ-**ით-ურთ** = ბავშვ**თან ერთად** = ბავშვ-**იან-ად** წიგნ-**ით-ურთ** = წიგნ**თან ერთად** = წიგნ-**იან-ად** რვეულ-**ით-ურთ** = რვეულ**თან ერთად** = რვეულ-**იან-ად**

მოქმედებითი ბრუნვა გამოიყენება ასევე:

ა) რამის **გადაცემისას**

დააჯილდოვეს დაასაჩუქრეს	პრემი-**ით** = გადასცეს პრემია ფულ-**ით** = გადასცეს ფული პრიზ-**ით** = გადასცეს პრიზი მანქან-**ით** = გადასცეს მანქანა = აჩუქეს მანქანა

შეამკეს მორთეს	ყვავილებ-**ით** გვირგვინ-**ით**

ბ) რამის **დონის** აღნიშვნისას:

სავსეა	ღვინ-**ით** წყლ-**ით** სიკეთ-**ით** სიყვარულ-**ით**

გ) როდესაც ხდება აქცენტის გაკეთება რამე **თვისებაზე/ნიჭზე** ან **გარეგნობაზე:**

განთქმულია ცნობილია	გარეგნობ-**ით** სილამაზ-**ით** ვაჟკაცობ-**ით** კეთილშობილებ-**ით** ნიჭ-**ით** ოსტატობ-**ით** ცეკვ-**ით** სიმღერ-**ით** კერძებ-**ით**

დ) დაინტერესების, გატაცების გამოხატვისას:

დაინტერესებულია გატაცებულია	სპორტ-**ით** მუსიკ-**ით** ხელოვნებ-**ით** ისტორი-**ით**

მოქმედებითში დასმული სახელით ხდება:

ა) **დროის** აღნიშვნა:

დილ-ით ადრე დგება
ღამ-**ით** სძინავს
საღამო-**თი**

	(ერთი) საათ-**ით**
ის წავა	(სამი) წლ-**ით**
ის მიდის	(ერთი) კვირ-**ით**
ის წავიდა	(ორი) დღ-**ით**
	(ხუთი) წუთ-**ით**

ბ) **სხვაობის** აღნიშვნა *სხვადასხვა პარამეტრის* მიხედვით

	(სამი) წლ-**ით**
	(სამი) თვით-**ით**
დათო ნინოზე უფროსია / უმცროსია	(სამი) წლ-**ით**
	(ექვსი) თვ-**ით**
	(ხუთი) დღ-**ით**

დიდია	ხუთი მეტრ-**ით**
მეტია	სამი კილომეტრ-**ით**
გრძელია	ათი სანტიმეტრ-**ით**
მოკლეა	შვიდი მილიმეტრ-**ით**

	ოცი ტონ-**ით**
მეტია	ასი კილო-**თი**
მძიმეა	ათი კილო-**თი**
მსუბუქია	ორასი გრამ-**ით**
	შვიდი კილოგრამ-**ით**

	ორი ლიტრ-**ით**
მეტია	ორასი გრამ-**ით**
ნაკლებია	შვიდი მილილიტრ-**ით**
	თორმეტი მილიგრამ-**ით**

გ) გამოიხატება ისეთი მოქმედება, რომელიც **პერიოდულად მეორდება;** ამისთვის გამოიყენება ყალიბი: **ფუძე** + **-ობ** + **-ით:**

	ზაფხულ-**ობ-ით**
დადის	ზამთრ-**ობ-ით**
ჩამოდის	დილა-**ობ-ით**
ისვენებს	საღამო-**ობ-ით**
	ღამ-ღამ-**ობ-ით**

დ) ვითარების, როგორობის გამოხატვა:

	ჩანჩალ**ით**
მიდის	ჩქარი ნაბიჯებ**ით**
	ლასლას**ით**

	სიყვარულ**ით**
	მოწიწებ**ით**
უყურებს	კრძალვ**ით**
	შიშ**ით**
	რიდ**ით**

	სიცილ**ით**
	ღიმილ**ით**
ლაპარაკობს	გაბრაზებ**ით**
	ჩურჩულ**ით**
	ჩიფჩიფ**ით**

- ლევანმა სტუმარი **სიყვარულით** მიიღო.
- როგორ მიიღო?
- **სიყვარულით.**

- ამ დღეს ის **შიშით** ელოდა
- როგორ ელოდა?
- **შიშით.**

- ამ სიახლეს ყველა **სიხარულით** შეხვდა.
- როგორ შეხვდა?
- **სიხარულით.**

ე) **მიზეზის** აღნიშვნა:

დაიღალა	მუშაობ**ით** სიარულ**ით** მგზავრობ**ით** წანწალ**ით** თამაშ**ით**

შიშ-**ით** (=შიშისაგან = შიშის გამო) ლამის გათავდა.
სიხარულ-**ით** (=სიხარულისაგან = სიხარულის გამო) გადაირია.
დარდ-**ით** (=დარდისაგან = დარდის გამო) მოკვდა
შიმშილ-**ით** (= შიმშილისაგან = შიმშილის გამო) მოკვდა
ტკივილებ-**ით** (ტკივილებისგან = ტკივილის გამო) ძალიან შეწუხდა...

- *ანდაზა:* მგლის **შიშით** ცხვარი ვის გაუწყვეტიაო

ვ) *სპორტში* **ანგარიშის** დაფიქსირება:

ანგარიშია **ხუთით** ერთი...
„დინამომ“ მოიგო ანგარიშით **ორით** ერთი
ჩენი გუნდი იგებს ანგარიშით **სამით** ერთი...

„ბარსელონამ“ სამი **ქულით** მოიგო.
„დინამომ“ „სპარტაკი“ ორი **გოლით** დაამარცხა.

8) წარმოშობის/წარმომავლობის აღნიშვნა:

ჩემი მეგობარი არის	**მამით** სომეხი, **დედით** - ბერძენი **მამით** უკრაინელი, **დედით** - რუსი **დედით** ირლანდიელი, **მამით** - შოტლანდიელი **დედით** ქართველი, **მამით** - ოსი **დედით** აზერბაიჯანელი, **მამით** - ქართველი **მამით** სომეხი, **დედით** - რუსი.

მეზობელმა ეს ქონება **მემკვიდრეობით** მიიღო.

წარმომავლობის გამოსახატავად გამოიყენება ასევე **მოქმედებითი ბრ.+იდან/-დან:**

ჩემი მეგობარი არის	კახეთ-**იდან** ქართლ-**იდან** სამტრედი-**იდან** ქუთაის-**იდან** პოლონეთ-**იდან** ბელგი-**იდან** ტორონტო-**დან** ჩიკაგო-**დან**

რატომ ვამბობთ, რომ ამ შემთხვევაში **მოქმედებითი ბრუნვის** ფორმა გვაქვს? აქ ხომ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი არ ჩანს?

-იდან მივიღეთ **-ით + გან** კომბინაციის შედეგად:

-ით-გან ⟹ **იდ-გან** ⟹ **ი-დან**:

სახლ**ითგან** ⟹ სახლ**იდგან** ⟹ სახლ**იდან**.

მოქმედებითი ბრუნვა + იდან/დან
ყალიბით გამოიხატება ასევე:

ა). მოქმედების **საწყისი პუნქტი:**

	ბაზრ**იდან**
	ოთახ**იდან**
	სახლ**იდან**
მოდის	სკოლ**იდან**
გამოვიდა	უნივერსიტეტ**იდან**
წამოვიდა	ქალაქ**იდან**
მოვა	სოფლ**იდან**
	თეატრ**იდან**
	საფრანგეთ**იდან**
	თბილის**იდან**
	წყარო**დან**

- **დავიმახსოვროთ!**

თუ სახელის ფუძის დაბოლებად **ია** გვაქვს,
მოქმედებითში ორი **ი** მოიყრის თავს:
დაინტერესებულია:
ბიოლოგ**ი-ით** / ქიმ**ი-ით** / ასტრონომ**ი-ით** / ისტორ**ი-ით**, გეომეტრ**ი-ით**...
აღფრთოვანებულია:
სამტრედ**ი-ით** / გერმან**ი-ით** / იაპონ**ი-ით** / შვეიცარ**ი-ით**...

ბ). დროის **საწყისი ეტაპი:**

	ცხრა საათ**იდან**
	სამი საათ**იდან**
ნანა მუშაობს	დილ**იდან**
ნინო ისვენებს	მომავალი კვირ**იდან**
	ხვალ**იდან**

გელა ვარჯიშს იწყებს	ორშაბათ**იდან** სამშაბათ**იდან** კვირ**იდან** ხვალ**იდან** ზეგ**იდან** მომავალი თვ**იდან**
ბილეთების გაყიდვა იწყება	ხვალ**იდან** დღე**იდან** ზეგ**იდან...**

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- დღეს გიგა სკოლაში იყო. მოვიდა **სკოლიდან**?
- დიახ, მოვიდა. / დიახ, გიგა მოვიდა **სკოლიდან.**

1. დღეს მამა სამსახურში იყო.

   _____

2. დღეს თამარი ბიბლიოთეკაში იყო.

   _____

3. დღეს ნათია გამოფენაზე იყო.

   _____

4. დღეს ლევანი თეატრში იყო.

   _____

5. დღეს კახა ლექციაზე იყო.

   _____

6. დღეს მერაბი ქალაქში იყო.

   _____

- *ანდაზა:* ციხე **შიგნიდან** ტყდებაო.

- **მოქმედებითი ბრუნვა + იდან/დან** ყალიბი გამოიყენება არითმეტიკული მოქმედებისას:

√9 = 3 კვადრატული ფესვი **ცხრიდან** უდრის სამს.

√25 = 5 კვადრატული ფესვი **ოცდახუთიდან** უდრის ხუთს.

√36 = 6 კვადრატული ფესვი **ოცდათექვსმეტიდან** უდრის ექვსს.

➢ **დავალება.**

- **დაასრულეთ სიტყვები სათანადო თანდებულების საშუალებით.** გამოიყენეთ **-ურთ** და **-დან** თანდებულები.

სოფლი... გვიან წამოვედი.
სტუმრებით... ჩემს მეგობართან წავედი.
ჯუმბერ ლეჟავა სარფი... გადავიდა თურქეთში და უკან სომხეთი... შემოვიდა.
სოფლის ერთი ბოლო... მეორემდე ოთხი კილომეტრია.
დღეი... უფრო სერიოზულად უნდა მოვეკიდო საქმეს.
ცოლ-შვილით... დასასვენებლად წავედი.
კატა კარი... გააგდეს და ფანჯრი... შემოვიდა.

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი.**

საშობაო მინიატურები

საქართველო იყიდება

იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით; მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვარეებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!

ნიკო ლორთქიფანიძე

1. ამოიწერეთ მოქმედებითი ბრუნვის ფორმები.

2. ამოწერეთ ფორმები, რომლებიც თანამედროვე ნორმების მიხედვით გრამატიკულად არასწორია. იმსჯელეთ ამ ფორმების შესახებ.

3.3.6. ვითარებითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები.

ვითარებითი ბრუნვა გამოიყენება:

ა). ვითარების, როგორობის აღნიშვნისას:

ის არის	კარგ-**ად** ცუდ-**ად** მშვიდ-**ად** ბედნიერ-**ად** თანაბრ-**ად** სწორ-**ად**

ბავშვი იქცევა ბავშვი მოიქცა	ცუდ-**ად** კარგ-**ად** ჭკვიან-**ად** მშვენივრ-**ად**

კაცი მანქანას ყიდის მანქანა იყიდება მანქანა გაიყიდა	ძვირ-**ად** იაფ-**ად**

ბავშვი საჭმელს ჭამს	ხარბ-**ად** გემრიელ-**ად** უგემურ-**ად** მადიან-**ად** უმადო-**დ**

ბავშვი წერს დავალებას

ბავშვმა დაწერა	დავალება	ლამაზ-**ად**
ბავშვს დაუწერია	დავალება	სუფთ-**ად**

	ორ სამ	
თხილი იყოფა თხილი გაიყო	ოთხ ხუთ ექვს შვიდ	ნაწილად

- *ანდაზა:* **ცუდად** ჯდომას, **ცუდად** შრომა სჯობია.

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს:**

1. როგორ ჭამს მერაბი?

_____

2. როგორ ჭამს გიორგი?

_____

3. როგორ ჭამს ქეთი?

_____

4. როგორ ჭამს ნინო?

_____

5. როგორ ჭამს დათო?

_____

ბ). **პროფესიის, საქმიანობის** აღნიშვნისას:

	ექიმ-**ად**	= ვანო **ექიმია**
	მეხანძრე-**დ**	= ვანო **მეხანძრეა**
	მასწავლებლ-**ად**	= ვანო **მასწავლებელია**
	პარიკმახერ-**ად**	= ვანო **პარიკმახერია**
ვანო მუშაობს	ინჟინრ-**ად**	= ვანო **ინჟნერია**
	სტომატოლოგ-**ად**	= ვანო **სტომატოლოგია**
	მოლარე-**დ**	= ვანო **მოლარეა**
	აგრონომ-**ად**	= ვანო **აგრონომია**

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- დათო მძღოლია?
- დიახ, დათო **მძღოლად** მუშაობს.

1. ვალერი მწვრთნელია?

   _____

2. ლალი პედიატრია?

   _____

3. ნანა ბიბლიოთეკარია?

   _____

4. დათო ბუღალტერია?

   _____

5. ნინო გამყიდველია?

   _____

6. გიორგი ფოტოგრაფია?

   _____

გ). მიზნის გამოსახატავად:

	სათევზაო-**დ**
ის მიდის	სანადირო-**დ**
ის წავა	სასეირნო-**დ**
ის წავიდა	სამუშაო-**დ**
	დასალევ-**ად**
	საჭმელ-**ად**
	სტუმრ-**ად**

- *ანდაზა:* ძაღლი შინ არ ვარგოდა და **სანადიროდ** გარბოდაო.

დ). დანიშნულების გამოსახატავად:

მას ეს უნდა	საჭმელ-**ად** გასაკეთებლ-**ად** ასაშენებლ-**ად** წასაკითხ-**ად**
ეს კარგია	სავარჯიშოდ საჭმელად დასალევად

ე). გარდაქცევითობის, გარდაქმნის გამოხატვისას.

	ახალგაზრდა მოხუც-**ად** მოხუცი ახალგაზრდ-**ად**
იქცევა	სოფელი ქალაქ-**ად**
იქცა	წყალი ღვინო-**დ**
ქცეულა	გოგონა ქალ-**ად**
	ბიჭი კაც-**ად**
	ბაღი წალკოტ-**ად**

ვ). ენის ფლობის აღნიშვნისას:

მერაბი ლაპარაკობს	ფრანგულ-**ად**	= მერაბმა იცის ფრანგული
	იტალიურ-**ად**	= მერაბმა იცის იტალიური
	ქართულ-**ად**	= მერაბმა იცის ქართული
	ინგლისურ-**ად**	= მერაბმა იცის ინგლისური
	გერმანულ-**ად**	= მერაბმა იცის გერმანული

ზ). ფასის, ღირებულების აღნიშვნისას:

იყიდება / გაიყიდა	სამ ლარ**ად**
აძლევს / მისცა	ხუთ ლარ**ად**
ყიდულობს / იყიდა	ათ ლარ**ად**
ყიდის / გაყიდა	ას ლარ**ად**
იძენს / შეიძინა	სამას დოლარ**ად**
	ათას ლირ**ად**

- **ვითარებითი ბრუნვის ფორმა** გვხვდება სპეციფიკურ სიტყვათშეთანხმებებში:

მოვიდა ჩვენი კლასელი, **გვარ-ად** - აბესაძე.
წერეთელი, **სახელ-ად** - დავითი...

დავიმახსოვროთ ზოგი ფორმაუცვლელი სიტყვა, რომელსაც ბოლოში **თ** დაბოლოება აქვს:
ალბა**თ**, წინა**თ**, ზევი**თ**/ზემო**თ**, ქვევი**თ**/ქვემო**თ**, შიგნი**თ**, გარე**თ**, აქე**თ**, იქი**თ**, უკე**თ**, ეგრე**თ** (წოდებული), გვერდი**თ**.

სწორედ ესენია **მართებული ფორმები**
და არა:
ალბა**დ**, წინა**დ**, ზევი**დ**/ზემო**დ**, ქვევი**დ**/ქვემო**დ**, შიგნი**დ**, გარე**დ**, აქე**დ**, იქი**დ**, უკე**დ**, ეგრე**დ** (წოდებული), გვერდი**დ**.

მეტად ხშირია შეცდომები **ვითარებითი ბრუნვის** ფორმათა წარმოდგენისას.
ვითარებითის ნიშანია **-ად** (თანხმოვანფუძიანებთან და **-დ** (ხმოვანფუძიანებთან), ანუ, სიტყვის ბოლოს უნდა დაიწეროს **დ** და არა **თ.**

მარტივად შეიძლება ამ პრობლემას გავუმკლავდეთ,

თუ დავიმახსოვრებთ, რომ:

ბრუნებადი სიტყვის ბოლოს არ შეიძლება დაიწეროს:
-ათ, -ეთ, ოთ, უთ!
როდესაც სიტყვის ბოლოს ვწერთ **-ათ, -ეთ, ოთ, უთ** დაბოლოებას, ეს იმას ნიშნავს, რომ შეცდომას ვუშვებთ.

-თ კომპონენტი აქვს მოქმედებით ბრუნვას, მაგრამ დავაკვირდეთ დაბოლოებას:

კაც-ი	-	კაც-**ით**
დედა	-	დედ-**ით**
მზე	-	მზ-**ით**
ოქრო	-	ოქრო-**თი**
ძუძუ	-	ძუძუ-**თი**

ანუ:

სიტყვის **-ით** და **-თი** დაბოლოება მისაღებია და მართებულია (ეს სხვა ბრუნვის - **მოქმედებითის** დაბოლოებაა; ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, შეცდომას არ უშვებენ), მაგრამ უმართებულოა ფორმა, რომელსაც აქვს **ათ, ეთ, ოთ, უთ** დაბოლოება;

სწორია:

კაცი - კაცა**დ**	(და არა კაცა**თ**)
დედა - დედა**დ**	(და არა დედა**თ**)
მზე - მზე**დ**	(და არა მზე**თ**)
ოქრო - ოქრო**დ**	(და არა ოქრო**თ**)
ძუძუ - ძუძუ**დ**	(და არა ძუძუ**თ**).

- **-მდე/-მდის** თანდებულიანი ვითარებითის ფუნქციაა გამოხატოს გარკვეულ პუნქტამდე მიღწევა **ადგილის, დროის, რაოდენობის** მიხედვით (ძირითადი ვარიანტია **-მდე**):

ა) ადგილი:

ეს ტრანსპორტი მიდის	ქუთაის-**ა-მდე** ქალაქ-**ა-მდე** სოფლ-**ა-მდე**...

თბილის**იდან** მარნეულ**ამდე** 40 კილომეტრია.
გიგა ქალაქ**იდან** სოფლ**ამდე** ტაქსით დადის.
სოსო სახლ**იდან** მდინარე**მდე** ფეხით წავიდა.

ბ) დრო:

დღე-**მდე**	მუშაობს
ხვალ-**ა-მდე**	გააკეთებს
ზეგ-**ა-მდე**	დაწერს
(იმ) კვირა-**მდე**	რჩება
შაბათ-**ა-მდე**	ისვენებს
(ახალ) წლ-**ა-მდე...**	ააშენებს

ლევანი დილ**იდან** დაღამებ**ამდე** ფეხბურთს თამაშობს.
ნინო კვირ**იდან** კვირ**ამდე** მივლინებაშია.
ქალაქი წლ**იდან** წლ**ამდე** იცვლის იერს.

გ) რაოდენობის დამრგვალება:

ათ-ა-მდე კაცი... = **დაახლოებით ათი** კაცი...
ოც-ა-მდე კაცი... = **დაახლოებით ოცი** კაცი...
ას-ა-მდე კაცი... = **დაახლოებით ასი** კაცი...

საგნის ზუსტი რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვას ანალოგიური ფუნქციით შეიძლება დაერთოს **-ოდე,** რომელიც აღნიშნავს დასახელებულ რიცხვთან **მიახლოებას;**

მაგ.:

ათი**ოდე** = დაახლოებით ათი

ოცი**ოდე** = დაახლოებით ოცი...

რატომ ვამბობთ, რომ ამ შემთხვევაში **ვითარებითი ბრუნვის** ფორმა გვაქვს?

აქ ხომ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი (**-ად/-დ**) არ ჩანს?

საქმე ის არის, რომ:

ხმოვანფუძიან სახელებში **-მდე** ელემენტის წინ ვითარებითის **-დ** დაკარგულია: დღე - დღე-**დ-მდე** - დღე-**მდე...**

თანხმოვანფუძიანებში **-ად** უნდა ყოფილიყო, მაგრამ დარჩა **-ა: - დ** აქაც დაიკარგა: ოცი - ოც-**ად-მდე** - ოც-**ა-მდე...**

- **დავალება.**
- **გახაზეთ ვითარების გამომხატველი სიტყვები:**

გუშინ	თაროზე	სოფლად
ძლიერად	მშვიდად	დღეს
ქალაქამდე	სახლთან	სუსტად
სოფელში	მასწავლებლად	გაისად
ხვალ	ლამაზად	მშვენივრად
კარგად	ცუდად	

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი. გახაზეთ ვითარების გამომხატველი სიტყვები:**

ტრაგედია უგმიროთ

შეუგნებლად დაერიდა ბავშების სივილს - გამოვიდა ქოხიდან... გადიარა ეზო... უგზო-უკვლოთ მიდიოდა. სადღაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიელვებდენ ნაპერწკალივით: „ჭადი“... „ბავშები“... „ხარი“... ისევ ადგა, ჯერ შარაგზას გაყვა, მერე ორღობეში შეუხვია: დაუძახა ვიღამაც. მობრუნდა.

- გუშინწინ რომ მთხოვე ფქვილი, ღმერთია მოწამე, არ მქონდა; აი დღეს ქე მაქ ცოტა, და ნახევარ ჯამს გიზიარებ... ოღონდ არ დამღუპო - იმ პარასკევს უნდა დამიბრუნო...

***

- მამა, ფქვილი მოიტანე? - ახრიალდენ ბავშები.

- გვაჭმევ?

- კი, შვილო, კი, ბიჭო, - ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს.

ბავშებს უთქმელათ მოჰქონდათ ფიჩხი, ანთებდენ ცეცხლს, აწყობდენ და ასწორებდენ კეცებს.

მამამ წუთში მოზილა ცომი და გავარვარებულ კეცებს დააკრა; ბავშების მოუთმენლობამ მოაგონა, რომ კარგი იქნებოდა ჭადების გამოცხობამდი მათი თავიდან მოშორება.

- აბა, ბიჭებო, წადით და ბიცოლა ეფროსინეს ოხრახუში გამოართვით - ბევრი აქვს, მოგცემთ...

ბავშები გაიქცენ.

ჭადის სუნმა მამაც აიტაცა. კეციდან ჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯათ“ ლუკმა პირში ჩაიდვა. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღეძრა...

მეორე ლუკმა...

სწვავდა ენას და მაინც სჭამდა.

ბავშები შემოვარდენ.

- მომეცი, მამა!..

- მეც!..

- გადით, თქვე გასაწყვეტლებო!

- მამა, მამა!!..

- მამა, ერთი ლუკმა!

ბავშები ცალი ხელით მილახა და ლაფვაროში გაყარა; იქედანაც თვალზე ცრემლშემხმარი ბავშები ძაღლებივით კნაოდენ და იძახდენ:

- მამა, გვაჭამე!

ყურადღებას არ აქცევდა. მერე ერთიანათ ჩაიმუჭა პირში ბავშების მიერ მოტანილი ოხრახუში და წავიდა... გადავიდა ტევრში... მიწვა... კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული, მთვლემარი.

წამოიწია, დაჯდა.

ბავშების სივილი მოაგონდა...

მე შევჭამე....

ბავშებს არაფერი ვაჭამე...

ღმერთო, რა მომივიდა?..

სირცხვილი!.. ხალხს რაღა უთხრა?!. ვაი თუ დაიხოცენ...

ადგა, მივიდა ბავშებთან...

გადაბელილი ბჟოლის ძირში მიგდებულიყვენ... ეძინათ... მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა: არ გავაღვიძო მაინც! რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!.

უმცროსს გამოეღვიძა. გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.

- მამა!.. - წყნარათ დაიწყო ბავშმა.

- რა, შვილო? - ნაზათ უპასუხა.

- მთლად შეჭამე?

- !!

- მამა, ცოტა იქნება დაგრჩა - მომეცი... მუცელი მტკივა, არ გაგამხელ...

მამას ზლუქუნი წასკდა.

პატარა ბავშსაც გაეღვიძა „მშია“-„მშიას“ ძახილით.

მამა წამოიჭრა, ეზო გადირბინა. ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბაწარი ტოტს მაგრათ მიაბა, მარყუჟი გამოსკვნა მეორე ბოლოში, გაშინჯა - კისერზე თუ მომიჭერსო და...

კეთილი ბებერი ნათლია იფოფრებოდა: - ღმერთო! ღმერთო! რა დროს მომასწარი!.. რა საცოდაობა დატრიალდა... ვინ მოუვლის დამშეულ ობლებს?!

- რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხჩო თავი ამ ოჯახქორმა! - ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი, რომელსაც ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა...

ნიკო ლორთქიფანიძე

- **ამოწერეთ ვითარებითი ბრუნვის ფორმები. დღევანდელი ნორმების მიხედვით არასწორ ფორმებს გვერდით მიუწერეთ სწორი ფორმები.**

- **დავალება.**
- **ამოწერეთ სხვა ფორმები, რომლებიც, თქვენი აზრით, არასწორია დღევანდელი გრამატიკული ნორმების მიხედვით. გვერდით მიუწერეთ სწორი ფორმები.**

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ავადმყოფობა # 2
(ცეკვა „შეჯიბრი“)

ვარლამის წინ უსასრულო სითეთრეა, უგანო და უსიგრძო. უცებ დაუკრავს დოლი. „სიმდის“ რიტმი.

სითეთრეში ცეკვით შემოდიან: მარჯვნიდან – ადოლფ ჰიტლერი, მარცხნიდან – ევა ბრაუნი. ისინი ცენტრში ხვდებიან ერთმანეთს. გამოდის მოცეკვავეთა კიდევ ერთი წყვილი – ჰერმან გერინგი მეუღლით. ისინიც ცენტრში ხვდებიან. ასევე ცეკვით შემოდის ჰიმლერი ცოლით. მთავრდება დავლური.

ჰიტლერის, გერინგის და ჰიმლერის ცოლები ცეკვავენ სამაიას.

მორჩა სამაიაც.

ფეხის წვერებზე ცეკვით შემოდის ბაზრის ვარსკვლავი სტოპა.

ჰებელსი, რიბენტროპი, კალტენბრუნერი, ოტტო სკორცენი, ადმირალ დეინიცი და რაიხის სხვა ლიდერები მეუღლეებითა და საყვარლებითურთ სიამოვნებით უყურებენ სტოპას სოლო ცეკვას პოდნოსით. ისინი ნარნარით, ფეხის წვერებზე დადიან მის გარშემო.

მეზობელს შემოაქვს დაჩეხილი ყინული, დედა ყინულს ახვევს ტილოში და ვარლამს შუბლზე ადებს.

დოლი იცვლის რიტმს, იწყება ცეკვა „შეჯიბრი“.

აელვარდნენ და აჭახუნდნენ ცაში ხანჯლები და ხმლები!

თავზევით აფრინდა ადოლფ ჰიტლერი!

აფრინდა გერინგი!

ხანჯლებმა ნაპერწკლების შადრევანში მოაქციეს დანარჩენი მოცეკვავეები!

ცაში გამოჩნდა წითელი ისტრებიტელი!

ისტრებიტელს მართავს ვარლამი! ისტრებიტელი იერიშს იღებს მოცეკვავეებზე!

ვარლამი ტყვიამფრქვევით გადაუვლის მოცეკვავეებს, აყრის ბომბებს!

ცეკვა გრძელდება!

ვარლამი ჰორიზონტზე მოატრიალებს ისტრებიტელს და ისევ შეუტევს მოცეკვავეებს.

ისტრებიტელი მისდევს შარვალჩავარდნილ სტოპას.

– ვერსად წამიხვალ, სამშობლოს მოღალატევ! – ყვირის ვარლამი და ყრის ყინულს იატაკზე.

მეზობელმა ყინულის ბრიკეტი შავი ჩანთით კიბეზე ამოარბენინა და აივანზე წალდით დაჩეხა.

ყინულით გაავსეს გრელკა.

რეზო გაბრიაძე, „ქუთაისი ქალაქია“ (ფრაგმენტი)

- **ამოწერეთ მოქმედებითი ბრუნვის ფორმები. დაადგინეთ ამ ფორმების ფუნქციები.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

- **ამოწერეთ საკუთარი სახელები**

_____

_____

_____

3.3.7. წოდებითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები.

წოდებით ბრუნვას ერთადერთი **პრაქტიკული ფუნქცია** აქვს - ეს არის **მიმართვის ფორმა.**

წოდებითი ბრუნვა ყოველთვის **მეორე** პირს გულისხმობს - სხვაგვარად რომ ვთქვათ, **წოდებითი ბრუნვა გამოიყენება ყოველთვის, როცა მიმართავენ მეორე პირს:**

როგორ ბრძანდებით	ქალბატონ-**ო?** / ქალბატონ-**ო** მზია? ბატონ-**ო?** / ბატონ-**ო** დავით? პატივცემულ-**ო**? / პატივცემულ-**ო** მასწავლებელ-**ო?**

როგორ გიკითხოთ დიდ-**ო** მაესტრო?

რამდენი წლის ხარ, პატარა-**ვ?**
ერთი აქ მოდი, პატარა კაც**ო!**

შვილ-**ო**, ის წიგნი მომიტანე.
ძმა-**ო**, დღეს რა გეგმები გვაქვს?
მეგობარ-**ო**, ყიფშიძის ქუჩას ვერ მიმასწავლი?

წოდებითი ბრუნვის ნიშანი ორი სახით გვხვდება: **თანხმოვანფუძიანებთან** გვაქვს **-ო** (კაც-ო, ქალ-ო, მეგობარ-ო...), ხოლო **ხმოვანფუძიანებთან -ვ** (ბავშვობა-ვ, სტუდენტობა-ვ...).

თუ სახელი წოდებითშია, ის შეიძლება ისევ წოდებითის ფორმის მქონე სახელს დაუკავშირდეს:

ჩემ-ო კარგ-ო ქვეყანა-ვ, რაზედ მოგიწყენია!
რას გვიბრძანებ, **დიდო სარდალო?**
ჩემო ერთგულო მეგობარი, შენი იმედი მაქვს.

- ***ანდაზა:*** ჯერ **თავო** და **თავო,** მერე **ცოლო** და **შვილო.**

დავიმახსოვროთ:

- ადამიანის საკუთარ სახელებს წოდებითი ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის:
  პეტრე! (და არა პეტრე**ო**! ან პეტრე**ვ**!), დავით! (და არა დავით**ო**! ან დავით**ი**!), გვანცა! (და არა გვანცა**ო**! ან გვანცა**ვ**!)...

- ადამიანთა გვარები, რომელთაც **-ძე, -ვა, -უა** და **-ია** დაბოლოება აქვს, წოდებითში ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმარება:
  ხუნდაძე! (და არა ხუნდაძე**ვ**!), ლაგვილავა! (და არა ლაგვილავა**ვ**!), ხუბუა! (და არა ხუბუა**ვ**!), ბართაია! (და არა ბართაია**ვ**!)...

- ბოლოთანხმოვნიანი გვარები წოდებითში **-ო** ნიშანს დაირთავენ:
  გეგეჭკორ-**ი** _ გეგეჭკორ-**ო**! (და არა გეგეჭკორ-**ი**!), წერეთელ-**ი** _ წერეთელ-**ო**! (და არა წერეთელ-**ი**!), იაშვილ-**ი** _ იაშვილ-**ო**! (და არა იაშვილ-**ი**!)..

➢ **დავალება.**

- **გახაზეთ წოდებითის ფორმები.**

სორო	უზრდელო	ქალო
მამაო	ოქრო	სულელო
ცაო	უმეგობრო	მიმინო
თარაზო	პატივცემულო	საოცარო
ქვეყანავ	რკო	პატარავ
ამხანაგო	დიდო	არაჩვეულებრივო
ორმო	უკაცო	

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი.**

რწყილი და ჭიანჭველა

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ, წავიდნენ გზაზე. მიადგნენ ერთ რუს. რწყილმა უთხრა ჭიანჭველას:

- მე გადავხტები და შენ რაღა გეშველებაო?

- განა მე კი ვერ გადავხტებიო?! - უთხრა ჭიანჭველამ.

რწყილმა ისკუპა - გადახტა; ჭიანჭველამ ისკუპა - წყალში ჩავარდა. შეეხვეწა რწყილს:

- ძმობილო, მიშველე რამე, ნუ დამახრჩობ!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა:

- ღორო, მომე ჯაგარი,
დავგრეხ თოკსა, ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

ღორმა უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და რკო სთხოვა:

მუხამ უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის ყვავი არ მოგიშორებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან და სთხოვა: დაეხსენი მუხას!

ყვავმა უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის წიწილა არ მოგიყვანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და წიწილა სთხოვა:

კრუხმა უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის ფეტვი არ მოგიტანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და ფეტვი სთხოვა:

ორმომ უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის თაგვი არ მოგიშორებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან და სთხოვა: დაეხსენი ორმოს!

თაგვმა უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის კატა არ მოგიშორებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა: დაეხსენი თაგვს!

კატამ უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის რძე არ მოგიტანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:

- ძროხავ, მომე რძე,
რძეს მივუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა - ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

ძროხამ უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის ბალახი არ მოგიტანიაო!

რწყილი წავიდა, დაგლიჯა მინდორში ბალახი და ძროხას მიუტანა.

ძროხამ მისცა რძე, რძე მიუტანა კატას, კატა დაეხსნა თაგვს, თაგვი მოშორდა ორმოს, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხს, კრუხმა მისცა წიწილა, წიწილი მიუყვანა ყვავს, ყვავი დაეხსნა მუხას, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ღორს, ღორმა მისცა ჯაგარი, რწყილმა ჯაგრის ბაწარი დაგრიხა და ჩაუგდო წყალში ჭიანჭველას, რომელიც ბალახს იყო მოჭიდებული. ჭიანჭველა ბაწარზე შეჯდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ჭიანჭველა ნაპირზე გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა.

მერე ისევ ძმურად გაუდგნენ გზას.

ხალხური (შემოკლ. ვერსია)

- **ამოწერეთ სახელობითი ბრუნვის ფორმები (ერთი და იგივე ფორმები არ გაიმეოროთ).**

- **ამოწერეთ მოთხრობითი ბრუნვის ფორმები (ერთი და იგივე ფორმები არ გაიმეოროთ).**

- **ამოწერეთ მიცემითი ბრუნვის ფორმები (ერთი და იგივე ფორმები არ გაიმეოროთ).**

- **ამოწერეთ წოდებითი ბრუნვის ფორმები (ერთი და იგივე ფორმები არ გაიმეოროთ).**

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი.**

გაზაფხულო, ლამაზო

ჩემო ჭრელო პეპლებო,
ჩემო ლურჯო იებო?
ჩემო ნუშის ხეებო,
ჩემო ჩიტუნიებო.
როდის აყვავილდებით,
ატმებო და ვაშლებო,
ტყეში მარწყვის საკრეფად
როდის წავალთ, ბავშვებო?

ჰა ზამთარი მიდის და...
თოვლი დნება ნელ-ნელა.
აი, თავი ამოყო
ბუჩქის ძირას ენძელამ.
საწყალ თოვლის ბაბუას
დავუშინოთ გუნდები;
გაზაფხულო, ლამაზო,
მალე დაგვიბრუნდები?

ნოდარ დუმბაძე

- **ამოწერეთ წოდებითი ბრუნვის ფორმები (ერთი და იგივე ფორმები არ გაიმეოროთ).**

- **ამოწერეთ მრავლობითობის აღმნიშვნელი სიტყვები**

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ანდუყაფარო
ანდუყაფარო,
ლიპარიტო, -
დარნო მთათანო,
ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო,
ბიჭო სესეო,
თოთიკაანთ ქალო მელანო,
ვაჟას არწივო,
შოთას ვეფხვო,
ტატოს მერანო;
ბზიფო,
ენგურო,
ალაზანო,
მტკვარო,
იორო,
აგერ, ახლახან გარდაცვლილო გალაკტიონო;
ქინძმარაულო,
ტიბაანო, -
ღვინოვ კახურო;
გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო,
დიდო კოლხეთო,
დიდო ქართლო,
დიდო შამქორო, -
ვერ დამადუმონ,
ვერ დამძალონ -
თუნდა ჩამქოლონ.....
ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს -
ფრთები მასხია
თქვენგნით...
მხოლოდ თქვენგნით
რამეთუ.

მუხრან მაჭავარიანი

- **ამოწერეთ წოდებითი ბრუნვის ფორმები ორ რიგად: ერთ რიგში - ხმოვანფუძიანები, მეორეში - თანხმოვანფუძიანები.**

--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---

3.4. რიცხვითი სახელების პრაქტიკული ფუნქციები.

3.4.1. საგანთა **ზუსტი რაოდენობის** აღმნიშვნელი სიტყვები.

მრავლობითი რიცხვის ფორმები **ერთზე მეტ საგანს** გამოხატავს; **წიგნ-ებ-ი** გრამატიკულად **ერთზე მეტ წიგნს** აღნიშნავს, მაგრამ კონკრეტულად არაფერს გვეუბნება წიგნების რაოდენობაზე;

არსებობს ასევე სიტყვები, რომლებიც რაოდენობას ზოგადად გამოხატავენ: **ბევრი, მრავალი, ცოტა**....

სიტყვების ერთი ჯგუფი **საგანთა ზუსტ რაოდენობას** აღნიშნავს;

ასეთი სიტყვებია:

1 - **ერთი**
2 - **ორი**
3 - **სამი**
4 - **ოთხი**
5 - **ხუთი**
6 - **ექვსი**
7 - **შვიდი**
8 - **რვა**
9 - **ცხრა**
10 - **ათი...**
20 - **ოცი**
100 - **ასი**

სწორედ ამ **თორმეტ** დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს ემყარება **რაოდენობის** გამომხატველ სიტყვათა სისტემა ქართულში.

დანარჩენი სიტყვები ამ ერთეულებისგან არის შედგენილი:

60 = **სამ+ოცი**

200 = **ორ+ასი**

1000 = **ათ+ასი**

320 = **სამ+ას+ოცი**...

10-დან 19-ის ჩათვლით რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები ქართულში ნაწარმოებია **ფუძეების შეერთებით:**

11		ერთი (ი)		= თერთმეტი
12		ორი (ი)		= თორმეტი
13		სამი (ი)		= ცამეტი
14		ოთხი (ი)		= თოთხმეტი
15	(ა)თ(ი)	ხუთი (ი)	+ მეტი	= თხუთმეტი
16		ექვსი (ი)		= თექვსმეტი
17		შვიდი (ი)		= ჩვიდმეტი
18		რვა (ი)		= თვრამეტი
19		ცხრა (ი)		= ცხრამეტი

<u>შენიშვნა:</u>

თ + ს = ც: (ა)თსა(მ)მეტი ⇨ ცამეტი

თ = შ = ჩ: (ა)თშვიდმეტი ⇨ ჩვიდმეტი

ქართული თვლის სისტემა **ოცობითია.** ეს ნიშნავს იმას, რომ რიცხვების დასახელება **ოციდან ასამდე** (და შემდგომ _ ათეულების რანგში) **ოცეულებად არის დაყოფილი** და არა _ **ათეულებად.**

20-ის აღმნიშვნელი სიტყვა სულ სხვა ფუძით გადმოიცემა:

20 = **ოცი**

ოცის ზემოთ რიცხვითი სახელებიც ქართულში ნაწარმოებია ფუძეების შეერთებით, თუმცა განსხვავებულია წარმოების ტიპი: რთული სიტყვის ნაწილები ერთმანეთს „**და**“ კავშირის საშუალებით უერთდება:

		ერთი		**21 - ოცდაერთი**
		ორი		**22 - ოცდაორი**
		სამი		**23 - ოცდასამი**
		ოთხი		**24 - ოცდაოთხი**
		ხუთი		**25 - ოცდახუთი**
ოც-	+ **და** +	**ექვსი**	⇨	**26 - ოცდაექვსი**
		შვიდი		**27 - ოცდაშვიდი**
		რვა		**28 - ოცდარვა**
		ცხრა		**29 - ოცდაცხრა**
		ათი		**30 - ოცდაათი**

- დავაკვირდეთ **ათეულებისა** და **ასეულების** წარმოების საკმაოდ მარტივ წესს:

40 – **ორმოცი**
50 – **ორმოცდაათი**
60 – **სამოცი**
70 – **სამოცდაათი**
80 – **ოთხმოცი**
90 – **ოთხმოცდაათი**

100 – **ასი**
200 – **ორასი**
500 – **ხუთასი**
1000 – **ათასი**
1000000 – **მილიონი**

- **ერთად იწერება:**

და-თი შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ასევე: ორასი, სამასი, ოთხასი... ათასი): ოცდასამი, ორმოცდაერთი, ოთხმოცდაშვიდი, სამოცდათხუთმეტი...

- **ცალ-ცალკე იწერება დანარჩენი რიცხვითი სახელები:**

ას ოცდაორი — **და არა:** ასოცდაორი
ოცი ათასი — **და არა:** ოციათასი
ათას ცხრაას სამოცდაორი — **და არა:** ათასცხრაასსამოცდაორი/ ათასცხრაას სამოცდაორი..

➢ **დავალება.**

- **დაწერეთ სიტყვიერად ნიმუშის მიხედვით:**

6+7=13 - ექვსს პლუს შვიდი უდრის ცამეტ**ს** / ექვსს მივუმატოთ შვიდი ტოლია ცამეტ**ის**
5 + 3 = 2 - ხუთს მინუს სამი უდრის ორ**ს** / ხუთს გამოვაკლოთ სამი ტოლია ორ**ის**
7 X 3 = 21 - შვიდი გავამრავლოთ სამზე უდრის ოცდაერთ**ს** / შვიდჯერ სამი ტოლია ოცდაერთ**ის**
8 : 4 = 2 - რვა გავყოთ ოთხზე უდრის ორ**ს** / რვა გავყოთ ოთხზე ტოლია ორ**ის**

12+2=14

11+6=17

12-5=7

21-3=18

5-1=4

---

11 X 3=33

---

4 X 3=12

---

21 X 2=42

8:2=4

21:7=3

3.4.2. **რიგი.**

საგანთა რიგის გამომხატველი სიტყვები

სიტყვათა ერთი ჯგუფი გამოხატავს საგანთა **რიგით ოდენობას, რიგს.**

ეს ხდება გარკვეული წესის მიხედვით:

რიგის აღმნიშვნელი სიტყვა იწარმოება **რაოდენობის** აღმნიშვნელი სიტყვისაგან **მე- - ე** თავსართ-ბოლოსართის მეშვეობთ:

ორ-ი - **მე**-ორ-**ე**

სამი - **მე**-სამ-**ე**

ოთხი - **მე**-ოთხ-**ე**

ხუთი - **მე**-ხუთ-**ე**...

შენიშვნა: **ერთი**-ს შესაბამისი რიგის აღმნიშვნელია არა **მეერთე,** არამედ **პირველი,** თუმცა **მეერთე** სხვა შემთხვევებში გამოიყენება: ოცდაერთი (21) - ოცდა**მეერთე** (21-ე), ორმოცდაერთი (41) - ორმოცდა**მეერთე** (41-ე)...

რომაული ციფრები	**არაბული ციფრებით გამოხატვა და სიტყვებით გამოთქმა**	
I	1 -	პირველი
II	მე-2	**მეორე**
III	მე-3	**მესამე**
IV	მე-4	**მეოთხე**
V	მე-5	**მეხუთე**
VI	მე-6	**მეექვსე**
VII	მე-7	**მეშვიდე**
VIII	მე-8	**მერვე**
IX	მე-9	**მეცხრე**
X	მე-10	**მეათე**
XI	მე-11	**მეთერთმეტე**
XII	მე-12 ...	**მეთორმეტე**
XX	მე-20	**მეოცე**
XXI	21-ე	ოცდა**მეერთე**
XXII	22-ე	ოცდა**მეორე**
XXIII	23-ე	ოცდა**მესამე**
XXIV	24-ე ...	ოცდა**მეოთხე**
XXXVIII	38-ე	ოცდა**მეთვრამეტე**
XXXIX	39-ე ...	ოცდა**მეცხრამეტე**
LIX	55-ე ...	ორმოცდა**მეთხუთმეტე**
LXXXIX	89-ე...	ოთხმოცდა**მეცხრე**

3.4.2.1. ჯერობა.

რიგის აღმნიშვნელი სიტყვა **ვითარებითი ბრუნვაში** რიგთან ერთად **ჯერობასაც** გამოხატავს:

მესამედ	=	**მესამეჯერ**
მეოთხედ	=	**მეოთხეჯერ**
მეხუთედ	=	**მეხუთეჯერ**
მეექვსედ	=	**მეექვსეჯერ**
მეშვიდედ	=	**მეშვიდეჯერ...**

„ბარსელონამ“ ზედიზედ **მესამედ** ვერ მოიგო.
ის **მესამედ** გახდა უნივერსიადის გამარჯვებული.
ქუთაისის სკოლამ საერთაშორისო ტურნირს **მესამედ** უმასპინძლა.
ევა ლონგორია **მესამედ** ქორწინდება
თბილისის აეროპორტი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესოდ **მესამედ** დასახელდა.

გვარდიოლა ნახევარფინალში **მეოთხედ** გააჩერეს.
ჩინელმა მოჭადრაკემ **მეოთხედ** მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.
ერთი ტურით ადრე **მეოთხედ** მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული ლელა ჯავახიშვილმა.
სტუდენტური დოკუმენტური ფილმების ჩვენება 2015 წელს **მეოთხედ** გაიმართა.

სხდომა კვორუმის არარსებობს გამო **მეხუთედ** ჩაიშალა
საქართველოს საუკეთესო მორაგბედ **მეხუთედ** დასახელდა მამუკა გორგოძე.
ლიონელ მესიმ „ოქროს ბურთი“ **მეხუთედ** მოიპოვა.
ჩემპიონთა ლიგა ბარსელონამ **მეხუთედ** მოიგო.

ჯოკოვიჩმა ავსტრალიის ღია პირველობა **მეექვსედ** მოიგო.
მადრიდის „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ზედიზედ **მეექვსედ** ითამაშებს.
მხითარიანი სომხეთში საუკეთესოდ **მეექვსედ** აღიარეს.
ამერიკელ 100 წლის მილიარდერს გული **მეექვსედ** გადაუნერგეს.

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ირლანდიასთან **მეშვიდედ** დამარცხდა.
თბილისის დინამომ საქართველოს სუპერთასი **მეშვიდედ** მოიპოვა.
საქართველომ რუმინეთი დაამარცხა და ერთა თასი **მეშვიდედ** მოიპოვა.
საერთაშორისო ფესტივალს საქართველო უკვე **მეშვიდედ** მასპინძლობს.

რიგობითი რიცხვითი სახელი არაბულად ასე გამოიხატება:

- თუ მაწარმოებელი **მე-** თავში აქვს რიცხვითს, მაშინ ჯერ ეს მაწარმოებელი იწერება, შემდეგ დეფისი და ბოლოს სათანადო რიცხვითი სახელი: მე-9, მე-15, მე-40...

- თუ მაწარმოებელი **მე-** რთული რიცხვითი სახელის შიგნითაა, მაშინ ჯერ იწერება რიცხვი, შემდეგ კი დეფისით **-ე:** 65-ე (სამოცდამეხუთე), 47-ე (ორმოცდამეშვიდე), 199-ე (ას ოთხმოცდამეცხრამეტე)...

- **და** კავშირით შეერთებულ რიგობით რიცხვით სახელთან **მე-** თავსართი ამ **და**-ს შემდეგ იქნება: ოცდახუთი _ ოცდამეხუთე (და არა მეოცდახუთე), ორმოცდასამი _ ორმოცდამესამე (და არა მეორმოცდასამე), სამოცდათხუთმეტი _ სამოცდამეთხუთმეტე (და არა მესამოცდათხუთმეტე...

- როცა რიგობითი რიცხვითი სახელების გამოსახატავად გამოყენებულია რომაული ციფრები, არანაირი მაწარმოებელი (არც თავსართი და არც ბოლოსართი) ამ ციფრებს არ სჭირდება:

VII	_	იკითხება, როგორც მეშვიდე,
XII	_	იკითხება, როგორც მეთორმეტე,
XVIII	_	იკითხება, როგორც მეთვრამეტე.

შეცდომაა:

მე-VII, მე-VII-ე ან VII-ე, მე-XII, მე-XII-ე ან XII-ე, მე-XVIII, მე-XVIII-ე ან XVIII-ე.

3.4.3. ნაწილი

საგანთა **ნაწილის** აღმნიშვნელი სიტყვა იწარმოება **რიგის** აღმნიშვნელი სიტყვისაგან: ვიღებთ **რიგის** აღმნიშვნელ სიტყვას, კერძოდ, მისი **ვითარებითი** ბრუნვის ფორმას და მას ვიყენებთ ფუძედ, - **ხელმეორედ ვაბრუნებთ ამგვარ სიტყვას:**

მესამე	**მე**სამე-**დ**	მესამე**დ**-ი / მესამე**დ**-მა / მესამე**დ**-ს / მესამე**დ**-ის...
მეოთხე	**მე**ოთხე-**დ**	მეოთხე**დ**-ი / მეოთხე**დ**-მა / მეოთხე**დ**-ს / მეოთხე**დ**-ის...
მეხუთე	**მე**ხუთე-**დ**	მეხუთე**დ**-ი / მეხუთე**დ**-მა / მეხუთე**დ**-ს / მეხუთე**დ**-ის...
მეექვსე	**მე**ექვსე-**დ**	მეექვსე**დ**-ი / მეექვსე**დ**-მა / მეექვსე**დ**-ს / მეექვსე**დ**-ის...

მესამედი **მოკლე** ვარიანტია, **სრულად** იქნება: **ერთი მესამედი** - 1/3

ასევეა შემოკლებული სხვა ამგვარი სიტყვები:

მეოთხ**ედ**ი = ერთი მეოთხ**ედ**ი = 1/4
მეხუთ**ედ**ი = ერთი მეხუთ**ედ**ი = 1/5
მეექვს**ედ**ი = ერთი მეექვს**ედ**ი = 1/6...

მაგრამ სხვა შემთხვევაში **მრიცხველის** მითითება **აუცილებელია:**

2/5 = **ორი** მეხუთ**ედ**ი
3/5 = **სამი** მეხუთ**ედ**ი
3/4 = **სამი** მეოთხ**ედ**ი
2/7 = **ორი** მეშვიდ**ედ**ი
4/9 = **ოთხი** მეცხრ**ედ**ი...

8,2 - რვა მთელი ორი **მეათ**ედ**ი**
5,3 - ხუთი მთელი სამი **მეათ**ედ**ი...**
7,03 - შვიდი მთელი სამი **მეას**ედ**ი**
9,07 - ცხრა მთელი შვიდი **მეას**ედ**ი...**
8,005 - რვა მთელი ხუთი **მეათას**ედ**ი**
3, 123 - სამი მთელი ას ოცდასამი **მეათას**ედ**ი...**

საგანთა **რაოდენობის, რიგისა** და **ნაწილის** აღნიშვნისას ყურადღება მივაქციოთ შემდეგ საკითხებს:

ერთად იწერება:

და-თი შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ასევე: ორასი, სამასი, ოთხასი... ათასი): ოცდასამი, ორმოცდაერთი, ოთხმოცდაშვიდი, სამოცდათხუთმეტი...

- **ცალ-ცალკე იწერება დანარჩენი რიცხვითი სახელები:**

ას ოცდაორი **და არა:** ასოცდაორი
ოცი ათასი **და არა:** ოციათასი
ათას ცხრაას სამოცდაორი **და არა:** ათასცხრაასსამოცდაორი/ათასცხრაას სამოცდაორი..

რიგობითი სახელი არაბულად ასე გამოიხატება:

- თუ მაწარმოებელი **მე-** თავში აქვს სიტყვას, მაშინ ჯერ ეს მაწარმოებელი იწერება, შემდეგ დეფისი და ბოლოს სათანადო რიგობითი სახელი: მე-9, მე-15, მე-40...

- თუ მაწარმოებელი **მე-** რთული რიცხვითი სახელის შიგნითაა, მაშინ ჯერ იწერება რიცხვი, შემდეგ კი დეფისით **-ე:** 65-**ე** (სამოცდა**მე**ხუთ**ე**), 47-**ე** (ორმოცდა**მე**შვიდ**ე**), 199-**ე** (ას ოთხმოცდა**მე**ცხრამეტ**ე**)...

- **და** კავშირით შეერთებულ რიგობით სახელთან **მე-** თავსართი ამ **და**-ს შემდეგ იქნება: ოცდახუთი _ ოცდა**მე**ხუთ**ე** (და არა **მე**ოცდახუთ**ე**), ორმოცდასამი _ ორმოცდა**მე**სამ**ე** (და არა **მე**ორმოცდასამ**ე**), სამოცდათხუთმეტი _ სამოცდა**მე**თხუთმეტ**ე** (და არა **მე**სამოცდათხუთმეტ**ე**...

- როცა **რიგობითი** სახელების გამოსახატავად გამოყენებულია რომაული ციფრები, არანაირი მაწარმოებელი (არც თავსართი და არც ბოლოსართი) ამ ციფრებს არ სჭირდება:

VII	_	იკითხება, როგორც **მეშვიდე**
XII	_	იკითხება, როგორც **მეთორმეტე**
XVIII	_	იკითხება, როგორც **მეთვრამეტე**

შეცდომაა:

მე-VII, მე-VII-ე ან VII-ე, მე-XII, მე-XII-ე ან XII-ე,
მე-XVIII, მე-XVIII-ე ან XVIII-ე.

- **მართებული ფორმებია:**

ექვსი	*და არა:*	ექსვი
თექვსმეტი	*და არა:*	თექს(ვ)მეტი
თხუთმეტი	*და არა:*	თუთხმეტი ან ხუთმეტი
თვრამეტი	*და არა:*	თრვამეტი
პირველი	*და არა:*	მეერთე
ოცდამეერთე	*და არა:*	ოცდაპირველი

- **დავალება.**
- **დააფიქსირეთ და გაასწორეთ არასწორი ფორმები.**

11-ე	მე-XIII
67-ე	მე-XII-ე
XVII-ე	მეოცდახუთე
ათასცხრაას სამოცდაოთხი	მესამოცდაორე
ათი ათასი	ოთხმოცდა ცხრა
ასოცდაოთხი	ოთხმოცდამეხუთე
ექსვი	ოცდამეშვიდე
თუთხმეტი	ოცდაპირველი
მე-9	სამოცდამეხუთე
მე-VI-ე	

- **დავალება.**
- **რაოდენობითი აღმნიშვნელი სიტყვისაგან აწარმოეთ რიგის აღმნიშვნელი სიტყვები.**

ნიმუში: შვიდი - **მეშვიდე**

ცამეტი	.....
ათასი	.....
ოთხი	.....
ჩვიდმეტი	.....
ცხრამეტი	.....
ასი	.....
ოცდაშვიდი	.....
ორმოცდაცამეტი	.....

- **დავალება.**
- **რიგის აღმნიშვნელი სიტყვისაგან აწარმოეთ ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა:**

ნიმუში: ოცდა**მეს**ამე - ოცდა**მეს**ამ**ედ**ი

ორმოცდამეხუთე	.....
მეთვრამეტე	.....
მეთორმეტე	.....
მეშვიდე	.....
ოთხმოცდამეცხრამეტე	.....
ოცდამეოთხე	.....
მეთხუთმეტე	.....
სამოცდამესამე	.....

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

მირანდუხტ

მაღაზიაში სამი განყოფილება იყო, სამი გამყიდველი მუშაობდა, ორი ქალი – მარო და მარგალიტა, ერთიც კიდევ კაცი გერონტი.

შემოვიდა პატარა გოგონა. იქნებოდა ათი თუ თერთმეტი წლისა, გერონტის განყოფილებასთან მივიდა, მოხუც ქალს ჰკითხა: ბოლო თქვენ ბრძანდებით?

- მე ვარ, შვილო.

გოგონა მორჩილად გაჩერდა მის უკან.

რიგი დიდი არ იყო, ხუთი თუ ექვსი კაცი. არც ბევრ-ბევრს ყიდულობდნენ. სწრაფად მიიწევდნენ წინ.

მოხუცმა ქალმა ააწონინა ნახევარი კილო ძეხვი „მოყვარულთა“, ორასი გრამი ყველი „რუსული“ გამოართვა, ერთიც ორმოცდაორ კაპიკად ღირებული მდოგვი. გერონტიმ მარჯვედ ჩამოყარა კოჭები საანგარიშოზე და მოხუც ქალს უთხრა: ორი და ოთხმოცი!

მოხუცმა ქალმა სამმანეთიანი მიაწოდა.

- ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, - თქვა გოგონამ.

- როგორა? – წინ წამოიწია გერონტი.

- ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, - მშვიდად გაიმეორა გოგონამ.

გერონტი შეშფოთდა.

- შენა, გოგო, რას გეტყვი, იცი?

- ვიცი.

- რა იცი, რა!

- რა და... ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, და არა ოთხმოცი.

გერონტი საანგარიშოს ეცა.

- მანეთი და ორმოცდახუთი – ძეხვი, ორჯერ ოცდაჩვიდმეტი ყველი, ორმოცდაორი მდოგვი. - ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, - თქვა ისევ გოგონამ.

აწითლებულმა გერონტიმ საანგარიშოს კოჭები უკან გაყარა და ხელახლა დაიწყო ანგარიში. ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი გამოუვიდა.

- ცოტა სწრაფად, სწრაფად! – დაიძახა ბოლოდან სათვალიანმა კაცმა.

- გერონტიმ ხნიერ ქალს ხურდები მოუკრიფა და გოგონას მიაჩერდა.

- შენ რა გინდა, ისა თქვი!

- ნუ მიწყრებით, - უთხრა გოგონამ.

- გერონტი აიმართა, გოგონას დააკვირდა. ერთი სიფრიფანა გოგო იყო, მქრქალ ცისფერთვალებიანი და ცოტა ცხვირაპრეხილი. მარცხენა ხელში ბადურა ეკავა, მარჯვენაში – ხუთმანეთიანი და კარაქის ტალონი. ძალიან მშვიდად იდგა.

- მიბრძანე, რა მოგართვა! – მორჩილება გაითამაშა გერონტიმ.

- მომეცი ორას ორმოცდაათი გრამი ძეხვი, ორასი გრამი ყველი „შვეიცარიული“, ერთი ტალონისაც კარაქი.

გერონტიმ იწვალა და ძლივს შეასრულა ზუსტად ორას ორმოცდაათ გრამად ძეხვი, მერე – ორასად ყველი. კარაქს აწონა არ უნდოდა. დაფასოებული იყო, ორას – ორასი გრამი, სამი ცალი მიაწოდა გოგონას. საანგარიშოს მისწვდა, ფრთხილად ჩამოაყარა და გაყარა კოჭები. გაუბედავად თქვა:

- სამი და სამოცდაათი.

- სამი მანეთი და სამოცდაშვიდი კაპიკი.

- ვაახ, კაცო! – წამოიძახა გერონტიმ. ისევ დააპირა ანგარიში. გადაიფიქრა, მომეცი, შვილო, რამდენიც გინდა, და წადი, სამუშაო მაქვს მე.

- აიღე სამი მანეთი და სამოცდაშვიდი კაპიკი.

გერონტიმ ზუსტად დაუბრუნა ხურდა. გოგონა წავიდა. ...და, აი, იმ დღიდან დაიწყო:

გამოჩნდებოდა გოგონა და გამყიდველი ქალები, მარო და მარგალიტა, სიცილით აცნობებდნენ გერონტის.

- მოდის, გერონტი, მოდის.

გერონტი იხტიბარს არ იტეხდა.

- მოვიდეს და მოვიდეს.

- მაგრად დადექი.

… გოგონა გერონტისთან მივიდოდა, გაჩერდებოდა მშვიდად.

- მომეცით... სამას სამოცი გრამი ძეხვი.

- დაიწყო ახლა... – ხელებს უმწეოდ ჩაუშვებდა გერონტი. მარო და მარგალიტა უკვე სიცილით იგუდებოდნენ.

- თქვენს სასწორს ათგრამიანი დანაყოფებიც აქვს. სამას სამოცი გრამი ძეხვი, ორას ოცდაათი გრამი ყველი.

- კარგი რა, გოგო, კარგი. ან ორასი თქვი, ან სამასი. სადისტი ხარ, რა ხარ?

- სადისტი რას ნიშნავს?

- მწვალებელს, მტარვალს, - ხმას უწევდა გერონტი.

- გმადლობთ. დავიხსომებ ამ სიტყვას.

…მარო და მარგალიტა ურჩევდნენ:

- სხვაგან უნდა გადახვიდე, გერონტი, თორემ აქ რაღაცა დაგემართება.

- დამემართა და ეგ არის. ვეღარაფერს ვანგარიშობ. მეჩვენება, რომ სულ მეშლება. ეგ მოფსრიტული კი თვალს არ დაახამხამებს. ნამდვილი ჯადო აქვს თვალებში.

გავიდოდა ორიოდე დღე, დამშვიდდებოდა გერონტი და ისევ გამოჩნდებოდა გოგონა, ისევ მშვიდი ქალბატონივით შემოდიოდა მაღაზიაში. გერონტი საბრძოლო პოზაში დგებოდა, მარო და მარგალიტა სეირის საყურებლად ემზადებოდნენ. გოგონა იწყებდა: - სამას ოცდაათი – ეს, ორას ოთხმოცი ის, ას ოცდაათი...

...შემოდგომის თბილი დღეები ზამთრისპირის ცივმა დღეებმა შეცვალა. დაუბერა ქარმაც. ქუჩები ჩამოცვენილი ფოთლებით აივსო. მეეზოვეები ლანძღავდნენ ქარს. ერთ დილას კი, ქარი რომ ჩადგა, თოვლიც წამოვიდა. მოფარფატებდნენ ბრტყელ-ბრტყელი ფიფქები, მაგრამ ძირს ეცემოდნენ თუ არა, დნებოდნენ. და აი, ამ თოვაში გამოჩნდა გოგონა. თბილი, გრძელი პალტო ეცვა, თბილი, ნაქსოვი ქუდი ეხურა, თითქმის წარბებამდე ჩამოწეული, თბილი, მაღალყელიანი ფეხსაცმელებით ისევ მშვიდად მოაბიჯებდა, მხრებს არ მოატოკებდა. გერონტიმ რომ გოგონა დაინახა, მაშინვე გაწითლდა, მაგრამ მაინც გაიღიმა. მარომ და მარგალიტამ დაიძახეს:

- ძვირფასი სტუმარი გვეწვია!

- ძვირფასი სტუმარი გვეწვია!

გოგონამ ქალებს მქრქალი ღიმილით გახედა და გერონტის მიუახლოვდა. გერონტი რაღაცას წონიდა, მაგრამ სასწორს კი არა, გოგონას უყურებდა და უღიმოდა.

- როგორა ბრძანდებით? – მოიკითხა გოგონამ დიდივით.

გოგონაც უღიმოდა გასაოცარი ლამაზი ღიმილით. გასაოცარი ლამაზი ტუჩ-კბილი ჰქონდა, გასაოცარი ლამაზი, კეთილი თვალები, რაღაც ნათელი ედგა მთელ სახეზე.

- თქვენ ხომ კარგად? მე ავად გახლდით, ქუნთრუშა მქონდა. ახლა კარგად ვარ.

- ვაახ! – წამოძახა გერონტიმ, - აკი არ მიკვირდა?!

- რა გიკვირდათ?

- რომ აღარ ჩანდით.

- აღარ გაწვალებდით?

- არა, ე, რა წვალებაა. შენ კარგად იყავი და ეგეთი წვალება რა წვალებაა.

- დღეიდან სულ კარგად მოვიქცევი.

- ადრეც რა, რით იქცეოდი ცუდად!

გოგონას ეცინებოდა.

მარო და მარგალიტა სახტად დარჩენილები იყურებოდნენ.

- დღეს მომეცით: ორასი გრამი „შვეიცარიული“ ყველი, ორასი გრამი ძეხვი.

- სერვილადი? სერვილადი მაქვს,- გერონტიმ დახლქვეშიდან სერვილადი გამოიღო, - თან იცინოდა, - ორას სამოცი გრამი აღარ გინდა ან ას ოთხმოცდაჩვიდმეტი?

- არა, აღარ არის საჭირო, - იცინოდა გოგონაც.

- ვახ, ეგრე ცოტას რომ ჭამთ, იმიტომა ხართ გამხდარი.

- ჩემი გასუქება არ შეიძლება. ისედაც..- გოგონამ ლოყები დაბერა.

- რატომ? რატომ?

- ბალერინა უნდა გავხდე.

- ვახ, ოპერაში?

-თ უკი შევძლებ, ოპერაში.

- შენ რას არ შეძლებ, შენ რას არ შეძლებ,- გერონტი წელში გაიშალა,- თუ რამე ისეთი იყოს, მე ნუ მომერიდები. მე აქა ვარ.

- გმადლობთ,გმადლობთ,- გოგონა ქვემოდან შეჰყურებდა და უცინოდა.- აი, რა კარგი ბრძანდებით ახლა. აღარ მიმართოთ აღარავის წყრომით. მით უფრო - ქალებს.

- მეე? წყრომით?

გოგონამ ლამაზად გახვეული ყველი და ძეხვი ჩანთაში ჩაიწყო. ხელი მაღლა ასწია და ღიმილით წავიდა კარისკენ. კართან მისულს, გერონტიმ დაუძახა:

- სახელი რა გქვია, სახელი.

- მირანდუხტ.

- ესე იგი, მირა.

- მირანდა?

- არა, მირანდუხტ.

- ვაახ.

გოგონამ ისევ ასწია ლამაზი ხელი და თითების ქნევით გავიდა თოვაში.

...იმ დღიდან დიდი მეგობრები არიან მირანდუხტ და გერონტი...

რევაზ ინანიშვილი

- **ამოწერეთ** რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები. გვერდით მიუწერეთ შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები (მათემატიკური სიმბოლოები)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

- **ჩამოწერეთ სახელები პირველ რიგში; გვერდით (მეორე რიგში) მიუწერეთ ბრუნვა, მესამე რიგში - ამ სახელის კონკრეტული ფუნქცია (ერთი და იგივე ფორმა არ გაიმეოროთ).**

_____	_____	_____
_____	_____	_____
_____	_____	_____
_____	_____	_____

3.5. **ნიშან-თვისების / გარეგნული მახასიათებლის** გამომხატველი სიტყვები - **ზედსართავი სახელები**

სიტყვათა ერთი ჯგუფი საგანთა და მოვლენათა **ნიშან-თვისებებს** ან **გარეგნულ მახასიათებლებს** გამოხატავს. ამისთვის რაიმე სპეციალური გრამატიკული საშუალებები არ გამოიყენება.

იმის მიხედვით, თუ რა სახის ნიშან-თვისებებს გამოხატავს ესა თუ ის სიტყვა, სხვადასხვა შემთხვევა გვაქვს.

გამოიხატება:

ა) **საგნის ზომა-მოცულობა:** დიდი, პატარა, ვრცელი, ფართო...

ბ) **წონა:** მძიმე, მსუბუქი, მჩატე...

გ) **გემო:** მწარე, ტკბილი, მჟავე, მწკლარტე...

დ) **ფერი:** შავი, თეთრი, მწვანე, წითელი, ლურჯი, ყვითელი...

ე) **ფორმა:** მრგვალი, ბრტყელი, სწორი, გრძელი, მოკლე...

ვ) **გარეგნობა:** მაღალი, დაბალი... ლამაზი, კოხტა... ბრმა, ყრუ...

ზ) **თვისება:** კეთილი, ბოროტი, ავი, ცუდი, კარგი, სულელი...

ამგვარ სიტყვებს, ჩვეულებრივ, ეწარმოება **ხარისხის ფორმები,** რომლებიც **მეტი** ან **ნაკლები** ოდენობით გამოხატავენ საგნის დამახასიათებელ ნიშნებს:

გვაქვს ასეთი სისტემა:

დიდი	-	მო-დიდ-ო	-	უ-დიდ-ეს-ი
თეთრი	-	მო-თეთრ-ო	-	უ-თეთრ-ეს-ი
მწარე	-	მო-მწარ-ო	-	უ-მწარ-ეს-ი

ეს ფორმები ერთმანეთის მიმართ **ხარისხის ფორმებია. ძირეულ** ფორმას (**დიდი, თეთრი...**) **დ ა დ ე ბ ი თ ი** ხარისხის ფორმა ჰქვია.

დადებითი ხარისხის ფორმა **ამოსავალია,** მისგან მიიღება **ოდნაობითი** და **უფროობითი** ხარისხის ფორმები.

როგორ მიიღება?

– ამისთვის სპეციალური ნიშნები არსებობს.

- **ოდნაობითი** ხარისხის ფორმა საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს დადებითთან შედარებით **ნაკლები** ოდენობით.

მისი მაწარმოებელია:

მო- - -ო თავსართ-ბოლოსართი:
დიდ-ი - მო-დიდ-**ო, თეთრ-ი - მო-**თეთრ-**ო**...

ოდნაობითი ხარისხის ფორმები ასე შეიძლება განვმარტოთ;

მოდიდო - **ნაკლებად** დიდი / **ცოტათი** დიდი / **ოდნავ** დიდი
მომაღლო - **ნაკლებად** მაღალი / **ცოტათი** მაღალი / **ოდნავ** მაღალი
მომწარო - **ნაკლებად** მწარე / **ცოტათი** მწარე / **ოდნავ** მწარე

უფროობითი ხარისხის ფორმას აწარმოებს **უ- -ეს** თავსართ-ბოლოსართი.

ასეთი ფორმა აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას **მეტი** ოდენობით, ვიდრე ძირეული (დადებითი, ამოსავალი) სიტყვა: **დიდ-ი - უ-დიდ-ეს-ი, მაღალ-ი - უ-მაღლ-ეს-ი...**

უფროობითი ხარისხის ფორმები შეიძლება ასე განვმარტოთ:

უდიდესი = **ყველაზე** დიდი
უმაღლესი = **ყველაზე** მაღალი
უმწარესი = **ყველაზე** მწარე...

ეს არ ნიშნავს, რომ **ყველა** ამგვარ სიტყვას **ყოველთვის** აქვს **სამივე** ფორმა; ვერ ვიტყვით, ვთქვათ, ასეთ სიტყვებს:

მობოროტო, მომძიმო, მოსწორო, მომოკლო...

შეადარე სწორი ფორმები:

უბოროტესი, უმძიმესი, უსწორესი, უმოკლესი...

დავიმახსოვროთ:

ხარისხის ფორმათა წარმოებისას ზოგიერთ **ელ** და **ილ** სუფიქსიან სახელს მოეკვეცება ეს სუფიქსები:

გრძ-ელ-ი - მო-გრძ-ო - უ-გრძ-ეს-ი

ტკბილი - მოტკბო - უტკბესი...

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი. ხაზი გაუსვით უფროობითი ხარისხის ფორმებს.**

უტკბესი და უმწარესი

ერთმა მეფემ უბრძანა თავის ვეზირს: წადი და ისეთი საჭმელი მომიტანე, რომ დედამიწაზე და ზღვაში მისი უტკბესი არაფერი იყოსო!

წავიდა ვეზირი, ენა უყიდა, მოუტანა, შეწვა, აჭამა და მოეწონა მეფეს.

უბრძანა კიდევ: წადი, ისეთი რამე მომიტანე, ქვეყანაზე მისი უმწარესი არაფერი იყოსო!

წავიდა ვეზირი, ისევ ენა უყიდა და მოუტანა.

უთხრა მეფემ: მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე, ტკბილი ვითხოვე და ისევ ენა მომიტანეო?!

მოახსენა ვეზირმა: ენის უტკბესი არაფერია და არც ენის უმწარესია რამე ქვეყანაზეო.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა

ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა
და ყვავილები გიიადონა.
შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო,
სულო, ჭაობზე უნოტიესო.
იდუმალია ჩვენი სერობა
და ღამეების ალმაცერობა,
რომ ოცნებები ცეცხლით გალესო,
სულო, იმ ცეცხლზე უმხურვალესო.
დღეთა სინაზეს ედება კორძი...
ესე არს სისხლი, ესე არს ხორცი
და იდუმალი ლოცვა ბაგისა,
სულო, ლაჟვარდზე უსპეტაკესო.
ვარსკვლავი იგი - ფიქრთა საგანი -
ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი,
აელვარდება ცაზე ოდესმე,
სულო, დემონზე უბოროტესო!

გალაკტიონ ტაბიძე

- **ამოწერეთ უფროობითი ხარისხის ფორმები. გვერდზე მიუწერეთ დადებითი ხარისხის ფორმები.**

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი და ხაზი გაუსვით ზედსართავ სახელებს: ხმოვანფუძიანებს - ერთი ხაზი, თანხმოვანფუძიანებს - ორი.**

***

ექიმმა გამსინჯა და მითხრა:

- ძალიან დაღლილხართ. უნდა დაისვენოთ, გადით პარიზიდან - ან ზღვისკენ გაისეირნეთ, ან პალმებს შეეხიზნეთ. თითიც აღარ გაანძრიოთ: სჭამეთ, სვით, იხეტიალეთ, იბანავეთ და იგორავეთ. თქვენი წამალი მარტო ეს არის. ორევუარ!

პარიზს ვერ მოვწყდებოდი. ვიღაცამ მირჩია ნოჟანი.

საკვირველია: სადაც ზღვა სისხლი დაიღვრება, იმ ალაგს რაღაც იდუმალი ძალა მიეცემა: მისი სახელი მთელ ქვეყანას მოედება და ისტორიაშიც დარჩება. ყველას იზიდავს და იპყრობს იგი, თუნდაც უდაბური, მიუსაფარი და მიუვალი იყოს.

ალბათ ამიტომ ავირჩიე მდინარე მარნა და მის ნაპირზე გაშლილი ნოჟანი.

პატარა ქალაქია. პარიზის გარეუბნიდან ერთი საათის სავალი ძლივს იქნება. თუნდ შარანტონის ჭალებს აჰყევით, გინდ ვერსენის ტყე გადასჭერით - უმალ ამ ქალაქს წააწყდებით.

აღარ დავაყოვნე: ერთი ოთახი ... დავიქირავე და ექიმის დარიგებას გავყევი: დილით-საღამომდე თითსაც აღარ ვანძრევ. ვჭამ, ვბორიალებ, მწვანეზე ვგორაობ და ნახევარ დროს მარნასა და მის ნაპირებზე ვატარებ.

არსად მინახავს ასეთი მდინარე - რონა თუ შეედრება.

ღრმა და განიერ არხს მომაგონებს: დინჯი, მშვიდი, ზანტი და ანკარა. მუდამ სთვლემს, იზმორება, ილოღნება. ზედაპირზე ჩალის ერთ ღერსაც იშვიათად მოსძებნით, ხოლო ფსკერი - მუქი და დახავსილი - ნათლად და მკაფიოდ მოსჩანს, როგორც კენჭი ჭიქის ძირში.

პატარა ქალაქს ბაღიც პატარა აქვს, სამაგიეროდ ჩრდილოვანი, სუფთა და მყუდრო. ერთხელ, ნასადილევს, სანამ საბანაოდ ჩავიდოდი, ამ ბაღში შევიხედე. ვეება წაბლის ქვეშ გრილი ბინდი ჩაწოლილა. ხის ჩრდილში გრძელი სკამი მოსჩანს. მივედი და დავჯექი.

ქვიშნარ გზაზე ღრმა მოხუცი მოდის - ჩანჩალით და ცანცარით.

მიხეილ ჯავახიშვილი, „მიწის ყივილი“ (ფრაგმენტი)

➢ **დავალება.**

- **შეავსეთ ცხრილში გამოტოვებული ადგილები**

თეთრი		
	მოშავო	
		უწითლესი
წმინდა		
		უგრძესი
	მოტკბო	

➢ **დავალება.**

- **აწარმოეთ შემდეგი ზედსართავი სახელების ოდნაობითი და უფროობითი ხარისხის ფორმები**

ნიმუში: ლურჯი - მოლურჯო - ულურჯესი

წითელი	.....	.....
მუავე	.....	.....
თეთრი	.....	.....
გრძელი	.....	.....
დიდი	.....	.....
ტკბილი	.....	.....
შავი	.....	.....
ყვითელი	.....	.....

3.6. ნაცვალსახელები.

ნაცვალსახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც იხმარება არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების ნაცვლად.

გამოიყოფა სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელები:

1. **პირისა:**

   მე შენ, ის (იგი); ჩვენ, თქვენ, ისინი.

2. **ჩვენებითი:**

ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი, ამნაირი, ამისთანა, ამდენი...

3. **კუთვნილებითი:**

   ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი, თავისი...

4. **კითხვითი:**

   ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური?..

5. **კითხვით-კუთვნილებითი:**

   ვისი? რისა?

6. **მიმართებითი:**

   ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც...

7. **უარყოფითი:**

   არავინ, ვერავინ, ნურავინ, თითოეული, ყველა...

8. **განსაზღვრებითი:**

   თვით, თვითონ, თითოეული, ყველა...

9. **განუსაზღვრელობითი:**

   ვიღაც, რაღაც, რომელიღაც; ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე...

3.6.1. **პირის ნაცვალსახელები** ნათესაობითში

პირის ნაცვალსახელები ნათესაობითის მნიშვნელობით **მხოლოდ თანდებულით** გამოიყენება:

ჩემთვის	ჩემგან	ჩემკენ	ჩემ მიერ
ჩვენთვის	ჩვენგან	ჩვენკენ	ჩვენ მიერ
შენთვის	შენგან	შენკენ	შენ მიერ
თქვენთვის	თქვენგან	თქვენკენ	თქვენ მიერ

3.6.2. **ჩვენებითი ნაცვალსახელები**

ეს - **მოლაპარაკესთან *ახლოს*** მყოფ ადამიანზე ან ნივთზე მიუთითებს:

ეს ბიჭი = ბიჭი **ჩემთან ახლოს** არის.

ეს ბურთი= ბურთი **ჩემთან ახლოს** არის.

ის – **იმ** ნივთზე ან პირზე მიუთითებს, რომელიც **მოლაპარაკე** პირისგან შორსაა:

ის ბიჭი = ბიჭი **შორსაა.**

ის ბურთი= ბურთი **შორსაა.**

ეს ბიჭი = ბიჭი მოლაპარაკესთან **ახლოს** არის.

ეს ბურთი= ბურთი მოლაპარაკესთან **ახლოს** არის.

ის ბიჭი = ბიჭი **შორსაა.**

ის ბურთი= ბურთი **შორსაა.**

ეს ბიჭი = ბიჭი მოლაპარაკესთან **ახლოს** არის.

ეს ბურთი= ბურთი მოლაპარაკესთან **ახლოს** არის.

ის ბიჭი = ბიჭი **შორსაა.**

ის ბურთი= ბურთი **შორსაა.**

- **დავალება.**
  ხაზი გაუსვით მისათითებელ სიტყვებს.

  ბაყაყების საუბარი
  - მე თუ მკითხავ, ამ გუბეს
  ათასჯერ ჯობს ის გუბე!
  - თუ მართლა ჯობს ის გუბე,
  რას უყურებ, ისკუპე!

  ტარიელ ჭანტურია

3.6.3. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელები - **ჩემი, შენი, მისი (ამისი, იმისი), ჩვენი, თქვენი, მათი (ამათი, იმათი)** - გამოხატავენ კუთვნილებას:

ჩემი და **ჩვენი** პირველი პირის კუთვნილებას გამოხატავს,

შენი და **თქვენი** _ მეორე პირისას,

მისი (ამისი, იმისი), მათი (ამათი, იმათი), თავისი _ მესამე პირისას.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება არ განსხვავდება ბოლოთანხმოვნიან ზედსართავთა ბრუნებისაგან. **ჩემი** და **ჩვენი** შვიდივე ბრუნვის ფორმით იხმარება, დანარჩენებს წოდებითის ფორმა არ გააჩნიათ.

კუთვნილებით ნაცვალსახელებს მიცემითსა და ვითარებითში **ს** უნდა დაერთოს: ჩემ-**ს** (შენ-**ს**, ჩვენ-**ს**, თქვენ-**ს**, მათ-**ს**) მეგობარ-**ს.**

3.6.4. მიმართებითი ნაცვალსახელები

მიმართებითი ნაცვალსახელებია:
ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, ვისიც, რისაც, სადაურიც, როდინდელიც.

მიმართებითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელებისაგან **ც (ცა)** ნაწილაკის დართვით. მაგ., **ვინ, რა, რომელი** კითხვითი ნაცვალსახელებია, **ვინც, რაც, რომელიც** _ მათგან ნაწარმოები მიმართებითი ნაცვალსახელები.

3.6.5. უარყოფითი ნაცვალსახელები

უარყოფითი ნაცვალსახელებია:
არავინ, ვერავინ, ნურავინ, ნუვინ; აღარავინ, ვეღარავინ, ნუღარავინ; არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი; აღარაფერი, ვეღარაფერი, ნუღარაფერი; არავითარი, ვერავითარი; არარა, ვერარა...
არავინ (ეგრეთვე: **ვერავინ, ნურავინ, ნუვინ**) ისევე იბრუნვის, როგორც მარტივი **ვინ:**
არავინ, არავის; ვერავინ, ვერავის; ნურავინ, ნურავის; ნუვინ, ნუვის.

3.6.6. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია:
თვით, თვითონ, თითოეული, ყოველი, ყველა, თავად, სხვა.

თვით და **თვითონ** უბრუნველი ნაცვალსახელებია.

3.6.7. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია:
ვიღაც, რაღაც, რომელიღაც; ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე; კაცი, ერთი, ზოგი, ზოგიერთი.

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტები. ამოწერეთ ნაცვალსახელები და დააჯგუფეთ.**

აქ

არავის შენ არ აგონდები
ჩემს დანახვაზე,
არავის მე არ ვაგონდები
ჩემს დანახვაზე,
არავის ის არ აგონდება
ჩემს დანახვაზე -
რაც მანდ ზოგს მაინც აგონდება
ჩემს დანახვაზე

რა შემზარავი სცოდნია ფიქრი, -
ხალხს ვინც ჰგონიხარ, -
როს არ ხარ იგი.

მუხრან მაჭავარიანი

***

...ისე, ამოდი ჩემთან და რამდენსაც გინდა, გაჭმევ. თუთუნი გექნება შენ, _ თუთუნი ამოვიღე ჯიბიდან და გამოწვდილ ხელისგულზე დავუყარე. ლუკაიამ თუთუნს უსუნა და განაგრძო, _ კაი სამუშაო დღეა დღეს, მარა ვიფიქრე, ერთ-ორ კაპიკს გავაკეთებ-მეთქი... ქაღალდიც გექნება, _ მე თამბაქოს გასახვევი ქაღალდი მივაწოდე, _ ჩვენს ბრიგადირს რომ ჰკითხო... ცეცხლი არ გაქვს? _ ასანთიც მივაწოდე. მოუკიდა და სიამოვნებით გააბოლა, _ მაგას რა ენაღვლება, შვილი არ ყავს და ძირი. ბიჭი მომახმარეო. ბიჭი უმაღლესში უნდა მოეწყოს წელს და თოხი ვაბაყუნებიო ყანაში? არ გამოუვა მაგი ნომერი, ა, რას იტყვი შენ? რავა დამუნჯებულხარ, შე უპატრონო, თქვი რამე! _ შემომიტია უცებ ლუკაიამ.

_ ლუკა ბიძია, ომი დაიწყო!
_ ვინ? _ მკითხა ლუკაიამ, ისე რომ ჩემსკენ არც გამოუხედავს.
_ გერმანიამ.
_ სად?
_ რუსეთში.
_ ვისთან? _ თქვა ისევ ლუკაიამ.
_ ჩვენთან!
_ ვინ ჩვენთან?
_ ჩვენთან, საბჭოთა კავშირთან.
_ როდის?
_ დღეს!

ნოდარ დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“ (ფრაგმენტი)

პირის	კუთვნ.	უარყ.	კითხვ.	მიმართ.	განუსაზღვრ.

3.7. **ყოლა-ქონის** აღმნიშვნელი სახელები

სიტყვების ერთი ჯგუფი გამოირჩევა იმით, რომ *ვინმეს* ან *რამის* **ყოლა-ქონის** შინაარსი აქვთ. ეს შინაარსი გამოიხატება გრამატიკული ნიშნებით, ბოლოსართებით, რომელთაგან პროდუქტიულობით გამოირჩევა: **-იან, -ოსან, -ოვან, -ა.**

-იან სუფიქსი **მქონებლობის** მაწარმოებელთაგან ყველაზე გავრცელებულია:

ფულ-**იან**-ი, ბინ-**იან**-ი, ფრთ-იან-ი, ცოლ-**იან**-ი, ბეჭდ-**იან**-ი...

ჭკვ-**იან**-ი, დარდ-**იან**-ი, სევდ-**იან**-ი, მად-**იან**-ი, შაქრ-**იან**-ი...

ვნახოთ, როგორ არის ასეთი სიტყვები განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

ფულიან-ი:

1. ვისაც ფული **აქვს. ფულიანი** ხარ და გული მაგრა გაქვს? (ა. ცაგარ.). [შავი ქვის] აღმოჩენის შემდეგ დიდძალი **ფულიანი** კაცი მოაწყდა ჭიათურასა (ი. გოგებ.). 2. რაშიც ფული არის. ოთხ კაცს **ფულიანი** ქისა დაუკარგნიათ და ეძებენ (ზღაპ.).

ბინიან-ი:

ბინის **მქონე.** ზოგი მდიდარი ეძლეოდა, ზოგიც ღარიბი, ზოგი **ბინიანი,** ზოგიც უბინაო (ს. დემურხ.).

ცოლიან-ი:

ვისაც ცოლი **ჰყავს.** იყვენენ ორნი ძმანი. ერთი **ცოლიანი** იყო და მეორე უცოლო (ზღაპ.).

ფრთიან-ი:

რასაც ფრთები ასხია, **აქვს,** _ ფრთოსანი. დიდი გამართეს ზეიმი მწერთა, ოთხფეხთ და **ფრთიანთა** (ვაჟა).

ბეჭდიან-ი:

ბეჭდის **მქონე.** 1. რასაც ბეჭედი უკეთია, _ ბეჭედწამოცმული. [ბონდო] მივიდა, **ბეჭდიანი** ხელი დაუჭირა [მაიას] (ლ. ქიაჩ.).

ჭკვიან-ი:

ვისაც ჭკუა **აქვს,** _ გონიერი. დარეჯან, აბა თუ **ჭკვიანი** დედაკაცი ხარ, გამოიცან, აიმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის? (ილია).

დარდიან-ი:

დარდის **მქონე,** _ სევდიანი, ნაღვლიანი. **დარდიანი** მარტო შენი გული ნუ ggონია, მიმოიხედე..., თითო დარდი ყველგან ბუდობს (ლ. გოთ.).

სევდიან-ი:

სევდის **მქონე,** სევდით მოცული, სევდის აღმძვრელი, – დარდიანი, ნაღვლიანი, კაეშნიანი. რა **სევდიან** ზღაპარს ამბობს ქარი, ამეშალა ჩვეულ ფიქრთა ჯარი (გ. ტაბ.).

მადიან-ი:

მადის **მქონე. მადიანი** მჭამელი. _ **მადიანი** სტუმარი.

შაქრიან-ი:

რასაც შაქარი **აქვს,** _ დაშაქრული. || ფიგურ. **შაქრიანს** ეტყვის სიტყვასა შუბლშეკვრით, სახით მკვახითა (ვაჟა).

-ოსან:

ცხენ-**ოსან**-ი, მანდილ-**ოსან**-ი, წვერ-**ოსან**-ი, ჩოხ-**ოსან**-ი, ფრთ-**ოსან**-ი...

ცხენოსან-ი:

ვისაც ცხენი **ჰყავს,** _ ცხენიანი. პოლკოვნიკი ლებოვი იყო **ცხენოსანი** ჯარის უფროსი (გ. წერეთ.).

მანდილოსან-ი:

ვინც მანდილს ხმარობს, ვისაც მანდილი ახურავს, **მანდილიანი** ქალი. «მოგცათ წყალობა, ... თემო, სოფელო, ქუდოსანო, **მანდილოსანო!»** (ვაჟა).

წვეროსან-ი:

ვისაც წვერი (და ულვაში) **აქვს,** _ წვერიანი. ორთა კაცთა **წვეროსანთა** ყმა მოჰყვანდა უწვერული (რუსთაველი).

ჩოხოსან-ი:

იგივეა, რაც **ჩოხიანი** [მამულების გამმიჯვნელს] გარს შემოხვეოდნენ ... **ჩოხოსანი** მებატონეები.

ფრთოსან-ი:

რასაც ფრთა **აქვს,** _ ფრთიანი. ღამის **ფრთოსანთ** მორთეს მხიარული ჟრიამული (ნ. ლორთქ.).

-ოსან ასევე აწარმოებს **პროფესიის, ხელობის,** რაიმე მიმართულების **მიმდევრობის** აღმნიშვნელ სახელებს:
ზღვა-**ოსან**-ი, ნა-**ოსან**-ი, კალმ-**ოსან**-ი, ნიჩბ-**ოსან**-ი, ძალ-**ოსან**-ი...

- **დავიმახსოვროთ:**

ჩვეულებრივ, **-იან** და **-ოსან** მაწარმოებლების დართვისას

-ა და **-ე** ფუძიანები ფუძის ბოლო ხმოვანს იკვეცენ:

კაბ**ა** - კაბ-**იან**-ი
ფრთ**ა** - ფრთ-**ოსან**-ი...

ფუძეკუმშვადი სახელები ფუძის ხმოვანს კარგავენ:
კალ**ა**მ-ი - კალმ-**იან**-ი...
კალ**ა**მი - კალმ-**ოსან**-ი...

-ოვან:

კლდ-**ოვან**-ი, სახელ-**ოვან**-ი, ცეცხლ-**ოვან**-ი, ყინულ-**ოვან**-ი, ჩირქ-**ოვან**-ი...

კლდოვან-ი:

იგივეა, რაც **კლდიანი,** – **კლდეებიანი.** არ გაუვლია ორ წუთს, რომ **კლდოვანი** ნაპირი ტბისა... გადმოიწია და ყირამალა ჩაწვა წყალში (ნ. ლორთქ.).

სახელოვან-ი:

კარგი სახელის **მქონე;** ყველასაგან დაფასებული და პატივცემული, – სასახელო, სახელგანთქმული. ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს **სახელოვანიო** (ანდაზა).

ცეცხლოვან-ი:

ცეცხლმოდებული, **ცეცხლიანი.** ფიგურ. კატაბარდებში გაიელვა [მგლის] **ცეცხლოვანმა** თვალმა (კ. გამს.).

ყინულოვან-ი:

ყინულით დაფარული, _ **ყინულიანი.** ყინულოვანი მთებიდან მობერილი სიგრილე სიმხნევეს მმატებდა (ს. კლდ.).

ჩირქოვან-ი:

ჩირქის შემცველი, **ჩირქიანი. ჩირქოვანი** ანგინა. **ჩირქოვანი** პლევრიტი.

-ა:

-ა სუფიქსი ქონების გამომხატველად განსაკუთრებით ხშირია რთულ სიტყვებში, როგორიცაა:

შავ-თვალ-**ა,** ცალ-თვალ-**ა,** სქელ-კისერ-**ა,** დიდ-ყურ-**ა,** დიდ-ცხვირ-**ა**...

შავთვალა:

შავი თვალების **მქონე,** _ შავთვალებიანი. აგერ მირბის... **შავთვალა** ქალი (ა. ყაზბ.).

ცალთვალა:

ერთი თვალის **მქონე;** ცალი თვალით ბრმა. იყო ერთი **ცალთვალა** ირემი (ი. გოგებ.).

სქელკისერა:

ვისაც სქელი კისერი **აქვს. სქელკისერა** გლეხი ალექსი მჭედლიძე დაყვავებით უდასტურებდა ინჟინერს (მ. გვასალ.).

დიდყურა:

ვისაც ან რასაც დიდი ყურები **აქვს;** გრძელყურებიანი. შეეხედე: ჩემ წინ კაცი დგას, _ **დიდყურა** იყო, მახინჯი (ბაჩ.).

დიდცხვირა:

ვისაც (რასაც) დიდი ცხვირი **აქვს.** დაჰყუდებოდა... ტყემლის ჯოხს... დიდკბილა და **დიდცხვირა** დიაკვანი (მელან.).

თვისების მქონებლობის გამოსახატავად გვხვდება **-ა** სუფიქსი ამგვარ შემთხვევებში:

ზოზინ-ა:

ვისაც (რასაც) *ზოზინი* სჩვევია, – ხელგვიანი, ზლაზნია.

დუდღუნ-ა:

1. ცხვირში მოლაპარაკე. **დუდღუნა** დიმო ორი-სამი წლით იქნებოდა ჩვენზე ადრე მოვლენილი ამ ქვეყანაზე (გ. ხორგ.). 2. რაც ცხვირში ლაპარაკით ხასიათდება. *დუდღუნა* მეტყველება. ბებრულ **დუდღუნა** საყვედურში შებურა კილო (ლ. გოთ.).

ჯუჯღუნ-ა:

ვინც ცხვირში ლაპარაკობს, _ დუდღუნა. || ბუზღუნა.

ბუზღუნ-ა:

ვინც მუდამ ბუზღუნებს, ვისაც *ბუზღუნი* სჩვევია. ვერ გამიგია, რად ამომირჩია მამამ დამრიგებლად ასეთი **ბუზღუნა** ბებერი (ქ. ბაქრ. თარგმ.). ეზოში ძია თეოდო შემოვიდა, **ბუზღუნა** ბერიკაცი (ა. სულაკ.).

ლაქლაქ-ა:

ვისაც *ლაქლაქი* სჩვევია, ვისაც *ლაქლაქი* უყვარს, – ყბედი. მეტად **ლაქლაქა** ბავშვია ეგა..., თან თამამი, ცელქი, ოხუნჯი» (ი. მაჩაბ. თარგმ.). ფიგურ. დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია და პატარა კი – ყბედი და **ლაქლაქა** (ილია).

ფუსფუს-ა:

ვისაც ან რასაც *ფუსფუსი* სჩვევია, _ მოფუსფუსე. ამ დროს გამოჩნდებოდა **ფუსფუსა** დიასახლისი (ე. ფურცხ.).

ჩიფჩიფ-ა:

უპატივც. ვინც ჩიფჩიფებს, _ ჩიფჩიფით მოლაპარაკე. [ერემო] ამხანაგებს ლოცავდა და ცდილობდა **ჩიფჩიფა** მღვდლისათვის მიებაძა (ს. კლდ.).

➢ **დავალება.**

- **აწარმოეთ -იან სუფიქსიანი ქონების სახელები შემდეგი სიტყვებიდან:**

ნიმუში: წამალი - წამლ**იან**ი, კაბა - კაბ**იან**ი, კიბე - კიბ**იან**ი

მადლი	→	.....	ფული	→	.....
კარი	→	.....	ფანქარი	→	.....
ფრთა	→	.....	მიწა	→	.....
მანქანა	→	.....	კლდე	→	.....
ფანჯარა	→	.....	ტანსაცმელი	→	.....
ფასი	→	.....	შარვალი	→	.....
მზე	→	.....			

➢ **დავალება.**

- **გახაზეთ ქონების სახელები:**

დედა	ჩოხოსანი	კუდიანი
ჭკვიანი	დიდთავა	ლოდინი
ქმრიანი	წიწაკა	შვიდიანი
გავლენიანი	ხუმარა	ძალოსანი
პოპულარული	ჰაეროვანი	მგოსანი
ბუზღუნა	მხიარული	ცალთვალა
დედამიწა	ძალოსანი	

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი. ამოწერეთ ქონების სახელები: გვერდით მიუწერეთ საწყისი, ამოსავალი ფორმები.**

საზღვაო ძალები

მოულოდნელად ბაზარში შავი ზღვის ფლოტის გალეწილი მთვრალი მეზღვაურები შემოიჭრნენ და გლეხებს დაუწყეს ქამრებით ცემა.

ხალხი კივილით გამოვარდა ბაზრიდან და გერმანელებს შეერია.

ერთმა მეზღვაურმა ხელი სტაცა ჩია, ოცდათხუთმეტკილოიან, შავებში ჩაცმულ დედაბერს გულზე დაბნეული შავკანტიანი ფოტოთი. დედაბერი თავით ჩატენეს წნილის კასრში, ატყდა სიცილი.

წითურმა მეზღვაურმა აყლაყუდას იღლიიდან გამოსტაცა სპორტული ჩემოდანი და თავში ჩაარტყა. ჩემოდანი გაიხსნა და ყველაფერი გადმოიყარა.

ვარლამი გამოეკიდა პადშიბნიკს, მეზღვაურმა ვარლამი აიტაცა, ჯონჯოლის კასრში ჩააგდო და რამდენჯერმე ჩააყვინთინა.

– ბლიადი! – იყვირა ინვალიდმა გლეხმა, ორდენ „სლავის“ კავალერმა და სახლში გამოჭრილი კუნძებიანი კასტილი თავში ჩაარტყა მეზღვაურს, თვითონ კი ასკინკილით ბაზრიდან გავარდა. მთელი ოცეული გამოეკიდა.

გერმანელების დანახვაზე მეზღვაურები სულ გადაირივნენ. დედის გინებით დაუწყეს მათ ცემა. აყეფდნენ ძაღლები, ატყდა სტვენა, ყვირილი.

– სტრელიატ ნა პარაჟენიე! – იყვირა პოლკოვნიკმა და დაიწყო სროლა.

სულ მალე მეზღვაურები გარეკეს, გერმანელები აშალეს და კოლონა გზას გაუდგა.

ვარლამი კრანის ქვეშ სახიდან იშორებდა ჯონჯოლს, თვალებს იბანდა და ბუნდოვნად ხედავდა, თუ როგორ მიათრევდა მილიციის უფროსი შავკაბიან აქტიურ ქალს, რომელიც გაჰკიოდა:

– მეოცე საუკუნის კაციჭამიებო! ფაშისტებო! სიკვდილი და არგადარჩენა თქვენ!

– სუ, ქალო, კულტურის ინსტრუქტორი მაინც არ იყო!

რეზო გაბრიაძე, „ქუთაისი ქალაქია“ (ფრაგმენტი)

3.8. უქონლობა-უყოლობის სახელები

ერთი რიგის სიტყვებს აქვს **უყოლობა-უქონლობის** შინაარსი. ეს შინაარსი სპეციალური გრამატიკული ნიშნებით გამოიხატება: **უ- -ო, უ- -ურ.**

ყოლა-ქონისა და **უყოლობა-უქონლობის** გამომხატველი სიტყვები ერთმანეთის მიმართ **ანტონიმებია.**

უ-ო:

უ-ცოლ-**ო**, **უ**-შვილ-**ო**, **უ**-გულ-**ო**, **უ**-ფულ-**ო**, **უ**-კარ-**ო**...

ვნახოთ განმარტებები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით:

უცოლო:

ვისაც ცოლი **არა ჰყავს.** იყვნენ ორნი ძმანი. ერთი ცოლიანი იყო და მეორე – **უცოლო** (ზღაპ.).

უშვილო:

ვისაც შვილი **არა ჰყავს.** ცოტანი არიან **უშვილონი** განა? მეც იმათში ვიქნებოდი (ილია).

უგულო:

ვისაც გული **არა აქვს,** – გულქვა, გულცივი; უგრძნობელი. **„უგულო** ადამიანი ყოფილხარ, **უგულო!“** – დაიწყო ირემამ მოსვლისთანავე (შ. არაგვ.).

უფულო:

ვისაც ფული **არა აქვს.** ზღმარტლაძე... მუდამ **უფულო,** მაგრამ მთვრალი და მაძღარი იყო (ვაჟა).

უკარო:

რასაც კარი **არა აქვს.** იქ ერთი **უკარო** საყდარი იყო (ზღაპ.).

უ-ურ (/ უ-ულ):

უ-მად-**ურ**-ი, **უ**-ბედ-**ურ**-ი, **უ**-სახ-**ურ**-ი, **უ**-გემ-**ურ**-ი, **უ**-ფერ-**ულ**-ი...

უფერულ-ი:

ფერმკრთალი, ფერმიხდილი, ფერდაკარგული, **უფერო.** [თინათინს] **უფერული...** ხმელი სახე გაუწითლდა (ე. ნინოშ.).

უწვერულ-ი:

იგივეა, რაც **უწვერო.** ერთი **უწვერული** ჭაბუკია ქართულ ჩოხაში მორთული (კ. გამს.).

უ–ო, უ–ურ (უ–ულ) თავსართ-ბოლოსართების დართვით სახელები, როგორც წესი, იკუმშება და იკვეცება:

თმ**ა**	– უ-თმ-ო...	*შდრ:*	ბინა - უ-ბინ**ა**-ო
საქმ**ე**	– უ-საქმ-ურ–ი...	*შდრ:*	მზე - უ-მზ**ე**-ო
მეზობ**ელ**-ი	– უ-მეზობლ-ო...		

თუ სიტყვა **ო**-ზე ბოლოვდება, **-ო** ბოლოსართის დართვისას ორი **ო** მოიყრის თავს:

დრ**ო**: უდრ**ოო**

სას**ო**: უსას**ოო**

ხბ**ო**: უხბ**ოო**

ბოლ**ო**: უბოლ**ოო**

➢ **დავალება.**

- **აწარმოეთ უქონლობა–უყოლობის სახელები:**

უ-ო:

ცოლი → .....

მთვარე → .....

წამალი → .....

ტვინი → .....

პური → .....

გუნდი → .....

ქუდი → .....

უ-ურ:

წიგნი → .....

გემო → .....

ბედი → .....

- **დავალება.**
- **ამოწერეთ უქონლობა–უყოლობის სახელები და გვერდზე მიუწერეთ ქონების სახელები:**

ნუციკო

სად გინახავს, მითხარი,
მელაკუდა - უკუდოდ,
უსავარცხლოდ - ოფოფი,
ანდა სოკო - უქუდოდ!

სად გინახავს, კენგურუს
ჩანთა შინ დარჩენოდეს,
მონადირეს ხელში
თოფი არა სჭეროდეს!

შენ კი ჩემო ჭკვიანო,
ჩემო კარგო ნუციკო,
როგორ მოხდა, სკოლაში
რომ წახვედი უწიგნოდ?!

ტარიელ ჭანტურია

- **დავალება.**
- **ამოწერეთ უქონლობა–უყოლობის სახელები.**

***

უსიკვდილოდ, უეჭველად,
უსათუოდ, უთუოდ,
კართან უნდა უდარაჯოთ,
ღამე უნდა უთიოთ.
უხმაუროდ, უსიმღეროდ,
უხმოდ, უსაზანდაროდ,
სულში უნდა ჩაიძვრინოთ,
ხელისგულზე ატაროთ.
უჯაროდ და უაჯამათოდ,
უეროდ და უბეროდ,
იის წყალი უნდა უსხათ,
სული უნდა უბეროთ.
ბარდი უნდა,
დარდი უნდა
აკრეფოთ და აცელოთ,

ნიავი არ მიაკაროთ,
თვალი არ მოაცილოთ.
არ გაზომოთ ტიტულებით,
რანგებით და ჩინებით,
გაუფრთხილდეთ,
გაუფრთხილდეთ
უნდა თვალის ჩინივით.
უნდა ლოცოთ,
სიხარულის
ცრემლით უნდა ატიროთ,
მუდამ,
მუდამ,
გულთან
გულით,
გულში უნდა ატაროთ.

ვახტანგ ჯავახაძე

3.9. გეოგრაფიული პუნქტების აღნიშვნა.

გეოგრაფიული პუნქტების აღნიშვნა ხდება შემდეგი მაწარმოებლების საშუალებით:
-ეთ, სა – ო, სა – ეთ...

-ეთ:
კახ-**ეთ**-ი, იმერ-**ეთ**-ი, თუშ-**ეთ**-ი, ოსმალ-**ეთ**-ი, სომხ-**ეთ**-ი, თურქ-**ეთ**-ი, რუს-**ეთ**-ი...

სა- – -ო:
სა-ქართველ-**ო**, **სა**-მეგრელ-**ო**...

სა- – -ეთ:
სა-ფრანგ-**ეთ**–ი, **სა**-ბერძნ-**ეთ**-ი...

ხშირად ქვეყნის სახელწოდება უცვლელად, სპეციალური მაწარმოებლების გარეშე გადმოიცემა:
გერმანია, ავსტრია, ავსტრალია, მოზამბიკი, ანგოლა, აზერბაიჯანი, ირანი...

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

რიო დე ჟანეირო 2016

ზაფხულის XXXI თამაშები დაიწყო - რიო დე ჟანეიროს ლეგენდარულ „მარაკანაზე" ოლიმპიური ცეცხლი გუშინ აინთო! შთამბეჭდავ სანახაობას 78 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. საქართველოს ოლიმპიური გუნდი გახსნის ცერემონიის ცენტრალურ ნაწილში - ეროვნებათა აღლუმზე 81-ე ნომრად გამოჩნდა.

აღლუმი ოლიმპიური ტრადიციის შესაბამისად სტადიონზე საბერძნეთის ოლიმპიური გუნდის შემოსვლით დაიწყო, მასპინძელი ბრაზილია კი, წესისამებრ, ბოლო იყო. რაც შეეხება სხვა ქვეყნების თანმიმდევრობას, გუნდები ბრაზილიის სახელმწიფო ენის - პორტუგალიური ალფაბეტის მიხედვით გამოჩნდნენ. ამიტომაც იყო, რომ საქართველო „მარაკანაზე" სამხრეთ აფრიკის, საუდის არაბეთის,

არაბთა გაერთიანებული საამიროების, ესპანეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, კორეის, ყაზახეთის, ყატარის და კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყნის შემდეგ შემოვიდა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ცნობით, 5 აგვისტოს, „მარაკანაზე" გამართულ შოუს 28 ქვეყნის პირველი პირი დაესწრო, მათ შორის არგენტინის პრეზიდენტი, ახლო წარსულში საფეხბურთო კლუბ „ბოკა ხუნიორსის" ხელმძღვანელი მაურისიო მაკრი; ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი; იტალიის პრემიერმინისტრი მატეო რენცი; ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე; მონაკოს პრინცი ალბერ II და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრეზიდენტი ბან კი მუნი.

- **ამოწერეთ სახელმწიფოების აღმნიშვნელი სახელები**

_____

_____

_____

_____

3.10. ადამიანთა სადაურობა-წარმომავლობის აღნიშვნა

ადამიანთა წარმომავლობას **-ელ** ბოლოსართი აღნიშნავს:

სარფ-ი - სარფ-**ელ**-ი = ადამიანი სარფიდან
ბორჯომ-ი - ბორჯომ-**ელ**-ი = ადამიანი ბორჯომიდან
ქუთაის-ი - ქუთაის-**ელ**-ი = ადამიანი ქუთაისიდან

-ია + ელ = იელ:
ჰოლანდ-**ია + ელ** = ჰოლანდ**იელ**ი = ადამიანი ჰოლანდიიდან
ჰოლანდიელი მხატვარი = მხატვარი ჰოლანდიიდან

შვეიცარ-**ია + ელ** = შვეიცარ**იელ**ი = ადამიანი შვეიცარიიდან
შვეიცარ**იელ**ი მომღერალი = მომღერალი შვეიცარიიდან

ნორვეგ-**ია + ელ** = ნორვეგ**იელ**ი = ადამიანი ნორვეგიიდან
ნორვეგ**იელ**ი სპორტსმენი = სპორტსმენი ნორვეგიიდან...

- **გამონაკლისია:**
  გერმან-**ია + ელ** = გერმან**ელ**ი *და არა* გერმან**იელ**ი
  იაპონ-**ია + ელ** = იაპონ**ელ**ი *და არა* იაპონ**იელ**ი

ჩემი მეგობარი არის	გორ-**იდან**	გორ**ელი**
	დმანის-**იდან**	დმანის**ელი**
	სამტრედი-**იდან**	სამტრედი**ელი**
	ქუთაის-**იდან**	ქუთაის**ელი**
	მოზამბიკ-**იდან**	მოზამბიკ**ელი**
	ბელგი-**იდან**	ბელგი**ელი**
	ტორონტო-**დან**	ტორონტო**ელი**
	ჩიკაგო-**დან**	ჩიკაგო**ელი**

იმ შემთხვევაში, როდესაც **წარმომავლობის** აღმნიშვნელი სახელი იწარმოება **-ეთ** სუფიქსის მქონე გეოგრაფიული სახელისაგან, ეს **-ეთ** იკარგება:

იმერ-**ეთ**-ი	-	იმერ**ელ**ი	*და არა*	იმერ**ეთელ**ი
კახ-**ეთ**-ი	-	კახ**ელ**ი	*და არა*	კახ**ეთელ**ი
პოლონ-**ეთ**-ი	-	პოლონ**ელ**ი	*და არა*	პოლონ**ეთელ**ი
უნგრ-**ეთ**-ი	-	უნგრ**ელ**ი	*და არა*	უნგრ**ეთელ**ი
ფინ-**ეთ**-ი	-	ფინ**ელ**ი	*და არა*	ფინ**ეთელ**ი
ესპან-**ეთ**-ი	-	ესპან**ელ**ი	*და არა*	ესპან**ეთელ**ი

ზოგჯერ გვაქვს **-ეთ** სუფიქსის მქონე გეოგრაფიული სახელი, მაგრამ მისგან არ იწარმოება **-ელ** სუფიქსის მქონე წარმომავლობის სახელი:

თუშ-**ეთ**-ი	-	თუში	*და არა*	თუშ**ელ**ი
რუს-**ეთ**-ი	-	რუსი	*და არა*	რუს**ელ**ი
თურქ-**ეთ**-ი	-	თურქი	*და არა*	თურქ**ელ**ი
ჩეხ-**ეთ**-ი	-	ჩეხი	*და არა*	ჩეხ**ელ**ი
სლოვაკ-**ეთ**-ი	-	სლოვაკი	*და არა*	სლოვაკ**ელ**ი

ამ შემთხვევაში სპეციალური მაწარმოებელი ნიშნის/ნიშნების გარეშე ნაწარმოები ტომის აღმნიშვნელი სახელისგან იწარმოება გეოგრაფიული (დასახლებული) პუნქტის, **ქვეყნის** სახელი.

- **ფუძე + ელ** აღნიშნავს აგრეთვე რამის **მიმდევრობას, პროფესიას,** რამის **წევრობას**:

სპეცრაზმ-**ელ**-ი
პოლიცი-**ელ**-ი
მილიცი-**ელ**-ი
არმი-**ელ**-ი
კომკავშირ-**ელ**-ი
სტახანოვ-**ელ**-ი

განმარტებები ქეგლ-ის მიხედვით:

პოლიციელ-ი:

პოლიციის თანამშრომელი, პოლიციის მოხელე. მუშები თავს ესხმოდნენ ოფიცრებს, პოლიციელებს და იარაღს ჰყრიდნენ მათ (საბჭ. კავშ. ისტ.). მოისმა... ყვირილი მოსამსახურისა: ... «მიშველეთ, ავაზაკები დაგვესხნენ, ავაზაკები!.,» შეიქნა პოლიციელების სტვენა (გ. წერეთ.).

მილიციელ-ი:

მილიციის თანამშრომელი; მილიციაში მოსამსახურე. ეს კაცი არც სადგურის უფროსი იყო, არც მილიციელი, მაგრამ ორივე თანამდებობას... ასრულებდა (ს. შანშ.). ფარნა... პირველად იდგა გუშაგად, მილიციელის ფორმაში კოპწიად გამოწყობილი (რ. გვეტ.).

არმიელ-ი:

არმიის მეომარი ან სამხედრო მოსამსახურე, –ჯარისკაცი.

სტახანოველ-ი:

საბჭ. სტახანოვური მოძრაობის მონაწილე. მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ შეჯიბრებაში ჩაბმული სტახანოველებიც („კომ.“). დიდად გაიზარდა მუშათა შრომის ნაყოფიერება, გამრავლდა სტახანოველთა რიგები („კომ.“).

კომკავშირელ-ი:

ან. კომკავშირის წევრი. სასწავლებლად მობილიზებული იყვნენ ათასობით პარტიელები, კომკავშირელები და მუშათა კლასის საქმის ერთგული შვილები (პარტ. ისტ.).

- სიტყვის **ფუძე + ელ** აღნიშნავს სპორტის ზოგიერთი სახეობის მიმდევრებს:

ფეხბურთ-**ელ**-ი
კალათბურთ-**ელ**-ი
ფრენბურთ-**ელ**-ი
ხელბურთ-**ელ**-ი
წყალბურთ-**ელ**-ი
ჩოგბურთ-**ელ**-ი
მკლავჭიდ-**ელ**-ი
ხუთჭიდ-**ელ**-ი

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ლეგენდარული ოლიმპიელი, თამაშების 18-გზის ჩემპიონი, მოცურავე მაიკლ ფელპსი ამერიკელთა მედროშე გახლდათ; წლევანდელი „უიმბლდონის" გამარჯვებული, ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი ერთეულთა შორის, ჩოგბურთელი ენდი მარი დიდი ბრიტანეთის ოლიმპიურ გუნდს „მარაკანაზე" ქართველთა შემდეგ, 82-ე ნომრად შემოუძღვა; გერმანელთა მედროშე მაგიდის ჩოგბურთელი, ყველა ტიტულის მომგები ტიმო ბოლი გახლდათ; არგენტინელების - სახელოვანი კალათბურთელი ლუის სკოლა; დანიელების - ჩოგბურთელი კაროლინ ვოზნიაცკი; ესპანელების - დიდი სლემის ტურნირების 11-გზის გამარჯვებული, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი რაფაელ ნადალი; ფრანგების - დაუმარცხებელი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი ტედი რინერი...

- **ამოწერეთ სპორტის ამა თუ იმ სახეობის მიმდევართა აღმნიშვნელი სახელები.**

- **ადამიანთა წარმომავლობის სახელები.**

- სიტყვის **ფუძე + ელ** აღნიშნავს ერთობას, **სუბიექტთა ერთ კომპანიაში არსებობას/საერთო წარმომავლობას;**

ამ ერთობას შეიძლება ხაზს უსვამდეს **თანა** კომპონენტი, თუმცა არ არის აუცილებელი მისი წარმოდგენა ფორმაში:

ჩემი/შენი/მისი ჯგუფ-**ელ**-ი	=	ჩემი/შენი/მისი თანაჯგუფ-**ელ**-ი
ჩემი/შენი/მისი გუნდ-**ელ**-ი	=	ჩემი/შენი/მისი თანაგუნდ-**ელ**-ი
ჩემი/შენი/მისი კურს-**ელ**-ი	=	ჩემი/შენი/მისი თანაკურს-**ელ**-ი
ჩემი/შენი/მისი კლას-**ელ**-ი	=	ჩემი/შენი/მისი თანაკლას-**ელ**-ი
ჩემი/შენი/მისი უბნ-**ელ**-ი	=	ჩემი/შენი/მისი თანაუბნ-**ელ**-ი

მაგრამ, ჩვეულებრივ, **თანაობის** გამოსახატავად **თანა** აუცილებელია;

სოფლელი = სოფელში მცხოვრები, სოფლის მაცხოვრებელი;

შდრ.:

თანასოფლელი = ***ვინმესთან ერთად*** ერთი სოფლის მცხოვრები.

მგზავრი = ვინც მგზავრობს; გზაში მყოფი, გზადმიმავალი

შდრ.:

თანამგზავრი = ვინც ***სხვასთან ერთად*** მგზავრობს, – სხვასთან ერთად მავალი.

მოქალაქე = ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომი, მისი სრულუფლებიანი წევრი.

შდრ.:

თანამოქალაქე = ***სხვასთან ერთად*** ერთი სახელმწიფოს ან ერთი ქალაქის მკვიდრი, მცხოვრები.

- **როდინდელობას** აღნიშნავს **-ელ** ელემენტი, მხოლოდ უფრო გართულებული სახით, - **დ**–სთან ერთად:

-დელ:

	წუხან-**დელ**-ი
	დღევან-**დელ**-ი
	გუშინ-**დელ**-ი
	წლევან-**დელ**-ი
როდინ**დელ**ია ეს ამბავი?	შარშან-**დელ**-ი
	შარშანწინ-**დელ**-ი
	ხვალინ-**დელ**-ი
	ზეგინ-**დელ**-ი
	დილამ-**დელ**-ი
	საღამომ-**დელ**-ი

დაიმახსოვრეთ:

რ – რ → რ – ლ

➢ **დავალება.**

- **აწარმოეთ ადამიანთა წარმომავლობის სახელები ქალაქების აღმნიშვნელი სიტყვებიდან ნიმუშის მიხედვით:** თბილისი → თბილისელი, ვარშავა → ვარშაველი

ზესტაფონი	→	.....	სუფსა	→	.....
ქუთაისი	→	.....	მცხეთა	→	.....
დმანისი	→	.....	მარაბდა	→	.....
რუსთავი	→	.....	გუდაუთა	→	.....
პეკინი	→	.....	პრაღა	→	.....
ვაშინგტონი	→	.....	ბრატისლავა	→	.....
პარიზი	→	.....	არიზონა	→	.....

➢ **დავალება.**

- **აწარმოეთ ადამიანთა წარმომავლობის სახელები ქვეყნების აღმნიშვნელი სიტყვებიდან ნიმუშების მიხედვით:**

ირანი	→	ირანელი
იტალია	→	იტალიელი
უგანდა	→	უგანდელი
საირმე	→	საირმელი
ბაქო	→	ბაქოელი
პერუ	→	პერუელი...
პოლონეთი	→	პოლონელი

მარნეული	→	.....	ულან-უდე	→	.....
ქობულეთი	→	.....	დუშანბე	→	.....
ერაყი	→	.....	ოსლო	→	.....
ეკვადორი	→	.....	სარაევო	→	.....
ტუნისი	→	.....	მონაკო	→	.....
ინგლისი	→	.....	სან-მარინო	→	.....
სამტრედია	→	.....	მეხიკო	→	.....
ნორვეგია	→	.....	კაირო	→	.....
კოლუმბია	→	.....	დვაბზუ	→	.....
პორტუგალია	→	.....	კურზუ	→	.....
ავსტრია	→	.....	ნაურუ	→	.....
ავსტრალია	→	.....	ბისაუ	→	.....
გუმისთა	→	.....	ტუვალუ	→	.....
ბაბუშერა	→	.....	ვანუატუ	→	.....
რიწა	→	.....	კახეთი	→	.....
უკრაინა	→	.....	იმერეთი	→	.....
იალტა	→	.....	ესპანეთი	→	.....
ანდორა	→	.....	რუმინეთი	→	.....
ზიმბაბვე	→	.....	ფინეთი	→	.....
ჩილე	→	.....	ალბანეთი	→	.....
ეგვიპტე	→	.....			

- **არაადამიანთა სადაურობა-წარმომავლობას** გამოხატავს **-ურ** (/ **-ულ**):

სვან-**ურ**-ი	ქუდი	იმერ-**ულ**-ი	ეზო
კახ-**ურ**-ი	ღვინო	რაჭ-**ულ**-ი	ლორი
ბათუმ-**ურ**-ი	ამინდი	მეგრ-**ულ**-ი	ოდა
ზესტაფონ-**ურ**-ი	კილო	გერმან-**ულ**-ი	ნაგაზი
პოლონ-**ურ**-ი	ავეჯი	არაბ-**ულ**-ი	ცხენი
ჩინ-**ურ**-ი	ტელეფონი		

იმ შემთხვევაში, როდესაც **წარმომავლობის** აღმნიშვნელი სახელი იწარმოება **-ეთ** სუფიქსის მქონე გეოგრაფიული სახელისაგან, ეს **-ეთ** იკარგება:

ყაზახ**ეთ**ი	→	ყაზახ**ურ**ი	*და არა* ყაზახ**ეთურ**ი
ბაშკირ**ეთ**ი	→	ბაშკირ**ულ**ი	*და არა* ბაშკირ**ეთულ**ი...

➢ **დავალება.**

- **აწარმოეთ არაადამიანთა წარმომავლობის სახელები ქალაქების აღმნიშვნელი სიტყვებიდან *ნიმუშების*** მიხედვით:

თბილისი	→	თბილისური
იტალია	→	იტალიური
უგანდა	→	უგანდური
პოლონეთი	→	პოლონური

მოსკოვი	→	.....	მექსიკა	→	.....
ლონდონი	→	.....	ლიტვა	→	.....
ბერლინი	→	.....	უკრაინა	→	.....
კიევი	→	.....	ამერიკა	→	.....
ლისაბონი	→	.....	კანადა	→	.....
ქუთაისი	→	.....	განა	→	.....
პარიზი	→	.....	ესპან**ეთ**ი	→	.....
ბრაზილია	→	.....	ესტონ**ეთ**ი	→	.....
ლატვია	→	.....	სლოვაკ**ეთ**ი	→	.....
ბოლივია	→	.....	ჩეხ**ეთ**ი	→	.....
კოლუმბია	→	.....	ტაჯიკ**ეთ**ი	→	.....
სირია	→	.....	ყაზახ**ეთ**ი	→	.....
დანია	→	.....			

➢ **დავალება.**

- **აწარმოეთ ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვებიდან ქვეყნის აღმნიშვნელი სიტყვები ნიმუშის მიხედვით:**

სერბი → სერბეთი

ჩეხი → ……
შვედი → ……
თურქი → ……
სლოვაკი → ……
ტაჯიკი → ……
ყაზახი → ……
უზბეკი → ……

➢ **დავალება.**

- **ჩამოთვლილი სიტყვებიდან ადამიანთა წარმომავლობის სიტყვებს ერთი ხაზი გაუსვით, არაადამიანების წარმომავლობის აღმნიშვნელებს - ორი:**

კახ**ურ**ი	იმერ**ულ**ი
ზესტაფონ**ელ**ი	კანად**ურ**ი
პარიზ**ელ**ი	ეგვიპტ**ურ**ი
კვიპროს**ელ**ი	ირან**ულ**ი
თბილის**ურ**ი	სირი**ელ**ი
ამერიკ**ელ**ი	ავსტრი**ელ**ი
ბორჯომ**ელ**ი	მოზამბიკ**ურ**ი
ქუთაის**ურ**ი	

➢ **დავალება.**

- **დაასრულეთ სიტყვები:**

იმერ...	გლეხი	ავსტრი...	ჟურნალისტი
კანად...	მწერალი	უზბეკ...	ბამბა
კახ...	ღვინო	ნორვეგი...	ფიზიკოსი
ინგლის...	მანქანა	ჰოლანდ...	მხატვარი
ბრაზილი...	ცეკვა	ამერიკ...	დოლარი
ფრანგ...	ენა	ქართ...	სიმღერა
იტალი...	სპორტსმენი		

- **-ურ (-ულ)** სუფიქსი გვიჩვენებს აგრეთვე **თვისებას:**

ძმ-**ურ**-ი	დახმარება
ვაჟკაც-**ურ**-ი	საქციელი
კაც-**ურ**-ი	ხასიათი
ქალ-**ურ**-ი	სილამაზე
ბავშვ-**ურ**-ი	გატაცება
გმირ-**ულ**-ი	ბრძოლა
მეგობრ-**ულ**-ი	რჩევა...

➢ **დავალება.**

- **შეავსეთ გამოტოვებული ადგილები საჭირო სიტყვებით ნიმუშის მიხედვით: თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი.**

1. თბილისი არის ---------- დედაქალაქი.
2. კიევი არის ---------- დედაქალაქი.
2. ლონდონი არის ---------- დედაქალაქი
3. რომი არის ---------- დედაქალაქი
4. ვაშინგტონი არის ---------- დედაქალაქი
5. მოსკოვი არის ---------- დედაქალაქი
6. ვენა არის ---------- დედაქალაქი
7. მადრიდი არის ---------- დედაქალაქი
8. პარიზი არის ---------- დედაქალაქი.
9. ბერლინი არის ---------- დედაქალაქი.
10. ბაქო არის ---------- დედაქალაქი.
11. ერევანი არის ---------- დედაქალაქი.

➢ **დავალება.**

- **ჩამოწერეთ:**

ა.

თქვენი ქვეყნის სახელი.

თქვენი მეზობელი ქვეყნების სახელები:

იმ ქვეყნების სახელები, სადაც ყოფილხართ:

იმ ქვეყნების სახელები, სადაც გინდათ მოგზაურობა:

ბ.

თქვენი მშობლიური ენა.

თქვენი ქვეყნის სახელმწიფო ენა/ენები:

თქვენი მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო ენა/ენები:

ენები, რომლებიც იცით:

ენები, რომელთა შესწავლას აპირებთ:

ენები, რომლებიც გაგიგიათ:

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

* * *

ანდუყაფარო,
ლიპარიტო, -
დარნო მთათანო,
ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო,
ბიჭო სესეო,
თოთიკაანთ ქალო მელანო,
ვაჟას არწივო,
შოთას ვეფხვო,
ტატოს მერანო;

ბზიფო,
ენგურო,
ალაზანო,
მტკვარო,
იორო,
აგერ, ახლახან გარდაცვლილო
გალაკტიონო;

ქინძმარაულო,
ტიბაანო, - ღვინოვ კახურო;
გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო
ხალხურო,
დიდო კოლხეთო,
დიდო ქართლო,
დიდო შამქორო, -
ვერ დამადუმონ,
ვერ დამძალონ -
თუნდა ჩამქოლონ.....
ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას
გაბედულს -
ფრთები მასხია თქვენგნით...
მხოლოდ თქვენგნით რამეთუ.

მუხრან მაჭავარიანი

- **ამოწერეთ საკუთარი სახელები**

- **ამოწერეთ წარმომავლობის სახელები**

3.11. **პროფესია-ხელობის მქონე ადამიანთა** გამოხატვა

სიტყვათა ერთი ჯგუფი აღნიშნავს **ადამიანებს,** რომელთაც გარკვეული **პროფესია-ხელობა** აქვთ.

ვნახოთ, როგორია ამგვარ სიტყვათა განმარტების პრინციპი და სტილი **ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:**

მექუდე ქუდების მკერავი ხელოსანი.
მეთევზე თევზის მჭერი, _ მებადური.
მეხანძრე სახანძრო რაზმში მომუშავე, _ ხანძრის მქრობელი.
მეაფთიაქე აფთიაქის პატრონი; აფთიაქში მომუშავე (სპეციალისტი).
მევენახე მევენახეობის სპეციალისტი; მევენახეობაში დახელოვნებული პირი.
მეღვინე *სპეც.* მეღვინეობაში დახელოვნებული პირი, მეღვინეობის სპეციალისტი.
მეაგურე აგურის მკეთებელი. უბანში რაღაცა საქმისათვის ამოსულიყო **მეაგურე** (ვ. ბარნ.).
მეავეჯე *სპეც.* ავეჯის მკეთებელი; ავეჯის გამყიდველი. თბილისელ **მეავეჯეთა** ახალმა წამოწყებამ ფართო გამოხმაურება პოვა რესპუბლიკის საავეჯო მრეწველობის ყველა საწარმოში („კომ.“).
მებეტონე *სპეც.* საბეტონო სამუშაოს სპეციალისტი. მშენებლობაზე მოსვლისთანავე ვითხოვე **მებეტონეთა** ბრიგადაში გაშვება («კომ.»).

როგორ ხდება ეს?

ამისთვის ენას ბევრი სხვადასხვა საშუალება, ბევრი მაწარმოებელი და მოდელი გააჩნია; ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ზოგიერთზე:

❖ **თუ სიტყვის ფუძეს R-თი აღვნიშნავთ, წარმოების წესი ასეთი გვექნება:**

1. **მე- R -ე**

R = ვენახ-, პურ-, ქუდ-, საათ-, დუქ(ა)ნ-, მანქან(ა)-, აფთიაქ-, ბაღ-, თევზ-, ნაგ(ა)ვ-...

2. **მო- R -ე / მო- R -ავ-ე**

R = ჭადრაკ-, შაშ-, ნარდ-, სამსახურ-, თხილამურ-.../ ჭიდ-ავ-, ცურ-ავ-, ცეკვ-ავ-...

3. **R + -ისტ**

R = ტრაქტორ-, მასაჟ-, პროგრამ-, ჟურნალ-, ფინანს-,

4. **R + -ოს-**

R = ფიზიკ-, ქიმიკ-, ისტორიკ-, მათემატიკ-, მექანიკ-, კრიტიკ-...

> თუ სიტყვა **ე**-ზე იწყება, **მე-** თავსართის დართვისას ორი **ე** მოიყრის თავს: **ე**ტლი: მ**ეე**ტლე, **ე**ქსკავატორი: მ**ეე**ქსკავატორე, **ე**ზო: მ**ეე**ზოვე...

➢ **დავალება.**

- **აწარმოეთ ხელობა-პროფესიის მქონე ადამიანთა სახელები შემდეგი სიტყვებიდან ნიმუშის მიხედვით:**

აფთიაქ-	→	**მეა**ფთიაქე
ზღაპარ-	→	**მეზ**ღაპრე

ბაჟ-	→	.....	ზღაპარ-	→	.....
ბაღ-	→	.....	თევზ-	→	.....
ბუფეტ-	→	.....	ნავ-	→	.....
დუქან-	→	.....	პურ-	→	.....
ეტლ-	→	.....	საათ-	→	.....
ველ-	→	.....	ღორ-	→	.....
ვენახ-	→	.....	ხანძარ-	→	.....

- **დავალება.**
- **ამოწერეთ ხელობა-პროფესიის მქონე ადამიანთა სახელები.**

შეხვედრა

დოლს უკრავდა მედოლე, ტაშს უკრავდა მეტაშე,
შარაგზაზე შორი-შორ მივდიოდით
მე და შენ.
მზე ეყარა მიწაზე, ხეზე, ქვაზე, მეტალზე,
გზაზე ერთიმეორე დავინახეთ
მე და შენ.
თვალი ანგარიშობდა მიკრო-მილი-მეტრაჟებს,
უცებ ერთმანეთისკენ გავეშურეთ
მე და შენ.
თავის გზაზე წავიდნენ მეველე და მებაჟე
და ერთმანეთს უსიტყვოდ ჩავეკონეთ
მედაშენ.

ვახტანგ ჯავახაძე

3.12. ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები:

ხელობა-პროფესიის მქონე ადამიანის გამომხატველი სახელის ფუძეს ემატება **-ობა** სუფიქსი და ასე ვიღებთ **ხელობა-პროფესიის** აღმნიშვნელ სიტყვებს:

მევენახე	→	**მ**ევენახე-**ობა**
მოჭადრაკე	→	**მ**ოჭადრაკე-**ობა**
ფეხბურთ**ელ**ი	→	ფეხბურთ**ელ**-**ობა**
ტრაქტორ**ისტ**ი	→	ტრაქტორ**ისტ**-**ობა**
ფიზიკ**ოს**ი	→	ფიზიკ**ოს**-**ობა**...

	ისტორიკ**ოს-ობა**
	მასაჟ**ისტ-ობა**
	ფეხბურთ**ელ-ობა**
მას უნდა	პოლიციე**ელ-ობა**
	ენერგეტიკ**ოს-ობა**
	იურ**ისტ-ობა**
	კომპოზიტორ-**ობა**

შეიძლება **-ობა**-ზე დაბოლოებულ ასეთი სიტყვები პარალელურად ამა თუ იმ **დარგს** აღნიშნავდეს:

მებოსტნე**ობა,** მეთამბაქოე**ობა**, მეთევზე**ობა**, მეკურდღლე**ობა,** მეღვინე**ობა**, მეღორე**ობა,** მეაბრეშუმე**ობა**, მებამბე**ობა**, მეფუტკრე**ობა,** მეყვავილე**ობა...**

მეაბრეშუმეობა:

1. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, _ აბრეშუმის-ჭიის მოვლა-მოყვანა. აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი მიიღო... სოფელ ნორიოს... კოლმეურნეობის **მეაბრეშუმეობის** რგოლმა («კომ.»). 2. აგრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის აბრეშუმის-ჭიის მოვლა-მოყვანას. **მეაბრეშუმეობის** ფაკულტეტი.

მებამბეობა:

1. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, _ ბამბის ბუჩქის მოვლა-გაშენება. ამჟამად აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირის **მებამბეობის** ერთ-ერთი მთავარი ბაზაა («კომ.»). 2. მებამბის საქმიანობა, მებამბედ ყოფნა. 3. აგრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის ბამბის ბუჩქის მოვლა-გაშენებას. **მებამბეობის** ტექნიკუმი.

მებაღეობა:

1. ბაღის მცენარეების მოვლა-გაშენება. 2. მებაღის საქმიანობა, მებაღედ ყოფნა. 3. აგრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის ბაღის მცენარეების მოვლა-გაშენებას. **მებაღეობის** ფაკულტეტი. **მებაღეობის** კურსები.

მებოსტნეობა:

1. ბოსტნეულის მოყვანა-გაშენება. სოფელ აჩაბეთის... კოლმეურნეობის თავმჯდომარე... დღითი დღე აფართოებს მუშაობას **მებოსტნეობის** განვითარებისთვის («კომ.»). 2. მებოსტნის საქმიანობა, მებოსტნედ ყოფნა. 3. აგრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის ბოსტნეულის მოყვანა-გაშენებას. **მებოსტნეობის** სახელმძღვანელო.

ამით განსაკუთრებით გამოირჩევა სიტყვები, რომელთაც **მე - ე** აქვთ მაწარმოებლად.

- **დავალება.**
- **აწარმოეთ ხელობა-პროფესიის მქონე ადამიანთა სახელები შემდეგი ფუძეებიდან ნიმუშის მიხედვით:**

იურისტ-	→	იურისტ**ობა**
ელექტრიკოს-	→	ელექტრიკოს**ობა**
მეაფთიაქე-	→	მეაფთიაქე**ობა**
მეზღაპარე-	→	მეზღაპრე**ობა**
აგრონომ-	→	აგრონომ**ობა**
ხელბურთელ-	→	ხელბურთელ**ობა**

ადვოკატ-	→	.....	მეეტლე-	→	.....
არტისტ-	→	.....	მევენახე-	→	.....
არქეოლოგ-	→	.....	მეთევზე-	→	.....
არქიტექტორ-	→	.....	მეპურე-	→	.....
ასტროლოგ-	→	.....	მესაათე-	→	.....
ბანკირ-	→	.....	მექანიკოს-	→	.....
ბიოლოგ-	→	.....	მეღვინე-	→	.....
გეოლოგ-	→	.....	მეღორე-	→	.....
დეკან-	→	.....	მეყვავილე-	→	.....
დიპლომატ-	→	.....	მეშახტე-	→	.....
ეკონომისტ-	→	.....	მეწარმე-	→	.....
ენერგეტიკოს-	→	.....	მეხანძრე-	→	.....
ექიმ-	→	.....	მოსამსახურე-	→	.....
თარჯიმან-	→	.....	მოქანდაკე-	→	.....
ინჟინერ-	→	.....	მოჭადრაკე-	→	.....
ინსპექტორ-	→	.....	მსახიობ-	→	.....
ისტორიკოს-	→	.....	ნოტარიუს-	→	.....
ფეხბურთელ-	→	.....	პარიკმახერ-	→	.....
კოსმონავტ-	→	.....	პოლიციელ-	→	.....
კრიტიკოს-	→	.....	პროგრამისტ-	→	.....
ლაბორანტ-	→	.....	ჟურნალისტ-	→	.....
მათემატიკოს-	→	.....	რევიზორ-	→	.....
მაკლერ-	→	.....	რკინიგზელ-	→	.....
მასაჟისტ-	→	.....	სანიტარ-	→	.....
მებაჟე-	→	.....	სტიუარდეს-	→	.....
მებაღე-	→	.....	ფიზიკოს-	→	.....
მებუფეტე-	→	.....	ფინანსისტ-	→	.....

- **დავალება.**
- **ხაზი გაუსვით პროფესია-ხელობის მქონე ადამიანთა აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთაც სპეციალური მაწარმოებლები არა აქვთ.**

მეეტლე	მაკლერი	ბუღალტერი
გეოლოგი	ფინანსისტი	ბიოლოგი
პედიატრი	დეკანი	რკინიგზელი
მოქანდაკე	იურისტი	მექანიკოსი
სანტექნიკოსი	ექიმი	ასტროლოგი
ჟურნალისტი	მეყვავილე	ქიმიკოსი
პოლიციელი	ქირურგი	ადვოკატი
ყასაბი	დრამატურგი	აგრონომი
მათემატიკოსი	მოჭადრაკე	ჟურნალისტი

3.13. დანიშნულების სახელები

სახელების ერთი ჯგუფი გამოხატავს **დანიშნულებას** ან **განკუთვნებას:** ესა თუ ის ნივთი ან საგანი ვიღაცისთვის არის **დანიშნული** ან **განკუთვნილი.** ამ სახელების საწარმოებლად გამოიყენება **სა-** პრეფიქსი და მასთან ერთად **-ე** ან **-ო** სუფიქსი, იშვიათად, **-ურ**(**-ულ**) სუფიქსები:

სა-ქათმ-**ე**, **სა**-ყურ-**ე**... **სა**-ქვეყნ-**ო**, **სა**-სადილ-**ო**... **სა**-განძ-ურ-**ი**...

სა- -ე, სა- -ო კონფიქსებით ნაწარმოები სახელები ზედსართავებია, რომელთაგან ზოგი არსებითად არის ქცეული:

საყელ**ო** გაისწორა	**სა**საუზმ**ე** გაიღო
სახელ**ო** მოკლეა	**სა**ყურ**ე** გაიკეთა
სასიძ**ო** მოვიდა	**სა**თვალ**ე** გაისწორა
საპატარძლ**ო** მოვიდა	**სა**შარვლ**ე** მოიტანა
სათამაშ**ო** იყიდა	**სა**კაბ**ე** მოეწონა
სააბაზან**ო** გაარემონტა	**სა**შხაპ**ე** გააკეთა

ზოგი სახელი, კონტექსტის მიხედვით ხან არსებითად გამოიყენება, ხან _ ზედსართავად: საპატარძლო (=პატარძალი) და საპატარძლო კაბა, სასადილო და სასადილო ოთახი...

ვნახოთ განმარტებები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით:

საბავშვო:

ბავშვებისათვის განკუთვნილი, გამოსადეგი, – ბავშვებისა. **საბავშვო** ლიტერატურა. – [მზის] სხივმა **საბავშვო** ოთახში შეაშუქა და პატარა ზარმაცი მოსწავლის ლოგინზე დაეცა (ი. გოგებ.). ◊ **საბავშვო** ბაღი

სააბაზანო:

1. აბაზანისათვის განკუთვნილი, – აბაზანისა. **სააბაზანო** თერმომეტრი. 2. აბაზანის ოთახი ან ნაგებობა აბაზანისათვის.

საგარაკო:

აგარაკისათვის განკუთვნილი; აგარაკად გამოსადეგი; აგარაკზე სახმარი, გამოსაყენებელი. **საგარაკო** სახლი.

საგიტაციო:

აგიტაციისათვის განკუთვნილი, – აგიატაციისა. **საგიტაციო** ფურცელი. – საგიტაციო წრე.

საადვოკატო:

ადვოკატისათვის განკუთვნილი, ადვოკატის შესაფერი, – ადვოკატისა.

საავიაციო:

ავიაციისათვის განკუთვნილი, – ავიაციისა. **საავიაციო** ქარხანა.

საავტომობილო:

ავტომობილისათვის განკუთვნილი, ავტომობილთან დაკავშირებული, – ავტომობილისა. **საავტომობილო** მრეწველობა.

საბალეტო:

ბალეტისათვის განკუთვნილი, – ბალეტისა. **საბალეტო** ხელოვნება.

საბანკეტო:

ბანკეტისათვის განკუთვნილი, – ბანკეტისა. **საბანკეტო** დარბაზი

საბინაო:

ბინებისათვის განკუთვნილი, ბინასთან დაკავშირებული, – ბინისა. **საბინაო** ფონდი.

საარაყე:

არყისათვის განკუთვნილი, არყისა. **საარაყე** ყანწი.

საბატე:

ბატების სადგომი. მოშორებით იდგა... სამზარეულო..., პატარა ხულა, ამას მიჰყვებოდა საქათმე, **საბატე,** საღორე (დ. კლდ.).

სავაზნე:

ვაზნებისათვის განკუთვნილი, – ვაზნებისა. **სავაზნე** ჩარხი. || ვაზნების ჩასაწყობი ჩანთა. [ბეჟანამ] აიღო თოფი და **სავაზნე...** და სახლიდან გამოვიდა (ლ. ქიაჩ.).

სავენახე:

ვენახისათვის განკუთვნილი, გამოსადეგი, – ვენახისა. ამ შემოდგომაზე ორი ჰექტარი **სავენახე** მიწა გადავაბრუნეთ (დ. ბაქრ.)

საზარბაზნე:

ზარბაზნისათვის განკუთვნილი, – ზარბაზნისა. ◊ **საზარბაზნე** ხორცი

სათაფლე:

თაფლისათვის განკუთვნილი, – თაფლისა. რა ხანი არის ფუტკარი შორიდან შემოგცქერია, **სათაფლე** ნექტარს თხოულობს დაუღალავი მწერია (შ. მღვიმ.).

საკაბე:

კაბისათვის განკუთვნილი ქსოვილი. მზეხამ ახალი **საკაბე** დაუჭრა ნათელას (გ. წერეთ.).

საკარტოფილე:

კარტოფილისათვის განკუთვნილი, – კარტოფილისა. **საკარტოფილე** ნაკვეთი.

საკასრე:

კასრებისათვის განკუთვნილი, კასრებისა. **საკასრე** ხე-ტყე.

საკატლეტე:

კატლეტისათვის განკუთვნილი, – კატლეტისა. **საკატლეტე** ხორცი.

საშარვლე:

შარვლისათვის განკუთვნილი, – შარვლისა. **საშარვლე** შალი. || შარვლად გამოსადეგი ქსოვილი. შევიოტის **საშარვლე.**

საწიგნე:

1. წიგნებისათვის განკუთვნილი. || წიგნების დასაწყობი თარო ან კარადა. ცოტა მოშორებით ტახტი მდგარა. იქვე ახლოს-კი **საწიგნე,** რომელიც ეგნატეს საყვარელი წიგნებით ყოფილა სავსე («ლიტ. და ხელოვნ.»).

შენიშვნა:

ფუძეკუმშვად სახელებს დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი აფიქსების დართვისას **ფუძე ეკუმშებათ:**

მელ**ა**ნი → სამელნე...

-**ა**-ფუძიანები, ჩეულებრივ, -**ა**-ს იკვეცენ:

მოტივაცი**ა** → სამოტივაციო...

თუ სიტყვა **ა**-ზე იწყება, **სა-** თავსართის დართვისას ორი **ა** გვექნება:

არჩევანი:	س**აა**რჩევნო
ადრე:	س**აა**დრეო
ავადმყოფი:	س**აა**ვადმყოფო (და არა س**ა**ვადმყოფო)...

- **დავალება.**

- **აწარმოეთ დანიშნულების სახელები:**

ა)

სა- - ო პრეფიქს-სუფიქსით.

ნიმუში: მანქანა - **სა**მანქანო, მადლი - **სა**მადლ**ო**

ხელი	.....
ყელი	.....
ბარგი	.....
გაზეთი	.....
ჟურნალი	.....
ინტერესი	.....
დღესასწაული	.....
გარეუბანი	.....

ბ)

სა- - ე პრეფიქს-სუფიქსით.

ნიმუში: ქარი - **სა**ქარ**ე**, კაბა - **სა**კაბ**ე**

ფული	.....
ფანქარი	.....
შარვალი	.....
თავი	.....
ყური	.....
კაცი	.....
მურაბა	.....
მარილი	.....

- **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი. ხაზი გაუსვით დანიშნულების სახელებს.**

***

ტომი უკანა ოთახის ღია ფანჯარასთან მჯდარ დეიდა პოლის წარუდგა. ეს მყუდრო ოთახი ერთდროულად საძილეც იყო, სასტუმროც, სასადილოცა და კაბინეტიც. ზაფხულის საამო ჰაერსა და მყუდროებას, ყვავილთა ზურნელსა და ფუტკრების ძილისმომგვრელ ზუზუნს თავისი ზეგავლენა მოეხდინა. დეიდა ჰოლი თვლემდა საქსოვით ხელში. მისი ერთდაერთი თანამოსაუბრე კატაც ყვინთავდა მის კალთაში. დეიდას სათვალე შუბლს ზევით ჭაღარა თმაზე აეტანა. იფიქრა: ტომმა, ალბათ, უკვე დიდი ხანია სამუშაო მიატოვა და, საკვირველია, ასე უშიშრად როგორ მიდის სასჯელის მისაღებადო. ტომმა ჰკითხა:

- დეიდა, ახლა შეიძლება სათამაშოდ წავიდე?

(**მარკ ტვენი,** „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (ფრაგმენტი)

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

KUTADGILMREWVELOBA

შულცი მოშორდა ამ საშიშ ადგილს. სულ მალე ერთი ვიწრო და მოკლე ქუჩის თავში აღმოჩნდა, სადაც ჟეშტის გამაყრუებელი ხმაური იდგა. "KUTADGILMREWVELOBA" დამარცვლით წაიკითხა ნამგალ-ჩაქუჩით და ვარსკვლავით დამშვენებული ეს გრძელი აბრა.

აბრის ქვეშ მყოფი სამი კაცი ხის ჩაქუჩით მუშაობდა. ხმაურის გარდა ისინი თუნუქის ფეჩებს, ძაბრებს და ჭრაქებს აწარმოებდნენ.

იქვე მესაათე საათს შლიდა. მას ასე ჰქონდა დაშლილი არაერთი საათი. მესაათის შემდეგ იყო სამკერვალო, სამკერვალოს შემდეგ – სამჭედლო, მის მერე – საპარიკმახერო, რომელიც ვეტერინარის პატარა ეზოს ემიჯნებოდა, ეზოს იქით კიდევ ერთი მესაათე, შემდეგ ბელადის პორტრეტებით გამოჭედილი სამხატვრო სტუდია, იმის იქით სახარატე საამქრო, ღვინის სარდაფი, ფეხსაცმელების მწმენდავი, მუსიკალური ინსტრუმენტების შემკეთებელი, ყელ-ყურის ექიმი, საზეინკლო, უტილის ჩაბარების პუნქტი, რენტგენი, მედოლე და, ბოლოს სააკვნე და საკუბოვე ცეხი.

შულცი აღელდა: საათზე ისევ შესრულდა 6 საათი და 15 წუთი, მესაათების კედლის საათი კი 10-ს აჩვენებდა.

შულცი აკვნების საამქროს მიადგა. კარი დაკეტილი იყო. კარზე ზეთისფრად ეწერა „მალე მოვალ". შულცმა ჩაბნელებულ, დამტვერილ ფანჯარაში შეიხედა. საამქრო ჭერამდე სავსე იყო აკვნებით. შულცი მოტრიალდა და მოპირდაპირე კარი გააღო, საკუბოვეში შევიდა.

შულცის სირბილი

შულცი სამშვიდობოს რომ გავიდა, დამწვარი სუდის უკან, კუთხეში, ქვა ამოიღო კედლიდან, რაც ჰქონდა ხვრელში ჩაყარა, ქვა ადგილზე ჩასვა და უკანმოუხედავად გაიქცა ტელმანის ქუჩისკენ.

„ქუთადგილმრეწველობასთან" მის წინ ცალფეხა მეკუბოვე აღიმართა. უკნიდან უკვე ისმოდა მილიციონერის სტვენა და ყვირილი.

მესაათემ კარი გაუღო. შულცმა შენობაში დურთა თავი, გადაჭრა სამჭედლო, საპარიკმახერო, კინაღამ წააქცია მკერავი, ისევ მესაათესთან აღმოჩნდა, დაპანიკდა – მილიციონერი სულ ახლოს დარბოდა, ისმოდა მისი ქშენა, გინება და სტვენა. მესაათემ გვერდითი კარი გააღო და ძლიერი დარტყმით ისევ დახურა – ჰაერის ტალღამ კუბოების საამქროს კარი გააღო და შულცი შიგ შევარდა. ცალფეხა მეკუბოვემ ფანჯრისკენ ჰკრა ხელი და შულცი თეთრ ქვებზე, რიონის პირას აღმოჩნდა.

რეზო გაბრიაძე, „ქუთაისი ქალაქია" (ფრაგმენტი)

- **დააჯგუფეთ სიტყვები.**

ხელობა-პროფესიის მქონე ადამიანის სახელი	**დანიშნულების სახელი**

3.14. წინა ვითარების სახელები

ქართულ ენას საშუალება აქვს წარმოადგინოს ინფორმაცია იმის შესახე, თუ რას წარმოადგენდა სახელი **ადრე** ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით.

ამის გამოხატვა ხდება **ნა- -არ/ნა- -ალ** და **ნა- -ევ** მაწარმოებლებით.

ვნახოთ განმარტებები **ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის** მიხედვით:

ასეთი სახელი აღნიშნავს:

ა). საგანს, პირს, რომელიც უწინ იგივე იყო, რაც ძირეული სიტყვით არის გადმოცემული:

ნაცოლარი:

ვისიმე **ცოლად** ნამყოფი, _ „ცოლყოფილი“ (საბა). „კარგი კაცის **ნაცოლარი** ხარ, ჩემო ძმისწულო!“ (ბ. ჩხ.). „იცი, ჩემი ცოლი თხოვდება!“ _ „ჯერ ერთი, ცოლი კი არა, **ნაცოლარი“** (რ. გვეტ.).

ნამწყემსარი:

მწყემსად ნამყოფი. ობლობაში გამოზრდილს, **ნამწყემსარ** ბიჭს მშობლიურ ალერსად მიაჩნდა ალაზნის სიო (მიხ. მრევლ.).

ნაბატონარი:

ყოფილი **ბატონი.** [დემეტრე] სოფელში მუდამ **ნაბატონრებთან** იყო (ს. მგალობ.).

ნადედოფლარი:

დედოფლად ნამყოფი.

ნათავადარი:

ყოფილი **თავადი.** წილში ნათავადარის ასულს ვერგეთ (რ. გვეტ.).

ნამიჯნურევი:

მიჯნურად ნამყოფი, _ „**მიჯნურ**-ყოფილი“ (დ. ჩუბინ.).

ნაბანაკევი:

ადგილი, სადაც უწინ **ბანაკი** იყო.

ნაკაბევი:

რაც კაბა იყო, **კაბად** გამოიყენებოდა. კაი კაცის ნაყანევი, კაი ქალის **ნაკაბევიო** (ანდაზა).

ბ). ადგილს, სადაც უწინ ის საგანი იყო, რაც ძირეულ სიტყვით არის გადმოცემული:

ნასახლარი:

სადაც წინათ სახლი იყო; სახლის ნანგრევები. საღამო ხანზე... დავბრუნდით სახლში, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, **ნასახლარში** (ვაჟა). გავედი ორღობიდან, დავინახე ჩვენი ძველი **ნასახლარი!** (ნ. ლომ.).

ნაქალაქარი:

ადგილი, სადაც წინათ ქალაქი იყო; ქალაქის ნანგრევები. კვლავ მოშუშდა იარა, კვლავ სოფელი აქ არი, ქარმა გადაიარა, აღდგა **ნაქალაქარი** (ი. გრიშ.).

ნასოფლარი:

ადგილი, სადაც წინათ სოფელი იყო. აქ ამა და ამ დროს სოფელი იყო და დღეს კი აღარ არის, დღეს მარტო **ნასოფლარია,** რა საშინელი, შემაძრწუნებელი სიტყვაა **„ნასოფლარი“?** (ვაჟა). მუხის ქვევით, ვაკეზე **ნასოფლარი** მოჩანდა (შ. არაგვ.).

ნააბანოევი:

ადგილი, სადაც უწინ აბანო იყო.

ნამდინარევი:

ადგილი, სადაც წინათ მდინარე დიოდა. უნდა იქნას დადგენილი..., თუ რა გარემოებამ წარმოშვა ეს ტაფობი; **ნამდინარევ** ან ჩაქცეულ ადგილზე დაგროვილი წყლის შედეგი ხომ არ არის? („ნორჩი ლენინელი“).

გ). საგანს, პირს, რომელიც იმ ადგილას იყო, რომელზეც ძირეული სიტყვა მიუთითებს:

ნაციმბირალი:

ძვ. ციმბირში გადასახლებაში ნამყოფი. „თქვენი ნაციმბირალი მკვდარი... იქნება“ (ნ. ლორთქ.).

ნაციხარი:

1. ადგილი, სადაც წინათ ციხე ყოფილა; ციხის ნანგრევები. ქალაქის თავზე ჩანს ნაციხარი (გ. ლეონ.). 2. *ძვ. საუბ.* **ციხეში ნაჯდომი.**

ნაბარევი:

ბარში ნამყოფი.

დ). დროს, რომელიც გამოხატავს, რომ ძირეულ სიტყვით გადმოცემული ხანი უკვე ჩავლილია:

ნაგვიანევი:

გვიან შემოსული, გვიან დამწიფებული. ნაგვიანევი ხილი. ნაგვიანევი ხორბალი („შინამრეწვ.“). || დაგვიანებული; გვიანი. **„ნაგვიანევი** მგზავრი ახლა ცხენს მიაშურებს“ (ი. მაჩაბ. თარგმ.). **ნაგვიანევად** ზმნს. გვიან, დაგვიანებით. **„ნაგვიანევად,** პირუტყვებო, შეიგნოთ მხოლოდ, რომ თქვენ თავს თქვენვე უწყალოდ მტრობთ!“ (ი. მაჩაბ. თარგმ.).

ნავახშმევი:

ნავახშმევს, ნავახშმევზე *ზმნ.* ვახშმის შემდეგ. ახალ **ნავახშმევს** ისეთი ელვა-ჭექა ატყდა ქუხილით, რომ შინ წასვლა ძნელი იყო (აკაკი). **ნავახშმევს** ხალხმა ნელა დაიწყო დენა დანიშნული ადგილისაკენ (ლ. ქიაჩ.).

ნასაუზმევი:

ნასაუზმევს *ზმნ.* საუზმის შემდეგ. **ნასაუზმევს** [ვანო] კვლავ არხს გაჰყვა («ლიტ. და ხელოვნ.»).

ნაზამთრევი:

ვინც ან რამაც ზამთარი გამოიარა, _ ზამთარგამოვლილი (ადამიანი, ცხოველი, მცენარე...). **ნაზამთრევი** ხალხი დღეს მსუბუქ ტანისამოსში გამოსულიყო (ვ. ბარნ.). აივნის კიბეზე ჩამომჯდარი პაპა თორნიკე მზეზე ითბობდა **ნაზამთრევ** ძვლებს (მიხ. მრევლ.).

ნასადილევი:

სადილის, სადილობის შემდეგი დრო. საღამო ხანია, **ნასადილევი** (შ. დად.). **ნასადილევს** *ზმნ.* სადილობის შემდეგ. ხალხი **ნასადილევს** დაიშალა, წავიდ-წამოვიდა (აკაკი). **ნასადილევს** წვიმამ გადაიღო (კ. გამს.).

ფუძეკუმშვადი სახელები წინა ვითარების სახელთა მაწარმოებლების დართვისას **შეკუმშულ ფუძეს** აჩვენებენ:

სოფელი	-	ნასოფლარი
ნატაძრი	-	ნატაძრალი...

თუ სიტყვა **ა**-ზე იწყება, **ნა-** თავსართის დართვისას ორი **ა** მოიყრის თავს:

ადრე	-	ნ**აა**დრევი
ანდერძი	-	ნ**აა**ნდერძევი
აბანო	-	ნ**აა**ბანოვარი...

➢ **დავალება.**

- **გახაზეთ წინა ვითარების სახელები.**

ნაბადი	ნადავლი	ნანამქერალი
ნავენახარი	ნასადგურალი	ნაკადული
ნაგავი	ნავაჭრი	ნამდვილი
ნატაძრალი	ნააბანოევი	ნააზნაურევი
ნამგალი	ნატახტარი	
ნამამასახლისარი	ნავთი	

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი, მოძებნეთ წინა ვითარების სახელები და გახაზეთ.**

ნათავადარი თეიმურაზ ხევისთავი ღიმილით და ხელგაშლით გადაეღობა თავის ნახიზნარსა და ნამოურავალს - ჯაყო ჯივაშვილს,რომელმაც ძველადვე ნაჩვევი ხელით ოსური ქუდი მარდად მოიშვლიპა, უცნაურად დაიჭიხვინა და თავისი ნაბატონევის ორივე ხელი, - დამდნარი, დონდლო და უძვლო ხელები ბუმბულზე გაზრდილი და წიგნებით შეჭმული თეიმურაზ ხევისთავისა უმალვე თავის დათვურ თათში ჩაიმალა და ჩაიბღუჯა.

...ნაბატონევი თეიმურაზ ხევისთავი თავის ნამოურავალს იღლიამდე ძლივს სწვდებოდა. და უმიზეზოდ ერთხელ კიდევ ისე აყროყინდა, რომ მავალებმა გაცრეცილ ნაბატონევსა და იმის უცნაურ ნამოჯამაგირევს კვლავ ღიმილით აჰხედეს და თვალი გააყოლეს.

... ჯაყომ ნაკნეინარ მარგოს გაცომებული ხელი კინაღამ მოსტეხა.

თეიმურაზ ხევისთავი ორმოცი წლის ახალგაზრდა მოხუცი გახლდათ. ნათავადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი და ნავექილარი.

რამდენიმე დღის შემდეგ თეიმურაზი თავის ნასახლარში გადასახლდა.

ისევ ელის ნაქმრევი ნაცოლარს.

მიხეილ ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“ (ფრაგმენტი)

3.15. მცენარეთა კრებულის სახელები

სიტყვას შეიძლება მხოლობითი რიცხვის ფორმა ჰქონდეს, მაგრამ ლექსიკურად სიმრავლეს აღნიშნავდეს; ასეთია:

ხალხი, ბრბო, ჯგუფი, გუნდი, ნახირი, ჯოგი, რემა, ფარა...

სიმრავლეს გამოხატავს **-ებ** და **-ნ/-თ** ელემენტები.

ზოგჯერ სიმრავლის გამოსახატავად სპეციალური ნიშნები გამოიყენება, განსხვავებული სახელთა მრავლობითის მაწარმოებელი **-ებ** და **-ნ/-თ** სუფიქსებისგან.

ვნახოთ მასალა და სათანადო განმარტებები **ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის** მიხედვით:

მუხნარი:

სადაც **ბევრი** მუხა დგას, _ მუხის ტყე. **მუხნარში** გრილა (დ. ბაქრ.).

ნაძვნარი:

ნაძვის ტყე. მდინარე ჭანჭახის ლამაზ ხეობაში მრავალწლოვან **ფიჭვნარსა** და **ნაძვნარში** მდებარეობს კურორტი შოვი («კომ.»).

ფიჭვნარი:

ფიჭვის ტყე. ხევს რომ გახვალ, მშვენიერი **ფიჭვნარია** გორაკზე შეფენილი (ვ. ბარნ.). ბილიკს შეუდგნენ, **ფიჭვნარში** მიმავალს (კ. გამს.).

რცხილნარი:

რცხილის ტყე.

წაბლნარი:

ადგილი, სადაც **ბევრი** წაბლი დგას; წაბლის ტყე

თხილნარი:

სადაც **ბევრი** თხილის ბუჩქი ხარობს.

ჯაგნარი:

ჯაგით დაფარული ადგილი, _ ჯაგიანი. ზაზამ სიამოვნებით მოიგონა **ჯაგნარი,** სადაც ორიოდე წლის წინათ დურაჯები დახოცა (ს. კლდ.).

დავაკვირდეთ:

ამ შემთხვევაში აღინიშნება **ადგილი,** სადაც ამა თუ იმ სახეობის **მცენარეთა სიმრავლეა.**

მუხ**ებ**ი = ბევრი მუხა

მუხ**ნარ**ი = **ადგილი,** სადაც ბევრი მუხაა

- **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე 1,100 სახეობის მცენარეა. დენდროფლორა 130-მდე სახეობითაა წარმოდგენილი.

ტყეების სარტყელი ხასიათდება დიდი ბიომრავალფეროვნებით, ვერტიკალური ზონირებითა და ჰაბიტატთა მონაცვლეობით. ტყის ქვედა ზონაში გვხვდება: რცხილნარი, მუხნარი, მუხნარ-რცხილნარი და რცხილნარ-წიფლნარი. ზღვის დონიდან 850 მ-დან 1700 მ-მდე ძირითადად წიფლის ტყეებია, თუმცა აქ შერეულია: რცხილა, ქართული მუხა, იფანი, ცაცხვი და სხვა. 1,800 მ-ს ზევით სუბალპური ტყეების სარტყელია, სადაც წიფელთან ერთად გვხვდება მაღალმთის მუხა და ნეკერჩხალი, ლიტვინოვისა და მეჭეჭიანი არყი. ზღვის დონიდან დაახლოებით, 2300 მეტრზე ტყის ზოლი - არყნარით მთავრდება. ლაგოდეხში მარადმწვანე დეკის ბუჩქნარი 2700 მ-მდეა გავრცელებული. ჭალებში და მდინარეთა ნაპირებთან ახლოს, ალუვიურ ტერასებზე მონაკვეთებად გვხვდება მურყნარები.

(დაცული ტერიტორიების სააგენტო)

- **ამოწერეთ კრებითი სახელები და მათი საწყისი, ამოსავალი ფორმები.**

_____

_____

_____

_____

_____

4. მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველი სიტყვა - ზმნა

ჩვეულებრივ, სახელს აქვს იმის პოტენცია, რომ წარმოგვიდგეს 7 სხვადასხვა ფორმით (რასაც ბრუნვებს, **ბრუნვის** ფორმებს ვუწოდებთ), უფრო სწორად, 7 პოტენციური ფორმიდან იგი ერთ-ერთი ფორმით ფიქსირდება.

სულ ზმნას 11 ასეთი განსხვავებული ფორმა შეიძლება ჰქონდეს. ამ 11 ფორმიდან (რომელთაც **მწკრივებს** უწოდებენ) იგი კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში ერთი კონკრეტული ფორმით გვხვდება.

ზმნის ფორმათა სახელებია:

1.	აწმყო	აკეთებს	ხატავს
2.	უწყვეტელი	აკეთებდა	ხატავდა
3.	აწმყოს კავშირებითი	აკეთებდეს	ხატავდეს
4.	მყოფადი	გააკეთებს	დახატავს
5.	მყოფადის ხოლმეობითი	გააკეთებდა	დახატავდა
6.	მყოფადის კავშირებითი	გააკეთებდეს	დახატავდეს
7.	წყვეტილი	გააკეთა	დახატა
8.	მეორე კავშირებითი	[გა]აკეთოს	დახატოს
9.	პირველი თურმეობითი	[გა]უკეთებია	[და]უხატავს
10.	მეორე თურმეობითი	[გა]ეკეთებინა	[და]ეხატა
11.	მესამე კავშირებითი	[გა]ეკეთებინოს	[და]ეხატოს

ფორმები ერთმანეთს არ ემთხვევა, ყველა ფორმას თავისი სტრუქტურა, თავისი „სახე“, ფუნქციონირების სფერო და არეალი აქვს.

ენის პრაქტიკულად მცოდნე დაუფიქრებლად იყენებს საჭირო ფორმას, - **იმის გააზრების გარეშე, რა გრამატიკული სტატუსი აქვს მას.**

მაგრამ ენის დაუფლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ გრამატიკულ ნიუანსს, რომელიც მასალის ათვისებას აადვილებს.

მთელი სირთულე ის არის, რომ ზმნების ამგვარი ცვლილების (უღლების) ძალიან ბევრი მოდელი არსებობს, არ არის ზმნური ფორმაცვალების მხოლოდ ერთი ან რამდენიმე წესი და გზა.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ ზმნა იცვლება **პირთა მიხედვითაც.**

რას ნიშნავს ეს?

ქართული ზმნა შეიძლება იყოს:
ერთპირიანი, ორპირიანი და **სამპირიანი.**

4.1. ზმნის პირიანობა.

ერთპირიანია ზმნა, რომელსაც **მხოლოდ ერთი პირი** შეეწყობა:

დგას	**ის (კაცი)**
ზის	**ის (კაცი)**
წევს	**ის (კაცი)**
იყიდება	**ის (წიგნი)**
იკეტება	**ის (კარი)**
წითლდება	**ის (გოგო)**
ჩერდება	**ის (ავტობუსი)**...

ორპირიან ზმნას **ორი პირი** შეეწყობა:

წერს	**ის** (გოგო)	**მას** (დავალებას)
ხატავს	**ის** (ბავშვი)	**მას** (ცხენს)
აკეთებს	**ის** (დედა)	**მას** (სადილს)
ჭამს	**ის** (ბიჭი)	**მას** (ვაშლს)
კეტავს	**ის** (ქალი)	**მას** (ფანჯარას)
ელოდება	**ის** (მგზავრი)	**მას** (მანქანას)
ესალმება	**ის** (მოსწავლე)	**მას** (მასწავლებელს)...

სამპირიან ზმნას **სამი პირი** შეეწყობა:

უკეთებს	**ის** (დედა)	**მას** (შვილს)	**მას** (ნამცხვარს)
უწერს	**ის** (მასწავლებელი)	**მას** (მოსწავლეს)	**მას** (ნიშანს)
უხატავს	**ის** (ბაბუა)	**მას** (შვილიშვილს)	**მას** (სურათს)
აძლევს	**ის** (მამა)	**მას** (შვილს)	**მას** (ფულს)
ართმევს	**ის** (ჟურნალისტი)	**მას** (მსახიობს)	**მას** (ინტერვიუს)

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ლამაზი ცრემლები

მეტი გზა არ იყო, ისევ ღუმელით უნდა გასულიყვნენ იოლას. ნოემბერი რომ განახევრდა და ცივი წვიმები დაიწყო, თინამ მამას სოფელში წერილი მისწერა: „მამაჩემო, შენ გენაცვალე, იქნებ მანდ ვინმესთან ოთხი კუბამეტრი (ოთხი კუბამეტრი გიამ უკარნახა) შეშა შეგვიგულო, შაბათს ან კვირას გია ჩამოვა, ფულსაც ჩამოიტანს და შეშას თვითონ წამოიღებს“.

წერილი ჯერ სოფელშიც არ ეგონათ ჩასული, ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, თინას მამა დაადგათ თავს, - ადექით, შვილებო, შეშა ჩამოვიტანე და მაჩვენეთ,სად ჩამოვცალოო. ლოგინში წამომჯდარმა თინამ ჭუჭყუნი დაიწყო: - ოო, ისევ შენ იწვალე!..- მამამ კეთილად გაუღიმა, - ადექი, ადექი, შენც ჩაიცვიო! ფრთხილად მივიდა შვილიშვილის საწოლთან, რაღაცეები უჩურჩულა, მერე ისევ შვილსა და სიძეს მიუბრუნდა - თბილად ჩაიცვით, - და მათთვის აღარ დაუცდია, თვითონ ჩავიდა ძირს.

...დაბლა, შემოსასვლელთან, კარგად დატვირთული „გაზ-51“ იდგა.

- ეს რამდენი ჩამოგიტანიათ, კაცო! – გაიკვირვა გიამ.

გადმოვიდა ჩექმებიანი მძღოლი, ჯერ გიას გაუწოდა ხმელი, ცივი ხელი, მერე თინას - ხო არ დამწარდება, შვილოო. - თუ რამე დაგრჩათ, მეზობლებს მიაწოდეთო, - დაამატა თინას მამამაც. გიასაც გაეღიმა, თინასაც. გიამ შუბლი მოიფხანა, მანქანას ირგვლივ შემოუარა და თქვა:- ეგრეევე ჩავზიდოთ სარდაფში, დილ-დილაობით მე დავხერხავ ხოლმე, მაგაზე კარგი ვარჯიში მეორე არ არსებობს. თინას მამამ ეჭვიანად შეხედა,- დასახერხი ფული თუ არა გაქვთ, მე მოგცემთო. - არაო, რას ამბობო, - შექან-შემოქანდა გია, - მართლა ძალიან მინდა, მე თვითონ ვხერხოო. თინაც აბუზღუნდა, - ნუ მოიგონებ რაღაცეებსო, - მართლა ძალიან მინდა, მე თვითონ ვხერხოო. თინაც აბუზღუნდა,- ნუ მოიგონებ ხოლმე რაღაცეებსო. მაგრამ გიამ თავისი გაიტანა, შეშა სარდაფში ჩაზიდეს და კედლის ძირას ააკოკლეს, თინა მშვენივრად მიეხმარა.

გია მართლაც ხალისობდა. ჰო, შეშის ღირებულებაზე ხმა არ ამოაღებინა თინას მამამ, მაღლაც კი არ აჰყვა,- პირველი გაკვეთილი მაქვს, შვილოო, უნდა მოვასწრო და ერთი-ორი საათი წავიძინოო, - დაქოქეს, წავიდნენ. გიას ხერხი შინ ჰქონდა, წაიღო ის ხერხი, დეზერტირების ბაზართან გაალესინა, ჯოჯგინებიც გააკეთა შეშის დასადებად. შვიდ საათზე დგებოდა, სარდაფში ჩადიოდა, ხერხავდა, აპობდა, თვითონვე ამოჰქონდა, ღუმელსაც თვითონ ახურებდა, მერე მკლავებს უჩვენებდა თინას,- ნახე, როგორ დამებერა კუნთებიო. თინას სასიამოვნოდ ეღიმებოდა. რამდენჯერმე კარგი ხორციც იშოვეს, ამხანაგები დაჰპატიჟეს, მწვადი შეწვეს. ყველანი ნაღვლიანი აღტაცებით აქებდნენ შეშას და მის ცეცხლს.- არა, ძმაო, სულ სხვაა ნამდვილ ნაკვერჩხლებზე შემწვარი მწვადიო! ლოცავდნენ ხეების აღმომცენებელ მიწას, ფოთლების გამახარებელ ცას. პატარა თამუნიაც კი სულ „მწვადს“ გაიძახოდა.

მაგრამ ერთ საღამოს გია შეფიქრიანებული დაბრუნდა სამსახურიდან. თინამ ვერ გაუბედა ეკითხა, რა მოხდაო, თვითონვე თქვა, - ხვალ მივლინებაში მგზავნიან მთელი ოცი დღით და არ ვიცი, როგორ გახვალთ იოლას უჩემოდ. ერთი პირობა თინაც შეფიქრიანდა, მერე სველი ხელები უკან გასწია, აკოცა გიას, ჩვენი დარდი ნუ გექნება, მე მაგარი გოგო ვარო.

...მთავარი შეშა იყო, შეშას თინა ხომ ვერ დახერხავდა და გააპობდა. ოცი დღის სამყოფის დახერხვას ვერც გია მოასწრებდა. გადაწყვიტეს, სამოცი მანეთი ესესხათ გიას დეიდისგან. ორმოც მანეთს თინა დაიტოვებდა, თხუთმეტი მანეთით შეშას დაახერხინებდნენ, ხუთი მანეთიც... ხუთი მანეთი ხვალვე დასჭირდებოდათ.

გიას ძალიან ენანებოდა მხერხავისთვის მისაცემი ფული, მაგრამ თან უკვე ის ყოველდღიური ფართიფურთიც მობეზრებოდა,- დავახერხინებ სულ, დავაწყობ და მოვისვენებო. წავიდა დეიდასთან, სამოცი მანეთი მოიტანა, ორმოცი თინას მისცა, ოცი თვითონ ჩაიდო. დილით, ძალიან ადრე, რძის რიგი რომ დაიკავა, ბაზართან აირბინა. მხერხავები იქ იყვნენ, ზოგი იდგა, ზოგიც ბლის ყორეებზე ჩამომჯდარიყო. აიარა, ჩამოიარა. ერთი პატარა მიყუდროებული ბერიკაცი ამოირჩია, თან მოეწონა, თან ეს იფიქრა,იქნებ როგორ უჭირს, მაგას ხომ სხვა არ წაიყვანსო!- წამობრძანდებით პაპაო, ბერიკაცს ფარაჯის სახელოებიდან ხელები არ გამოუყვია,- ხერხი მარცხენა მკლავზე ეკიდა,- ისევე გაყვა. წავკისელი იყო, შვილები და შვილიშვილები ზოგი საით გაჰფანტვოდა, ზოგი საით. გიამ რძის რიგთან ცოტა მოაცდევინა, რძე-მაწონი აიღო, მერე ისევ ერთად წავიდნენ. გია ჩქარობდა, ზოგჯერ დაავიწყდებოდა კიდეც ხოლმე, მოხუცი რომ მისდევდა, წინ გაუსწრებდა, მერე გაახსენდებოდა და შემცბარი გადახედავდა. მოხუცი მაინცდამაინც დიდ მანძილზე არ რჩებოდა.

...არ უვაჭრიათ. შეშის დახერხვის მაზანდა ერთმაც იცოდა, მეორემაც.- თხუთმეტი მანეთი უნდა მოგართვათო, - თქვა გიამ. მოხუცმა ფარაჯა გაიხადა. შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა, - შავი ბამბაზიის ხალათი, ქამარშემოჭერილი, წვრილი ღილებით საღძირამდე შეკრული. აიღო შეშა, დადო ჯოჯგინებზე; რბილად გადაუსვა ხერხი. წადი, შვილო, შენ ნუღარ მოსცდები. მე დავხერხავ და დავალაგებ წყობისადო. გია გახარებული ამოვიდა მაღლა,- რა მოლაღურივით პაპა შემხვდა, მიაწყ-მოაწყო წიგნები და ქაღალდები, ჩასალაგებელი ჩაილაგა, თინას დაუბარა, - ადრე აჭამე სადილი, ეგენი, ხომ იცი, პირველ-ორ საათზე სადილობენო, და სამსახურში წავიდა.

თინამ კარგი ხარჩო გააკეთა, წვრილი თავის ბოლოკი დაარჩია, ყველი დაჭრა, ერთი ბოთლი შინაური ღვინოც დადგა და მოხუცს ისე გაუმასპინძლდა. ბერიკაცი ამჯერადაც ჩუმად იყო, ჩუმად ჭამდა, ღვინის დალევას სულაც არ აპირებდა, მაგრამ თინაც მიუჯდა მაგიდას, თამუნიაც გვერდზე მოისვა, თვითონაც დალია, მოხუცსაც დაალევინა. სუფრაზე დახრილი, მათლაფაში რიდით კოვზჩაყოფილი პაპა კიდევ უფრო მოსწონდა, - თეთრი ეკლებივით მსხვილი თმით შემოსილი პატარა თავი ჰქონდა, თმის ყოველი ღერი ცალ-ცალკე უბრწყინავდა. თინამ კიდევ გაიგო მისი, - უმცროსი ბიჭი ავარიაში დაღუპოდა. ჭიქა წაუქციეს, ბერიკაცს აღარაფერი უთქვამს მეტი, აღარც თინა ჩასძიებია, ჭამას მორჩა, ქუდი აიღო და ისევ სარდაფში ჩავიდა.

...ბერიკაცმა საღამომდე ხერხა, საღამოს ამოვიდა, - ცოტაღა დამრჩა, შვილო, მაგას ხვალ გავხერხავო. თინამ სუფრის გაშლა დაიწყო. – არა, შვილო, მაგის დრო არ არის, შინ უნდა წავიდეო. მაშინ თინამ ფული გამოუტანა, ბერიკაცი შეყოყმანდა, თინამ ხელში ჩაუდო, - წაიღეთო, წაიღეთო! ბერიკაცმა მადლობა გადაუხადა, - დილამდე, შვილო, დილაზე ჩამოვალ და ყველაფერს მოვრჩებიო, წავიდა.

წავიდა და წავიდა. არც მეორე დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო კვირას.

დაბრუნდა გია მივლინებიდან. გაიგო ეს ამბავი, - აი, ესე ქნა იმ შენმა მოლაღურივით ბერიკაცმაო. დაჯდა გამტკნარებული. როგორღაც გაუგებრად იღიმებოდა. მერე თქვა, - მაინც რამდენი იქნება დახერხილიო. – ნახევარზე ცოტა მეტიო, - მიუგო თინამ. მაშ, იცი რა, ჩემო მაგარო გოგოვ, მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გავიმეტებთ კაცს, იქნებ რა მოუხდა, იქნებ რა შეემთხვა! – კარგიო! – გაეღიმა თინასაც.

გავიდა კიდევ ერთი კვირა, კვირაზე მეტიც. ერთ დღეს ერთი დაბალი ხერხიანი ბიჭი მოვიდა ეზოში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კითხულობდა, პატარა გოგო რომ ჰყავთ, შეშა რომ ჰქონდა სარდაფშიო. მეზობლები მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდოდა, წაუძღვნენ, მოიყვანეს, ზარიც დაურეკეს. თინამ გამოიხედა. ბიჭი მორცხვად ალაპარკდა, - პაპაჩემს თქვენი შეშა დარჩა დასახერხი, მე მოვედი, მე უნდა დავხერხოო. თუ დახერხილი გაქვთ, რაც გეკუთვნით, ფული უკან უნდა აიღოთო. თინას სახე

შეუფიქრიანდა, - პაპა? პაპას რა დაემართაო – პაპა მოკვდა, ხუთი დღეა, რაც დავმარხეთო. თინამ კარს ლოყა მიადო და ასე გაშტერებული დარჩა. გამოიხედა გიამ, იმანაც გაიგო რა ამბავიც იყო,

- აჰო, არაო, როგორ გეკადრებათო! მაგრამ ბიჭმა არ დათმო, - ანდერძად ეგ დამიტოვა და უნდა შევუსრულო. მეტი რაღა გზა იყო. ჩაუძღვა სარდაფში. ბიჭმა გაჩქარებული ხერხვა დაიწყო. გია მაღლა ამობრუნდა. თინა შუა ოთახში დახვდა. გიამ ხელები კეფაზე შემოიწყო, - აი, ხომ ხედავ, რა კაია, კარგები რომ ვართო!

თინამ გაუღიმა. თვალებში ლამაზი ცრემლები ედგა.

რევაზ ინანიშვილი

- **დაახარისხეთ ზმნები პირიანობის მიხედვით.**

ერთპირიანი ზმნები	**ორპირიანი ზმნები**	**სამპირიანი ზმნები**

4.2. პირის გამოხატვა ზმნაში

დავაკვირდეთ ამ ფორმებს:

ვაკეთებ	**მე** მას	**ვ**ჭამ	**მე** მას
ვაღებ	**მე** მას	**ვ**ბარავ	**მე** მას
ვამზადებ	**მე** მას	**ვ**თესავ	**მე** მას
ვღებავ	**მე** მას	**ვ**ხატავ	**მე** მას
ვწერ	**მე** მას	**ვ**აძლევ	**მე** მას მას...

- რა აერთიანებს ჩამოთვლილ ზმნებს? რა აქვთ მათ საერთო?
- **თავსართი ვ-.**

ბუნებრივია, ამ **ვ**-ს ყველგან ერთი და იგივე ფუნქცია ჰქონდეს:

ეს არის სიგნალი იმისა, რომ კონსტრუქციაში გვაქვს **პირველი პირი - მე**: ზმნის სტრუქტურის მიხედვით ადვილია ლოგიკური კავშირ-მიმართების დაფიქსირება **პირველ პირსა** და **ვ**-ს შორის:

სადაც **ვ**- თავსართია, იქ **პირველი პირი** იგულისხმება და პირიქით:

თუ კონტექსტით **პირველი პირი** იგულისხმება, იქ **ვ**- თავსართი იჩენს თავს.

ახლა ასეთი ფორმები ვნახოთ:

მხატავს	ის	**მე**	
მამზადებს	ის	**მე**	
მიყურებს	ის	**მე**	
მიკეთებს	ის	**მე**	მას
მიშენებს	ის	**მე**	მას
მწერს	ის	**მე**	მას
მაძლევს	ის	**მე**	მას

- **რა აერთიანებს ჩამოთვლილ ზმნებს? რა აქვთ მათ საერთო?**
- **თავსართი მ-.**

ბუნებრივია, ამ **მ**-ს ყველგან ერთი და იგივე ფუნქცია ჰქონდეს:

ეს არის სიგნალი იმისა, რომ კონსტრუქციაში გვაქვს **პირველი პირი - მე**: ზმნის სტრუქტურის მიხედვით ადვილია ლოგიკური კავშირ-მიმართების დაფიქსირება **პირველ პირსა** და **მ**-ს შორის:

სადაც **მ**- თავსართია, იქ **პირველი პირი** იგულისხმება და პირიქით: თუ კონტექსტით **პირველი პირი** იგულისხმება, იქ **მ**- თავსართი იჩენს თავს.

მსგავსება და განსხვავება

<u>მსგავსება:</u>

- რითი ჰგავს ერთმანეთს პირველი და მეორე რიგის ფორმები?
- ორივე რიგის ფორმებში **პირველი პირი** ჩანს.

<u>განსხვავება:</u>

- პირველი პირი ხან **ვ**- თავსართით აღინიშნება, ხანაც - **მ**- თავსართით.
- რა არის განსხვავება პირველი და მეორე რიგის ფორმებს, ანუ, **ვ**-თი და **მ**-თი გამოხატულ პირებს შორის?

და რა უნდა იყოს განსხვავების მიზეზი? იხ. შემდეგი პარაგრაფი.

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

მელია და მე

ვარ ერთხელ ჭალაში, მაისია, ცოტა ნიავი ქრის, ხის ძირას ვერ ვმუშაობ და დავდივარ, მომყუდროებულ ადგილს დავეძებ. ვეძებე, ვეძებე და ვიპოვე... მივედი, მივჯექ... გავიკეთე სათვალე, დავიდე მუხლზე ჩანთა, დავადე ზედ რვეული და დავიწყე წერა. ხან თავჩაღუნული ვწერ, ხან ჭალას და მთებს მივჩერებივარ, ვფიქრობ.

...ავწიე ერთხელაც თავი და რასა ვხედავ: იქვე, ჩემიდან ოცდაათიოდე ნაბიჯზე, ბუჩქებიდან გამოსულა მელია - კუდა გრძელია და მე მიყურებს... მოდის, ნელა, გაუბედავად მოადგამს ნაბიჯებს, გაჩერდება და, რაღაც ეჭვიანად მოწკურავს თვალებს, ვერ მიმხვდარა, ადამიანი ვარ თუ რა ვარ. თუ ადამიანი ვარ, ორ ფეხზე რატომ არა ვდგავარ. ან რანაირი თვალები მაქვს... გამოყოფს წითელ ენას, მიისვამს, მოისვამს ტუჩებზე, ჰაერსაც ჩაისუნთქავს, ჩემი სუნის გაგება უნდა, მაგრამ ჩემს სუნს ვერ გაიგებს, რადგან ნიავი მისი მხრიდან ქრის. გაბედავს, კიდევ გადმოადგამს ერთ-ორ ნაბიჯს, გაჩერდება და მიყურებს. მე გაუნძრევლად ვზივარ, სუნთქვასაც კი ვიკავებ. ერთი პირობა გაბრუნდა, ალბათ იფიქრა, სჯობია მოვერიდო, ვინც არის და რაც არისო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ისევ ჩემკენ წამოვიდა, მომაშტერდა, უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა, ზის და მიყურებს. მე მაინც არ ვინძრევი. ბოლოს, ეტყობა, მოსწყინდა ესე ჯდომა, წამოიწია და მომაძახა:

_ ბაა!

მეც აღარ შემეძლო მეტი თავშეკავება, გავიქნიე ხელი და გავუშვი თოფის ტყვიასავით:

_ ტუუ!..

შეჰკრა მალაყი და რა მალაყი! თითქოს ძირს არც კი დაშვებულა, ჰაერშივე გაიჭიმა საგველასავით და შევარდა, შეიკარგა ბუჩქებში.

მე სიცილი ამიტყდა. ვიცინოდი და ვიძახდი, _ სულ ეგა ხარ, მამაცო კუდიგრძელია, სულ ეგა ხარ ბასრკიჭებიანო?!

მერე საწერსაც მოვრჩი, წამოვდექი, უკვე შინ მოვდივარ და კიდევ იმ მელუკას არ წავაწყდი?! გადმომდგარა მაღალი კლდის თავზე და მიყურებს. გადასწევს თავს გვერდზე და მისი თვალების გამომეტყველებით ვხვდები, რომ ასეთ რამეს ამბობს:

_ შენა ყოფილხარ, რაც ყოფილხარ! დახვალ მაგ ხნის კაცი და დამაიმუნობ.

მე გავბრაზდი, ისევ გავუზუზუნე ტყვიებივით.

_ ტუუ! ტუუ!..

მაგრამ მელია აღარ გაქცეულა. მიბრუნდა, კუდი მაღლა აიშვირა და ფეხებს შორის გამომხედა. იდგა ასე, კუდაპრეხილი და ფეხებშორის დამცინავად გამომზირალი, მერე ერთი შეხტა, შეითამაშა და ტყეს შეაფარა თავი.

რევაზ ინანიშვილი

- **ამოწერეთ პირველი პირის აღმნიშვნელი ფორმები. ერთ რიგში ვ-თი გამოხატული, მეორეში - მ-თი გამოხატული.**

ვარ...	მიყურებს...
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

4.3. მოქმედი პირი. სამოქმედო პირი.

განსხვავების მიზეზი:

თვით ეს პირებია განსხვავებული სტატუსისა:

ვ-თი გამოხატული პირი **აქტიურია,** მოქმედია, - მას **სუბიექტურ** პირს უწოდებენ.

მ-თი გამოხატული პირი **პასიურია,** სამოქმედოა, - მას **ობიექტურ** პირს უწოდებენ.

ესე იგი:

ვ-თი ზმნაში გამოიხატება **აქტიური, მოქმედი, სუბიექტური** პირი - **პირველი** პირი.

მ-თი ზმნაში გამოიხატება **პასიური, სამოქმედო, ობიექტური** პირი - ასევე **პირველი** პირი.

მეორე აქტიურ პირს არანაირი ნიშანი არ სჭირდება, - საკმარისია **პირველი** პირის ფორმას **ვ-** ჩამოვაცილოთ და მეორე პირის ფორმას მივიღებთ:

ნიმუშები:

აკეთებ	**შენ**	მას (საქმეს)
აღებ	**შენ**	მას (კარს)
ამზადებ	**შენ**	მას (საუზმეს)
ღებავ	**შენ**	მას (ფანჯარას)
წერ	**შენ**	მას (წერილს)

ჭამ	**შენ**	მას (მსხალს)
ბარავ	**შენ**	მას (მიწას)
თესავ	**შენ**	მას (კიტრს)
ხატავ	**შენ**	მას (ძაღლს)
ჭრი	**შენ**	მას (პურს)...

მესამე პირის გამოხატვა უფრო რთულად ხდება, - იმის გამო, რომ სხვადასხვა გრამატიკულ სიტუაციაში ამ პირის აღნიშვნა სხვადასხვა ნიშნით გამოიხატება;

ეს ნიშნებია: **-ს, -ა, -ო** ბოლოსართები.

ნიმუშები:

აკეთებ-**ს**	**ის** (კაცი)	მას (საქმეს)
აღებ-**ს**	**ის** (კაცი)	მას (კარს)
ამზადებ-**ს**	**ის** (კაცი)	მას (საუზმეს)
ღებავ-**ს**	**ის** (კაცი)	მას ფანჯარას)
წერ-**ს**	**ის** (კაცი)	მას (წერილს)

ჭამ-**ს**	**ის** (კაცი)	მას (მსხალს)
ბარავ-**ს**	**ის** (კაცი)	მას (მიწას)
თესავ-**ს**	**ის** (კაცი)	მას (კიტრს)
ხატავ-**ს**	**ის** (კაცი)	მას (ძაღლს)
ჭრი-**ს**	**ის** (კაცი)	მას (პურს)...

გააკეთ-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (საქმე
მოამზად-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (საუზმე)
შეღებ-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (ფანჯარა)
დაწერ-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (წერილი)
შეჭამ-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (მსხალი)

დაბარ-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (მიწა)
დათეს-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (კიტრი)
დახატ-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (ძაღლი)
დაჭრ-**ა**	**მან** (კაცმა	ის (პური)
გააჩერ-**ა**	**მან** (კაცმა)	ის (მანქანა)

გააღ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (ფანჯარა)
შეაქ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (ბავშვი)
დარგ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (ნერგი)
წაიღ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (წიგნი)
დააგდ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (სიგარეტი)

მოიგ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (თამაში)
გაიგ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (ამბავი)
დაანთ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (ცეცხლი)
გაართ-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (ბავშვი)
დად-**ო**	**მან** (კაცმა)	ის (წიგნი)

ზევით იყო მსჯელობა **სახელობითი** ბრუნვის ფუნქციებზე, მაგრამ **მათ შორის არ იყო დასახელებული ყველა ფუნქცია.**

ასევე არ იყო წარმოდგენილი **მიცემითი ბრუნვის სრული ფუნქციური დახასიათება.**

მოთხრობით ბრუნვაზე ითქვა, რომ **მისი ერთადერთი ფუნქციაა მოქმედი პირის გამოხატვა.**

მოქმედი პირის გამომხატველი ასევე შეიძლება იყოს **სახელობითი** ბრუნვა.

მოქმედი პირის გამომხატველი ასევე შეიძლება იყოს **მიცემითი** ბრუნვა.

სახელობითი შეიძლება იყოს **სამოქმედო** პირის ბრუნვა.

მიცემითიც შეიძლება იყოს **სამოქმედო** პირის ბრუნვა.

- **როდის?**
- **როგორ?**
- **რა შემთხვევაში?**

ა) სახელობითი ბრუნვა **მოქმედების შემსრულებლის (ჩამდენის), მოქმედის ბრუნვაა.**

ბავშვი ხატავს სურათს
მოსწავლე წერს დავალებას
მშენებელი აშენებს სახლს...

ბ) სახელობითი ბრუნვა **სამოქმედო ობიექტის ბრუნვაა:**

ბავშ**ვმა** დახატა **სურათი** (მოქმედია **„ბავშვმა“**),
ესე იგი, **სურათი** დაიხატა.

მოსწავლ**ემ** დაწერა **დავალება** (მოქმედია **„მოსწავლემ“**),
ესე იგი, **დავალება** დაიწერა.

მშენებელ**მა** ააშენა **სახლი** (მოქმედია **„მშენებელმა“**),
ესე იგი, **სახლი** აშენდა.

კიდევ უფრო დავაზუსტოთ:

ბავშ**ვმა** დახატა **სურათი** = **სურათი** დაიხატა/დახატულია **ბავშვის მიერ**
(აქაც მოქმედების ჩამდენია **ბავშვი, სურათი** ისევ სამოქმედოა)

მოსწავლ**ემ** დაწერა **დავალება** = **დავალება** დაიწერა/დაწერილია **მოსწავლის მიერ**
(აქაც მოქმედების ჩამდენია **ბავშვი, დავალება** ისევ სამოქმედოა)

მშენებელ**მა** ააშენა **სახლი** = **სახლი** აშენდა/აშენებულია **მშენებლის მიერ**
(აქაც მოქმედების ჩამდენია **ბავშვი, სახლი** ისევ სამოქმედოა)

ანუ: სახელობითი ხან **მოქმედების ჩამდენის, მოქმედის** ბრუნვაა, ხან **სამოქმედო ობიექტის**, მაგრამ **ერთდროულად ორივეს ბრუნვა არასოდეს არ არის:** არ არსებობს ასეთი კონსტრუქცია: აკეთებს **კაცი საქმე** ან გააკეთა **კაცი საქმე**.

როცა **მოქმედი სახელობითშია, სამოქმედო - მიცემითშია.**

როცა სამოქმედო **სახელობითშია,** მოქმედი **მოთხრობით** (გააკეთა **კაცმა** საქმე) ან **მიცემით** ბრუნვაშია (გაუკეთებია **კაცს** საქმე).

მიცემითი ბრუნვაშია **მოქმედი, მოქმედების შემსრულებელი**:

მხატვარი ხატავს სურათს - **მხატვარმა** დახატა სურათი - **მხატვარს** დაუხატავს სურათი

მწერალი წერს წიგნს - **მწერალმა** დაწერა წიგნი - **მწერალს** დაუწერია წიგნი

მუსიკოსი უკრავს მუსიკას - **მუსიკოსმა** დაუკრა მუსიკა - **მუსიკოსს** დაუკრავს მუსიკა

კაცი ცხოვრობს - **კაცმა** იცხოვრა - **კაცს** უცხოვრია

ბავშვი სწავლობს - **ბავშვმა** ისწავლა - **ბავშვს** უსწავლია

მუშა მუშაობს - **მუშამ** იმუშავა - **მუშას** უმუშავია

მასწავლებელი ლაპარაკობს - **მასწავლებელმა** ილაპარაკა - **მასწავლებელს** ულაპარაკია...

ამ შემთხვევაში ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც თანაბარი ღირებულებისაა **სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი**, - მათ აქვთ **ერთი და იგივე ფუნქცია**: სახელობითი = მოთხრობითი = მიცემითი

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ნიკა **მანქანას** ხატავს?
- დიახ, ნიკა **მანქანას** ხატავს.

1. ლევანი **სურათს** ხატავს?

   _____

2. ნინო **წიგნს** კითხულობს?

   _____

3. ნანა **დავალებას** წერს?

   _____

4. კაცი **საქმეს** აკეთებს?

   _____

5. ბავშვი **ვაშლს** ჭამს?

   _____

6. დედა **სადილს** ამზადებს?

_____

7. ანა **რძეს** სვამს?

_____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- ნიკამ **მანქანა** დახატა?
- დიახ. / დიახ, ნიკამ **მანქანა** დახატა.

1. ლევანმა **სურათი** დახატა?

_____

2. ნინომ **წიგნი** წაიკითხა?

_____

3. ნანამ **დავალება** დაწერა?

_____

4. კაცმა **საქმე** გააკეთა?

_____

5. ბავშვმა **ვაშლი** შეჭამა?

_____

6. დედამ **სადილი** მოამზადა?

_____

7. ანამ **რძე** დალია?

_____

შეადარე ერთმანეთს ეს ორი სავარჯიშო.
რა მოხდა? რა შეიცვალა?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ სიტყვები:** ნახა, იყიდა, დახატა, დალია, მოამზადა.

<u>**მოდელი.**</u>

- დედა აუთოვებს **შარვალს, პერანგს, მაისურს.**
- დედამ დააუთოვა **შარვალი, პერანგი, მაისური.**

1. ნატა ხედავს **სახლს, ქუჩას, ხეს მანქანას, ცას.**

   _____

2. ლევანი ყიდულობს **წიგნს, რვეულს, კალამს, ფანქარსა** და **ლექსიკონს.**

   _____

3. ანა ხატავს **თოჯინას,** საბა კი - **თვითმფრინავს.**

   _____

4. დედა ყიდულობს **პალტოს,** მამა კი - **კოსტუმს.**

   _____

5. სერგო სვამს **ჩაის,** ნათია კი - **რძეს.**

   _____

6. ბებია ამზადებს **საუზმეს,** დედა კი - **სადილს.**

   _____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ლალი **ჟურნალს** ყიდულობს. კოტე?
- კოტეც. / კოტეც **ჟურნალს** ყიდულობს.

1. საბა ყიდულობს **გაზეთს.** გიგა?

   _____

2. ნანა ყიდულობს **კაბას.** ნინო?

   _____

3. დათო ყიდულობს **რვეულს.** ლევანი?

   _____

4. მარინე ყიდულობს **ფანქარს.** ლია?

   _____

5. მაია ყიდულობს **პურს** და **შაქარს.** მარიამი?

_____

6. ანა ყიდულობს **რძეს** და **მაწონს.** მზია?

_____

➢ **დავალება.**

- **გადააკეთეთ ეს სავარჯიშო მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ლალიმ ჟურნალი იყიდა. კოტემ?
- კოტემაც. / კოტემაც იყიდა ჟურნალი.

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- კოტე **ჟურნალს** კითხულობს თუ **გაზეთს**?
- კოტე **ჟურნალს** კითხულობს. / კოტე **გაზეთს** კითხულობს.

1. ზურაბი **წერილს** წერს თუ **მოთხრობას**?

_____

2. სერგო **მოთხრობას** კითხულობს თუ **ზღაპარს**?

_____

3. ნანა **სახელმძღვანელოს** ყიდულობს თუ **ლექსიკონს**?

_____

4. კოტე **პასტას** ყიდულობს თუ **ფანქარს**?

_____

5. ნინო **წიგნს** ყიდულობს თუ **რვეულს?**

_____

6. ლელა **ვაშლს** ჭამს თუ **მსხალს?**

_____

➢ **დავალება.**

- **გადააკეთეთ ეს სავარჯიშო მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ ფორმები:** დაწერა, წაიკითხა, იყიდა, შეჭამა.

<u>**მოდელი.**</u>

- კოტემ **წერილი** დაწერა თუ მოხრობა?
- კოტემ **წერილი** დაწერა. / კოტემ **მოთხრობა** დაწერა.

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- კახა კითხულობს **მოთხრობას. რას** კითხულობს საბა?
- საბა კითხულობს **ზღაპარს**.

1. გოჩა ხატავს **მანქანას. რას** ხატავს გიგა?

_____

2. ნანა ხატავს **სახლს. რას** ხატავს ნინო?

_____

3. ზეინაბი წერს **წერილს. რას** წერს ნარგიზა?

_____

4. ნოდარი კითხულობს **ჟურნალს. რას** კითხულობს გურამი?

_____

5. მაია ყიდულობს **წიგნს. რას** ყიდულობს ლელა?

_____

6. ბებია ყიდულობს **რძეს. რას** ყიდულობს ბაბუა?

_____

7. დედა ყიდულობს **შაქარს. რას** ყიდულობს მამა?

_____

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- ლაშა **კალამს** ყიდულობს.
- **რას** ყიდულობს? **კალამს?**
- დიახ, **კალამს.**

1. გიგა **დავალებას** წერს.

_____

2. ნანა **წიგნს** კითხულობს.

_____

3. დათო **სახლს** ხატავს.

_____

4. დედა **სადილს** ამზადებს.

_____

5. მამა **საქმეს** აკეთებს.

_____

6. ბებია **კარს** აღებს.

_____

➢ **დავალება.**

- **გადააკეთეთ ეს სავარჯიშო მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ ფორმები:** დაწერა, წაიკითხა, დახატა, მოამზადა, გააკეთა, გააღო.

<u>**მოდელი.**</u>

- ლაშამ **კალამი** იყიდა.
- **რა** იყიდა ლაშამ? **კალამი**?
- დიახ, **კალამი.**/ დიახ, ლაშამ **კალამი** იყიდა.

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ სიტყვები სათანადო ფორმით:** ვაშლი, რადიო, გაზეთი, დავალება, მანქანა, ტელევიზორი.

<u>**მოდელი.**</u>

- ბიჭი სვამს.
- **რას** სვამს ბიჭი?
- ბიჭი სვამს **რძეს.**

1. მარიკა ჭამს.

   _____

2. დათო უსმენს.

   _____

3. ოთარი კითხულობს.

   _____

4. ანა წერს.

   _____

5. ანზორი ხატავს.

   _____

6. გიგა უყურებს.

   _____

არის შემთხვევები, როდესაც **სახელი ყოველთვის მიცემითშია:**

ეხმარება	ის (კაცი)	**მას (ქალს)**
დაეხმარა	ის (კაცი)	**მას (ქალს)**
დახმარებია	ის (კაცი)	**მას (ქალს)**
ელოდება	ის (დედა)	**მას (შვილს)**
დაელოდა	ის (დედა)	**მას (შვილს)**
დალოდებია	ის (დედა)	**მას (შვილს)**
ემალება	ის (ადამიანი)	**მას (პრობლემას)**
დაემალა	ის (ადამიანი)	**მას (პრობლემას)**
დაჰმალვია	ის (ადამიანი)	**მას (პრობლემას)**
ესალმება	ის (მოსწავლე)	**მას (მასწავლებელს)**
მიესალმა	ის (მოსწავლე)	**მას (მასწავლებელს)**
მისალმებია	ის (მოსწავლე)	**მას (მასწავლებელს)**
ხვდება	ის (ბიჭი)	**მას (გოგოს)**
შეხვდა	ის (ბიჭი)	**მას (გოგოს)**
შეხვედრია	ის (ბიჭი)	**მას (გოგოს)**

<u>**უყვარს მას** ის:</u>

უყვარს	**მას (დედას)**	ის (შვილი)
უყვარს	**მას (კოტეს)**	ის (მუსიკა)
უყვარს	**მას (სანდროს)**	ის (ხატვა)

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- **ლევანს** სპორტი უყვარს?
- დიახ, **ლევანს** სპორტი უყვარს.

1. **ნათიას** სიმღერები უყვარს?

2. **დათოს** ვაშლი უყვარს?

_____

3. **ვანოს** მუშაობა უყვარს?

_____

4. **ლალის** ცეკვა უყვარს?

_____

5. **დიტოს** სეირნობა უყვარს?

_____

6. **მარიამს** თავისი უნივერსიტეტი უყვარს?

_____

ასეთივე კონსტრუქციაა (**მას ის**) ეგრეთ წოდებულ **ემოციების, გრძნობა-აღქმის** გამომხატველ ზმნურ ფორმებთან;

ეს კონსტრუქცია არ იცვლება, სტაბილურია:

	მას	**ის**
მოსწონს	**გოგოს**	ბიჭი
უნდა	**დიტოს**	ნაყინი
სურს	**ქალს**	ყურადღება
სტკივა	**ბავშვს**	კბილი
სწყურია	**ადამიანს**	წყალი
უკვირს	**სტუმარს**	ყველაფერი
სჯერა	**პატარას**	ზღაპარი
სძულს	**ბიჭს**	ტყუილი
სჭირდება	**ადამიანს**	მეგობარი
აინტერესებს	**ნატას**	ბუღალტერია
უხარია	**მეგობარს**	წარმატება
ჰქვია	**მეგობარს**	მერაბი...

	შენს **ძმას (მეგობარს, მამას)**?
	შენს **დას (ამხანაგს, დედას)**?
	თქვენს **მასწავლებელს**?
რა ჰქვია	ამ **მოსწავლეს**?
	ამ **ბიჭს**?
	იმ **გოგოს**?
	იმ **ქალს**?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. ჰკითხე შენს მეგობარს, რა ჰქვია** მის ძმას, დას, ამხანაგს, მეზობელს, მასწავლებელს, ნაცნობს.

<u>**მოდელი 1.**</u>

- რა ჰქვია შენს **მეგობარს**?
- ჩემს **მეგობარს** ჰქვია ლუკა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

<u>**მოდელი 2.**</u>

- ეს ჩემი ძმაა. ჩემს **ძმას** ჰქვია მალხაზი.
- ეს ჩემი დაა. ჩემს **დას** ჰქვია ეკა.

1. ეს ჩემი მეგობარია.

   _____

2. ეს ჩემი ამხანაგია.

   _____

3. ეს ჩემი მასწავლებელია

   _____

4. ეს ჩემი ბიძაშვილია

   _____

5. ეს ჩემი კლასელია

   _____

6. ეს ჩემი მეზობელია

   _____

შეიძლება კონსტრუქციაში გვქონდეს **ორი სახელი მიცემით ბრუნვაში:**

ამისთვის აუცილებელია (მაგრამ არა საკმარისი), რომ **მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა** (ზმნა) **სამპირიანი** იყოს.

ამ ორი სახელიდან ერთი **სამოქმედო** ობიექტია, ხოლო მეორე - ობიექტი, რომელიც **არ არის სამოქმედო,** მაგრამ **არც მოქმედია:**

ეს სწორედ ის ობიექტია, რომელიც ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია.

- **ვის** სწერს ვანო წერილს?
- **მეგობარს** / ვანო **მეგობარს** სწერს წერილს.

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- ნანამ **ნინოს** მისცა წიგნი?
- დიახ, ნანამ **ნინოს** მისცა წიგნი.

1. საბამ **დედას** ყვავილები უყიდა?

_____

2. გიგამ **დათოს** დაურეკა?

_____

3. მერაბმა **დედას** წერილი გაუგზავნა?

_____

4. მასწავლებელმა **მოსწავლეებს** გაკვეთილი აუხსნა?

_____

5. სანდრომ **მასწავლებელს** დავალება აჩვენა?

_____

6. ბებიამ **შვილიშვილს** ზღაპარი წაუკითხა?

_____

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- დედამ წერილი მისწერა **მეგობარს.** ნინომაც მისწერა?
- დიახ, ნინომაც მისწერა წერილი **მეგობარს.**

1. გიორგიმ **ამხანაგს** დაურეკა. დათომაც დაურეკა?

   _____

2. ქეთიმ ყვავილები უყიდა **დედას.** მაიამაც უყიდა?

   _____

3. ლიამ თავისი რვეული **მასწავლებელს** მისცა. ანამაც მისცა?

   _____

4. თეა ხშირად უკითხავს ზღაპრებს თავის **შვილებს.** მზიაც უკითხავს?

   _____

5. სანდრომ ვაშლი მისცა **ძმას.** ლევანმაც მისცა?

   _____

6. ნათიამ მადლობა უთხრა **გამყიდველს.** მარიამმაც უთხრა?

   _____

- **დავალება.**
- **დაასრულეთ წინადადებები მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

დათომ ფანქარი **ნანას** მისცა, კალამი კი **ლევანს.**

1. დედამ წიგნი **ქალიშვილს** უყიდა, ბურთი კი .....
2. მარინემ ერთი ვაშლი **ძმას** მისცა, მეორე კი .....
3. ექიმმა ერთი კითხვა **ცოლს** დაუსვა, მეორე კი .....
4. მაკამ მისწერა წერილი **ბებიას** და ..... (კიდევ ვის?)
5. საღამოს მამა უკითხავდა ზღაპარს **ვაჟიშვილსა** და ..... (კიდევ ვის?)
6. დიტომ აჩვენა თავისი ნამუშევარი **დედას** და ..... (კიდევ ვის?)

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

- დედამ **მეგობარს** წერილი მისწერა.
- **ვის** მისწერა? **მეგობარს?**
- დიახ, **მეგობარს. / მეგობარს** მისწერა.

1. გიგამ **აჩის** ბურთი აჩუქა.

   _____

2. ნატამ **კოტეს** ფანქარი მისცა.

   _____

3. ზოიამ **მეგობარს** ყველაფერი აუხსნა.

   _____

4. ნარგიზამ **ძმას** წერილი მისწერა.

   _____

5. შვილიშვილმა **ბებიას** ყვავილი მიუტანა.

   _____

6. კახამ თავისი ნახატი **მასწავლებელს** აჩვენა.

   _____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ ფორმები:** გაუგზავნა, წაუკითხა, აუხსნა, უყიდა, აუდუღა, გაუჩერა.

<u>მოდელი.</u>

- მერაბმა დარეკა.
- **ვის** დაურეკა მერაბმა?
- მერაბმა **მეგობარს** დაურეკა.

1. მარინემ გაგზავნა წერილი.

   _____

2. ბებიამ წაიკითხა ზღაპარი.

   _____

3. მასწავლებელმა ახსნა გაკვეთილი.

   _____

4. მამამ იყიდა ბურთი.

_____

5. დედამ აადუღა ჩაი.

_____

6. მძღოლმა გააჩერა მანქანა.

_____

რა უყიდა ახალ წელს ბაბუამ **შვილიშვილებს**?

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>მოდელი.</u>

ბაბუამ **ნანას** წიგნი უყიდა.

დათო აგროვებს მარკებს.	წიგნი
ნანას უყვარს კითხვა.	საღებავები
გოგას უყვარს ფეხბურთის თამაში	მარკები
ნატას უყვარს ხატვა.	ფოტოაპარატი
გიორგი კარგი მოჭადრაკეა.	ბურთი
ქეთის უყვარს ფოტოების გადაღება.	ბანანები
მზიას უყვარს ხილი.	ჭადრაკი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

➢ **დავალება.**

- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით. გამოიყენეთ სიტყვები:** ახალი, თავისი, უფროსი, უმცროსი.

<u>მოდელი.</u>

- სერგომ **ძმას** დაურეკა?
- დიახ, სერგომ თავის *უმცროს* **ძმას** დაურეკა.

1. მასწავლებელმა **მოსწავლეს** ახალი დავალება აუხსნა.

_____

2. ბავშვებმა **მასწავლებელს** წიგნი მიუტანეს.

_____

3. საბამ თავის **დას** წერილი მისწერა.

_____

4. გელამ **მეგობარს** წიგნი მისცა.

_____

5. ლალიმ **ბებიას** წერილი მისწერა.

_____

6. მანანა **დას** ზღაპარს უკითხავს.

_____

- **დავალება.**
- **უპასუხეთ კითხვებს მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- მაიამ თავის **ბებიას** გაუგზავნა წერილი?
- არა, მან წერილი თავის **ბაბუას** გაუგზავნა.

1. დედამ თავის უფროს **გოგონას** უყიდა თოჯინა?

_____

2. მამამ თავის უმცროს **ქალიშვილს** აჩუქა ჭადრაკი?

_____

3. ანამ უმცროს **დას** მისწერა წერილი?

_____

4. კოტემ თავის უფროს **ძმისშვილს** მისცა ბურთი?

_____

- **ვის** სწერ წერილებს?
- **მეგობრებს** / წერილებს **მეგობრებს** ვწერ
- ვის **მეგობრებს** მისცა ანამ წიგნები?
- ჩემს **მეგობრებს** / ანამ ჩემს **მეგობრებს** მისცა წიგნები.

- **დავალება.**
- **გაეცით კითხვებს პოზიტიური პასუხი მოდელის მიხედვით.**

<u>**მოდელი.**</u>

- ნიკა ხშირად სწერს **მეგობრებს** წერილებს?
- დიახ / დიახ, ნიკა ხშირად სწერს **მეგობრებს** წერილებს

1. მასწავლებელი **მოსწავლეებს** გაკვეთილს ეკითხება?

   _____

2. ბავშვებმა **დედას** ყვავილები მოუტანეს?

   _____

3. ლია **ბაბუას** წერილს სწერს?

   _____

4. ბებია **შვილიშვილებს** ზღაპრებს უამბობს?

   _____

5. მაიამ **დებს** ლექსები წაუკითხა?

   _____

6. კახამ **სერგოს** ბურთი მიუტანა?

   _____

4.4. მოქმედი პირის რიცხვის გამოხატვა ზმნაში

სახელებში რიცხვის გამოხატვის პრინციპი, როგორც ზევით ვნახეთ, ასეთია: მხოლობითი რიცხვის ფორმა **ერთ** საგანს (სახლი...) აღნიშნავს, ხოლო მრავლობითი - **ერთზე მეტს** (სახლ-**ებ**-ი...).

ზმნაში შეიძლება გამოიხატოს მოქმედის რიცხვი, - **ერთია მოქმედების ჩამდენი** თუ **ერთზე მეტი, ერთია სამოქმედო ობიექტი** თუ **ერთზე მეტი.**

ანუ:

ზმნის რიცხვი გულისხმობს **არა ერთზე მეტ მოქმედებას,** არამედ იმას, მოქმედი თუ სამოქმედო პირი **ერთია თუ ერთზე მეტი.**

წარმოდგენილ შემთხვევებში მოქმედი პირი ერთია და ეს ჩანს შესატყვისი პირის ნაცვალსახელებიდან (ვაკეთებ **მე**, აკეთებ **შენ,** აკეთებს **ის**...)

ვ- თავსართს თუ ბოლოში **-თ**-ც დაემატება, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მოქმედებას ერთზე მეტი შემსრულებელი ჰყავს:

ვწერ-**თ**	ჩვენ
ვხატავ-**თ**	ჩვენ
ვაკეთებ-**თ**	ჩვენ...

მეორე პირის ფორმაშიც **-თ** ბოლოსართი დაგვჭირდება სიმრავლის გამოსახატავად:

წერ-**თ**	თქვენ
ხატავ-**თ**	თქვენ
აკეთებ-**თ**	თქვენ...

ისევ რთულად ხდება მესამე პირის სიმრავლის გამოხატვა, - სხვადასხვა გრამატიკულ სიტუაციაში აქ ხუთმა სხვადასხვა ნიშანმა შეიძლება ეს ფუნქცია შეასრულოს:

აკეთებ-**ენ**	ისინი
მიდი-**ან**	ისინი
წავიდ-**ნენ**	ისინი
დაწერ-**ეს**	მათ
გააკეთო-**ნ**	მათ

სუბიექტური პირის ნიშანთა სისტემას ასეთი სახე აქვს:

მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**
ვ-	**ვ-** --------- **-თ**
---------	--------- **-თ**
ს-, ა-, ო-	--------- **-ან, -ენ, -ნენ, -ეს, -ნ**

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

***

ჰოლანდ პარკში იმ ჩემს სკამზე ვიჯექი და მერილინ მონროს ველოდებოდი.

ცოტა ადრე მომიწია მოსვლამ და ჩიპსს, რომლის ჭამასაც მერილინი მივაჩვიე, თავად შევუდექი. რატომაც არა? ორნაირი ჩიპსი ვიყიდე: ბეიკონისა და ნივრის გემოდაყოლებული. ბეკონისგემოიანი განსაკუთრებით საზიზღარი იყო, მაგრამ მერილინი იმას უფრო მადიანად შეექცეოდა და ამიტომ ვყიდულობდი.

ჩიპსი რაც უნდა გეზიზღებოდეს, მაინც ხრაშუნით ჭამ და ამ ხრაშუნის გამო გგონია, რომ მადიანად ჭამ. მერილინმა კი ძალიან მოხდენილი ჭამა იცის, ნამცეცსაც არ დატოვებს. ვერც მიხვდები, რომ აქ ვიღაც იჯდა და მიირთმევდა.

საერთოდ, სექტემბერი საუკეთესო დროა ჰოლანდ პარკში. გულმაც ამიტომ გამომიწია ადრე.

მერილინი კი არასოდეს მოდის ზუსტად, ზოგჯერ ერთ საათსაც კი დაიგვიანებს ხოლმე.

მე კი დღეს საერთოდაც ათის ნახევარზე მოვედი, იმიტომ, რომ მერილინის გარეშეც არ ვიწყენ ხოლმე. ბოლო დროა, საკუთარი ნაწერები დამაქვს და იმათი სწორებით ვერთობი.

თუმცა უმისოდაც ვეღარ წარმომიდგენია.

სწორედ ამ დროს აწრიპინდა ჩემი ტელეფონი. მესიჯი იყო და ვიფიქრე, რომელიმე ჩემი ნაცნობი ღლაბუცობს-მეთქი, მაგრამ სულ სხვა გამოდგა.

შემოდგომის ამ მშვენიერ შუადღეს, როცა მოხუც დეიდებს უკვე აცვიათ თავიანთი თბილი, ვარდისფერი ჟაკეტები, ხოლო შენ ჯერ კიდევ შეგიძლია წინდების გარეშე სიარული, ერთ ძველ მეგობარს გავახსენდი.

უცებ აღმოაჩენ, რომ მარტო არა ხარ სამყაროში, რომელიც ასეთი მშვენიერია.

ამბობენ, მშვენიერიაო და მეც კინაღამ ვიფიქრე, რომ მართლაც მშვენიერია. ალბათ, იმიტომ, რომ მოვდივარ ხოლმე აქ და მერილინს ვხვდები.

რა იქნება, რომ აქვე, სკამზე დავუტოვო ჩიპსები? მიხვდება, რომ რაღაც შემემთხვა და ვერ დაველოდე. მესიჯი რომ მივიღე, გული აღარ დამიდგა აქ.

აკა მორჩილაძე, „ტავერნა „ათი სექტემბერი" (ფრაგმენტი)

- **ამოწერეთ პირველი სუბიექტური პირის ფორმები ერთ რიგში და გვერდით მიუწერეთ სათანადო მესამე პირის ფორმები.**

--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---

4.5. თავაზიანობის გამომხატველი ფორმები

როცა პირის მიმართ **თავაზიანობის** გამოხატვა გვინდა ან ოფიციალურად მივმართავთ ვინმეს, ვიყენებთ **მრავლობითი** რიცხვის ფორმას, რაც მარტივად ხდება - მხოლობითი რიცხვის ფორმას ემატება **-თ:**

- როგორ **ხარ**? (თუ თანატოლს, მეგობარს მივმართავთ)

შდრ.:

- როგორ **ხარ-თ** (როცა პატივისცემის გამოხატვა გვინდა);

გმადლობ – გმადლობ-**თ**; გაიცანი – გაიცანი-**თ,** წაიკითხე - წაიკითხე**თ**, აიღე - აიღე**თ**...

იშვიათად **სპეციალური ფორმები** გამოიყენება თავაზიანობის გამოსახატავად:

როგორ ხარ? – როგორ **ბრძანდებით**? როგორ გიკითხო**თ**?

კარგად იყავი – კარგად **ბრძანდებოდეთ**!

მოდი! – **მობრძანდით**!

დაჯექი! – **დაბრძანდით**!

შედი! – **შებრძანდით**!

გამოდი! – **გამობრძანდით**!

ჭამე! – **მიირთვით**!

აიღე! – **ინებეთ**!

როგორ გავიგოთ, ზმნის მრავლობითის ფორმა თავაზიანობის გამომხატველია თუ არა?

> თავაზიანობის გამომხატველია ზმნის **მრავლობითი** რიცხვის ფორმა, თუ ამ ფორმით მიმართავენ **ერთ** ადამიანს.

მაგ.:

მეგობარო, ვერ **მეტყვით,** უახლოეს მეტრომდე როგორ მივიდე?

მასწავლებელო, თუ შეიძლება, თქვენი ტელეფონის ნომერი **დამიწერეთ.**

ქალბატონო, ერთი კილოგრამი ყველი **ამიწონეთ...**

შდრ.

ბავშვებო, ახლა საკლასო დავალება **დაწერეთ.**

ბიჭებო, დღეს შეგიძლიათ საბანაოდ **წახვიდეთ.**

ბავშვებო, მე თქვენ ახალი საინტერესო წიგნი **მოგიტანეთ**...

4.6. სამოქმედო პირის გამომხატველი ნიშნები.

პირველ სამოქმედო პირს, როგორც აღინიშნა, **მ-** თავსართი გამოხატავს ზმნის ფორმაში.

მეორე სამოქმედო პირი **გ-** თავსართით აღინიშნება.

მაგ.:

გ-ხატავ	მე	**შენ**	/	**გ**-ხატავს	ის	**შენ**
გ-აქებ	მე	**შენ**	/	**გ**-აქებს	ის	**შენ**
გ-იცნობ	მე	**შენ**	/	**გ**-იცნობს	ის	**შენ**
გ-ელოდები	მე	**შენ**	/	**გ**-ელოდება	ის	**შენ**
გ-ეთამაშები	მე	**შენ**	/	**გ**-ეთამაშება	ის	**შენ**
გ-ელაპარაკები	მე	**შენ**	/	**გ**-ელაპარაკება	ის	**შენ**
გ-ესალმები	მე	**შენ**	/	**გ**-ესალმება	ის	**შენ**

მესამე პირი ამგვარი სამოქმედო ობიექტისა არ აღინიშნება; სხვგვარად რომ ვთქვათ, **მისი ნიშანია ნული.**

ხატავ-**ს ის** მას - აღინიშნება მოქმედი პირი (**ს-**) ნიშნით, სამოქმედოს ნიშანი არა აქვს.
წერ-**ს ის** მას - აღინიშნება მოქმედი პირი (**ს-**) ნიშნით, სამოქმედოს ნიშანი არა აქვს.

სამოქმედო პირი, რომელზეც გვქონდა აქამდე მსჯელობა, **პირდაპირი ობიექტის** სახელითაა ცნობილი. **შინაარსობრივად** ეს არის პირი, რომელზეც **პირდაპირ გადადის მოქმედება,** მოქმედება, რომელსაც სუბიექტური პირი ასრულებს.

ხატავს ის (მხატვარი) **მას (სურათს):**
ის (მხატვარი) სუბიექტია, მოქმედი პირია და მისი მოქმედება გადადის სურათზე, - **სურათი არის სუბიექტის მოქმედების საგანი.**

ისევე, როგორც ამ შემთხვევაში:

მხატავს ის (მხატვარი) **მე (კაცს)**:
ის (მხატვარი) სუბიექტია, მისი მოქმედება გადადის პირველ პირზე, - **პირველი პირი მოქმედების საგანია, ობიექტია.**

- **სამპირიან ზმნაში კიდევ ერთი პირია;**

ვნახოთ მაგალითი:

მიშენებ**ს ის** (მშენებელი) **მე (კაცს)** მას (სახლს)
ამიშენ**ა** მან (მშენებელმა) **მე (კაცს)** ის (სახლი).

სუბიექტი მესამე პირშია, - იგი ზმნაში **ა-** ბოლოსართით აღინიშნება;
პირდაპირი ობიექტი, ანუ მოქმედების საგანი მესამე პირშია და იგი ზმნის ფორმაში სპეციალური ნიშნით არ აღინიშნება.

მაშ რა არის თავსართი **მ-**?
ეს არის **პირველი ირიბი ობიექტის** ნიშანი

ანუ:

სუბიექტია ის (მშენებელი) - იგი მოქმედების შემსრულებელია;
პირდაპირი ობიექტია **ის (სახლი)** - მასზე გადადის მოქმედება;
ირიბი ობიექტია **მე (კაცს)** - მასზე მოქმედება პირდაპირ არ გადადის, იგი არ არის მოქმედების საგანი.

პირველი და მეორე პირის ობიექტები აბსოლუტურად ერთნაირად აღინიშნება; განსხვავება მესამე პირშია: პირდაპირი ობიექტი სპეციალური ნიშნით არ გამოიხატება, ირიბ ობიექტს გარკვეულ შემთხვევებში აქვს ნიშანი.

პირდაპირი ობიექტის გამოხატვა ზმნის ფორმაში	
მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**
მ-	**გვ-**
გ-	**გ- --------- -თ**

შეადარე:

ირიბი ობიექტის გამოხატვა ზმნის ფორმაში	
მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**
მ-	**გვ-**
გ-	**გ- --------- -თ**
ჰ-, ს-	**ჰ-, ს- --------- -თ**

- შეცდომაა **ჰ-** ან **ს-** პრეფიქსების წარმოდგენა შემდეგ ორპირიან ზმნებში (იმის გამო, რომ აქ **პირდაპირი** ობიექტი გვაქვს, რომელიც ზმნაში **არ აღინიშნება):**

მალავს ის მას	***და არა:***	ჰმალავს	***შდრ.:***	დამალა მან ის
ხატავს ის მას	***და არა:***	ჰხატავს	***შდრ.:***	დახატა მან ის
ხურავს ის მას	***და არა:***	ჰხურავს	***შდრ.:***	დახურა მან ის
ქსოვს ის მას	***და არა:***	ჰქსოვს	***შდრ.:***	მოქსოვა მან ის
ყლაპავს ის მას	***და არა:***	ჰყლაპავს	***შდრ.:***	გადაყლაპა მან ის
კრეფს ის მას	***და არა:***	ჰკრეფს	***შდრ.:***	მოკრიფა მან ის
რეცხავს ის მას	***და არა:***	ჰრეცხავს	***შდრ.:***	გარეცხა მან ის
კლავს ის მას	***და არა:***	ჰკლავს	***შდრ.:***	მოკლა მან ის
ღობავს ის მას	***და არა:***	ჰღობავს	***შდრ.:***	შეღობა მან ის
კეცავს ის მას	***და არა:***	ჰკეცავს	***შდრ.:***	დაკეცა მან ის
სვრის ის მას	***და არა:***	ჰსვრის	***შდრ.:***	დასვარა მან ის
ზრდის ის მას	***და არა:***	ჰზრდის	***შდრ.:***	გაზარდა მან ის
წურავს ის მას	***და არა:***	სწურავს	***შდრ.:***	დაწურა მან ის
წმენდს ის მას	***და არა:***	სწმენდს	***შდრ.:***	გაწმინდა მან ის
ძარცვავს ის მას	***და არა:***	სძარცვავს	***შდრ.:***	გაძარცვა მან ის
თოხნის ის მას	***და არა:***	სთოხნის	***შდრ.:***	გათოხნა მან ის
თარგმნის ის მას	***და არა:***	სთარგმნის	***შდრ.:***	თარგმნა მან ის
დრეკს ის მას	***და არა:***	სდრეკს	***შდრ.:***	მოდრიკა მან ის
ჭამს ის მას	***და არა:***	სჭამს	***შდრ.:***	შეჭამა მან ის
დგამს ის მას	***და არა:***	სდგამს	***შდრ.:***	დადგა მან ის
ცვლის ის მას	***და არა:***	სცვლის...	***შდრ.:***	გაცვალა მან ის

- **დავალება.**
- **დააფიქსირეთ და გაასწორეთ არასწორი ფორმები.**

კარგი მეჩაიე დღეში ას კილო ჩაის ჰკრეფს.
მთელი დღე მუშაობს, ძალიან იღლება და ღამე ადრე სწვება.
ეს ამბავი ბევრს არაფერს ცვლის.
ბებია თავისი შვილიშვილისთვის წინდას ჰქსოვს.
ქაღალდი ორად გაკეცა და გამომიწოდა.
ის ახლა პირველ ნაბიჯებს დგამს ბიზნესში.
ეს მანქანა ძალიან ხარისხიანად ჰრეცხავს სარეცხს.
ის კაცი მხოლოდ ხუთი საათისთვის გამოსჩნდა.
ჩემი ძმა დილით ძალიან ადრე დგება.
დღეს ბევრს ჰხუმრობს ჩემი მეგობარი, კარგ ხასიათზეა.
იმდენი სჭამა, რომ მერე მონელება გაუჭირდა.
ჩემი მეგობარი სპარტული მეთოდით ზრდის თავის შვილებს.
ქალბატონი მარინე ძალიან კარგად სთარგმნის ფრანგულიდან.
ბატონი ილია ძალიან კარგად ჰხატავს.
დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ჰბრუნავს.
სხვები ლაპარაკობენ, ეს კი სდუმს.

ყველა მშობელი ზრუნავს თავის შვილებზე.
შალვამ ყურძენი იყიდა და ახლა თავის მარანში სწურავს.
ლუკმებს ისე ჰყლაპავს, რომ წესიერად არ ღეჭავს.
ის, რა თქმა უნდა, არასოდეს არ სცდება.
ის თავის ძველ მანქანას ყიდის.
და სჭკნება, სჭკნება სიყვარული უკანასკნელი.
ახლა კარს კეტავს და სადღაც მიდის.

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

* * *

მამიდაჩემი ქართულის მასწავლებელია. იგი ყველაზე განათლებული და ლამაზი ქალია ჩვენს სოფელში. მამიდა, ბაბუაჩემის სკივრში რომ ხატი დევს, იმაზე გამოსახულ ღვთისმშობელს ჰგავს მარიამს, და ქეთევანი ჰქვია. ალბათ, ამიტომ ვერ გაუბედა ვერავინ, სიყვარული ეთქვა, და არის მამიდა გაუთხოვარი. მე ძალიან მიყვარს მამიდა და სულ მეშინია, არ გათხოვდეს. მამიდა გრძნობს ამას და, ალბათ, ამიტომ არ თხოვდება, თუ არა და, რა უშლის, აბა, ხელს?!

ვწევარ ჩემს საწოლზე გულაღმა, თვალგახელილი და მამიდას ჩურჩულით ვეკითხები:

_ მამიდა!

_ რა გინდა, ბიჭო?

_ გძინავს, მამიდა?...

_ თქვი, რა გინდა.

_ რა უნდა დათიკო ბრიგადირს, ყოველ საღამოს რომ დაიარება?

_ არ ვიცი, ბიჭო!

_ ნუ მოდის მაგი ჩვენთან!

_ ხომ არ გავაგდებ, ბიჭო?

_ არ ვიცი მე, ნუ მოდის... მოვა, დაჯდება, წყალი მომიტანე, ძაღლს გახედე, გადი გარეთ, იმას მიხედე, ამას მიხედე, კი ვიცი მე, მაგას რა უნდა!

მამიდა არაფერს ამბობს.

_ მამიდა, რამდენი წლის ხარ ახლა შენ? _ ვეკითხები დუმილის შემდეგ.

_ დაიძინე, ბიჭო!

_ მითხარი.

_ ოცდათხუთმეტის.

_ რატომ არ თხოვდები მერე?

მამიდა დუმს, მესმის მისი მშვიდი სუნთქვა და ველოდები, როდის გამცემს პასუხს. იგი ხმას არ მცემს.

_ ა, მამიდა?

_ დაიძინე, ბიჭო, ხვალ აღრე ხარ ასადგომი!

_ რატომ არ თხოვდები, მამიდა!

_ არავინ მთხოულობს, ბიჭო, არავის მოსწონს მამიდაშენი!

_ ტყუილია მაგი. შენ ქვეყანას მოსწონხარ, დათიკოსაც უყვარხარ.

_ მერედა, გემეტები მაგისთვის?

_ არა.

_ ჰოდა, დაიძინე ახლა!

მე ვიძინებ და მესიზმრება: მამიდაჩემი დგას სოფლის ეკლესიის წინ, თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი, თეთრი, მაღალი, ღვთისმშობელივით ლამაზი. მის წინ დამხობილია მთელი სოფლის კაცები, ვეხვეწები, ნუ გათხოვდები-მეთქი, და იგი არავის არ მიყვება, იხდის საქორწინო კაბას, მოდის ჩემთან, მკიდებს ხელს და ერთად მივდივართ შინ.

ნოდარ დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“ (ფრაგმენტი)

- **ამოწერეთ პირველი პირის ფორმები და განსაზღვრეთ მათი სტატუსი: მოქმედია ეს პირი თუ სამოქმედო.**

--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---

- **კიდევ როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან პირდაპირი და ირიბი ობიექტი?**

ავიღოთ ასეთი ზმნა: **ხატავს** (ის მას). სუბიექტური (მთავარი, მოქმედი) პირია **ის,** ობიექტური (არამთავარი, სამოქმედო) პირია **მას.** ზმნა გადავიყვანოთ წარსულ დროში, კერძოდ, **წყვეტილში** (წყვეტილის ფორმებია: გააკეთა, დაწერა, შეჭამა, დალია, დამალა, გაჭრა, მოამზადა...). გვექნება: დახატა **მან ის;** აქედან **მან** სუბიექტური პირია, ხოლო **ის** - პირდაპირი ობიექტი.

რატომ? _ იმიტომ, რომ ის ბრუნვას იცვლის (ისევე, როგორც სუბიექტური პირი); ახლანდელ დროში გვქონდა **ხატავს ის მას,** წარსულში მივიღეთ დახატა **მან ის.** აი, ასეთი, **ბრუნვაცვალებადი** ობიექტი არის პირდაპირი ობიექტი. ასეთ ობიექტს არ სჭირდება სპეციალური ნიშნით აღნიშვნა ზმნაში.

სხვაგვარად ასეც შეიძლება ითქვას:
თუ ზმნას შეუძლია პირების შეწყობა **მან ის** ფორმით, ესე იგი, აქ გვაქვს სუბიექტური და პირდაპირობიექტური პირები.

ამ შემთხვევაში ზმნაში მხოლოდ სუბიექტური პირი აღინიშნება, პირდაპირობიექტური პირი არ აღინიშნება.

- შეცდომაა **ჰ-** ან **ს-** პრეფიქსების წარმოდგენა ერთპირიან ზმნებში:

ხმაურობს	**და არა:**	ჰხმაურობს
ზრუნავს	**და არა:**	ჰზრუნავს
კვდება	**და არა:**	ჰკვდება
მდიდრდება	**და არა:**	ჰმდიდრდება
ხუმრობს	**და არა:**	ჰხუმრობს
მხიარულობს	**და არა:**	ჰმხიარულობს
ბრუნავს	**და არა:**	ჰბრუნავს
შრომობს	**და არა:**	ჰშრომობს
დგება	**და არა:**	სდგება
ჩურჩულებს	**და არა:**	სჩურჩულებს
დუმს	**და არა:**	სდუმს
ცდება	**და არა:**	სცდება
ცეკვავს	**და არა:**	სცეკვავს
წვალობს	**და არა:**	სწვალობს
თბება	**და არა:**	სთბება
ჩნდება	**და არა:**	სჩნდება
წვება	**და არა:**	სწვება...

- **დავიმახსოვროთ როგორ უნდა დაიწეროს ეს ორპირიანი ზმნები:**

ჰყავს	მას ის (შვილი)	**და არა:**	ყავს	მას ის (შვილი)
ჰქვია	მას ის (დათო)	**და არა:**	ქვია	მას ის (დათო)
ჰგონია	მას ის (მართალი)	**და არა:**	გონია	მას ის (მართალი)
ჰქონდა	მას ის (ფული)	**და არა:**	ქონდა	მას ის (ფული)
ჰგავს	ის მას (ძმას)	**და არა:**	გავს	ის მას (ძმას)
სწყინს	მას ის (წაგება)	**და არა:**	წყინს	მას ის (წაგება)
სტკივა	მას ის (ყელი)	**და არა:**	ტკივა	მას ის (ყელი)
სჭირს	მას ის (უძილობა)	**და არა:**	ჭირს	მას ის (უძილობა)
სწყურია	მას ის (წყალი)	**და არა:**	წყურია	მას ის (წყალი)
სდის	მას ის (ცრემლი)	**და არა:**	დის	მას ის (ცრემლი)
სძულს	მას ის (მტერი)	**და არა:**	ძულს	მას ის (მტერი)
სცხელა	მას (ის)	**და არა:**	ცხელა	მას (ის)
სცივა	მას (ის)	**და არა:**	ცივა	მას (ის)

- **სამპირიან ზმნებში,** როგორც აღინიშნა, **ყოველთვის არის ირიბი** ობიექტი, ე. ი. **საჭიროა მისი აღნიშვნა ჰ-/ს-** ნიშნებით (თუ ზმნის ფუძე ხმოვნით არ იწყება):

მი**ს**ცემს	ის მას მას	**და არა:**	მიცემს	ის მას რჩევას
მო**ს**ტაცებს	ის მას მას	**და არა:**	მოტაცებს	ის მას ქალს
და**ს**ტყუებს	ის მას მას	**და არა:**	დატყუებს	ის მას ფულს
მი**ს**წერს	ის მას მას	**და არა:**	მიწერს	ის მას წერილს
სთხოვს	ის მას მას	**და არა:**	თხოვს	ის მას წაყვანას
ჰკითხავს	ის მას მას	**და არა:**	კითხავს	ის მას ამბავს
მი**ჰ**ყიდის	ის მას მას	**და არა:**	მიყიდის	ის მას ყველს
ჰპირდება	ის მას მას	**და არა:**	პირდება	ის მას ძღვენს...

- **დავალება.**
- **დააფიქსირეთ და გაასწორეთ გრამატიკულად არასწორი ფორმები.**

მას უკვე ოთხი შვილიშვილი ჰყავს.
ჩემს მეგობარს ნოდარი ქვია.
ადრე მას დიდი ქონება ქონდა.
მას ჰგონია, რომ ყველაზე ჭკვიანია.
გიგას ძალიან სცივა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს.
პატარა ბეკეკას დასცხა და წყალი წყურია.
მასწავლებელმა მოსწავლეს დავალება მისცა.
წყვილები დილამდე ცეკვავდენ ევროპულ ცეკვებს.
შვილმა დედას წერილი მისწერა.
მას სძულს უგულო სიყვარული და ხვევნა-კოცნა.
კბილი სტკივა, მაგრამ ექიმთან მისვლა არ უნდა, ეშინია.
ყველას ყველაფერს პირდება, მაგრამ მერე ეს დაპირებები ავიწყდება.
ახლა ზის ქუჩაში და გამვლელს მოწყალებას სთხოვს.
მასპინძელმა ვინაობა ჰკითხა სტუმარს.
ისინი დიდხანს ლაპარაკობდენ.
სწყინს, როცა მეგობრები ვერ უგებენ.
ისე სცხელა, რომ სულ ოფლად იღვრება.
გამყიდველმა კლიენტს უხარისხო პროდუქტი მიჰყიდა.

4.7. მიმართულების გამოხატვა ზმნის ფორმაში. ზმნისწინი

ვნახოთ ასეთი ფორმები:

დადის, **მი**დის, **მო**დის, **ა**დის, **ამო**დის, **ჩა**დის, **ჩამო**დის, **შე**დის, **შემო**დის, **გა**დის, **წა**ვა, **წამო**ვა, **გადა**დის, **გადმო**დის;

მიფრინავს, **მო**ფრინავს... **ა**ფრინდება, **ამო**ფრინდება, **და**ფრინდება, **გა**ფრინდება, **გამო**ფრინდება, **შე**ფრინდება, **შემო**ფრინდება, **ჩა**ფრინდება, **ჩამო**ფრინდება, **გადა**ფრინდება, **გადმო**ფრინდება;

მიცურავს, **მო**ცურავს, **შე**ცურავს, **გა**ცურავს, **გამო**ცურავს, **გადა**ცურავს, **გადმო**ცურავს;

დაჰყავს, **მი**ჰყავს, **მო**ჰყავს, **ა**ჰყავს, **ჩა**ჰყავს, **ჩამო**ჰყავს, **შე**ჰყავს, **შემო**ჰყავს, **გა**ჰყავს, **გამო**ჰყავს, **გადა**ჰყავს, **გადმო**ჰყავს;

დააქვს, **მი**აქვს, **მო**აქვს, **ა**აქვს, **ჩა**აქვს, **ჩა**მოაქვს, **შე**აქვს, **შე**მოაქვს, **გა**აქვს, **გამო**აქვს, **გადა**აქვს, **გადმო**აქვს...

ამ ზმნების მნიშვნელობებს თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ იმას, რაც მათ **საერთო** აქვთ:
ისინი **მიმართულებას** გამოხატავენ.

მიმართულების გამოხატვა ადვილად შეიძლება დავუკავშიროთ იმ ელემენტებს, რომლებიც ჩამოთვლილ ზმნებს დასაწყისში, სიტყვის **წინ** აქვთ, - ეს არის ზმნის წინა ელემენტები, ანუ **ზმნისწინები**.

კიდევ ერთი რამ აქვთ წარმოდგენილ ფორმებს საერთო: აქ ზმნისწინები **მოძრაობის** შინაარსის მქონე ზმნებს დაერთვის.

მოძრაობის გამომხატველ ზმნებში ზმნისწინი
მიმართულებას
უჩვენებს.

ამ ფუნქციის მიხედვით მათ შეიძლება ვუწოდოთ
მიმართულების ზმნისწინები

სულ 15 ზმნისწინი გვაქვს:

მი-, მო-, ა- (აღ-), ჩა-, და-, შე-, გა- (გან-), გადა-, წა-, ამო- (აღმო-), ჩამო-, შემო-, გამო-, გადმო-, წამო-.

შედგენილობის მიხედვით ზმნისწინი შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

მარტივი ზმნისწინებია:

მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, წა-.

რთული ზმნისწინები მიიღება მარტივზე **მო-/და-** ზმნისწინის დართვით:

ამო-, ჩამო-, შემო-, გამო-, წამო-, გადა-, გადმო-.

მიმართულების ზმნისწინები გამოხატავენ სხვადასხვა მიმართულების მოძრაობას; კერძოდ:

მოძრაობა **ქვევიდან ზევით**	**ა-, ამო-**
მოძრაობა **ზევიდან ქვევით**	**და-, ჩა-, ჩამო-**
მოძრაობა **გარედან შიგნით**	**შე-, შემო-**
მოძრაობა **შიგნიდან გარეთ**	**გა-**, **გამო-**
მოძრაობა **იქით**	**წა-**
მოძრაობა **აქეთ**	**წამო-**
დაბრკოლების გადალახვა	**გადა-, გადმო-**

ზმნისწინს სხვა ფუნქციებიც შეიძლება ჰქონდეს (ამაზე ქვევით).

- **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი და ამოწერეთ ფორმები, სადაც ზმნისწინი მიმართულებას გამოხატავს.**

საიდუმლო საგანძური

ვარლამმა ლომბარდს შემოუარა, გაძვრა ორ კედელშუა, მესაათე თავდიდიშვილის სახლს მიადგა.

მიიხედ-მოიხედა, კედლიდან აგური გამოიღო. იდაყვამდე ჩაუშვა ხელი ნახვრეტში, კიდევ შეამოწმა ქუჩა, ხვრელიდან ამოიღო ქაღალდში გახვეული რაღაცა და უბეში ჩაიდო.

აგური აღადგინა და სწრაფი ნაბიჯით მოშორდა იქაურობას.

კათოლიკების ეკლესიის უკან გლიცინიებში შეძვრა, ჩაირბინა ქვის კიბე და ფანჯრებაჭედილ, მიტოვებულ სახლს მიადგა. ეკლარის ქვაზე დააწყო უბიდან ამოღებული ნივთები: ნიკელის ორი ბურთულა,

სიტრო-ლიმონათის ოცი ტკაცუნა იარლიყი, ოთხი გასროლილი გილზა, ნიკელირებული ზამბარა, ერთი რკინის ამერიკული სამხედრო ღილი, არწივითა და წარწერით, ველოსიპედის ზარი, 20 სანტიმეტრიანი სახაზავი, წითელი რეზინა, ერთი შოკოლადის ქაღალდი და საათის ციფერბლატი.

შემდეგ ჩაფიქრდა და მიიღო გადაწყვეტილება: ათი სიტრო-ლიმონათის იარლიყი და ველოსიპედის ზარი უბეში ჩაიდო. ნიკელის ბურთულა – წინდაში.

რეზო გაბრიაძე, „ქუთაისი ქალაქია“ (ფრაგმენტი)

➢ **დავალება.**

- **მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით სათანადო ზმნისწინები:** ა- ჩა- გა- გადა- ჩამო- წა-

რამდენიმე წლის წინ ჩემი დეიდაშვილი ინგლისში ….ვიდა სამუშაოდ. შემდეგ ქმარ-შვილიც ….ვიდა იქ საცხოვრებლად. იქიდან საფრანგეთში ....ვიდნენ, შემდეგ კი ამერიკაში ….ვიდნენ. ახლა იქ ცხოვრობენ. ახლა რამდენიმე დღით ..ვიდნენ თბილისში ნათესავების სანახავად. გუშინ მთაწმინდაზე ….ვედით, მერე კი ქალაქგარეთაც ….ვედით.

- **ზოგ ზმნისწინს ძველ ქართულში სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე დღეს. ნაწილი ზოგჯერ დღესაც იხმარება ძველი სახით.**

ესენია: **აღ-, აღმო-, გან-, შთა-, გარდა-, წარ-.**

ხშირად ამ ზმნისწინების გამოყენება მხოლოდ არქაული სახითაა მართებული და მათი თანამედროვე (**ა-, ამო-, გა-, ჩა-, გადა-, წა-**) ვარიანტების გამოყენება _ მიზანშეუწონელი.

მართებულია:

აღმზრდელი, **აღ**მოსავლეთი, **აღ**ნიშვნა, **აღ**მოჩენა, **აღ**ტკინება, **აღ**სასრული, **აღ**ქმა...
გარდამავალი, **გარ**დაუვალი, **გარ**დაქმნა, **გარ**დაცვალება...
განმარტოება, **გან**თავსება, **გან**ლაგება, **გან**სხვავება, **გან**ტვირთვა...
წარმოთქმა, **წარ**დგინება, **წარ**მოშობა,

წარმატება	***და არა:***	**წა**მატება (ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს)
წარსული	***და არა:***	**წა**სული (ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს)...
შთაბეჭდილება	***და არა:***	**ჩა**ბეჭდილება
შთაგონება	***და არა:***	**ჩა**გონება (ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს)
შთამომავლობა	***და არა:***	**ჩა**მომავლობა (ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს)...

- **შეცდომაა ზმნისწინის შემადგენელი ნაწილების გათიშვა *ვ-* ან *ი/უ* და *ე* თავსართებით**

მართებულია:

აღვნიშნე	***და არა:***	ავღნიშნე
აღვფრთოვანდი	***და არა:***	ავღფრთოვანდი
აღვნუსხე	***და არა:***	ავღნუსხე
აღვზარდე	***და არა:***	ავღზარდე
აღვწერე	***და არა:***	ავღწერე
აღვშფოთდი	***და არა:***	ავღშფოთდი...

ავითარებს	***და არა:***	ანვითარებს
ათავისუფლებს	***და არა:***	ანთავისუფლებს
ახორციელებს	***და არა:***	ანხორციელებს
ასახიერებს	***და არა:***	ანსახიერებს
ასხვავებს	***და არა:***	ანსხვავებს...

განიკურნა	***და არა:***	გაინკურნა
განივითარა	***და არა:***	გაინვითარა
განუვითარა	***და არა:***	გაუნვითარა
გაითავისუფლა	***და არა:***	გაინთავისუფლა
გაუთავისუფლა	***და არა:***	გაუნთავისუფლა
განევითარებინა	***და არა:***	გაენვითარებინა
განეხორციელებინა	***და არა:***	გაენხორციელებინა...

გამონაკლისია:

ავღორძინდი	***და არა:***	აღვორძინდი
ვაღიარე	***და არა:***	აღვიარე

➢ **დავალება.**

- **დააფიქსირეთ და გაასწორეთ გრამატიკულად არასწორი ფორმები.**

ყოველივე ეს ავღნიშნე ჩემს ანგარიშში.
ამ პროექტს ჩვენი პარტნიორი ორგანიზაცია ანხორციელებს.
ბევრი თაობა ავღზარდე და გზაზე დავაყენე.
დირექტორი ანთავისუფლებს უპასუხისმგებლო თანამშრომელს.
ეს აქტივობები ძალიან ანვითარებს ბავშვს.
ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს კარგსა და ცუდს.
როგორც შემეძლო, ავღწერე მისი გარეგნობა.
ამის გაგონებაზე ძალიან ავღშფოთდი.
მე აღვიარე მისი დიდი ნიჭი და შრომისმოყვარეობა.
ამ როლს აღიარებული მსახიობი ანსახიერებს.
სტუდენტმა განცხადება დაწერა და მასწავლებელმა ის გაანთავისუფლა ლექციიდან.

4.8. აკეთ-ებ-ს: ახლანდელი დროის გამოხატვა ზმნაში

რომელი ზმნებს აქვს **ახლანდელი დროის** შინაარსი? როგორ გამოიხატება ახლანდელი დროის შინაარსი ზმნის ფორმაში?

ახლანდელი დროის გამომხატველ ფორმას **აწმყოს** ფორმა ჰქვია: **აწმყო** ახლანდელს ნიშნავს. ის **სპეციალური გრამატიკული ნიშნით არ გამოიხატება ზმნაში,** მაგრამ თუ მაინც შევეცდებით მისი ფორმის, სტრუქტურის სპეციფიკაზე მსჯელობას, ყურადღება უნდა მივაქციოთ დაბოლოებას. აწმყოს ფორმებს ხშირ შემთხვევაში ბოლოში აქვს ელემენტები, რომლებსაც **თემის ნიშნებს** ან **აწმყოს ფუძის მაწარმოებელ ნიშნებს** უწოდებენ. **ძირითადად** (ხშირად) ეს ნიშნები გვხვდება:

-ებ: აკეთ-**ებ-ს,** აღ-**ებ-ს**, აშენ-**ებ-ს**... იზრდ-**ებ-ა**, შენდ-**ებ-ა**, დგ-**ებ-ა**...
-ობ: მუშა-**ობ-ს**, სწავლ-**ობ-ს**, სადილ-**ობ-ს**...
-ავ: ხატ-**ავ-ს,** მალ-**ავ-ს**, კეტ-**ავ-ს**...
-ი: ყიდ-**ი-ს**, ჭრ-**ი-ს**, ზრდ-**ი-ს**...

ცალკე ჯგუფს ე. წ. **გრძნობა-აღქმის** შინაარსის მქონე ზმნები, რომელთაც **-ებ, -ობ, -ავ, -ი** არა აქვთ და პირდაპირ დაერთვის ზმნის ფუძეს **-ს** ან **-ა** (პირის ნიშნები):

უყვარ-**ს,** სძულ-**ს**, სწყინ-**ს...** უნდ-**ა**, ში-**ა**, სცივ-**ა**...

ასევე, **-ია** დაბოლოებიანი ზმნები:

კიდ-**ია,** ხატ-**ია,** აბ-**ია,** აგდ-**ია**, ახატ-**ია,** აწერ-**ია**...

ასე რომ, ახლანდელი დროის ფორმებზე ერთგვარად **მიანიშნებს** შემდეგი დაბოლოებები:
-ებ-ს, -ობ-ს, -ებ-ა, -ი-ს, -ავ-ს, -ია.
დავარქვათ ამ დაბოლოებებს **სტრუქტურული ნიშნები.**

ახლანდელი დრო

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	ვ-აკეთებ მე მას (საქმეს)	ვ-აკეთებ-თ ჩვენ მას (საქმეს)
II	აკეთებ შენ მას (საქმეს)	აკეთებ-თ თქვენ მას (საქმეს)
III	აკეთებ-ს ის მას (საქმეს)	აკეთებ-ენ ისინი მას (საქმეს)

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	ვ-თბებ-ი მე (კაცი)	ვ-თბებ-ი-თ ჩვენ (კაცები)
II	თბებ-ი შენ (კაცი)	თბებ-ი-თ თქვენ (კაცები)
III	თბებ-ა ის (კაცი)	თბებ-ი-ან ისინი (კაცები)

➢ **დავალება.**

- **გახაზეთ ახლანდელი დროის ზმნები**

ხატავს	გარეცხავს	დაამტკიცებს
აკეთებს	ააშენა	გააკეთა
იყიდება	გაიყიდა	შენდება
გადმოდის	აკვირდება	მიცურავს
დახატა	აღებს	მოფრინავს
მოამზადოს	გაიზრდება	

➢ **დავალება.**

- **ამოწერეთ ტექსტიდან ახლანდელი დროის აღმნიშვნელი სიტყვები.**

დეპეშა

თეატრი.

სიცივე.

მაყურებლებს პალტოები აცვიათ.

სცენა წარმოადგენს რომანტიულად განათებულ სასაფლაოს. გათხრილი საფლავიდან მესაფლავის თავი ჩანს.

ვარლამი საორკესტრო ორმოში ზის და დედას ნოტებს უფურცლავს. ორკესტრში უმთავრესად ქალები არიან. მუსიკა ჯერ არ ჟღერს. ვარლამი მიშტერებია როიალის ბორბალს. მეორე ფეხი უკვე უბორბლოა და აგურზე დგას.

დირიჟორი ნაქსოვ ხელთათმანებს იძრობს. ვარლამი გვერდს გადაფურცლავს, დედა იწყებს სევდიან მელოდიას, სცენაზე შემოდის ხავერდში გამოწყობილი ჰამლეტი. სიცივეა. ცდილობს ხშირად არ ისუნთქოს. პირიდან ორთქლი ამოსდის.

– ყოფნა არ ყოფნა, საკითხავი აი ეს არის… – იწყებს მსახიობი და ორკესტრი ჩუმად აჰყვება დედის ვიოლინოს. საორკესტრო ორმოში შემოდის თმახუჭუჭა, ჭაღარა ადმინისტრატორი. ის

მონოლოგის დამთავრებას ელოდება, დედას პიუპიტრზე დეპეშას უდებს და გრძნობით ართმევს ხელს.

დეპეშა ბაბუას გარდაცვალებას იტყობინება.

ადმინისტრატორი პაუზას ელოდება, დედას ვიოლინოს ართმევს და დაკვრას აგრძელებს. დედა დგება. ადმინისტრატორი ჯდება.

დედა თავის ჭრელ შალს არფისტკას უდებს მუხლებზე, მის შავ შალს თავზე იხურავს და ორკესტრიდან გადის.

რეზო გაბრიაძე, „ქუთაისი ქალაქია“ (ფრაგმენტი)

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ზღვის უკუქცევა

რაიონული კლუბის ეზოში უამრავი ხალხი ირევა. იცინიან, მღერიან, ტირიან, ქვითინებენ. რაღაცას სთხოვენ და პირდებიან ერთმანეთს. მერე ეხვევიან, ჰკოცნიან, აბარებენ, უბარებენ, არიგებენ, ემუქრებიან, ეალერსებიან, ისევ პირდებიან, ისევ ჰკოცნიან ერთმანეთს და ასე გაუთავებლად.

დიდი ბუოლის ძირში, კოინდარზე ზის გერასიმე ბიძია, თუთუნს აბოლებს და თვალს არ აცილებს თავის ვაჟს, რომელიც ოპა, ოპას ძახილით მაღლა ისვრის პატარა გოგოს. გოგო ფეხს ფშეკს, კისკისებს, იჭაჭება. მის გვერდით დგას დაღლიავებული მისი ცოლი, შავი მაშიკო. იგი ქვედა ტუჩს იკვნეტს და თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლი.

ასალო გუდავაძე კლუბის კიბეზე ჩამომჯდარა, გვერდით თავისი ვაჟი მოუსვამს. ვაჟს ფერხთით ახალგაზრდა ქალი უზის, მას ქმრის მუხლებზე უდევს თავი და გაუჩერებლად ტირის.

ნოდარ დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“ (ფრაგმენტი)

- **ამოწერეთ ტექსტიდან ახლანდელი დროის მრავლობითი რიცხვის ფორმები. გვერდით მიუწერეთ მხოლობითის ფორმები.**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

4.9. აკეთებდა: მოქმედების უწყვეტელობის/დაუსრულებლობის გამოხატვა ზმნის წარსულ დროში

ზმნის ეს ფორმა მოქმედებას **დაუსრულებლად, შეუწყვეტლად** წარმოგვიდგენს, ამიტომ მას **უწყვეტლის** ფორმას უწოდებენ. მას **წარსული დროის** გაგება აქვს.

უწყვეტელი იწარმოება აწმყოს ფუძისგან -დ ან **-ოდ** სუფიქსების დართვით:
აკეთებ-**დ**-ა, ამზადებ-**დ**-ა, მუშაობ-**დ**-ა...
იზრდებ-**ოდ**-ა, დგებ-**ოდ**-ა, კეთდებ-**ოდ**-ა...

როდის გვაქვს **-დ** და როდის **-ოდ**?

ძირითადი წესი ასეთია:
თუ აწმყოში **მესამე სუბიექტურ პირს -ს** აქვს ნიშნად, მაშინ **-დ,** გვექნება.
აწმყოშია:
აკეთებ-**ს**, ამზადებ-**ს**, ცხოვრობ-**ს**, სწავლობ-**ს**... ბარავ-**ს...** თოხნი-**ს...**
ამიტომ გვქვს:
აკეთებ-**დ**-ა, ამზადებ-**დ**-ა, ცხოვრობ-**დ**-ა, სწავლობ-**დ**-ა... ბარავ-**დ**-ა, თოხნ-ი-**დ**-ა...

თუ აწმყოში **მესამე სუბიექტური პირის ნიშანი** არის **-ა,** მაშინ გვექნება **-ოდ**.
აწმყოშია:
იზრდ-ებ-**ა**, დგ-ებ-**ა,** კეთდ-ებ-**ა**...
ამიტომ გვაქვს:
იზრდ-ებ-**ოდ-ა**, დგ-ებ-**ოდ-ა**, კეთდ-ებ-**ოდ-ა**...

მხოლობითი რიცხვის მესამე პირისთვის **უწყვეტლის სტრუქტურულ ნიშნებად** შეგვიძლია ჩავთვალოთ:
-ებ-დ-ა, -ებ-ოდ-ა
-ობ-დ-ა
-ავ-დ-ა
-ი-დ-ა

წარსული დრო, უწყვეტელი მოქმედება

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	ვ-აკეთებ-დ-ი მე მას (საქმეს)	ვ-აკეთებ-დ-ი-თ ჩვენ მას (საქმეს)
II	აკეთებ-დ-ი შენ მას (საქმეს)	აკეთებ-დ-ი-თ თქვენ მას (საქმეს)
III	აკეთებ-დ-ა ის მას (საქმეს)	აკეთებ-დ-ნენ ისინი მას (საქმეს)

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	ვ-თბებ-ოდ-ი მე (კაცი)	ვ-თბებ-ოდ-ი-თ ჩვენ (კაცები)
II	თბებ-ოდ-ი შენ (კაცი)	თბებ-ოდ-ი-თ თქვენ (კაცები)
III	თბებ-ოდ-ა ის (კაცი)	თბებ-ოდ-ნენ ისინი (კაცები)

- **დავალება.**
- **გახაზეთ უწყვეტლის ფორმები**

გააკეთა, ლაპარაკობდა, დაწერა, წერდა, გარდა, მეცადინეობს, ბალადა, მიდიოდა, უსმენდა, გულადი, ჭამდა, თამაშობდა, უყურებდა, კარადა, გადადის, ფიქრობდა, ფარდა.

- **აწმყოს ფორმები გადაიყვანეთ უწყვეტელში**

ხატავს - ----------
სვამს - ----------
იზრდება - ----------
ბარავს - ----------
კეთდება - ----------
თბება - ----------
ჭრის - ----------
იმალება - ----------
დგება - ----------
აღებს - ----------

- **უწყვეტლის ფორმები გადაიყვანეთ აწმყოში**

მალავდა	-	----------
ჯდებოდა	-	----------
ტრიალებდა	-	----------
საუზმობდა	-	----------
იყიდებოდა	-	----------
იმეორებდა	-	----------
ყიდულობდა	-	----------
დუღდებოდა	-	----------
უყვარდა	-	----------
ცეკვავდა	-	----------

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტები. ხაზი გაუსვით უწყვეტლის ფორმებს.**

***

იმავე დღეს დაიბადა მეორე ინგლისელი ბავშვი. იგი ტიუდორების მდიდარ ოჯახს შეეძინა და მათთვის სანატრელი იყო. ამ ბავშვს ნატრობდა მთელი ინგლისიც, იმდენ ხანს ნატრობდა, იმდენს ელოდა და ევედრებოდა ღმერთს მის გაჩენას, რომ ახლა, როდესაც იგი ნამდვილად გაჩნდა, ხალხი სიხარულით კინაღამ გაგიჟდა. უბრალო ნაცნობებიც კი ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და ყვიროდნენ. ყველა ზეიმობდა _ წარჩინებულიც და მდაბიოც, მდიდარიც და ღარიბიც; ქეიფობდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ. ყველა ილხენდა.

მარკ ტვენი, „უფლისწული და მათხოვარი“ (ფრაგმენტი“)

***

ვენეციის გზატკეცილზე ცხოვრობდა, მდინარე ჩალბაშის პირას, მამამისთან ერთად... მიწის ნაკვეთი ჰქონდათ, ხელისგულისოდენა ბოსტნით. ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთიც ნაცრისფერი ჩოკინა. რძეს, მაწონს და მწვანილს ჰყიდდნენ მეზობლებში და სოხუმის ბაზარში, იანგული არსად არ სწავლობდა, მამამისს ეხმარებოდა მეურნეობაში და ხანდახან ვირსაც დაჰყვებოდა სავაჭროდ. დანაარჩენი დრო ქუჩაში იყო გადებული. რკინიგზის გადასასვლელთა იდგა ხოლმე, სკოლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ჯიბეებს უჩხრეკდა, ზოგს ძალით, ზოგს ნებით, თუთუნს, ხურდა ფულს, ბრჭყვიალა ნივთებს, ჯაჭვებს, ფერად ფანქრებს, კალმისტრებს ართმევდა, მეორე დღეს იმავე ნივთებს იმავე ბიჭებთან შეღავათიან ფასებში ჰყიდდა. მერე თავიანთსავე ფულზე ეთამაშებოდა, უგებდა, ჯიბეებგატენილი ბრუნდებოდა შინ.

ნოდარ დუმბაძე, HELLADOS,(ფრაგმენტი)

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ვითარცა მტკვარი

მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ჰყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას სციოდა, _
და
დრო
გადიოდა.
ვითარცა ღვინო _
ქვევრიდან
ხაპში _
ხაპიდან
დოქში _
დოქიდან
ჯამში _
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული
გადადიოდა
კაციდან კაცში.
გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა _
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი.

გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ, ღვრიდნენ,
უღმერთოდ ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდდნენ.
და...
მიუხედავად ამისა,
მაინც _
გამოიარა რუსთველის გული,
გამოიარა ვახტანგის გული,
გამოიარა თამარის გული,
გამოიარა სულხანის გული...
და დღეს _
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს _
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
სულხანის ნაქონი სისხლით,
თბილისის ფართო ქუჩებში
დადის:
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი
და...
იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

მუხრან მაჭავარიანი

ამოწერეთ უწყვეტლის ფორმები.

- **ამოწერეთ საკუთარი სახელები; ერთ რიგში - ხმოვანფუძიანები, მეორეში - თანხმოვანფუძიანები.**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

4.10. გააკეთებს: მომავალი დროის გამოხატვა

მომავალი დროის გაგება შეიძლება ზმნის სხვადასხვა ფორმას ჰქონდეს.

მაგრამ არსებობს ფორმა, რომელსაც ეწოდება **მყოფადი.**

ზმნის ეს ფორმა მოქმედებას დასრულებულად, შეწყვეტილად წარმოგვიდგენს. დროის მიხედვით ის **მომავალია,** ამიტომაც უწოდებენ მას **მყოფადის** ფორმას: **მყოფადი** და **მომავალი** სინონიმური სიტყვებია.

მყოფადის ფორმა ნაწარმოებია აწმყოსაგან, რომლისგანაც იგი **უმთავრესად** და **სისტემურად ზმნისწინის** დართვით განსხვავდება:

აშენებს	-	**ა**-აშენებს
აკეთებს	-	**გა**-აკეთებს
წერს	-	**და**-წერს...
თბება	-	**გა**-თბება
კეთდება	-	**გა**-კეთდება...
სჭირდება	-	**და**-სჭირდება
უერთდება	-	**შე**-უერთდება...

ამ შემთხვევაში ზმნისწინებს არაფერი აქვს საერთო მიმართულების გამოხატვასთან. მისი ფუნქცია მომავალი დროის გამოხატვაა.

ზოგჯერ მყოფადის ფორმაში ზმნისწინის ადგილზე **ი-** თავსართი ჩანს; შეცვლილია თემის ნიშანიც - აწმყოშია **-ობ,** მყოფადში კი **-ებ:**

მეცადინე-**ობ**-ს	-	**ი**-მეცადინ-**ებ**-ს
ცხოვრ-**ობ**-ს	-	**ი**-ცხოვრ-**ებ**-ს
საუზმ-**ობ**-ს	-	**ი**-საუზმ-**ებ**-ს...

ასე რომ, შეიძლება გამოვყოთ **ორი ძირითადი მოდელი,** რომლითაც მომავალი დროის შინაარსი გადმოიცემა:

ა) ზმნისწინი + აწმყო

ბ) ი-ძირი-ებ-ს

მომავალი დრო

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	გა-ვ-აკეთებ მე მას (საქმეს)	გა-ვ-აკეთებ-თ ჩვენ მას (საქმეს)
II	გა-აკეთებ შენ მას (საქმეს)	გა-აკეთებ-თ თქვენ მას (საქმეს)
III	გა-აკეთებ-ს ის მას (საქმეს)	გა-აკეთებ-ენ ისინი მას (საქმეს)

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	გა-ვ-თბებ-ი მე (კაცი)	გა-ვ-თბებ-ი-თ ჩვენ (კაცები)
II	გა-თბებ-ი შენ (კაცი)	გა-თბებ-ი-თ თქვენ (კაცები)
III	გა-თბებ-ა ის (კაცი)	გა-თბებ-ი-ან ისინი (კაცები)

ზმნისწინი მყოფადთან ერთად მოქმედების **დასრულებულობასაც** გამოხატავს:

ხატავს მოქმედების **პროცესს** გამოხატავს,

დახატავს - მოქმედებას, რომელიც **დასრულდება** მომავალში.

ეს - **დასრულებული** მოქმედების გამოხატვა - ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქციაა.

შესაძლოა ზმნისწინმა გამოხატოს:

- **მიმართულებაც**
- **მყოფადიც**
- **დასრულებული მოქმედებაც**

გაფრინდება, გამოფრინდება, გაცურავს, გამოცურავს, გადაცურავს წავა, მოვა, ჩავა, შევა... ამის ნიმუშებია.

➢ **დავალება**

- **მიუწერეთ შესაბამისი მომავალი დროის ფორმები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენეთ და-ზმნისწინი).**

ხატავს	-	.....	ანთებს	-	.....
წერს	-	.....	ზიანდება	-	.....
ამზადებს	-	.....	აზიანებს	-	.....
მზადდება	-	.....	აზუსტებს	-	.....
ბარავს	-	.....	ათარიღებს	-	.....
კეტავს	-	.....	აკანონებს	-	.....
იკეტება	-	.....	კეცავს	-	.....
იმალება	-	.....	იკეცება	-	.....
მალავს	-	.....	აბრუნებს	-	.....
აარსებს	-	.....	ბრუნდება	-	.....
აგვიანებს	-	.....	იჭერს	-	.....

➢ **დავალება**

- **მიუწერეთ შესაბამისი მომავალი დროის ფორმები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენეთ გა-ზმნისწინი).**

ათეთრებს	-	.....	სულელდება	-	.....
თეთრდება	-	.....	აგრილებს	-	.....
აწითლებს	-	.....	გრილდება	-	.....
წითლდება	-	.....	აგრძელებს	-	.....
აშავებს	-	.....	გრძელდება	-	.....
შავდება	-	.....	ადიდებს	-	.....
აკეთებს	-	.....	დიდდება	-	.....
კეთდება	-	.....	ადნობს	-	.....
ახმობს	-	.....	დნება	-	.....
ხმება	-	.....	ავსებს	-	.....
ასულელებს	-	.....	ივსება	-	.....

➢ **დავალება**

- **მიუწერეთ შესაბამისი მომავალი დროის ფორმები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენეთ შე-ზმნისწინი).**

იკერება	-	.....	ფასდება	-	.....
ჭამს	-	.....	აფურთხებს	-	.....
ადარებს	-	.....	ღებავს	-	.....
ამოწმებს	-	.....	იღებება	-	.....
მოწმდება	-	.....	აშინებს	-	.....
ამჩნევს	-	.....	აჩერებს	-	.....
ინახავს	-	.....	ჩერდება	-	.....
არქმევს	-	.....	იძენს	-	.....
არცხვენს	-	.....	აწუხებს	-	.....
ასმევს	-	.....	წუხდება	-	.....
ასწავლის	-	.....	წყვეტს	-	.....
აფასებს	-	.....	წყდება	-	.....

➢ **დავალება**

- **მიუწერეთ შესაბამისი მომავალი დროის ფორმები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენეთ მო-ზმნისწინი).**

ამზადებს	-	.....	აკლდება	-	.....
მზადდება	-	.....	ამწიფებს	-	.....
იგონებს	-	.....	მწიფდება	-	.....
ათავსებს	-	.....	ატყუებს	-	.....
თავსდება	-	.....	ტყუვდება	-	.....
აკლება	-	.....	აშორებს	-	.....

იშორებს	-	.....	ემსახურება	-	.....
წამლავს	-	.....	ენატრება	-	.....
აწესრიგებს	-	.....	ერევა	-	.....
წესრიგდება	-	.....	ეფერება	-	.....
ემატება	-	.....	ეჩვენება	-	.....

➢ **დავალება**

- **მიუწერეთ შესაბამისი მომავალი დროის ფორმები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენეთ ა-ზმნისწინი).**

ადუღებს	-	.....	მწვანდება	-	.....
დუღდება	-	.....	ანაზღაურებს	-	.....
ალაგებს	-	.....	აოხრებს	-	.....
ამოქმედებს	-	.....	ოხრდება	-	.....
ამოძრავებს	-	.....	ატირებს	-	.....
ამუავებს	-	.....	აფეთქებს	-	.....
მუავდება	-	.....	ფეთქდება	-	.....
ამტვერებს	-	.....	აყვირებს	-	.....
ამღვრევს	-	.....	აშენებს	-	.....
იმღვრევა	-	.....	შენდება	-	.....
ამწვანებს	-	.....	აცეკვებს	-	.....

➢ **დავალება**

- **მიუწერეთ შესაბამისი მომავალი დროის ფორმები ნიმუშის მიხედვით.**

შრომობს - **იშრომებს**

ცხოვრობს	-	.....	მკურნალობს	-	.....
სადილობს	-	.....	მეფობს	-	.....
ვარჯიშობს	-	.....	პოეტობს	-	.....
ვახშმობს	-	.....	გიჟობს	-	.....
საუბრობს	-	.....	ლაპარაკობს	-	.....
ომობს	-	.....	საუზმობს	-	.....
ვაჭრობს	-	.....	ფიქრობს	-	.....
ლაყბობს	-	.....	ცელქობს	-	.....
ხმაურობს	-	.....	ნადირობს	-	.....

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

სიკვდილის შემდეგ

დადგება ზამთარი...

მოვკვდები ღამით, გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა. სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის.

ასე გათავდება სინათლე, გაჰქრებიან მოგონების წამები.

გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხელებს.

ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს.

და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას.

ჩემი კუბო იქნება სადა და პროცესია უცრემლო.

მე დამასაფლავებენ შუადღის ორ საათზე თბილისის ახლო.

ჩემი დაკრძალვის დღეს აიშლებიან ფერადი ღრუბლები და ამოვარდება შორეული გრიგალი.

ბალდახინი, რომელიც წაიღებს ჩემს ცხედარს, იქნება თეთრი და მოძველებული. პანაშვიდს გადამიხდის ვინმე უბრალო მღვდელი, რომელსაც არ ექნება წაკითხული ჩემი სისხლიანი წიგნი «Memento mori» არ შეევცოდები მღვდელს, რომელსაც არ ეცოდინება ჩემი დაფერფლილი სულის ისტორია. მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდებათ ჩემს დანისლულ ლექსებიდან სტრიქონები.

მოვა უიმედობა.

პანაშვიდი გათავდება ქარში.

ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში.

და პირველ მიწას სახეზე მომაყრის ვინმე უხეში მესაფლავე.

კუბოს ფიცარზე შეწყდება უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების.

პროცესია დაიშლება.

მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო.

გზაში ისაუბრებენ ჩემზე.

დაღამდება...

მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე, ღამით.

დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან.

და გიჟივით ვიკივლებ, რომ მომეშველონ, რომ დამიფარონ.

არავინ იქნება ჩემი მხსნელი, ისევ დავეცემი, - თავს ვიგრძნობ სამარეში და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს.

ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და - სიჩუმე.

თეთრად დასუდრული იქნება მთელი ქვეყანა.

ის სოფელი, სადაც მე დავიბადე, დაემსგავსება უდაბნოს.

გაივლის ზამთარი, წვიმით და ქარებით.

დადგებიან გაზაფხულის დღეები.

შეიფოთლება სასაფლაო.

კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის გაიღება ეკლესიის კარები, ჩემ საფლავთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შეევცოდები.

ასე გაივლიან საუკუნეები.

ჩემ საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის.

ჩემ მიერ უხილავ საღამოს ბინდი დაფარავს მივიწყებულ ლოდებს და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით.

წამოვა წვიმა, ქარიშხალი და მოწყენილ საფლავზე დამაყრის ყვითელ ფოთლებს. ასე დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ წამოიზრდება ბალახი.

ზაფხულში, საღამო დროს, ჩემს საფლავს ჩაუვლიან თეთრად გამოწყობილი ქალები, შორს, სარკესთან უცნობი თითები დაუკრავენ როიალს.

დილაადრიან უიმედოდ იკივლებენ ორთქლმავლები. მოვა კვირადღე და ჩემს ახლოს დარეკავენ ზარებს, აანთებენ სანთლებს.

დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები.

წირვა გათავდება.

საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვდეულ ტუსაღებივით დარჩებიან შიგ. და სასაფლაოს ჩხავილით გადაუფრენს ყვავი.

გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით.

და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უნაზესი და - სიჩუმე.

ტერენტი გრანელი

- **ამოწერეთ მომავალი დროის ზმნური ფორმები. გვერდით მიუწერეთ შესაბამისი აწმყოს ფორმები.**

--- ---
--- ---
--- ---

4.11. გააკეთა: **მოქმედების წყვეტილობის გამოხატვა წარსულ დროში**

ზმნის ეს ფორმა მოქმედებას შეწყვეტილად წარმოგვიდგენს, ამიტომ მას **წყვეტილის** ფორმას უწოდებენ. დროის მიხედვით მას წარსულის გაგება აქვს.

წყვეტილის ფორმებს ზმნისწინი შეიძლება ჰქონდეს, შეიძლება - არა: იმის მიხედვით, **მოქმედების დასრულების შინაარსი** უნდა გადმოიცეს თუ არა;

აკეთა წყვეტილია, მაგრამ **დაუსრულებელი** მოქმედების შინაარსისა, ხოლო **გააკეთა** მოქმედებას **დასრულებულად** წარმოგვიდგენს.

წყვეტილის ფორმები პირველსა და მეორე პირში (მხოლობით რიცხვში) ბოლოვდება **ე**-ზე ან **ი**-ზე.

პირველი პირი:

გავაკეთ-**ე**, დავწერ-**ე**, დავხატ-**ე**... ვისწავლ-**ე**, ვიმუშავ-**ე**...

გავთბ-**ი**, დავბრუნდ-**ი**, წავედ-**ი**...

მეორე პირი:

გააკეთ-**ე**, დაწერ-**ე**, დახატ-**ე**... ისწავლ-**ე**, იმუშავ-**ე**...

გათბ-**ი**, დაბრუნდ-**ი**, წახვედ-**ი**...

წყვეტილის ფორმა აწმყოსგან სტრუქტურის თვალსაზრისით ძირითადად განსხვავდება იმით, რომ მას არა აქვს ე. წ.

თემის ნიშანი

შდრ.:

აკეთ-**ებ**-ს ის მას	(აწმყო)	და	(გა)აკეთ-ა მან ის	(წყვეტილი)
ხატ-**ავ**-ს ის მას	(აწმყო)	და	(და)ხატ-ა მან ის	(წყვეტილი)
იყიდ-**ებ**-ა ის	(აწმყო)	და	გაიყიდ-ა ის	(წყვეტილი)...
აღ-**ებ**-ს ის მას	(აწმყო)	და	გააღ-ო მან ის	(წყვეტილი)
აქ-**ებ**-ს ის მას	(აწმყო)	და	შეაქ-ო მან ის	(წყვეტილი)...

წყვეტილი

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	გა-ვ-ა-კეთ-ე მე ის (საქმე)	გა-ვ-ა-კეთ-ე-თ ჩვენ ის (საქმე)
II	გა-ა-კეთ-ე შენ ის (საქმე)	გა-ა-კეთ-ე-თ თქვენ ის (საქმე)
III	გა-ა-კეთ-ა მან ის (საქმე)	გა-ა-კეთ-ეს მათ ის (საქმე)

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	გა-ვ-თბ-ი მე (კაცი)	გა-ვ-თბ-ი-თ ჩვენ (კაცები)
II	გა-თბ-ი შენ (კაცი)	გა-თბ-ი-თ თქვენ (კაცები)
III	გა-თბ-ა ის (კაცი)	გა-თბ-ნენ ისინი (კაცები)

➢ **დავალება.**

- **გახაზეთ წყვეტილის ფორმები**

დახატა, ხატავს, ვისწავლე, დაიმალა, ვიმეცადინე, სწავლობს, გარეცხა, გააკეთე, კითხულობს, აადუღა, მუშაობს, ვიზრდები, ვიყიდე, რეცხავს, იმალება, წაიკითხა, გაახსენდა.

- **დავალება.**
- **წყვეტილის ფორმები გადაიყვანეთ აწმყოში ნიმუშების მიხედვით**

ნიმუში (ა): გააღო - აღებს.

მოამზადა	-	----------
გააკეთა	-	----------
ააშენა	-	----------
ააგო	-	----------
გააბრაზა	-	----------
გააწითლა	-	----------
გაახსენა	-	----------

ნიმუში (ბ): გარეცხა - რეცხავს.

დახატა	-	----------
დამალა	-	----------
დაბარა	-	----------
მოთიბა	-	----------
დარეკა	-	----------
გაფილტრა	-	----------
მოხარშა	-	----------

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი. ამოწერეთ წყვეტილის ფორმები**

ზღვის უკუქცევა

ნაშუადღევს სამხედრო კომისარი კლუბის აივანზე გადმოდგა და ორსაათიანი სიტყვა თქვა.

პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები და შედეგები რომ ვერ გაიხსენა კარგად, უცებ მეორე მსოფლიო ომის წარმომშობ ფაქტორებზე გადავიდა და გერმანია მიწასთან გაასწორა, არც იტალიას და იაპონიას მოფერებია მაინცდამაინც. ბოლოს ჰიტლერი და მუსოლინი მოხარშული კარტოფილივით შემოეფცქვნენ ხელში და იმდენი ილაპარაკა ჩვენი ჯარის კონტრდარტყმებზე, ჩვენს თვითმფრინავებზე, ტანკებზე, არტილერიაზე, კავალერიაზე, რომელიც დღეს თუ ხვალ ბერლინში უნდა შესულიყო, რომ ჯარში წასასვლელად გამზადებული ამდენი ხალხი შინ კინაღამ დააბრუნა.

რაიონის სასულე ორკესტრმა, რომელსაც მოხუცი მაესტრო ხელმძღვანელობდა, სიტყვის დამთავრებისთანავე ტუში დაცხო. მერე უცებ ორკესტრი დადუმდა. ბიჭებმა ფრთხილად დააწყვეს ინსტრუმენტები კოინდარზე ერთმანეთის გვერდით, რიგრიგობით მივიდნენ თავჩაქინდრულ მაესტროსთან, სათითაოდ გადაკოცნეს და მანქანების ძარაზე აძვრნენ. ხალხი მანქანებს მიცვივდა:

_ არ წახვიდე, ანზორა ბიჭო!

_ მღუპავ, ნენა?!

_ წერილის დაწერა არ დაიზარო!

_ არ გამომჭრა, ბაბა, ყელი!

_ არ შეაკლა, ნენა, თავი მაგ სასიკვდილეებს!

_ დაქოქე აწი, შე უპატრონო, ვეღარ გავუძელი ამის ყურებას.

_ ამოდი აწი მანქანაზე, ამირანა, გათავდა ომი!

და უცებ თითქოს მზე ჩავიდა, თითქოს დაღამდა, თითქოს ქვეყანა ორად გაიყო: ათ საბარგო

მანქანას მიჰყავდა ჩვენი სისხლი და ხორცი, რომელსაც ითხოვდა მიწა იმ დიდი სიყვარულის ფასად, რომლითაც უყვარდა იგი ამ ხალხს. მანქანების გასწვრივ ვიდექით ჩვენ _ დედები, ცოლები, დები, მამები, ბავშვები, რომლებმაც გავიღეთ ეს მსხვერპლი. კოინდარზე უპატრონოდ დარჩენილ საკრავებს შორის იდგა სახეზე ხელებაფარებული მოხუცი მაესტრო და მხრები უცახცახებდა.

მანქანები ნელი გუგუნით დაიძრა. ამ დღეს პირველად დავინახე ცრემლი ამდენი ადამიანის თვალზე, ამდენი მწუხარე, შეშინებული და გაფითრებული ადამიანი, ამ დღეს პირველად ვნახე ატირებული მამიდა. ეს დღე გავდა უზარმაზარი ზღვის მოქცევას, რომელიც მოულოდნელად უკუიქცა და დაგვტოვა ნაპირზე, როგორც თევზები, ნიჟარები, ლოკოკინები და ნაფოტები.

ნოდარ დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“ (ფრაგმენტი)

- **დავალება.**
- **ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ მომავალი დროისა და წყვეტილის ფორმები.**

ა) აღებს	–	გააკეთებს	–	გააკეთა	–	გაუღია
ბ) იბერება	–	გაიბერება	–	გაიბერა	–	გაბერილა

ა)

აქებს	–	----------	–	----------	–	შეუქია
ჭრის	–	----------	–	----------	–	გაუჭრია
იგებს	–	----------	–	----------	–	გაუგია
იწყებს	–	----------	–	----------	–	დაუწყია
ხსნის	–	----------	–	----------	–	გაუხსნია
შლის	–	----------	–	----------	–	გაუშლია
ცლის	–	----------	–	----------	–	დაუცლია
ზრდის	–	----------	–	----------	–	გაუზრდია

ბ)

იჭრება	–	----------	–	----------	–	გაჭრილა
იკეცება	–	----------	–	----------	–	გაკეცილა
იხსნება	–	----------	–	----------	–	გახსნილა
იშლება	–	----------	–	----------	–	გაშლილა
იცლება	–	----------	–	----------	–	დაცლილა
იზრდება	–	----------	–	----------	–	გაზრდილა

4.12. გაუკეთებია: **უნახავი მოქმედების გამოხატვა**

ზმნამ შეიძლება გამოხატოს **უნახავი მოქმედება,** რომელიც შესრულდა წარსულში, მაგრამ მისი **შედეგი** ჩანს ახლანდელ დროში. ამ ფორმების გააზრება (პერიფრაზირება) ასეც შეიძლება:

გაუკეთებ**ია** = თურმე გაკეთებული აქვს
გაუღ**ია** = თურმე გაღებული აქვს
დაუხატავს = თურმე დახატული აქვს...

გაზრდ**ილა** = თურმე გაზრდილია ⟸ თურმე გაზრდილი არის
გაყიდ**ულა** = თურმე გაყიდულია ⟸ თურმე გაყიდული არის
გამთბ**არა** = თურმე გამთბარია ⟸ თურმე გამთბარი არის

შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ფორმებს **თურმეობითის,** კერძოდ, **პირველი თურმეობითის** ფორმებს უწოდებენ.

რითი გამოირჩევა უნახავი მოქმედების გამომხატველი სიტყვები ფორმის მიხედვით? როგორ მივხვდეთ, რომ უნახავი მოქმედების გამომხატველი ფორმა გვაქვს?

უნახავი მოქმედების გამომხატველი ფორმებს სხვადასხვანაირი სტრუქტურა აქვს;

> პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ამ სიტყვების ერთი ნაწილის დაბოლოება: **-ია** და **-ავ-ს**; ყურადღება მივაქციოთ სიტყვის დასაწყისსაც, სადაც **უ-** თავსართი ჩანს (მესამე პირის ფორმებში).

გა-**უ**-კეთებ-**ია**	მას (კაცს)	ის (საქმე)
ა-**უ**-შენებ-**ია**	მას (მშენებელს)	ის (სახლი)
მო-**უ**-მზადებ-**ია**	მას (ბავშვს)	ის (გაკვეთილი)
გა-**უ**-ჩერებ-**ია**	მას (მგზავრს)	ის (ტაქსი)...
და-**უ**-წყ-**ია**	მას (ფეხბურთელს)	ის (თამაში)
გა-**უ**-ხსნ-**ია**	მას (თეატრს)	ის (სეზონი)
ა-**უ**-გ-**ია**	მას (არსაკიძეს)	ის (სვეტიცხოველი)...

შე-**უ**-ღებ-**ავ-ს**	მას (მღებავს)	ის (ღობე)
და-**უ**-ბარ-**ავ-ს**	მას (გოჩას)	ის (ბოსტანი)
და-**უ**-მალ-**ავ-ს**	მას (ბავშვს)	ის (ბურთი)

შეადარე აწმყო: ბარ**ავ**ს, ღებ**ავ**ს, მალ**ავ**ს...

პირველ-მეორე პირში ამ ფორმებს ექნება, შესაბამისად,

მ-ი- და **გ-ი-**:

გა**მი**კეთებია	-	გა**გი**კეთებია
და**მი**წერია	-	და**გი**წერია...

პირველი თურმეობითი

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	გა-მ-ი-კეთ-ებ-ია მე ის (საქმე)	გა-გვ-ი-კეთ-ებ-ია ჩვენ ის (საქმე)
II	გა-გ-ი-კეთ-ებ-ია შენ ის (საქმე)	გა-გ-ი-კეთ-ებ-ია-თ თქვენ ის (საქმე)
III	გა-უ-კეთ-ებ-ია მან ის (საქმე)	გა-უ-კეთ-ებ-ია-თ მათ ის (საქმე)

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	და-ვ-ბად-ებ-ულ-ვარ მე (კაცი)	და-ვ-ბად-ებ-ულ-ვარ-თ ჩვენ (კაცები)
II	და-ბად-ებ-ულ-ხარ შენ (კაცი)	და-ბად-ებ-ულ-ხარ-თ თქვენ (კაცები)
III	და-ბად-ებ-ულ-ა ის (კაცი)	და-ბად-ებ-ულ-ან ისინი (კაცები)

მეორე ნაწილს დაბოლოებად აქვს (აქ არ ჩანს დასაწყისში **უ**-):

-ულ-ა:

წას**ულა** ის (მამა)
- სამსახურში
- ბაზარში
- სტადიონზე...

გაყიდ**ულა** ის (მანქანა)
- ძვირად
- იაფად
- გუშინ

-ილ-ა:

დაწერ**ილა** ის (განცხადება)	{ დღეს გუშინ გუშინწინ

-არ-ა:

გამხდ**არა** ის (ბავშვი)	{ ავად ცუდად კარგად
ამდგ**არა** ის (კაცი)	{ სუფრიდან სკამიდან დილით
დამჯდ**არა** ის (სტუმარი)	{ სკამზე დივანზე სუფრასთან

პირველ-მეორე პირში ამგვარ ფორმებს ბოლოში ექნება:

-ვარ, -ხარ:

დავბადებულ**ვარ**	-	დაბადებულ**ხარ**
ავმდგარ**ვარ**	-	ამდგარ**ხარ**...

- **დავალება.**
- **ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ წყვეტილისა და უნახავი მოქმედების გამომხატველი ფორმები.**

ა) აკეთებს	–	გააკეთებს	–	გააკეთა	–	გაუკეთებია
ბ) ხატავს	–	დახატავს	–	დახატა	–	დაუხატავს
გ) იყიდება	–	გაიყიდება	–	გაიყიდა	–	გაყიდულა

ა)

აშენებს	–	ააშენებს	– ----------	–	----------
ამზადებს	–	მოამზადებს	– ----------	–	----------
აფასებს	–	შეაფასებს	– ----------	–	----------
ანადგურებს	–	გაანადგურებს	– ----------	–	----------
აბრაზებს	–	გააბრაზებს	– ----------	–	----------
ადუღებს	–	აადუღებს	– ----------	–	----------
აკანონებს	–	დააკანონებს	– ----------	–	----------
აფერადებს	–	გააფერადებს	– ----------	–	----------

ბ)

მალავს	–	დამალავს	– ----------	–	----------
კეტავს	–	დაკეტავს	– ----------	–	----------
ბარავს	–	დაბარავს	– ----------	–	----------
ხარჯავს	–	დახარჯავს	– ----------	–	----------
რეკავს	–	დარეკავს	– ----------	–	----------
რეცხავს	–	გარეცხავს	– ----------	–	----------

გ)

იყინება	–	გაიყინება	– ----------	–	----------
იბადება	–	დაიბადება	– ----------	–	----------
იბუტება	–	გაიბუტება	- ----------	–	----------
იმალება	–	დაიმალება	- ----------	–	----------
იხარჯება	–	დაიხარჯება	- ----------	–	----------
ივსება	–	გაივსება	- ----------	–	----------
იწყება	–	დაიწყება	- ----------	–	----------

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

***

მთის წისქვილში მეწისქვილეები არ ჰყავდათ, ყველა თავისთვის საფქვავსა ფქვავს. იმათ კი ჰგონიათ, მეწისქვილე აქვე იქნება და იმის მოსვლამდე კარს ნუ შევკეტავთო. ამასობაში ღამენატეხებსა და დაღლილ-დაქანცულებს ჩასძინებიათ. უცბად კარი ლაწუნით გაღებულა. ხმაურისაგან დამფრთხალებსა და თვალებდაჭყეტილ დამკვრელებს თავზარი დასცემიათ, როცა გაღიავებულ კარებში ფქვილის ჭამას შეჩვეული ვეება დათვი დაუნახავთ. ჯერ კარგა ხანს გონს ვერ მოსულან შეშინებულები. მერე უფიქრიათ, ეგება დაკვრით მაინც დავაფრთხოთო. დიდი სიფრთხილით მოუმარჯვებიათ საკრავები და ერთბაშად დაუცხიათ. დამფრთხალი დათვი კარისაკენ შეტრიალებულა, კარს დასჯახებია და მარტივი საკეტი დაჯახებისგან ჩაკეტილა. ამრიგად ჩვენი ბებერი დამკვრელები, შუაღამიდან მოკიდებული გათენებამდე, განუწყვეტლივ უკრავდნენ თურმე. თუკი ოდნავ შეისვენებდნენ, გაგიჟებული დათვი იმათკენ იწევდა.

ალიონისთვის ბუთხუზას ტუჩები დასისხლიანებია, დასიებია, ყურებიდან სისხლი წასკდომია. მედოლე თედოს დოლის ჯოხები დამტვრევია და გათენებამდე დაქარიანებული და დაკრუნჩხული თითები ურახუნებია დოლისათვის. აღარც სოსოს დასდგომია თავის მეგობარზე უკეთესი დღე.

გათენებისას წისქვილში მიმავალ გაღმასოფლელ გლეხს დაკვრის ხმა გაუგონია. უფიქრია, მაყრიონი წისქვილში ჩამოსულა საქეიფოდ, დროზე მივიდე, ეგებ ყანწი ლუდი და არაყი მეც მერგოსო. საფქვავი იქვე დაუდგამს და კარი გაუღია. კარის გაღება და დაფეთებული დათვის გამოვარდნა ერთი ყოფილა. გლეხსა გული შეჰღონებია და კარგა ხანს გონზე ვერ მოსულა. გონზე მოსული გაქცეულა და ხალხი შეუყრია. საშველად მისულ გლეხებს მთელი ღამის შიშისა და დაკვრისაგან დაოსებული და დასისხლიანებული მეზურნეები ჯერ მკვდრები ჰგონებიათ, მერე წყალი უსხამთ.

ამ ამბის შემდეგ ბუთხუზასა და თედოს დიდხანს არ უცოცხლიათ.მათი დაობლებული მეორე ნახევრებიც სულ რაღაც ორიოდე თვეში უკან მიჰყოლიათ თავიანთ კაცებს, საიქიოს გრძელსა და უშფოთველ გზაზე.მარტო სოსა და მისი ცოლიღა დარჩენილან, მაგრამ სოსაც სანახევროდ ვეღარ არის სრულ ჭკუაზეო და მისი ცოლიც გულის დაღლისაგან ლოგინად არის ჩავარდნილიო.

მერაბ ელიოზიშვილი, „ბებერი მეზურნეები“ (ფრაგმენტი)

- **ამოწერეთ უნახავი მოქმედების გამომხატველი სიტყვები.**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

➢ **დავალება.**

- **პირველი პირის ფორმები გადაიყვანეთ მესამეში და ისე გადაწერეთ ლექსი:**

ხეკორძულას წყალი მისვამს, _____
მცხეთა ისე ამიგია, _____
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, _____
რატომ კარგი აგიგია. _____

(ხალხური)

4.13. გააკეთოს! არ გააკეთოს! ნუ აკეთებს! : ბრძანების გამოხატვა

ბრძანებითი კილო მოსაუბრის სურვილის განხორციელებას გულისხმობს. ეს სურვილი შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ბრძანების, არამედ თხოვნის, ხვეწნა-მუდარის, ნატვრის, სურვილის სახითაც.

გრამატიკაში ყველა ამგვარი ფორმა **ბრძანებითის კატეგორიაში** გადის.

მოსაუბრე პირველი პირია მხოლობითი რიცხვისა, ამიტომ მისი **სურვილის შემსრულებელი** შეიძლება იყოს მე-2 და მე-3 პირი

ე. ი. მოსაუბრე პირმა შეიძლება უბრძანოს მე-2 და მე-3 პირს, პირველ პირს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსაუბრესთან ერთად სხვებიც არიან, ანუ, როდესაც ფორმა მრავლობითი რიცხვისაა.

არსებობს **წართქმითი** და **უკუთქმითი** ბრძანებითი.

წართქმითია ფორმა, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას გულისხმობს:

დაწერე! გააკეთე! ისწავლე! ააშენე! გახსენი! თქვი! უთხარი!

პრაქტიკაში წართქმითი ბრძანებითის ფორმები ძალიან ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის **ინსტრუქციების** დროს.

ეს ფორმები (**მივუმატოთ, გამოვაკლოთ, გავყოთ, გავამრავლოთ**) გამოიყენება **მათემატიკური ოპერაციების** დროს:

უკუთქმითია ფორმა, რომელიც ზმნით აღნიშნული მოქმედების აკრძალვას წარმოადგენს.

ამას სხვანაირად **აკრძალვითსაც** უწოდებენ.

აკრძალვითს თან ყოველთვის თან ახლავს **ნუ** ან **არ** ნაწილაკი:

ნუ აკეთებ! **ნუ** წერ! **ნუ** ხატავ! **ნუ** მიდიხარ! **ნუ** მიგაქვს!

არ გააკეთო! **არ** დაწერო! **არ** წახვიდე! **არ** წაიღო!

ბრძანების გამოსახატავად ერთი სპეციალური ფორმა თანამედროვე ქართულს არა აქვს.

მაშ როგორ გამოიხატება ის?

წართქმითი ბრძანებითის მე-2 პირის ფორმა ემთხვევა წარსული დროის, ე. წ. **წყვეტილის** ფორმას; როგორ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისგან?

- **თუ ზმნას აქვს წარსულის გაგება, ის წყვეტილის ფორმაა;**

- **თუ ზმნას მომავალი დროის გაგება აქვს, მაშინ ის ბრძანებითის ფორმაა.**

ნუ ნაწილაკიანი ბრძანებითი **ახლანდელი** (აწმყოს) ან **მომავალი** დროის (მყოფადის) ფორმებთან გვხვდება:
აკეთებ - **ნუ აკეთებ! ნუ გააკეთებ!**
ხატავ - **ნუ ხატავ! ნუ დახატავ!**
წერ - **ნუ წერ! ნუ დაწერ!**

არ ნაწილაკი **კავშირებითის** ფორმებთან გვხდება:
არ გააკეთო! **არ** დახატო! **არ** დაწერო!

რომელია **კავშირებითის** ფორმა?

სულ კავშირებითის 4 ფორმა, 4 მწკრივი არსებობს:

- პირველი კავშირებითი
- მყოფადის კავშირებითი
- მეორე კავშირებითი
- მესამე კავშირებითი

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა **მეორე კავშირებითი,** რომელიც წყვეტილის მწკრივთან არის შეწყვილებული მწკრივთა მეორე ჯგუფში (სულ მწკრივთა სამი ჯგუფი არსებობს).

ვნახოთ, როგორია მიმართება წყვეტილისა და კავშირებითის ფორმებს შორის:

წყვეტილი:	**მეორე კავშირებითი:**
გააკეთ-ა	გააკეთ-**ო**-ს
დაწერ-ა	დაწერ-**ო**-ს
დახატ-ა	დახატ-**ო**-ს
ააშენ-ა	ააშენ-**ო**-ს
გარეცხ-ა	გარეცხ-**ო**-ს
გააჩერ-ა	გააჩერ-**ო**-ს...
ააგ-ო	ააგ-**ო**-ს
გააღ-ო	გააღ-**ო**-ს
შეაქ-ო	შეაქ-**ო**-ს...

გახსნ-ა	გახსნ-**ა**-ს
გაჭრ-ა	გაჭრ-**ა**-ს
დააბ-ა	დააბ-**ა**-ს...
გათბ-ა	გათბ-**ე**-ს
გაფრინდ-ა	გაფრინდ-**ე**-ს
წავიდ-ა	წავიდ-**ე**-ს
შეუყვარდ-ა	შეუყვარდ-**ე**-ს

პრინციპული სხვაობა ამ ორ მწკრივს შორის არის კავშირებითის ნიშანი; **-ა/-ე/-ო.**

ამ კომპონენტითაა კავშირებითი მეტი წყვეტილზე, ამ კომპონენტთანაა დაკავშირებული სათანადო გრამატიკული მნიშვნელობა.

მეორე კავშირებითი

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	გა-ვ-ა-კეთ-ო მე (კაცმა) ის (საქმე)	გა-ვ-ა-კეთ-ო-თ ჩვენ (კაცებმა) ის (საქმე)
II	გა-ა-კეთ-ო შენ (კაცმა) ის (საქმე)	გა-ა-კეთ-ო-თ თქვენ (კაცებმა) ის (საქმე)
III	გა-ა-კეთ-ო-ს მან (კაცმა) ის (საქმე)	გა-ა-კეთ-ო-ნ მათ (კაცებმა) ის (საქმე)

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	გა-ვ-ხსნ-ა მე (კაცმა) ის (წიგნი)	გა-ვ-ხსნ-ა-თ ჩვენ (კაცებმა) ის (წიგნი)
II	გა-ხსნ-ა შენ (კაცმა) ის (წიგნი)	გა-ხსნ-ა-თ თქვენ (კაცებმა) ის (წიგნი)
III	გა-ხსნ-ა-ს მან (კაცმა) ის (წიგნი)	გა-ხსნ-ა-ნ მათ (კაცებმა) ის (წიგნი)

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	გა-ვ-თბ-ე მე (კაცი)	გა-ვ-თბ-ე-თ ჩვენ (კაცები)
II	გა-თბ-ე ის (კაცი)	გა-თბ-ე-თ თქვენ (კაცები)
III	გა-თბ-ე-ს ის (კაცი)	გა-თბ-ე-ნ ისინი (კაცები)

ასე რომ:

არ:

მარტივად უარყოფს ახლანდელი დროის (აწმყოს) ფორმებთან კომბინაციაში:

არ ჭამს

არ ხატავს

არ წერს...

ან **კრძალავს:**

არ ჭამო! / **არ** ჭამოს!
არ დახატო! / **არ** დახატოს!
არ დაწერო! / **არ** დაწერონ!
არ დაწვე! /**არ** დაწვნენ!
არ გახსნა! /**არ** გახსნან!

ვერ:

უარყოფს მოქმედების შესაძლებლობას:

ვერ აკეთებს
ვერ ჭამს
ვერ ხატავს
ვერ წერს

ნუ, ისევე როგორც **არ:**

კრძალავს მოქმედებას:

ნუ ჭამს!
ნუ ხატავს!
ნუ წერს!
ნუ აკეთებს!

ამდენად, ფუნქციურად პრაქტიკულად ერთნაირი ფორმებია და შეიძლება პარალელებად განვიხილოთ:

არ ჭამოს! || **ნუ** ჭამს!
არ დახატოს! || **ნუ** ხატავს!
არ დაწეროს! || **ნუ** წერს!
არ გააკეთოს! || **ნუ** აკეთებს!

- **დავალება.**

- **გადაიყვანე წართქმით ბრძანებითში ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: უნდა ივარჯიშო - ივარჯიშე!

უნდა დახატო ----------
უნდა დაწერო ----------
უნდა გააკეთო ----------
უნდა გარეცხო ----------
უნდა გაწმინდო ----------
უნდა გააფერადო ----------
უნდა შეასრულო ----------

- **ბრძანებითის ნაცვლად გამოხატე სასურველობა ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: დალიე წამალი! იქნებ წამალი დალიო!

გააკეთე საქმე!	----------
დაწერე დავალება!	----------
გარეცხე სარეცხი!	----------
მოამზადე საუზმე!	----------
აადუღე ჩაი!	----------
აანთე შუქი!	----------
გააღე კარი!	----------

- **შესაძლებლობის ნაცვლად გამოხატეთ ბრძანება:**

ნიმუში: შეგიძლია დახატო - დახატე!

შეგიძლია გააღო	----------
შეგიძლია დაკეტო	----------
შეგიძლია ჭამო	----------
შეგიძლია დალიო	----------
შეგიძლია მოამზადო	----------
შეგიძლია აადუღო	----------
შეგიძლია ივარჯიშო	----------

- **კატეგორიული ბრძანების ნაცვლად გამოხატე თხოვნითი ბრძანება ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: არ გააკეთო! - ნუ გააკეთებ!

არ გააღო !	----------
არ აადუღო!	----------
არ მოამზადო!	----------
არ გააფერადო!	----------
არ აანთო !	----------
არ ააშენო!	----------
არ გააჩერო!	----------
არ გაათეთრო!	----------

- **თხოვნით ბრძანების ნაცვლად გამოხატე კატეგორიული ბრძანება ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: არ დაბარო! - ნუ დაბარავ !

არ გარეცხო!	----------
არ დარეკო!	----------
არ დამალო!	----------
არ შეღებო!	----------
არ გათიბო!	----------
არ გაიხეხო!	----------
არ დახატო!	----------

- **უკუთქმითი ბრძანების ნაცვლად გამოხატეთ წართქმითი ბრძანება ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: ნუ აშენებ! - უნდა ააშენო!
ნუ რეკავ! - უნდა დარეკო!

ნუ აკეთებ! ----------
ნუ ათეთრებ! ----------
ნუ აჩერებ! ----------
ნუ ასვენებ! ----------
ნუ აღებ! ----------
ნუ კეტავ! ----------
ნუ ხატავ! ----------
ნუ რეცხავ! ----------

➢ **დავალება.**

- **გახაზეთ ფორმები, რომლებიც არ შეიძლება იყოს ბრძანებითი.**

ვთამაშობ, ვაღებ, ავაშენოთ, მივცეთ, წაიღოს, ნუ ლაპარაკობს, კითხულობს, წვება, დაწვა, დაწვეს, ვჭამ, მეცადინეობ, ვარჯიშობს, დგები, ნუ დგას, არ გააღოს, წაიყვანე, უპასუხე, ვუთხარი, ვეტყვი, გაუშვი, წაიკითხე.

➢ **დავალება.**

- **წაიკითხეთ ტექსტი.**

კულინარიული რეცეპტი.

ვარდებივით ვაშლის ტორტი

თუ გინდათ სტუმრებს, ოჯახის წევრებს ასიამოვნოთ, არ უნდა მოამზადოთ მხოლოდ დესერტი, არც მხოლოდ გემრიელი დესერტი, არამედ გემრიელი და ამავე დროს ლამაზი დესერტი. ასეთია ეს ვაშლის ტარტი, რომელიც გემრიელი ყვავილებია საჩუქარად. იხილეთ რეცეპტი, მიიღეთ თუ გაეცით ლამაზი და გემრიელი სიამოვნება.

მომზადების წესი

ნიგვზიანი ცომი

1. გააცხელეთ ღუმელი 200°C-მდე.
2. ჩოფერში დააქუცმაცეთ ნიგოზი პურის ნამცეცის ზომის ნაწილაკების მიღებამდე.
3. მოათავსეთ ნიგოზი დიდ თასში და ჩაუმატეთ ყველა დანარჩენი ინგრედიენტი.
4. გადაიტანეთ მასა 9-დიუმიან ტორტის საცხობ ფორმაზე.
5. აცხვეთ 15 წუთის განმავლობაში.

კრემი

1. ჩაასხით რძე მცირე ზომის ქვაბში და შეათბეთ საშუალო ცეცხლზე.

2. საშუალო ზომის თასში გათქვიფეთ კვერცხის გულები ნეკერჩხლის სიროფთან, სიმინდის სახამებელთან და მარილთან ერთად.

3. ნელ-ნელა ჩაასხით ცხელი რძე კვერცხის მასაში ნელი თქვეფით, რომ კვერცხის მასაც შეთბეს.

4. ჩააბრუნეთ ეს მასა ქვაბში და დადგით დაბალ ცეცხლზე. თქვიფვეთ მუდმივად, სანამ ნარევი გასქელდება და ბუშტებს გაიკეთებს.

5. ჩაუმატეთ ვანილის ექსტრაქტი.

6. გადაიტანეთ ტემპერატურა გამძლე კონტეინერში, გადაახვიეთ შესაფუთი ცელოფანი ზედაპირზე და გააცივეთ 2 საათის განმავლობაში.

და მთავარი

1. გადაანაწილეთ კრემი გამომცხვარ ზედაპირზე.

2. შეათბეთ ვაშლის თხელი ნაჭრები მიკროტალღურ ღუმელში დარბილებამდე.

3. ხელის მსუბუქი მოძრაობით გადააგორეთ, რომ მიიღოთ სპირალისებური ფორმები.

4. განათავსეთ ისინი კრემზე ვერტიკალურად. ეს პროცესი დაიწყეთ ცენტრიდან და შემდეგ გაუყევით კიდეებს.

5. შეათბეთ გარგარის ჯემი და ჩაწურეთ ლიმონი. წაუსვით ეს მასა ვაშლებს.

- **ამოწერეთ ბრძანებითის ფორმები.**

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

***

- ეეე, სკრიპკა! - იანგულის ხმა ვიცანი. წელში გავიმართე და თვალებში შევხედე.
- რა გინდა? - ვკითხე.
- მოდი აქ! - მიმიხმო თითით.
- თუ საქმე გაქვს, თვითონ მოდი! - ვუთხარი. იანგულიმ გაკვირვებულმა გადახედა მასზე უფრო გაკვირვებულ ქვეშევრდომებს და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ.
- შენ არ იცი, მე ვინა ვარ? - მკითხა ამაყად.
- ვიცი! - ვუპასუხე მე.
- მერე, რომ გეძახი, რატომ არ მოდიხარ?
- შენ ვინა ხარ, მე რომ მეძახი? - ვუთხარი აგდებით და ყოველი შემთხვევისათვის ვიოლინო მიწაზე დავდე. იანგულიმ ისევ გაკვირვებით გახედა თავის ბიჭებს, რომლებსაც თამაშისათვის თავი დაენებებინათ და ჩვენს გარშემო წრე შეეკრათ.
- იანგული, ასწავლე, ვინცა ხარ! - დაუძახა ვიღაცამ წრიდან.
- მიდი, უთაქე, იანგული!
- ერთი შენებური სილა აჭამე!
- ჯერ ვნახოთ, რა ბიჭიც არის! - თქვა იანგულიმ და ლოყაზე ხელი მომითათუნა.
- ნუ ბანაობ! - ვუთხარი და თავი გავწიე.

- უყურე შენ?! - გაუკვირდა იანგულის.
- მიყურე! - ვუპასუხე მე.
- პაპიროსი! - ხელი გამომიწოდა უცებ იანგულიმ.
- არ ვეწევი!
- ფული!
- არ მაქვს!
- ჯიბეები ამოიტრიალე!
- შენ თვითონ ამოიტრიალე!
ბიჭებში ჩურჩული ატყდა, იანგული დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ვიოლინოსკენ დაიხია.
- ხელი აიღე! - ვუთხარი მე და ვიოლინოსკენ წავიღე ხელი, მაგრამ იანგულიმ დამასწრო, ბუდე გახსნა, ვიოლინო ამოიღო, გამომიწოდა:
- მიდი, დაუკარი, ბიჭები გამირთე!

ნოდარ დუმბაძე, HELLADOS (ფრაგმენტი)

- **ამოწერეთ ტექსტებიდან;**

ა) **წართქმითი** ბრძანებითი ფორმები.

ბ) **უკუთქმითი** ბრძანებითი ფორმები ორ რიგად: ერთ რიგში **ნუ**-ნაწილაკიანები, მეორეში - **არ**-ნაწილაკიანები.

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი. ამოწერეთ ბრძანებითი ფორმები ორ რიგად: ერთ რიგში უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები, მეორეში - წართქმითი.**

ქეთინო

დედიკომ და მამიკომ
დამიტოვეს ქეთინო,
ასე მითხრეს:- მიხედე,
არაფერი ეტკინოს;
არაფერი გატეხოს,
არ დაკუწოს კაბები,
არ მოხატოს კედლები,
არ აბურდოს ძაფები;
დაუმალე ნემსები,
დაუმალე ღილები,
მაკრატელიც დამალე,
არ დაიჭრას ფრჩხილები;
არ გააღოს კარადა,
არ დახიოს წიგნები,
ფანჯარა თუ გატეხა,
დამნაშავე იქნები;
არ მიუშვა ღუმელთან,
არ დაგვღუპო, მანანა!
არ დახაზოს პარკეტი,
დაუმალე მანქანა;
არ ჩაუშვა ეზოში,
სურდო არვინ დამართოს,
დაუმალე ფანქრები,
ხელში დანა არ ანდო;
როცა გავალთ, კარები
გადაკეტე რაზებით,
განჯინაში ჩაკეტე
ჭიქები და ვაზები.
მეტი რა დაგიბაროთ,
თვით მიხვდები დანარჩენს...
ჰო, ასანთი არ ანდო,
თორემ ხანძარს გააჩენს.
ჰოდა, ასე თუ გინდათ,
დედიკო და მამიკო:
არაფერი შეემთხვეს
ჩემს პატარა დაიკოს;
თუ გინდათ,რომ ქეთინოს
არაფერი ეტკინოს,
მე გამიშვით კინოში,
თქვენ მიხედეთ ქეთინოს.

ნოდარ დუმბაძე

4.15. მოქმედების ინიცირება

გრამატიკულად მოქმედ პირს, მოქმედების შემსრულებელს სათანადო ნიშნები, სუბიექტური პირის ნიშნები გამოხატავს.

მაგრამ ყოველთვის როდია სუბიექტის ნიშნით გამოხატული პირი მოქმედების ერთპიროვნული შემსრულებელი.

ამ მხრივ სპეციფიკური ვითარება გვაქვს ე. წ. **შუალობითი კონტაქტის** ფორმებში.

ტერმინი „შუალობითი კონტაქტი“ სწორედ ამაზე მიუთითებს: სუბიექტის მოქმედება პირდაპირ არ გადადის პირდაპირ ობიექტზე - სუბიექტის მოქმედება ხორციელდება „შუამავალი“ პირის, ირიბი ობიექტის მეშვეობით.

ვნახოთ, როგორ არის განმარტებული ქეგლ-ში „აკეთებინებს“ (მოქმედების აღმნიშვნელი ზოგადი სიტყვა):

> **აკეთებინებ-ს ავალებს** აკეთოს, კეთების **საშუალებას აძლევს,** კეთებაში **ეხმარება.**
>
> > უფროს ქალიშვილს არაფერს **აკეთებინებს** (კ. ლორთქ.). მოსე მამასახლისს და სოფლის მსაჯულებს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა, რაც თითონ სურდა, იმას **აკეთებინებდა** (ე. ნინოშ.). მდიდრულად მაშინ **აკეთებდა** საჭმელსა... როდესაც სტუმრებს მიიღებდა ხოლმე (ი. გოგებ.).

განმარტების ნაწილში ფიგურირებს ასეთი დეტალები: „ავალებს“, „საშუალებას აძლევს“, „ეხმარება“.

ამ დეტალებს შეიძლება დავუმატოთ **„აიძულებს“.**

და გამოვა, რომ სუბიექტური პირი მოქმედების **ინიციატორია;** ის შეიძლება იყოს ასე ვთქვათ, მოქმედების თანაავტორი (როდესაც კონტექსტის მიხედვით „ეხმარება“ იგულისხმება) ან ხელმძღვანელი (სხვა შემთხვევებში).

შევადაროთ ერთმანეთს ეს ფორმები:

აშენებ-**ს**	ის (კაცი)	მას (სახლს)
ააშენ-**ა**	მან (კაცმა)	ის (სახლი)

და

აშენებ**ინ**ებ-**ს**	ის (კაცი)	მას (მშენებელს)	მას (სახლს)
ააშენებ**ინ**-**ა**	მან (კაცმა)	მას (მშენებელს)	ის (სახლი)

განსხვავებულია სუბიექტური პირის როლი ამ ორ სიტუაციაში.

და ეს განსხვავება დაკავშირებულია -ინ ელემენტთან, რომელიც მეორე ფორმაშია: აშენებ-**ინ**-ებ-ს - ააშენებ-**ინ**-ა.

არის ანალოგიური დანიშნულების მქონე კიდევ ერთი სუფიქსი: **-ევინ.**

ანუ, შეიძლება ვთქვათ, რომ შუალობითი კონტაქტის ნიშნებია **-ინ** და **-ევინ.**

ვნახოთ სხვა სიტყვების განმარტებებიც:

ამზადებინებ-ს ავალებს ან საშუალებას აძლევს ‘მო’ამზადოს,‘და’ამზადოს.

ან ეს რა წესია, გაკვეთილებს ერთ ოთახში ჯგუფურად რომ **გვამზადებინებენ** (ვ. ურჯუმ.). ქალბატონმა მიბრძანა, დურგლები დამაბარებინა და სააღაპე პურსაც **ვამზადებინებ** (გ. წერეთ.).

აშენებინებ-ს ავალებს ან შესაძლებლობას აძლევს ‘ა’აშენოს, ‘გა’აშენოს, ‘მო’აშენოს...

ახალ შეძენილ მამულში სახლს **ვაშენებინებ** (გ. წერეთ.). ||ბატონ ნიკოს მივყავდით და **გვაშენებინებდა** ტყეებს (ნ. დუმბ.).

აწერინებ-ს ავალებს ან საშუალებას აძლევს ‘და’წეროს, ‘და’იწეროს, ‘მო’აწეროს, ‘გამო’უწეროს.

შვილიშვილთან წერილს **აწერინებს**. – საკონტროლო სამუშაოს **აწერინებს.** || ოქმზე ხელს **აწერინებს.** || ექიმს გულის წვეთებს **აწერინებს.** || შეაშინა და ამით **აწერინებს** ჯვარს (ე. ნინოშ.).

აჭრევინებ-ს აიძულებს, ავალებს ან საშუალებას აძლევს ჭრას, ‘გა’ჭრას, ‘მო’ჭრას, ‘და’ჭრას, ‘გამო’ჭრას.

ყველს **აჭრევინებს**. – ტოტს **აჭრევინებს.** – კაბას **აჭრევინებს.** – მეფის მონადირე ვიყავ; **ვაჭრევინებდი** ხმალსაო (ი. დავით.). [გლეხებს] უბაჟოდ ერთ ღერ წკნელსაც არ **აჭრევინებდნენ** (ე. ნინოშ.).

ათქმევინებ-ს აიძულებს, ავალებს ან შესაძლებლობას აძლევს თქვას.

ერთი მეც **მათქმევინეთ!** – ბავშვს ლექსები **ათქმევინეს** სტუმართან. – ვეღარაფერი **ათქმევინა** დედამ ამის მეტი (ვ. ბარნ.). რაც უნდა იყოს, მივალ, იქნებ **ვათქმევინო** რამე! (ილია). არ შემცივდა-მეთქი, – ვუთხარი ძლივძლივობით... ან კი რა **მათქმევინებდა,** შემცივდა-მეთქი (ვაჟა).

ადგმევინებ-ს დადგმის საშუალებას აძლევს, ავალებს დადგას. სახლს **ადგმევინებს.**

– არჩილსაც ოთხი საძნე ურემი შეება, თივას **აზიდვინებდა** და შინ ეზოში... ბოძებზე შემდგარს მაღალ სათივეზე **ადგმევინებდა** (ილია).

აბარვინებ-ს ავალებს, საშუალებას აძლევს ან ეხმარება ბაროს.

ხვალ მეზობელს ვეხმარები: საბოსტნე მიწა უნდა **ვაბარვინო.** – ვენახს **ვაბარვინებდი,** დღიური მუშა მეყენა (თ. რაზიკ.).

არეცხვინებ-ს ავალებს გარეცხოს, გასარეცხად აძლევს.

[თინა] დიდ სარეცხს არ **არეცხვინებდა,** წელი აგტკივაო (ნ. ონაშ.). ელგუჯა ამხანაგს მანქანას **არეცხვინებდა** ან საყიდლებზე აგზავნიდა (რ. ჭეიშვ.).

შენიშვნა:

ბოლოსართები **-ნ / -ევინ** სრულად უნდა დაერთოს ზმნის ფორმას.

მართებულია:

აკეთებინებს	(და არა აკეთებიებს)
აშენებინებს	(და არა აშენებიებს)
ამზადებინებს	(და არა ამზადებიებს)
აწერინებს	(და არა აწერიებს)...
აჭრევინებს	(და არა აჭრეინებს/აჭრევიებს),
აშლევინებს	(და არა აშლეინებს/აშლევიებს),
ადგმევინებს	(და არა ადგმეინებს/ადგმევიებს),
ათქმევინებს	(და არა ათქმეინებს/ათქმევიებს)...

თუკი შუალობითი კონტაქტისთვის ამოსავალ ფორმაში **-ავ** ნიშნები დასტურდება, ამ ნიშნების თანხმოვანი (**-ვ,**) კონტაქტის ფორმაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი.

კერავს:	**აკერვინებს**	(და არა **აკერიებს/აკერინებს**),
ხატავს:	**ახატვინებს**	(და არა **ახატიებს/ ახატინებს**),
ფარავს:	**აფარვინებს**	(და არა **აფარიებს/აფარინებს**)...

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი და ხაზი გაუსვით შუალობითი კონტაქტის ფორმებს.**

ერთის პირობით
მწყურვალისათვის
მიმატანინე წყალი,
მევალისათვის
მიმატანინე ვალი,
გზააბნეულისთვის
მასწავლებინე გზები,
შეუწამლავი
შემაწამვლინე ზვრები,
მომაძებნინე
სხვაგან დამარხული ძმები,
ამ ჩემს მამულში
დამამარხვინე ძვლები,
მათქმევინე:
ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,
მერე წამოვალ,
წამოვალ, საცა გინდა.

ჯანსუღ ჩარკვიანი

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი.**

ასალო გუდავაძე კლუბის კიბეზე ჩამომჯდარა, გვერდით თავისი ვაჟი მოუსვამს. ვაჟს ფერხთით ახალგაზრდა ქალი უზის, მას ქმრის მუხლებზე უდევს თავი და გაუჩერებლად ტირის.

_ აგი ქალი არ გაუშვა დედისოულს, ბაბა! _ უბარებს ვაჟი ასალოს და ცოლს თავზე უსვამს ხელს.

_ არა, ბაბა.

_ მარგალიტა, არ მიატოვო ბაბა, ცოდვაა მარტო, _ ქალი ტირის.

_ მე მალე დავბრუნდები, ბაბა!

_ კი, ბაბა.

_ გაჩერდი ქალო, ჩემს მეტი არავინ მიდის ჯარში, თუ იცი? _ მარგალიტა ტირილს უმატებს.ქმარი ეფერება.

_ ტყუილა-უბრალოდ თავი არ გაიფუჭო, ბიჭო, ჭკუით იყავი! _ ეუბნება ასალო.

_ ნუ გეშინია, ბაბა, ჰიტლერის თავს ჩამოგიტან, თუ ვყოფილვარ ბიჭი! _ იღიმება ვაჟი.

_ შენი თავი ჩამომიტანე, ბაბა, მე იგი მირჩევნია! _ ამბობს ასალო.

მარგალიტა ისევ ტირის.

_ ამ ქალს მიმიხედე, ბაბა!

_ კი, ბაბა, რად მინდა დარიგება!

_ ბაბა!.. _ ასალოს ბიჭი იშმუშნება...

_ თქვი, შვილო.

_ ერთ-ორ თვეს კი და, მერე წყალი არ მოატანინო, შეშა არ მოაზიდიო, წისქვილზე არ გოუშვა, ყანა არ ათოხნიო! _ ასალო თავს უქნევს თანხმობის ნიშნად.

_ მაგი თვითონ არ გეტყვის და მძიმე არაფერი ააწევიო... _ განაგრძობს ასალოს ბიჭი. ასალო იღიმება და თავს უქნევს.

... მამიდა მესერთან დგას დათიკო ბრიგადირის პირდაპირ და თვალს არ აცილებს მას. დათიკო ბრიგადირი რაღაცას ეუბნება, მამიდა ყურს უგდებს. მეც ვუყურებ დათიკოს. იგი გაფითრებულია.

მერე დათიკო მკლავზე ჰკიდებს ხელს მამიდას. მამიდა არ აშვებინებს ხელს. დათიკო ახლა მეორე მკლავზე ჰკიდებს ხელს მამიდას და ახლა ორივე მკლავი უკავია მამიდასი. მამიდა არც მეორე ხელს აშვებინებს და ისინი ახლა სულ ახლოს დგანან ერთმანეთთან.

ნოდარ დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“ (ფრაგმენტი)

- **ამოწერეთ შუალობითი კონტაქტის ფორმები. ყურადღება მიაქციეთ ამ ფორმების მართლწერას. საჭიროების შემთხვევაში გაასწორეთ არასწორი ფორმები.**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

4.16. სათავისო მოქმედება; სასხვისო მოქმედება.

ვნახოთ, როგორ არის განმარტებული ერთი რიგის ზმნები **ქეგლ**-ის მიხედვით; ეს ზმნები ორ ჯგუფად დავყოთ:

ა)

იკეთებ-ს აკეთებს **თავისას** ან **თავისთვის.**

[გუგული] თავის დღეში ბუდეს არ **იკეთებს** (თ. რაზიკ.). „იცი, რას გეტყვი? აი, სახლის წინ რომ ყვავილების ბაღს **იკეთებ,** მოდი გიორგისაც დაეკითხე ხოლმე“ (ილია);

იშენებ-ს აშენებს **თავისას** ან **თავისთვის.**

ქარხნის მუშები კოტეჯებს იშენებენ. გურული სადგომად **იშენებს** ფიცრის სახლს (ი. გოგებ.). თუ [არწივს] ბინა ვაკე ტყეში აქვს, მაშის ბუდეს მაღალსა და მიუდგომელ ხეებზე **იშენებს** (ი. გოგებ.).

იმზადებ-ს ამზადებს **თავისთვის,** – იკეთებს.

ყველა თავის საქმეს აკეთებს, ზამთრის საზრდოს **იმზადებს** (ვაჟა). ყველას ცეცხლები დაენთო და ზედ ქვაბები ეკიდა, სადილს **იმზადებდნენ** (ვაჟა). ბაბო ნელ-ნელა **იმზადებდა** მზითევს (ეკ. გაბ.).

იდუღებ-ს ადუღებს **თავისთვის.**
წყალს **იდუღებს.**

იხატავ-ს ხატავს **თავისთვის.**
[ნაცარქექია] **იხატავდა** წარსულ დროს, იგონებდა წინაპრებს (აკაკი).

იწერ-ს წერს **თავისთვის,** – ინიშნავს.
რასაც ფშაველები ამ დროს ლექსებს თუ ანდაზებს ამბობდნენ, ...ჩუმად **ვიწერდი** პატარა რვეულში (ვაჟა). კრების დასასრულს ჯგუფის ორგანიზატორი დღიურში **იწერს** მოკლე ანგარიშს („ახ. კომ.“).

ირეცხავ-ს რეცხავს **თავისას** ან **თავისთვის.**
წინდებს **ირეცხავს**.

იღებავ-ს ღებავს ან აღებვინებს **თავისას.**
კაბას **იღებავს**. – [თინათინი] იღებავდა თმას (ე. ნინოშ.).

ბ)

უკეთებ-ს აკეთებს **მისას** ან **მისთვის,** – უქმნის, უმზადებს.
[ჩალხო] ხან კოდავდა წისქვილს პატარა ფოლადის კვერით, ხან ბორბალს ფრთებს **უკეთებდა,** ხან წყალს უგდებდა (ვაჟა). უჯრებს, სადაც თაფლს აგროვებენ, [ფუტკრები] **უკეთებენ** ფიჭის სახურავსა (ი. გოგებ.).

უშენებ-ს აშენებს **მისას** ან **მისთვის,** – უგებს.
ვახტანგმა... ფარნა თბილისში ჩამოიწვია და ფარნა ახლა **უშენებს** თბილისს (გ. ლეონ.).

უმზადებ-ს ამზადებს **მისთვის.**
მსახური დიამბეგს საუზმეს **უმზადებდა** (ვაჟა). მაკრინე... უკერავს საცვლებს, **უმზადებს** ოთახს [მიტოს] (ეკ. გაბ.).

უდუღებ-ს ადუღებს **მისას** ან **მისთვის.**
ავადმყოფს რძეს **უდუღებს.** – ბავშვს ფაფას **უდუღებს.** – მკითხავები და მკურნალები... ბალახ-ბულახს **უდუღებენ** [ეთერს] (შ. არაგვ.).

უხატავ-ს ხატავს **მისას** ან **მისთვის.**
დავწექ, დედა დამესიზმრა, **მიხატავდა** მზეს და ბაღნარს (გ. კაჭახ.). || ფიგურ. [ონისეს] ოცნება **უხატავდა** გაბრწყინვებულ სურათებს (ა. ყაზბ.).

უწერ-ს წერს **მისას** ან **მისთვის.**
ათანასე... აწერდა ხელს... წერილებს, რომელთაც ერთი დიაკვანი **უწერდა** (ე.ნინოშ.). პატრიოტი ქალები...დაჭრილებს **უწერენ** წერილებს („კომ.“).

ურეცხ[ავ]-ს რეცხავს **მისას.**
ნენე ორ დიდ უბანს ქალაქისას უცხობდა ჰურსა და **ურეცხავდა** სარეცხს (ს. მგალობ.). [სალომე] გამგეს... სარეცხს **ურეცხდა** (ვ. ბარნ.).

უღებავ-ს ღებავს **მისას** ან **მისთვის.**
კაბას **უღებავს.** – იატაკს **უღებავს.**

- პირველი რიგის ფორმებში ჩანს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს **თავისთვის, სათავისოდ;**
- მეორე რიგის ფორმებში ჩანს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს **სხვისთვის, სასხვისოდ**;

ამოსავალი სწორედ სუბიექტური პირია: **თავისთვის** ასრულებს ის მოქმედებას თუ **სხვა** პირისთვის.

აქედან გამომდინარე, პირველი რიგის ფორმებს **სათავისო მოქმედების ფორმები** შეიძლება ვუწოდოთ (სპეციალურ ლიტერატურაში მათ სათავისო ქცევის ფორმებს უწოდებენ);

მეორე რიგის ფორმებს **სასხვისო მოქმედების ფორმები** შეიძლება ვუწოდოთ (სპეციალურ ლიტერატურაში მათ სასხვისო ქცევის ფორმებს უწოდებენ);

როგორ ხდება ამ შინაარსის გრამატიკულად გამოხატვა?
სათავისო მოქმედების ფორმებს **ი-** თავსართი აძლევს სათანადო მნიშვნელობას;
ეს **ი-** ყველა პირშია წარმოდგენილი;

სასხვისო მოქმედების ფორმებში **ი-/უ-** მონაცვლეობა გვაქვს:
პირველ-მეორე პირში გვაქვს **ი-,** მესამეში - **უ-**.

სათავისო მოქმედების გამოხატვა პირების მიხედვით

ვ-**ი**-შენებ მე (კაცი) მას (სახლს)	ვ-**ი**-შენებ-თ ჩვენ (კაცები) მას (სახლს)
ი-შენებ შენ (კაცი) მას (სახლს)	**ი**-შენებ-თ თქვენ (კაცები) მას (სახლს)
ი-შენებ-ს ის (კაცი) მას (სახლს)	**ი**–შენებ ისინი (კაცები) მას (სახლს)

სასხვისო მოქმედების გამოხატვა პირების მიხედვით

ვ-**უ**-შენებ მე (კაცი) მას (სახლს)	ვ-**უ**-შენებ-თ ჩვენ (კაცები) მას (სახლს)
უ-შენებ შენ (კაცი) მას (სახლს)	**უ**-შენებ-თ თქვენ (კაცები) მას (სახლს)
უ-შენებ-ს ის (კაცი) მას (სახლს)	**უ**–შენებ-ენ ისინი (კაცები) მას (სახლს)

ან ასე:

სასხვისო ქცევის გამოხატვა პირების მიხედვით

მ-**ი**-შენებ-ს ის (კაცი) მე (კლიენტს) მას (სახლს)	გვ-**ი**-შენებ-ს ის (კაცი) ჩვენ (კლიენტებს) მას (სახლს)
გ–**ი**-შენებ-ს ის (კაცი) შენ (კლიენტს) მას (სახლს)	გ–**ი**-შენებ-თ ის (კაცი) თქვენ (კლიენტებს) მას (სახლს)
უ-შენებ-ს ის (კაცი) მას (კლიენტს) მას (სახლს)	**უ**–შენებ-ს ის (კაცი) მათ (კლიენტებს) მას (სახლს)

- **დავალება.**
- **აუღლეთ ზმნები:**

მხ. რ. **მრ. რ.**

I ვუწერ მე მას (ძმას) მას (დავალებას) ----------

II. ---------- ----------

III ---------- ----------

- **დავალება.**
- **აუღლეთ ზმნები:**

მხ. რ. **მრ. რ.**

I ვიწერ მე მას (დავალებას) ----------

II ---------- ----------

III ---------- ----------

- **დავალება.**
- **აუღლეთ ზმნები:**

მხ. რ. **მრ. რ.**

I მიწერს ის (ძმა) მე მას (დავალებას) ----------

II ---------- ----------

III ---------- ----------

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი. ამოწერეთ სასხვისო მოქმედების ფორმები.**

***

კაიშაური კვდება.

განწირულია.

... - მე ჩემი შევასრულე. - თითქო ვინმე სხვას ეჩურჩულება ანდრო. - ყველაფერი მივეცი ამ ვეყანას... დანარჩენი თქვენ იცით... ვალი დამიბრუნეთ.

- რა ვალი, მამილო? - ფრთხილად ვეკითხები.

- მიწას დაუბრუნეთ ვალი... ჩემი ვალი - ან ცოცხალი, ან მკვდარი.

ან ცოცხალი, ან მკვდარი - ესაა მისი ერთადერთი ნატვრაც და ანდერძიც.

- დამშვიდდით, მამა. ჩემ ვალად მიმიღია. შეგისრულებთ.

...ავადმყოფის თავთან ვზივარ და ყურს ვუგდებ.

შუაღამე მოდის.

ყველას სძინავს. გარეთ ნაწვიმარია.

ღია სარკმელში სიგრილე და ნესტი შემოდის.

ყავახანიდან შანსონეტის გაბზარული ხმა ისმის.

კაიშაური კი ბორგავს და ლუღლუღებს:

- დედას ვხედავ. აი, აქვე სდგას. - და მოხუცი ჩემს ხელს ეძებს. პოულობს და უნდილად უჭერს, თან ჩიფჩიფებს: - ნეტა რა გინდა, დედი? რად დამცქერი სევდიანის ღიმილით?.. თავსაც მიქნევ... თითქოს მეძახი.

არ მინდა ლანდი დავუფრთხო. ან რა საჭიროა! მგონი არც ძალმიძს. ცნობის კარი უკვე დახშული აქვს - გაღმეულში გადასახლდა.

ხელები ზევით უწყვია. მოკრუნჩხულ თითებს ბრმასავით აფათურებს, საბნის პირს პოულობს და ზევით ეწევა - თითქოს უნდა პირისახეზე აიფაროსო.

დედის მოლანდება და საბნის წეწვა დასასრულის ნიშანია. ეს მეც ვიცი. და ამის ცოდნა მეც იმ თითებივით მიწეწავს გულს.

„ვეღარ დავბრუნდი. - მაგონდება ამ დაკარგულის ნაკარნახევი, როცა თხოვნას მაწერინებდა. - იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ-მამის სახელიც დამავიწყდა“.

- ვეღარ დავბრუნდი. - აბოდდა უცბათ გონწასულიც. - ვეღარ დავბრუნდები, ვერა. „ყველანი დაბრუნდებიან: - ისევ ვიგონებ ამავე ოთახში ნათქვამს. - მხეცი ისევ ბუნაგში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი ისევ თავის ქოხს მოსძებნის. მე კი...“

- მე კი წამოვედი და ვეღარ დავბრუნდი. - იმეორებს თავისავე ნაჩივარს სულთმობრძავი, და უმატებს: - ვეღარც დავბრუნდები.

„ვიბრძოლე, ვიმუშავე. აღარაფერი შემრჩა, - ვიღაც იმეორებს ჩემს გულში. - აღარაფერი შემრჩა, გარდა ოთხმოცდარვა წლის ტვირთისა“.

...წამოვდექი, გავიარე, დავუბრუნდი, კვლავ დავჯექი, ხელით მაჯა ჩამიბღუჯა და თვალები გაახილა.

...დიდხანს მიმზერს უკვე მინის თვალებით. შიგ აზრი აღარ სწერია. მაგივრად პირთამდე სავსეა პირუტყვული შიშით, უიმედო ძრწოლით, სასოწარკვეთილი „მშვიდობით“.

- ვერა, ვეღარ დავბრუნდები. - მგონი ეს სამი სიტყვა წაიჩურჩულა უკანასკნელად.

მინა ყინულად გადაიქცა. ჩემს მაჯაზე მისი ხელი მოდუნდა. მაინც ვიჯექი და დავცქეროდი.

ვგრძნობდი, რომ ის ხელიც იმ თვალებივით იყინებოდა.

ფრთხილად წამოვდექი. ორივ ხელი მკერდზე გადვუჯვარედინე. თვალის ქუთუთოებიც ჩამოვუწიე და გავბრუნდი.

სარკმელთან ვდგევარ.

გარეთ ნაწვიმარია.

ოთახში ნესტი და სიგრილე შემოდის.

ყველას სძინავს...

მიხეილ ჯავახიშვილი, „მიწის ყივილი“ (ფრაგმენტი)

- **ამოწერეთ ფორმები, რომლებიც თანამედროვე ნორმების მიხედვით გრამატიკულად არასწორია. იმსჯელეთ ამ ფორმების შესახებ.**

4.17. აქტიური და პასიური სუბიექტი.

ვამბობთ, რომ სუბიექტური პირი აქტიურია, მოქმედების შემსრულებელია.

მაგრამ ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ: გრამატიკულად სუბიექტის ნიშნით გამოხატული პირი შეიძლება არც იყოს მოქმედების ერთპიროვნული შემსრულებელი და მისი როლი მხოლოდ მოქმედების ინიცირებით შემოიფარგლოს. ასეა ეს **შუალობითი კონტაქტის** შემთხვევაში.

მეტიც: პირი, რომელიც სუბიექტის ნიშნით აღინიშნება, შეიძლება არათუ არ იყოს მოქმედების შემსრულებელი, არამედ თვით განიცდიდეს მოქმედებას.

შევადაროთ ერთმანეთს ფორმები:

კაცი **აშენებს** სახლს	-	სახლი **შენდება** (კაცის მიერ)
კაცი **აკეთებს** საქმეს	-	საქმე **კეთდება** (კაცის მიერ)
კაცი **ყიდის** მანქანას	-	მანქანა **იყიდება** (კაცის მიერ)
კაცი **ამზადებს** სადილს	-	სადილი **მზადდება** (კაცის მიერ)

- აზრობრივად მარცხენა და მარჯვენა სვეტებში წარმოდგენილი წინადადებები იდენტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ენას აქვს ალტერნატივა, ერთსა და იმავე შინაარსს სხვადასხვა ფორმა მოუძებნოს:
- ბუნებრივია, აქტიური ზმნის გამოყენებისას სხვა ყალიბი გამოიყენება, ვიდრე პასიური ზმნის გამოყენებისას.

სუბიექტის პასიურობის გადმოცემა შეუძლია:

–ი თავსართს: **ი**-ყიდება, **ი**-ზრდება, **ი**-თიშება...

ე– თავსართს: **ე**-ყიდება, **ე**-ზრდება, **ე–**თიშება...

–დ ბოლოსართს: შენ-**დ**-ება, კეთ-**დ**-ება, შავ-**დ**-ება...

ვნახოთ ასეთი ფორმები:

წითლდებ-ა

წითელ ფერს იღებს, წითელი ფერისა **ხდება.** კალმახიანი შამფური გამკვრივდა ნაკვერჩხალზედა. თევზი შიშინებს, **წითლდება,** ალი ედება ცვარზედა! (ბაჩ.).

შავდებ-ა

შავი **ხდება,** შავ ფერს იღებს, შავად იღებება. სარკესავით წმინდა წყალი ზღვისა,...ღელვის დროს... **შავდება,** ჭუჭყიანდება (ს. მგალობ.). ქალაქს უპირებს ჩაყლაპვას ძირს დაშვებული ღრუბლები. ზეცა **შავდება** თანდათან (გ. კაჭახ.).

თეთრდებ-ა

თეთრი **ხდება,** თეთრ ფერს იღებს. მოდის თოვლი, სუფთა თოვლი, ეზოები **თეთრდებიან** (გ.კაჭახ.). ||ჭაღარავდება. სულელი თავი არც **თეთრდება,** არც ტიტვლდებაო (ხალხ.).

ყვითლდებ-ა

ყვითელი **ხდება.** რაკი ფესვები უფუჭდება მცენარესა, მალე **ყვითლდება** და ხმება (ი. გოგებ.). თუ მცენარეს საგრძნობლად აკლია აზოტი, მაშინ მისი ნორმალური მწვანე ფერი იცვლება და **ყვითლდება** („კომ.“).

დაკაცდებ-ა

კაცი გახდება, _ კაცობის ასაკს მიაღწევს, მოწიფული (კაცი) შეიქნება. ეს ყველაფერი გოგიას ჩვიდმეტი წლისას მოსდიოდა, მერე, რომ **დაკაცდა,** თანდათან გადაუარა (გ. დოჩ.).

ვაუკაცდებ-ა

ვაუკაცი ხდება. ვინც ამ კერაზე **ვაუკაცდებოდა** გმირად – ძველ ქართულ იავნანაში (გ. ლეონ.)

მუავდებ-ა.

მუავე **ხდება.** მწნილად ჩადებული კომბოსტო სიცივეში ძნელად **მუავდებოდა.**

მწარდებ-ა

მწარე **ხდება.**

ძმარდებ-ა

ძმრად **იქცევა;** მუავდება. [ნარიდოს] მარანში ყველიც მძაღდებოდა და ღვინოც **ძმარდებოდა** (ს. შანშ.).

წყალდებ-ა

წყლიანი, წყალწყალა **ხდება.** უხეირო ღვინო ადვილად **წყალდება.** 2. წყლად **იქცევა.** თოვლი ჩემს ზურგზე **წყალდება** სითბოსაგან (თ. რაზიკ.).

გარდა იმისა, რომ ამ ფორმებში სუბიექტური პირი რეალურად თავად არის **მოქმედების ობიექტი,** თავს იჩენს **გარდაქცევითობის** შინაარსიც, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია სახელური ფუძის შემთხვევაში.

ეს კარგად ჩანს განმარტების ელემენტებში:
ხდება, იქცევა.

5. ნაზმნარი სახელები

5.1. ზმნის მოქმედების სახელი.

ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილებს ორ დიდ ჯგუფად ყოფენ: პირველში შედის სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), მეორეში კი - ზმნა.

გავიხსენოთ:

სახელია სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საგანს, მის თვისებას, რაოდენობას.

ზმნა ისეთი სიტყვაა, რომელიც მოქმედებასა ან მდგომარეობას აღნიშნავს (აკეთებს, წერს... დგას...).

სახელებსა და ზმნებს განსხვავებული გრამატიკული კატეგორიები აქვთ.

> გამოყოფენ კიდევ ერთი რიგის ფორმებს, რომელთაც **სახელზმნებს** უწოდებენ - მათ სახელის ნიშნებიც აქვთ და ზმნისაც.

სახელზმნების კატეგორიაში შედის **ნაზმნარი** სახელები. უნდა გავარჩიოთ **საწყისები,** ანუ **ზმნის მოქმედების სახელები** და **მიმღეობები.**

პირველ რიგში, **საწყისების** შესახებ:

სხვაგვარად მათ შეიძლება **ზმნის მოქმედების სახელები** ან, უბრალოდ, **მოქმედების სახელები** ვუწოდოთ.

ვნახოთ, როგორ არის წარმოდგენილი ეს სიტყვები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

(გა)კეთება:

> სახელი **გააკეთებს, გაკეთდება** ზმნათა მოქმედებისა. ბუდის **გაკეთება** ბულბულს წყლის ახლო უყვარს (ი. გოგებ.). მშვილდ-ისრის **გაკეთება** თავის ძმას... დაავალა (ვაჟა);

(მო)მზადება:

> სახელი **მოამზადებს, მომზადდება, მოემზადება** ზმნათა მოქმედებისა. ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი... სხვადასხვაგვარი შეჭამადის **მომზადება** (აკაკი);

(და)წერა:

> სახელი **დაწერს** ზმნის მოქმედებისა. [მასწავლებელმა უნდა] ასწავლოს ბავშვებს ქართული წერა-კითხვა ისე, რომ წაკითხულის გაგებაც შესძლონ და ნაამბობის **დაწერაც** (ილია).

(და)ხატვა:

სახელი **დახატავს, დაიხატება** ზმნათა მოქმედებისა. [სასადილო ოთახის] ჭერის დახატვა ექვსი თუმანი დაუჯდა [ქაიხოსროს] (ეკ. გაბ.).

(და)კეტვა:

სახელი **დაკეტავს, დაიკეტება** ზმნათა მოქმედებისა. ბრაგაბრუგით კარების გაღებამ და **დაკეტვამ** მოურავიც წამოაგდო ფეხზე (ნ. ლორთქ.).

(ა)შენება:

სახელი **ააშენებს, აშენდება** ზმნათა მოქმედებისა. ამხანაგები ცდილობენ სახლის **აშენებაში** დაგეხმარონ (ლ. ქიაჩ.)

(გა)ჩერება:

სახელი **გააჩერებს, გაჩერდება** ზმნათა მოქმედებისა. ჰო, იქ დიდხანს **გაჩერება** ჩემთვის შეუძლებელი იყო (ნ. ლორთქ.).

ანუ; **აკეთებს** ზმნის მოქმედების სახელია **(გა)კეთება**, **წერს** ზმნის მოქმედებისა - **(და)წერა** და ა.შ.

ზმნის მოქმედების სახელი, ჩვეულებრივ, ზმნის **ახლანდელი ფორმიდან** იწარმოება (მას შეიძლება ჰქონდეს ზმნისწინი ან არ ჰქონდეს):

აკეთებს ⇒ (გა)კეთება
აშენებს ⇒ (ა)შენება...

მუშაობს ⇒ მუშაობა
სადილობს ⇒ სადილობა...

ხატავს ⇒ ხატვა...
ბარავს ⇒ ბარვა...

- **დავალება.**
- **გახაზეთ მოქმედების სახელები**

გაბრაზება, მომზადება, გაბრაზდა, დაკეტა, გაწითლება, განათება, ვაჭრობა, აშენება, დაბარა, სადილობა, შეკერა, დაბარვა, გაღება, ააშენა, გაღება, გარეცხვა, მოამზადა.

5.2. მოქმედების შემსრულებელი.

აკეთებს ზმნის ანალიზისას ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის ორპირიანი ფორმა; **აკეთებს ის მას.** ზმნის ფორმაში ჩანს, რომ არსებობს პირი, რომელიც მოქმედია, და ასევე არსებობს პირი, რომელიც სამოქმედოა. მოქმედი პირის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ზმნის ფორმაში არსებული ელემენტი: ბოლოსართი **-ს.**

ახლა ასეთი სიტყვა ავიღოთ - **გამკეთებელი** - და მისი განმარტება ვნახოთ:

გამკეთებელ-ი ვინც **'გა'აკეთებს** (რამეს). რა კაცი ხარ, რის მაქნისი, ...რის **გამკეთებელი** (ი. გულის.).

გამკეთებელი ზმნა არ არის, მას პირები არ შეეწყობა;

მეტიც: ის სახელივით შეიძლება ვაბრუნოთ (გამკეთებელმა, გამკეთებელს, გამკეთებლის...), მაგრამ მის შინაარსში ჩანს მოქმედების შემსრულებელი.

ამგვარ სიტყვებს დაესმის კითხვა როგორი? და ამ მხრივ ისინი ზედსართავ სახელებს ჰგვანან:

შდრ.:

როგორი? კარგი, შავი, ცუდი... _ ზედსართავი სახელებია.

როგორი? დაარსებული, აშენებული, დახატული... _ ე.წ. მიმღეობებია

როგორ ხდება ამ შინაარსის გამოხატვა?

- **მ- -ელ/-ავ** ელემენტების საშუალებით.

მივმართოთ ისევ ქეგლ-ს:

ამშენებელ-ი:

ვინც **აშენებს** (რაიმე ნაგებობას). ციხევ, მოგიკვდეს **ამშენებელი!** (ხალხ.). ბინად ვიყავი ჩემ ნათესავთან... ქართული უნივერსიტეტის **ამშენებელთან** (დ. კლდ.).

დამწერ-ი:

ვინც **'და'წერს.** წერილის **დამწერი.** _რეცენზიის **დამწერი.** _ და წამკითხველი **დამწერს** უჯერებს, ვით წინამორბედს და მოციქულსა (აკაკი).

დამხატავი, დამხატველ-ი:

ვინც **'და'ხატავს.** ვინც საქართველოს **დამხატველია,** ისიც აქ უნდა ვიხილოთ! (კ. კალ.).

დამკეტ'ავ'-ი:

ვინც (ან რაც) **'და'კეტავს.** ურდულის გასამაგრებელ შუკუნაში კარების **დამკეტს** კედის ბოლოში ქვა ჩაეჭედა, რომ კარები ვეღარ გაღებულიყო (ა. ყაზბ.). ფიქრი არაა გზის **დამკეტავი,** თუკი სახსოვარ ფურცლებს გადაშლი (ვ. გვეტ.).

გამჩერებელ-ი:

ვინც, რაც **'გა'აჩერებს** რაიმეს.

5. 3. მოქმედება შესრულებულია.

ნაზმნარ სახელში (მიმღეობაში) შეიძლება ჩანდეს, რომ **მოქმედება შესრულებულია;** ვნახოთ განმარტებები ქეგლ-ის მიხედვით:

(გა)კეთებულ-ი:

რაც (ვინც) **გააკეთეს** ან **გაკეთდა.** კარავში ყუმბარის ცარიელი ვაზნისაგან **გაკეთებული** ჭრაქი ბოლავდა (კ. ლორთქ.).

(მო)მზადებულ-ი:

რაც **მოამზადეს** ან **მომზადდა.** საწვიმრად **მომზადებულ** ცასა ჰგვანდა (ი. ეკალ.). ტყის მომავალი რგვისათვის **მომზადებულია** 800 ათასი ჰექტარი მიწა(«ახ. კომ.»).

(და)წერილ-ი:

რაც **დაწერეს** ან **დაიწერა.** ცარცით წერდნენ ხის ფიცარზე, კურდღლის ფეხით კი შლიდნენ **დაწერილსა** (ი. გოგებ.).

(და)ხატულ-ი:

რაც ან ვინც **დახატეს** ან **დაიხატა.** კედელზე ორი ძვირფასი სურათი ეკიდა: ერთზე... ზღვა იყო **დახატული** და მეორეზე... ხმელეთი (ეკ. გაბ.).

(და)კეტილ-ი:

რაც **დაკეტეს.** მასაჩუსეტში აკრძალულია ხვრინვა თუ ყველა ფანჯარა არ არის **დაკეტილი** («ქართ. საფიხ.»).

(ა)შენებულ-ი:

რაც **ააშენეს** ან აშენდა. ჩვენი სახლი ტყის მახლობლად იყო **აშენებული** (ი. გოგებ).

(გა)ჩერებულ-ი:

რაც **გააჩერეს** ან **გაჩერდა.** გამვლელგამომვლელნი... დაკვირვებით უყურებდნენ გზაში **გაჩერებულ** უცხო ქალსა (ეკ. გაბ.).

სათანადო შინაარსის გამოხატვა გრამატიკულად **-ულ/-ილ** ბოლოსართს უკავშირდება.

- **დავალება.**
- **წაიკითხეთ ტექსტი. ამოწერეთ შესრულებული მოქმედების გამომხატველი სიტყვები.**

დატირება

…ნელა მიჰყვება პროცესია კოლონიის მავთულხლართებს.

კოხტად ნაშენი სართულნახევრიანი სახლები, გაკრეჭილი გაზონები, შეღებილი ბაღის სკამები, თეთრი საკონცერტო ნიჟარა, ყვავილები, ყვავილები, ყვავილები…

– ვინაა ახლა პლენში, ჩვენ თუ იგინი? – თავისთვის ჩაიბურდღუნა ერმილემ. ცოლმა ხელი ააფარა პირზე.

მართლაც ძნელი სათქმელი იყო, ვინ ცხოვრობდა შემოღობილში: ბალანჩივაძეები, გურეშიძეები და ბრეგვაძეები თავის გატიალებული ეზოკარით თუ ყვავილებში ჩაფლული გერმანელი პლენები?

პროცესიის გამოჩენისთანავე იასამნის ბუჩქიდან მუსიკა გაისმა – პლენები შუმანის `ავე მარიას~ უკრავდნენ.

მოტირალები გაჩუმდნენ. ასე, ამ მუსიკით ჩაატარეს ბაბუა კოლონიასთან და აღმართს შეუდგნენ.

ვარლამი დანგრეულ საკირესთან დატოვეს, ტვინის ფსიქოლოგიაზე არ იმოქმედოსო, პატარაააო, განსვენებული ნამეტანი უყვარდაო, თუთუნს უგროვებდა ქუჩა-ქუჩაო, ქუთაისშიო, ქალაქკომის წინო, ნარსიას ბიჩოკებსო…

– ნარსია არ ეწეოდაო.

იკამათეს ამაზეც.

დაბრუნდნენ იმ ქვეყნიდან ამ ქვეყანაში, საქართველოს სსრ-ში, ქელეხზე.

რეზო გაბრიაძე, „ქუთაისი ქალაქია“ (ფრაგმენტი)

5. 4. მოქმედება შესასრულებელია.

ნაზმნარ სახელში (მიმღეობაში) შეიძლება ჩანდეს, რომ **მოქმედება შესასრულებელია მომავალში;**

ვნახოთ განმარტებები ქეგლ-ის მიხედვით:

(გა)საკეთებელ-ი:

> რაც უნდა **გააკეთონ** ან **გაკეთდეს.** ბევრი საქმე მაქვს **გასაკეთებელი** (ნ. ლორთქ.).

(და)საწერ-ი:

> რაც **უნდა დაწერონ** ან **დაიწეროს.** მასწავლებელმა რაღაც **დასაწერი** წინადადება მისცა მთელ კლასს (ეკ. გაბ.).

მოსამზადებელ-ი:

> რაც **უნდა მოამზადონ** ან **მომზადდეს.** მოსამზადებელი სადილი.

(და)სახატ'ავ'-ი რაც:

> **უნდა დახატონ** ან **დაიხატოს.** არც ის არის გულზე **დასახატი...** მაგრამ ამასთან ანგელოზად მოვა (კ. კობ.).

(ა)საშენებელ-ი:

> რაც **უნდა ააშენონ** ან **აშენდეს.** რაც **ასაშენებელი** იყო, კარგა ხანია უკვე აშენდა (რ. ჯაფ.).

(გა)საჩერებელ-ი:

> ვინც, რაც **უნდა გააჩერონ** ან **გაჩერდეს.** გამწარებული მამა ადვილი **გასაჩერებელი** არაა («ქართ. საფიხ.»).

> სათანადო შინაარსის გრამატიკულად გამოხატვა **სა-** ან **სა- -ელ/-ავ** ელემენტებს უკავშირდება.

5. 5. მოქმედება შეუსრულებელია.

ნაზმნარ სახელში (მიმღეობაში) შეიძლება ჩანდეს, რომ **მოქმედება შეუსრულებულია;** ვნახოთ განმარტებები ქეგლ-ის მიხედვით:

(გა)უკეთებელ-ი:

> რაც **არ გაუკეთებიათ** ან **არ გაკეთებულა.** ცოცხალი კაცის **გაუკეთებელი,** ძმაო, არაკად არ გაგონილა (კ. კობ.).

(და)უწერელ-ი:

> რაც **არ დაუწერიათ** ან **არ დაწერილა.** მე გავხდი მისი ჯერ **დაუწერელი,** მოთხრობილი პიესის მსმენელი (მ. ქორ.).

(მო)უმზადებელ-ი:

> რაც **არ მოუმზადებიათ** ან **არ მომზადებულა. მოუმზადებელი** ვახშამი. _ მეფის რუსეთი **მოუმზადებელი** ჩაება ომში (პარტ. ისტ.).

(და)უხატავ-ი:

> რაც **არ დაუხატავთ.**

(და)უკეტავ-ი:

> რაც **არ დაუკეტავთ** ან **არ დაკეტილა.** გვირაბის კარი **დაუკეტავი** უნდა იყოს (შ. არაგვ.). ბიჭს უთხრა, ჭიშკარი **დაუკეტავი** არ დარჩენოდა (გ. წერეთ.).

(გა)უჩერებელი:

> ვინც, რაც **არ გაუჩერებიათ** ან **არ გაჩერებულა.** ძლივს გამოვასწარით, სულ **გაუჩერებელი** სროლისა და დაბომბვის ფონზე მოვდიოდით («ვერს.»).

> სათანადო შინაარსის გრამატიკულად გამოხატვა **უ- -ელ/-ავ** ელემენტებს უკავშირდება.

დანართი 1.

კონსტრუქციული მოდელები:

1.1. ის მას - მან ის - მას ის

აკეთებს ის (კაცი) **მას** (საქმეს) - **გააკეთა მან** (კაცმა) **ის** (საქმე) – **გაუკეთებია მას** (კაცს) **ის** (საქმე)

ის მას	აკეთ-ებ-ს	ხატ-ავ-ს
	აკეთებ-დ-ა	ხატ-ავ-დ-ა
	აკეთებ-დ-ე-ს	ხატ-ავ-დ-ე-ს
	გა-აკეთ-ებ-ს	და-ხატ-ავ-ს
	გა-აკეთ-ებ-დ-ა	და-ხატ-ავ-დ-ა
	გა-აკეთ-ებ-დ-ეს	და-ხატ-ავ-დ-ე-ს
მან ის	გა-ა-კეთ-ა	და-ხატ-ა
	გა-ა-კეთ-ო-ს	და-ხატ-ო-ს
მას ის	გა-უ-კეთ-ებ-ი-ა	და-უ-ხატ-ავ-ს
	გა-ე-კეთ-ებ-ინ-ა	და-ე-ხატ-ა
	გა-ე-კეთ-ებ-ინ-ო-ს	და-ე-ხატ-ო-ს

ასეთი კონსტრუქცია აქვს ზმნებს:

აკეთებს, აშენებს, აგებს, აღებს, ამზადებს, აბრაზებს, ამშვიდებს, ალაგებს, ამუშავებს, ამტკიცებს, ასრულებს, ამთავრებს, ამეცადინებს, ანადგურებს, ჭამს, სვამს, ხატავს, ხაზავს, წერს, კეტავს, კერავს, რეკავს, მალავს, ბარავს, თიბავს, თესავს, რეცხავს, კლავს, ხნავს, ამბობს, ათბობს, ახმობს, ადნობს, ქსოვს, წონის, თლის, ჭრის, ყიდის...

1.2. ის მას მას - მან მას ის - მას ის (მისთვის)

სწერს ის (შვილი) **მას** (დედას) **მას** (წერილს) - **მისწერა მან** (შვილმა) **მას** (დედას) **ის** (წერილი)

ის მას მას	ს-წერ-ს ს-წერ-დ-ა ს-წერ-დ-ე-ს მი-ს-წერ-ს მი-ს-წერ-დ-ა მი-ს-წერ-დ-ე-ს
მან მას ის	მი-ს-წერ-ა მი-ს-წერ-ო-ს
მას ის	მი-უ-წერ-ი-ა მი-ე-წერ-ა მი-ე-წერ-ო-ს

(მისთვის)

ასეთი კონსტრუქცია აქვს ზმნებს:

აძლევს, ართმევს, აყრის, აწვდის, სთავაზობს, სთხოვს, სწერს, უწერს, უკეთებს, უხატავს, უშენებს, ურეცხავს, უბარავს, უმალავს, უკეტავს, ეუბნება, აკეთებინებს, აშენებინებს, ამზადებინებს, ახატვინებს, აბარვინებს, აჭრევინებს, აწერინებს, აგებინებს, ათქმევინებს, აყიდვინებს, აკერვინებს, ატყობინებს, ასმენინებს...

2. ის - მან - მას

სადილობს ის (შვილი) - **ისადილა მან** (შვილმა) - **უსადილია მას** (შვილს)

ის	სადილ-ობ-ს სადილ-ობ-დ-ა სადილ-ობ-დ-ე-ს ი-სადილ-ებ-ს ი-სადილ-ებ-დ-ა ი-სადილ-ებ-დ-ე-ს
მან	ი-სადილ-ა ი-სადილ-ო-ს
მას	უ-სადილ-ი-ა ე-სადილ-ა

ე-სადილ-ო-ს

ასეთი კონსტრუქცია აქვს ზმნებს:

მუშაობს, საუზმობს, ვახშმობს, ვარჯიშობს, ცხოვრობს, მეცადინეობს, ვაჭრობს, ფიქრობს, თევზაობს, ნადირობს, ხალისობს, ხუმრობს, სეირნობს, ცელქობს, მუსაიფობს, ბაასობს, ავადმყოფობს, ბატონობს, მეფობს, გიჟობს, ქეიფობს, დარდობს, უხეშობს, ტირის, იცინის, ცეკვავს, მღერის, ყვირის, კივის, დულს, ყეფს, სტვენს, ცურავს, აზროვნებს, ბუზღუნებს, გუგუნებს, ყაყანებს, ეჭვიანობს...

3. ის - ის - ის

იყიდება ის (პური) - **გაიყიდა ის** (პური) - **გაყიდულა ის** (პური)

	ი-ყიდ-ებ-ა	შენ-დ-ებ-ა	თბ-ებ-ა
	ი-ყიდ-ებ-ოდ-ა	შენ-დ-ებ-ოდ-ა	თბ-ებ-ოდ-ა
	ი-ყიდ-ებ-ოდ-ე-ს	შენ-დ-ებ-ოდ-ე-ს	თბ-ებ-ოდ-ე-ს
	გა-ი-ყიდ-ებ-ა	ა-შენ-დ-ებ-ა	გა-თბ-ებ-ა
	გა-ი-ყიდ-ებ-ოდ-ა	ა-შენ-დ-ებ-ოდ-ა	გა-თბ-ებ-ოდ-ა
	გა-ი-ყიდ-ებ-ოდ-ე-ს	ა-შენ-დებ-ოდ-ე-ს	გა-თბ-ებ-ოდ-ე-ს
ის	გა-ი-ყიდ-ა	ა-შენ-დ-ა	გა-თბ-ა
	გა-ი-ყიდ-ო-ს	ა-შენ-დ-ე-ს	გა-თბ-ე-ს
	გა-ყიდულ-ა	ა-შენებულ-ა	გა-მ-თბარ-ა
	გა-ყიდულ-იყო	ა-შენებულ-იყო	გა-მ-თბარ-იყო
	გა-ყიდულ-იყო-ს	ა-შენებულ-იყო-ს	გა-მ-თბარ-იყო-ს

ასეთი კონსტრუქცია აქვს ზმნებს:

იზრდება, იყინება, იჭრება, იბარება, იბეჭდება, იფარება, იფანტება, იდგმება, იბერება, იკეტება, ინომრება, ინგრევა, კეთდება, ცხელდება, შავდება, თეთრდება, წითლდება, ყვითლდება, ფართოვდება, სველდება, იაფდება, ძვირდება, ღამდება, თენდება, ბრუნდება, თარიღდება, თბება, დნება, ხმება, ჭკნება, კვდება, დგება...

4. ის მას - ის მას - ის მას

ელოდება ის (ბიჭი) **მას** (გოგოს) - **დაელოდა ის** (ბიჭი) **მას** (გოგოს) - **დალოდებია ის** (ბიჭი) **მას** (გოგოს)

ის (ბიჭი) **მას** (გოგოს)	ე-ლოდ-ებ-ა ე-ლოდ-ებ-ოდ-ა ე-ლოდ-ებ-ოდ-ე-ს და-ე-ლოდ-ებ-ა და-ე-ლოდ-ებ-ოდ-ა და-ე-ლოდ-ებ-ოდ-ე-ს და-ე-ლოდ-ა და-ე-ლოდ-ო-ს და-ლოდ-ებ-ი-ა და-ლოდ-ებ-ოდ-ა და-ლოდ-ებ-ოდ-ე-ს

ასეთი კონსტრუქცია აქვს ზმნებს:

ეზრდება, ეყინება, ესალმება, ეფერება, ეალერსება, ეფარება, ებოდიშება, ეგებება, ევსება, ეკეტება, ესაზღვრება, ელანდება, ეყიდება, ებუზღუნება, ეგუება, ედავება, ევაჭრება, ეთამაშება, ეკამათება, ემატება, ემზადება, ეპატიჟება, უშენდება, უკეთდება, უწითლდება, უშავდება, უფასდება, უსველდება, უძვირდება, უბრუნდება...

5. მას ის - მას ის - მას ის

მას (ბიჭს) **ის** (გოგო) **მოსწონს** - **მას** (ბიჭს) **ის** (გოგო) **მოეწონა** - **მას** (ბიჭს) **ის** (გოგო) **მოსწონებია**

მას (ბიჭს) **ის** (გოგო)	უ-ყვარ-ს უ-ყვარ-დ-ა უ-ყვარ-დ-ე-ს შე-უ-ყვარ-დ-ებ-ა შე-უ-ყვარ-დ-ებ-ოდ-ა შე-უ-ყვარ-დ-ებ-ოდ-ე-ს შე-უ-ყვარ-დ-ა შე-უ-ყვარ-დ-ე-ს შე-ჰ-ყვარ-ებ-ი-ა შე-ჰ-ყვარ-ებ-ოდ-ა შე-ჰ-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს

ასეთი კონსტრუქცია აქვს ზმნებს:

აქვს, ჰყავს, მიაქვს, მიჰყავს, უნდა, სურს, მოსწონს, სტკივა, ჰქვია, ეამაყება, ეცოდება, ეგულება, ეეჭვება, ევალება, ენატრება, ეზარება, ეზიზღება, ეკარგება, ელანდება, ენანება, ესიზმრება, ეღიმება, ეცოდება, ახსოვს, უკვირს, უჭირს, უხარია, შურს, სძულს, სწამს, სჯერა, სცივა, ესმის, ეშინია, შია, სცალია, სწყურია, აინტერესებს, აკლია, აცვია, ახურავს, უკავია, უკეთია, ურჩევნია, უსვია, შეუძლია, ნებავს...

ამგვარად, კონსტრუქციის მიხედვით გვაქვს:

ის მას / მან ის / მას ის - **ის მას მას** / **მან მას ის / მას ის** ტიპის ზმნები

ის / მან / მას ტიპის ზმნები

ის / ის / ის ტიპის ზმნები

ის მას / ის მას / ის მას ტიპის ზმნები

მას ის / მას ის / მას ის ტიპის ზმნები

დანართი 2.

ზმნები, რომელთაც მოთხრობითი ბრუნვა სჭირდებათ.

ააღვილებს	აგვიანებს	ავიწროებს	ათრევს	ამარცხებს
აანალიზებს	აგინებს	ავიწყებს	ათრობს	ამატებინებს
აბალახებს	აგიჟებს	ავლენს	ათხელებს	ამატებს
აბამს	აგირავებს	ავრცელებს	ათხოვებს	ამაღლებს
აბანავებს	აგნებს	ავსებს	აკაკუნებს	ამაყობს
აბარებს	აგონებს	აზარალებს	აკანონებს	ამახინჯებს
აბედვინებს	აგორებს	აზიანებს	აკარებს	ამბობს
აბეზღებს	აგრილებს	აზიარებს	აკეთებინებს	ამდიდრებს
აბერებს	აგროვებს	აზოგადებს	აკეთებს	ამეცადინებს
აბინავებს	აგრძელებს	აზროვნებს	აკვირვებს	ამთავრებს
აბინძურებს	ადაბლებს	აზუსტებს	აკლებს	ამთელებს
აბიჯებს	ადარებს	აზღვევს	აკნინებს	ამთლიანებს
აბნელებს	ადასტურებს	ათავებს	აკონკრეტებს	ამკვიდრებს
აბოლებს	ადგამს	ათავსებს	აკონსერვებს	ამკობს
აბოლოებს	ადგენს	ათამამებს	აკონსპექტებს	ამლაშებს
აბრახუნებს	ადებს	ათამაშებს	აკოცნინებს	ამოკლებს
აბრტყელებს	ადიდებს	ათანაბრებს	აკრეფინებს	ამუავებს
აბრუებს	ადნობს	ათანხმებს	ალაგებს	ამუღავნებს
აბრუნებს	ადროვებს	ათარიღებს	ალამაზებს	ამრავლებს
აბურთავებს	ადუმებს	ათბობს	ალაპარაკებს	ამრგვალებს
აბღავლებს	ადუნებს	ათევზავებს	ალევინებს	ამსგავსებს
აგანიერებს	ადუღებს	ათევს	ამაგრებს	ამტვერებს
აგდებს	ავალებს	ათეთრებს	ამართლებს	ამტვრევს
აგვარებს	ავითარებს	ათლევინებს	ამარილებს	ამტკიცებს

ამტყუნებს
ამუქებს
ამუშავებს
ამღერებს
ამღვრევს
ამყარებს
ამყნობს
ამშვენებს
ამშობიარებს
ამშრალებს
ამჩნევს
ამცირებს
ამწარებს
ამწვანებს
ანაგვიანებს
ანადგურებს
ანაზღაურებს
ანათებს
ანგრევს
ანელებს
ანთებინებს
ანთებს
აოხრებს
აპატარავებს
აპრიალებს
ართმევს
არსებობს
არტყამს
არღვევს
არჩევს
არწევს
ასველებს
ასვენებს
ასმევს
ასრულებს
ასუსტებს
ასუფთავებს
ასუქებს
ასქელებს
ასწრებს
ასხამს
ასხამს
ასხმევინებს
ატარებს
ატირებს
ატკბობს
ატრიალებს
ატყავებს
აფარებს
აფართოებს
აფეთქებს
აფერადებს
აფრენს
აფრიალებს
აფრქვევს
აქვავებს
აქტიურობს
აქცევს
აღარიბებს
აღებს
აღწევს
აყენებს
აყვირებს
აყოლებს
აყრევინებს
აშავებს
აშენებინებს
აშენებს
აჩერებს
აჩქარებს
აცდევინებს
აცდენს
აცეკვებს
აცივებს
აცილებს
აცინებს
აცნობებს
აცხადებს
აცხელებს
აძლევს
აძლიერებს
აძრობს
აწესებს
აწითლებს
აწოდებს
აჭმევს
ახაზვინებს
ახარშვინებს
ახატვინებს
ახელს
ბაასობს
ბალახობს
ბარავს
ბატონობს
ბედავს
ბერავს
ბეჭდავს
ბომბავს
ბრაზდება
ბრძანებს
ბუზღუნებს
ბუტბუტებს
ბღავის
გალობს
გეგმავს
გვის
გზავნის
გიჟობს
გლეჯს
გლოვობს
დარდობს
ვაჟკაცობს
ვარცხნის
ვარჯიშობს
ვაჭრობს
ზარალობს
ზეთავს
ზეიმობს
ზიდავს
ზოგავს
ზომავს
ზრდის
ზღუდავს
თამაშობს
თარგმნის
თაღლითობს
თევზაობს
თესავს
თვლის
თიბავს
თიშავს
თლის
თოხნის
თქვეფს
თხრის
იზეპირებს
იღებს
იცავს
იცინის
კამათობს
კარგავს
კარნახობს
კაცობს
კაწრავს
კბენს
კენკავს
კეპავს
კერავს
კეტავს
კეცავს
კვებავს
კვეთს
კვნესის
კივის
კითხულობს
კინძავს
კლავს
კოცნის
კოჭლობს
კრეფს
კრძალავს
ლაპარაკობს
ლესავს
ლოკავს
ლოკავს
მათხოვრობს
მალავს
მართავს
მარჩიელობს
მარხავს
მასხრობს
მეფობს
მეცადინეობს
მეცადინეობს
მკითხაობს
მკურნალობს
მოქმედებს
მუსაიფობს
მღერის
მშობიარობს
ნადირობს
ნადირობს
ნანობს
ნომრავს
პუტავს
რგავს
რწყავს
სადილობს
საუზმობს
სეირნობს
სვამს
სვრის
სინჯავს
სწავლობს
ტეხს
ტვირთავს
ტირის
ტიხრავს
ტუქსავს
უხეშობს
ფანტავს
ფარცხავს
ფილტრავს
ფიქრობს
ფლანგავს
ფხაჭნის
ქეიფობს
ქირაობს
ქლიბავს
ქმნის
ქოქავს
ქსოვს
ქურდავს
ღებავს
ღეჭავს
ღვრის
ღიღინებს
ღობავს
ღუნავს
ღუპავს
ყაყანებს
ყვირის
ყიყინებს
ყლაპავს
ყნოსავს
ყრის
შიფრავს
შრომობს
ჩიჩქნის
ცდის
ცეკვავს
ცელქობს
ცვლის
ცლის
ცრუობს
ცურავს
ცხოვრობს
წებავს
წვავს
წვრთნის
წივის
წონის
ჭამს
ჭიდაობს
ჭმუჭნის
ჭორავს
ჭორაობს
ჭრის
ხაზავს
ხარშავს
ხარჯავს
ხდის
ხერხავს
ხვეტავს
ხმაურობს
ხსნის
ჯიუტობს
ჯღაბნის...

სარჩევი

შესავალი 3
1. მეტყველების ნაწილები 5
2. ფუნქციური ლექსიკა 5
3. სახელები 13
3.1. არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით 13
3.1.1. სულიერთა და უსულოთა აღმნიშვნელი სახელები 13
3.1.2. **ვინ** ჯგუფის და **რა** ჯგუფის სახელები 13
3.1.3. საკუთარი და საზოგადო სახელები 14
3.1.4.კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები 15
3.1.5.კრებითი სახელები 15
3.1.6. სულიერი და უსულო საგნების კუთვნილების გამოხატვა 18

3.2. ბრუნება - სახელის ფორმის ცვლა 19
3.3. ბრუნვის ფორმები 34

3.3.1. სახელობითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები 39
3.3.2. მოთხრობითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები 66
3.3.3. მიცემითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები 70
3.3.4. ნათესაობითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები 90
3.3.5. მოქმედებითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები 114
3.3.6. ვითარებითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები 128
3.3.7. წოდებითი ბრუნვის პრაქტიკული ფუნქციები 139

3.4. რიცხვითი სახელების პრაქტიკული ფუნქციები 144
3.4.1. საგანთა ზუსტი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები 144
3.4.2. რიგი 148
3.4.2.1. ჯერობა 149
3.4.3. ნაწილი 150

3.5. ნიშან-თვისების / გარეგნული მახასიათებლის გამომხატველი სიტყვები - ზედსართავი სახელები 158
3.6. ნაცვალსახელები 162
3.6.1. პირის ნაცვალსახელები ნათესაობითში 163
3.6.2. ჩვენებითი ნაცვალსახელები 163
3.6.3. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 164
3.6.4. მიმართებითი ნაცვალსახელები 165
3.6.5. უარყოფითი ნაცვალსახელები 165
3.6.6. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები 165
3.6.7. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები 166

3.7. ყოლა-ქონის აღმნიშვნელი სახელები 167
3.8. უქონლობა-უყოლობის სახელები 172
3.9. გეოგრაფიული პუნქტების აღნიშვნა 175
3.10. ადამიანთა სადაურობა-წარმომავლობის აღნიშვნა 176
3.11. პროფესია-ხელობის მქონე ადამიანთა გამოხატვა 186
3.12. ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები 188
3.13. დანიშნულების სახელები 191
3.14. წინა ვითარების სახელები 196
3.15. მცენარეთა კრებულის სახელები 199

4. მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველი სიტყვა - ზმნა 201
4.1. ზმნის პირიანობა 202
4.2. პირის გამოხატვა ზმნაში 206
4.3. მოქმედი პირი. სამოქმედო პირი 208
4.4. მოქმედი პირის რიცხვის გამოხატვა ზმნაში 227
4.5. თავაზიანობის გამომხატველი ფორმები 230
4.6. სამოქმედო პირის გამომხატველი ნიშნები 231
4.7. მიმართულების გამოხატვა ზმნის ფორმაში. ზმნისწინი 239
4.8. **აკეთ-ებ-ს:** ახლანდელი დროის გამოხატვა ზმნაში 243
4.9. **აკეთებდა:** მოქმედების უწყვეტელობის/დაუსრულებლობის გამოხატვა ზმნის წარსულ დროში 246
4.10. **გააკეთებს:** მომავალი დროის გამოხატვა 250
4.11. **გააკეთა:** მოქმედების წყვეტილობის გამოხატვა წარსულ დროში 257
4.12. **გაუკეთებია:** უნახავი მოქმედების გამოხატვა 261
4.13. **გააკეთოს! არ გააკეთოს! ნუ აკეთებს!** : ბრძანების გამოხატვა 265
4.15. მოქმედების ინიცირება 275
4.16. სათავისო მოქმედება; სასხვისო მოქმედება 279
4.17. აქტიური და პასიური სუბიექტი 285

5. ნაზმნარი სახელები 288
5.1. ზმნის მოქმედების სახელი 288
5.2. მოქმედების შემსრულებელი 290
5. 3. მოქმედება შესრულებულია 291
5. 4. მოქმედება შესასრულებელია 293
5. 5. მოქმედება შეუსრულებელია 294

დანართი 1. კონსტრუქციული მოდელები 295
დანართი 2. ზმნები, რომელთაც მოთხრობითი ბრუნვა სჭირდებათ 299